644
1963/4



4

# ცისკარი



ამ ნომერში დაბეჭდილია
გურამ თიკანაძის ფოტოეტიუდები.

ო ლ ე

644
1963/4

# ცისკარი

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკკ ც.კ.-სა და
მწერალთა კავშირის
ორგანო

9557.

4

აპრილი

1963

გამომცემლობა «ლიტერატურა და ხელოვნება»

# შინაარსი

ემზარ კვიტაიშვილი
ლენინი. ლექსი 3

ნოდარ შამანაძე
ჩვენ შევეჩვიეთ. ლექსი 5

თამაზ ჭილაძე
ლექსები 6

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე. რომანი. გაგრძელება 9

ბონდო კეშელავა
ის ყვავილებს ახარებს. ლექსი 63

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები. გაგრძელება 64

ნუგზარ წერეთელი
ლექსები 91

მოსე გვასალია
ცრემლის წყარო. მოთხრობა 93

მირიან მირნელი
ლექსები 108

**კრიტიკა და პუბლიცისტიკა**

გურამ ბათიაშვილი
პოეტის ახალი წიგნი 105

ნიკო ლეონიძე
მცირე ეკრანის თავისებურებანი 109

დავით ფანჩულიძე
კიტა აბაშიძე და ფერდინანდ ბრუნეტიერი 119

ნოდარ ასათიანი
„რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“ 128

ზურაბ შოშიტაიშვილი
ჯონ სტეინბეკი ნობელის პრემიის ლაურეატია 136

**მეცნიერება და ტექნიკა**

აპოლონ ავალიანი
უსაზღვრო ენერგიის წყარო 141

იაროსლავ პუტიკი
სინდისი. გაგრძელება. თარგმნა ვ. ბურჩიძემ 151

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავაძე, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ჟურნალი გააფორმა მხატვარმა გულდა კალაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ემზარ კვიტაიშვილი

### ლენინი

დედამიწაზე სიცოცხლე მღერის,
დრო გადის,
წლები წლებს ემატება
და ემატება
სხივი და ფერი
მისი სახელის მზიურ ნათებას.

მთებსა და ველებს
სიმწვანე შვენის
და სიმწვანეში
გაზაფხულს ვხედავთ...
უკვდავო ლენინ!
რწმენა ხარ ჩვენი
და იმედი ხარ
მომავალ დღეთა.

ის ჩვენთან არის დღისით და ღამით,
ჩვენს გვერდით შრომობს,
ეძებს და იბრძვის,
ოქროს ყანებით აღელვებს ყამირს
სიკეთე
მისი დიადი სიბრძნის.

მან აგვაშორა მონობა მძიმე
და გაანათა
მიზანი ჩვენი,
ყველა ჩაგრულის მხსნელსა და იმედს
მსოფლიო უსმენს
ვლადიმერ ლენინს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავისუფლების შუქდაფენილი
მსოფლიოს იცავს
კრემლის კედელი,
მსოფლიოს ბედზე
ფიქრობს ლენინი —
ჩვენი სინათლე დაუშრეტელი.

მომავლის გზაზე
ლენინი გვიძღვის,
მომავალს ჭვრეტენ მისი თვალები,
გამარჯვებათა
იზრდება რიცხვი
და კომუნიზმის ჩანს მწვერვალები.

## ნოდარ შამანაძე

### ჩვენ შევეჩვიეთ

ველარ ეტევა კანში აპრილი
და საზეიმოდ გვიხმობს ბუნება.
ჩვენ გადავლახეთ ცათა ნაპირი
და შევეჩვიეთ მაღლა ყურებას.

ჩვენ შევეჩვიეთ ზეცის ცხრა კარის
ერთად გაღებას,
ერთად აღებას...
და ხორცშესხმული ყველა ზღაპარი
ცისკარს მოვფინეთ ბაირაღებად.

და კვლავ გუგუნებს იმედის ტალღად
თავისუფალი კაცის გენია,
ჩვენ ასე მაღლა
და ასე ლაღად
ჯერ არასოდეს არ გვიფრენია.

## თამაზ ჭილაძე

### სხალტბა

ვერხვი მეხისგან ჩამომსხვრეული
მაინც დგას, სხალტბის სიჩუმეს იცავს...
ახლავე დასწვი ჩემი სხეულიც,
თუ არ იქცევა სამშობლო მიწად.

და ნუ მომასწრებ მეგობრის ღალატს
და ნუ მაცოცხლებ იქამდე, ვიდრე
თუნდაც უგონოდ ან თუნდაც ძალად
რომ ვუღალატო ჩემს ფიცს და სიტყვებს.

წაიღე ჩემი გული და ფიქრი,
მიეცი, ვისაც ჭირდება სითბო.
და განათებულ დღეების იქით
ჩემი სიმღერა მეძახის თითქოს.

არ შემიძლია გავჩუმდე, არ ვთქვა,
შენი სიცოცხლით თუ როგორ ვთვრები,
გარინდებულა ვერხვი და სხალტბა
მთაზე ირხევა ცისფერი ფრთებით...

☆

წუხელ მესიზმრა — შენი ხმა წყნარი
ველარ აღწევდა ამ ყრუ გულამდი
და ვარსკვლავებით თვალებდამწვარი
მარადისობის რკალში ვბრუნავდი.

[illegible]ც,
ვიყავი თოვლიც, წვიმაც, საღამოც
და მეტეორის თავისუფლებით
სადღაც მივქროდი დაუსაბამოდ.

და ჩემი სუნთქვა აკრთობდა ზარებს
და აღვიძებდა მბრწყინავ საყვირებს
და დაუმცხრალი მზის თანამგზავრი
ბნელში ვეძებდი ახალ ნაპირებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვანთებდი კოცონს და მერე ხანძრად
ვაქცევდი იმ ცეცხლს და მიხაროდა —
თითქო ვათბობდი მეგობარს დამზრალს,
თითქო ვათბობდი და... მიხაროდა.

და ვარიგებდი გვალვაში წვიმას,
ყინვაში — სიცხეს, სიცხეში — ღრუბელს,
და ვამსგავსებდი ვარსკვლავთა ბრწყინვას
დედის ცრემლებით დანამულ უბეს.

არ ვიღლებოდი, თვალს არ ვხუჭავდი,
სადღაც მივქროდი თავგამეტებით,
ჩემი ქალაქის თეთრი ქუჩები
უბით მიმქონდა, როგორც მტრედები.

ვიყავი მიწაც, ცაც და ღრუბელიც,
ვიყავი თოვლიც, წვიმაც, საღამოც
და მეტეორის თავისუფლებით
სადღაც მივქროდი დაუსაბამოდ.

☆ ——————

## წუთი

ქარს უბზინავდა პატარა ფრთები,
ვით უდარდელი მფრინავი თევზი,
გადადიოდა და დაფრინავდა
ფიქრიდან ზღვაზე, ზღვიდან ფიქრებში.

რა იყო ქარი?
ნუთუ შემეძლო
მისი თევზივით ხელში აყვანა...
ნუთუ შემეძლო ცისა და მიწის
და ამ ღრუბლების გულით ტარება?

ნუთუ შემეძლო მოვსულიყავი,
გამეღო მაგრად დახშული კარი
და მეთქვა, რასაც დიდხანს ვმალავდი,
მეთქვა ხმამაღლა... ნუთუ შემეძლო?

ეს იყო წუთით...
და გაქრა ქარი...
რამოდენაა ცა და ხმელეთი!
და რა ციური მიუწვდომლობით
მიიჩქარიან სადღაც ღრუბლები-..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ ვიდექი გაოცებული,
შემოუარა ლერძს დედამიწამ...
ეს იყო წუთი!
მე კი მეგონა
მთელი სიცოცხლე...
და გაქრა ქარი...

☆ ————— — — ———————

## ფიქრი

განათებული იდგა ზვინი...
ზვინზე გულაღმა
იწვა ვიღაცა, ამოედო ხელები თავქვეშ...

ქარს გადაჰქონდა ჩაფიქრებულ
კენწეროებზე
გალაკტიკების დაწყვეტილი
აბლაბუდები.
წყაროში ნელა გადიოდა შემკრთალი
მთვარე,
ეძინა სოფელს,
სადღაც მთაზე ენთო სინათლე.

ისმოდა, როგორ იზრდებოდა მინდვრად
ჯეჯილი...

ბნელში მიჰქროდა დედამიწა... და
როგორც მგზავრი,
შუაღამისას მატარებლის ხმაურს რომ
უსმენს,
ისე უსმენდა ვიღაც მიწის დიდებულ
გუგუნს.

სად მიდიოდა, რას ფიქრობდა,
სად მიიწევდა,
რა ერქვა სადგურს?
რეკდა ზარი...
მიჰქროდა მიწა...

ქარს გადაჰქონდა ჩაფიქრებულ
კენწეროებზე
გალაკტიკების დაწყვეტილი
აბლაბუდები...

გრიგოლ აბაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დიდი ღამე

რომანი

ქართლის ბალებს მოედვნენ ხვარაზმელები. იქ სულტანმა ლაშქარი ორად გაჰყო. ერთი ნაწილი სურამის უღელტეხილისკენ დასძრა, მეორე ალის გზით ჰერეთხევისკენ გაისტუმრა.

თვითონ სულტანი ხილიან-მწვანიან სოფელში შეჩერდა მცირე ჯარით. უღელტეხილს რომ გადავიდოდნენ, მთავარ ლაშქარს თვითონაც უნდა დასწეოდა, სათავეში ჩადგომოდა და ქუთაისის აღებისათვის ეხელმძღვანელნა.

წინ წასულ ლაშქარს ფრთხილსა და სწრაფ მოქმედებას ავალებდა.

ადრე დაწვა ჯალალედინი, მაგრამ არ იქნა და არ დაეძინა. წინ ურიცხვი ლაშქარი ჰყავდა გაგზავნილი, უკან დანგრეული, დაცარიელებული სოფლები იყო, მოსახლეობა მთებში გახიზნულიყო და მტერი არსად სიცოცხლის ნიშანს არ იძლეოდა. მაინც რატომღაც ძილი გაუფრთხა და გულში შიში შეეპარა მთელს ქვეყანაზე უშიშრობით ცნობილ ვაჟკაცს. რა უნდა ამ მიუვალ მთებში თვალუწვდენელი ველებისა და უნაპირო ვაკეების ხელმწიფეს?! ამ კლდე-ღრეებისა და ხევხუვების ქვეყანაში მარტო ქაჯებსა და გურჯებს შეუძლიათ თავისუფლად სიარული. ყოველ ნაბიჯზე წვერით ცას მიბჯენილი მთა არის ან ბობოქარი მდინარეებით ჩახრამული უფსკრული. ეშმაკმაც არ იცის, საიდან წამოგეპარება მტერი, სად წამოგეწევა მწვერვალიდან დაგორებული ქვა და რომელ ნაპრალზე აგისხლტება ფეხი. ლიხსაქეთ კიდევ არა უშავს, ბარი დიდია და ვაკეც ბევრია. ლიხსიქეთ უფრო მიუვალსა და უგზო ქვეყანას ამბობენ. ეს უღელტეხილი ათასნაირად არის თურმე დახვეული და დაკლაკნილი, უფსკრულების პირად დაკიდებულ გზებზე ზოგან ორი კაცი ვერ აუვლის გვერდს ერთიმეორესო, და მტერი რომ იმ ვიწროებში ჩასაფრებული დახვდეს, ამოდენა ლაშქარი სად უნ-

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი", № 1, 2, 3.

და გაიშალოს. ხომ არ აჩქარდა სულტანი და გურჯების სრულად მოსპობის მოსწრაფემ შეუძლებელსა და საშიშ საქმეს ხომ არ მოჰკიდა ხელი?!.

რას იფიქრებდა დიდი მუჰამედის მემკვიდრე, ურგენჩისა და სამარყანდის, მერვისა და ბუხარის პატრონი, რომ ოდესმე ამ მიუვალ მთებში გაუტყდებოდა ძილი სამკვიდროდან აყრილსა და თავშესაფრის მძებნელს. მაინც სად მოიყვანა ბედმა უიღბლო სულტანი! რა მანძილიც მან გამოირბინა ხორეზმის ქალაქებიდან საქართველოს მიუდგომელ მთებამდე, ქარსაც დაღლიდა, და საქართველომდე, ალბათ, მისი ქვეყნიდან დაძრული ვერც ერთი ქარი ვერ იქროლებდა. იქ, ჯალალედინის სამშობლოში, ცხელი ქარები იცის, აქ, საქართველოს მთებში გრილი ქარები ქრიან ამოდ და თუ იქაური ქარიც ვერ ეწყობა ამ მთებს, კაცი როგორღა შეეწყობა აქაურობას!

როდის გაინავარდებს კიდევ ჯალალედინი ირანისა და მავერანახრის თვალუწვდენელ ველებზე, როდისღა დასტკბება მისი თვალი არხებით დაქსელილი წალკოტებისა და მუხლამდე ბალახში გაფანტული ჯოგების ცქერით!

ჯალალედინი ველების ხელმწიფეა და მას თუ გამარჯვება უწერია, ისევ ველებზე უნდა გაიმარჯვოს. ეს იცის ჯალალედინმა, კარგად იცის, რომ თავის მოსისხლე მტრებს — მონგოლებს ირანის ან ხორეზმის ველებზე უნდა შეხვდეს პირისპირ საბოლოო და გადამწყვეტ ბრძოლაში და თუ მაინც აქ შეჩერდა, მთიან საქართველოში, ეს მხოლოდ დროებით, ღონის მოსაკრებად და სულის მოსათქმელად.

მაგრამ ვაი, რომ ვერც სული მოითქვა და ვერც ღონე მოიკრიბა სულტანმა საქართველოში: ქართველები არ ცხრებიან, ბრძოლას არ ეხსნებიან და მოსვენებას არ აძლევენ ხვარაზმელ დამპყრობლებს. გაუგრძელდა საქართველოში ყოფნა ჯალალედინს, ერთი დაკვრით უნდოდა გაეთავებინა საქმე ქართველებთან, ქვეყანა დაემორჩილებინა და ოქროთიც ავსებულიყო, მაგრამ ქართველობა არა თუ არ დამორჩილდა, ახალ-ახალ ბრძოლებსა და შეტაკებებში ითრევს, ქვეყნის სიღრმისკენ, მიუვალი მთებისკენ იტყუებს და, ვინ იცის, როგორ გათავდება ეს ციხეებისა და გამოქვაბულებებისათვის ბრძოლა.

მართალია, თბილისის აღებისას საკმაო სიმდიდრე იგდო ხელთ ჯალალედინმა, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს წინააღმდეგობა საბოლოოდ ვერ გასტეხა და აქაურობას ვერ გაეცალა, ის ნადავლი ოქრო ისევ ქართველებთან ომებში ეხარჯება და ხელთ ადნება სულტანს.

ღმერთმა ჰქნას, ეს ომი უკანასკნელი იყოს, საქართველოს სამხედრო ძლიერება საბოლოოდ გასტეხონ და სვანეთის მთებში გადამალული განძიც ხელთ იგდონ ხვარაზმელებმა.

ცოტახანს დაისვენებს, სულს მოითქვამს სულტანი, ნადავლი ოქროთი დიდძალ ჯარს შეკრებს და უზარმაზარი ლაშქრით უკანვე დაადგება იმ გზას, რომელმაც აქ მოიყვანა, პირისპირ შეხვდება მონგოლებს, გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხებს მათ და მორჭმით დაჯდება თავისი ნეტარი მამის, დიდი მუჰამედის ტახტზე.

მერე კი ფიქრითაც აღარ გამოიხედავს სვებედნიერი სულტანი ავბედობის ჟამს მისი ესოდენ გამმწარებელი ქართველებისკენ, ჯიუტი და გაუტეხელი გურჯებისკენ...

ფიქრით დაღლილს გვიან ჩაეძინა.

შუაღამე გადასული იქნებოდა, მტრის ზურგში მავალი ქართველები რომ დაეცნენ სულტნის ბანაკს. ფხიზელ ძილს ჩვეულ ჯალალედინს ამჯერად სხვებზე გვიან გაეღვიძა: ხმლების ჩახაჩუხი და თავდამსხმელთა ყიჟინა მაშინ ჩაესმა, როცა ბანაკი უკვე აშლილი იყო და ხელჩართული ბრძოლა ჩაღდებოდა.

ძილისაგან დამძიმებული თავი ძლივს აიღო და ტანთ სწრაფად გადაიცვა. ის იყო, იარაღსაც დაავლო ხელი, რომ კარვის კალთა გადაიწია და ჯალალედინმა უცნობი ქართველი დაინახა. ქართველი დაჭრილს მოათრევდა მის კარავში. ზღურბლზე შემომდგარმა ოფ-

ლი მოიწმინდა და თმა მხრებზე ჩამოეშალა, წამით სული მოითქვა და თავი ჯალალედინისკენ მოიბრუნა.

სულტნის დანახვაზე შეკრთა, დაჭრილს ხელი უშვა და გაოცებული მიაჩერდა ჯალალედინს. გასაქცევად გამზადებული ჯალალედინიც დაბნეული უყურებდა თმაჩამოშლილ ქალს.

წამით თვალი თვალში გაუყარეს ერთიმეორეს და ჯალალედინს უცებ გაახსენდა, რომ სადღაც ენახა ეს ქალი, თუ მისი სურათი.

მაგრამ ფიქრის დრო სადღა იყო!

ქალმაც, ალბათ, სულტანი გუმანით იცნო, დაჭრილის სატევრისკენ წაიღო ხელი და გადასახტომად მოემზადა. ჯალალედინმა დაასწრო და ისარი სტყორცნა.

ქალი პირქვე დაემხო.

სულტანს უძვირფასესი თვლებით შემკული თაჯი აღარ გახსენებია, ქამარ-ხანჯალს დაავლო ხელი, გარეთ გამოვარდა და ცხენს მოახტა.

ბრძოლას იქიდან გადაენაცვლა და ჯალალედინი მიხვდა, რომ განგებას ბეწვზე გადაერჩინა.

ხვარაზმელთათვის ზურგიდან თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, სულტნის მხლებელმა ჯარმა ხეირიანად წინააღმდეგობის გაწევაც ვერ მოახერხა. მტრის ერთი ნაწილი მძინარე ჩაეკაფათ ქართველებს კარვებშივე. ვისაც გაღვიძება და იარაღის ასხმა მოესწრო, ჯერ კიდევ თავგანწირვით იბრძოდა.

ჯალალედინმა შეატყო, რომ მტერი ბევრად სჭარბობდა და ბრძოლაში ჩაბმა ერთხელ ღვთით გადარჩენილი თავის მეორედ ისევ სიკვდილის საფრთხეში ჩაგდება იქნებოდა. საიდანღაც რამდენიმე ერთგული ემირი გაჩნდა და გარს მოერტყა. ვიდრე თავდამსხმელები მის ძებნას დაიწყებდნენ, სულტანმა ცხენს ქუსლი ჰკრა და გაქცევა ამჯობინა. სიკვდილს ძლივსგადარჩენილი, ძლეული და სირცხვილეული სულტანი ცხენხეთქებით გაფრინდა თბილისისაკენ.

დარჩენილები ერთხანს კიდევ იბრძოდნენ. მერე ვიღაცამ დაიძახა, სულტანი გაიქცაო. ისედაც დამშლილ ხვარაზმელთა წყობას ესღა უნდოდა, ცხენოსნებმა ოთხივმხრივ გაქცევით სცადეს თავის გადარჩენა, ქვეითებმა იარაღი დაჰყარეს და ტყვედ ჩაბარდნენ.

ხმალგასისხლიანებული ვარამ გაგელი პირველი შევარდა ჯალალედინის კარავში. სულტნის ლოგინი ანგრეული იყო, პატიოსანი თვლებით შემკული თაჯი მაგიდაზე იდო, სულტნის ძვირფასი ტანსაცმელი და ქოშები საწოლთან ეყარა უწესრიგოდ.

ვარამმა ერთი მოავლო თვალი იქაურობას და მიხვდა, რომ სულტანი გაქცეულიყო.

კართან მკვდარზე დამხობილ ქალს დასწვდა, გადმოაბრუნა და ძლივს იცნო ერთიანად გასისხლიანებული, თმაგაშლილი ცაგო.

კარავში სხვებიც შემოვიდნენ და დაჭრილს ფრთხილად ამოუღეს მკერდში გარჭობილი ისარი.

ცაგო ცოცხალი იყო.

გონსმოსულმა პირველადვე ის იკითხა, სულტანი თუ შეიპყრესო.

— გაგვექცა. სიბნელეში სადღაც გაგვისხლტა ხელიდან, — უთხრეს შეწუხებულებმა.

ცაგომ ტუჩზე იკბინა, გულშეღონებულმა თავი გადაიგდო და ცრემლიანი თვალი მიხუჭა.

გამარჯვებულმა თავდამსხმელებმა მძიმედ დაჭრილები ქართლის სოფლებიდან გამოსულ მოლაშქრეებს ჩააბარეს, თავად ძვირფასი ნადავლითა და ტყვეებით მტკვრის ხეობას აჰყვნენ სწრაფად და ზეკარის გზით ლიხთიმერეთს გადავიდნენ.

ულელტეხილებში შესულ ხვარაზმელთა ლაშქარს როგორც კი ზურგში ქართველთა თავდასხმისა და სულტნის გაქ-

ცევის ამბავი მიუვიდა, მაშინვე უკან შემობრუნდა.

ლიხთიმერეთში შეჭრილმა ქართველთა ჯარმა აღარ დააყოვნა და შეტევაზე გადავიდა.

ხვარაზმელებმა მძიმე ბრძოლებით დაიხიეს უკან და დიდი ზარალით თავი ძლივს დააღწიეს უღელტეხილის ვიწროებს.

ქართველები რიცხობრივად დიდად ჭარბ მტერს ბარში აღარ ჩაჰყვნენ და უამრავი ტყვითა და ალაფით ისევ ლიხთიმერეთისკენ გაბრუნდნენ.

სამარცხვინოდ ლტოლვილი, ბეწვზე გადარჩენილი ჯალალედინი თბილისში მოვარდა.

შერეფ ელ მოლკი გაოცებული გაეგება და ცხენიდან ჩამომხდარ ჯალალედინს გულუბრყვილოდ ჰკითხა:

— თაჯი რა უყავი, მბრძანებელო, ხორეზმშაჰების ძვირფასი თაჯი?

ჯალალედინმა ერთი მოზვერივით შეუბღვირა, ალვირი მიუგდო და სასახლეში სწრაფად შევიდა, თან ორხანი შეჰყვა მხოლოდ.

— დაგვცინის კიდეც, თაჯს კითხულობს ვაზირი და იმაზე კი არა ნაღვლობს, თავი როგორ დავაღწიეთ სიკვდილს!.. — შეაპარა ორხანმა. — რატომ თვითონაც არ გეახლა ამ ომში, ეგრე დაჟინებით რომ გიწვევდა ლიხთიმერეთის დასალაშქრავად?!

სწორედ კარგი დრო შეურჩია ორხანმა შერეფ ელ მოლკს, ხლათის შემდეგ ახლა მეორედ მიაყენა დარტყმა თავის ფარულ მტერს და როგორც ეტყობოდა, ეს დარტყმა საგრძნობი უნდა ყოფილიყო.

ჯალალედინს ორხანის ნათქვამმა თითქოს თვალი აუხილა, ვაზირის ქცევას დაუფიქრდა და ზოგი რამ მართლაც საეჭვოდ ეჩვენა: შერეფ ელ მოლკი დღედაღამ ლიხთიმერეთის დაპყრობას ჩააგონებდა სულტანს, გამუდმებით ქართველებთან საომრად აქეზებდა და უღელტეხილებზე გადასვლის სიძნელეს უადვილებდა. ბოლოს, სულტანი რომ ლაშქრად გაემართა, ვაზირმა რაღაც მოიმიზეზა და მბრძანებელს თან არ ეახლა.

სხვა დროს, დამშვიდებით განსჯისას, ჯალალედინი გაიხსენებდა, რომ ორხანი და შერეფ ელ მოლკი ერთიმეორის მტრები იყვნენ. მაგრამ ახლა, ქართველთაგან აგრე სასტიკად დამარცხებით გაფთრებულ ჯალალედინს გონივრული განსჯის თავი აღარ ჰქონდა, თავისი ამ შერცხვენის მიზეზს სხვების მტრულ მოქმედებაში ეძებდა და ამიტომაც მიუპყრო ყური ერთგულ ემირს.

— ხლათზე გალაშქრებისა არ იყოს, ლიხთიმერეთისკენ გალაშქრება ისე საიდუმლოდ მზადდებოდა, მტერი ვერ შეიტყობდა, ისევ შენს ახლობელსა და მესაიდუმლეს რომ არ გაეცა ჩვენი განზრახვა, — ჩურჩულით უთხრა ორხანმა და თან ცალი თვალი გააპარა: რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა ნათქვამმაო.

ორხანმა ჯალალედინს ცეცხლზე ნავთი დაასხა. მარცხით აღშფოთებას ეჭვით გამძაფრება დაემატა და სულტანმა გონი დაკარგა. ცეცხლმოკიდებული ჯალალედინი ბრაზისაგან თმას იგლეჯდა. ქართველთაგან გადაბუგულ თბილისში გაცოფებულ სულტანს ყველაფერი აღიზიანებდა და ახელებდა. გამწარებული მარტო ჩაიკეტა, შიგ არავის უშვებდა და ვერც ვინმე ბედავდა რაიმე საქმისათვის მასთან შესვლას.

შუადღემდე ასე გაგრძელდა, მაგრამ ნაშუადღევს ქალაქში რამდენიმე მალემსრბოლი მოვარდა.

ყველას ერთი ამბავი მოჰქონდა, იმ ამბავს მთელი ქვეყანა შეეძრა, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჯალალედინისათვის ჰქონდა და ამიტომ ისწრაფოდნენ მაცნეები სულტნის ნახვას. ორხანმა მოტანილი ამბავი გაიგო თუ არა, ველარ მოითმინა, სულტნისთვის რომ არ ეცნობებინა, გაბედა და მბრძანებელს ეახლა.

ჯალალედინის სამყოფელში შემოიყვანეს შორი გზით დაღლილი მოამბე. მაცნე პირქვე დაემხო:

— ისმინე, ხელმწიფევ, სასიხარულო ამბავი, და ცხონდი უკუნითი უკუნისამ-

დე! — შესძახა მაცნემ და თავი ასწია.— წყეული ჩინგიზ-ყაენი მოკვდა და ახლა მისი სული ჯოჯოხეთის საუკუნო ცეცხლში იტანჯება!

ჯალალედინი ფეხზე წამოხტა.

— რა თქვი? ვინ მოკვდაო?

— წყეული ჩინგიზ-ყაენი, მონგოლთა შეჩვენებული მბრძანებელი აღესრულა ურწმუნოთა სიკვდილით, — გაიმეორა მაცნემ.

ჯალალედინი გაფითრდა და ნელა დაეშვა ტახტზე.

— როგორ და რითი მოკვდა უძლეველი და ამაღლებული ჩინგიზი? — იკითხა ფერწასულმა სულტანმა.

— ჯერ კიდევ შარშან ნახა სიზმარი ჩინგიზ-ყაენმა. იმ სიზმრით უფალმა სიკვდილის მოახლოება ამცნო მონგოლთა მბრძანებელს. წელს ჩინგიზი ტანგუტთა მეფეს ებრძოდა და მათ ქვეყანაში იდგა ბანაკად. მონგოლთა მბრძანებელი სამოცდამეცამეტე წელში იყო გადამდგარი, სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო. მასთან მყოფი შვილები ოქოთაი და თული მიიხმო, ანდერძი დაუბარა და მიიცვალა. თანახმად მბრძანებლის ანდერძისა, მისი სიკვდილი საიდუმლოდ შეინახეს, ტანგუტი ხალხი და მათი მეფე დედაბუდიანად გაჟლიტეს და ტანგუტთა ქვეყანა მიწასთან გაასწორეს. ჩინგიზი ჩუმად წაასვენეს. მისი სიკვდილის ხმა რომ არ გავრცელებულიყო, გზად ვისაც ხვდებოდნენ, ყველას ხოცავდნენ. ბოლოს თავის სამშობლოში მოასვენეს თურმე და მის მიერვე ნაჩვენებ ადგილას მიაბარეს მიწას.

ჯალალედინმა თავი ჩაჰკიდა. ეტყობოდა, მძიმე ფიქრებში წავიდა.

— ჩინგიზ-ყაენმა თავის ძეთაგან მემკვიდრედ ოქოთაი დასტოვა და დანარჩენ შვილებს მისი მორჩილება უბრძანა.

ჯალალედინი მოამბეს აღარ უსმენდა. თავაუღებლად, ხელით ანიშნა, გაიყვანეთო. მაცნეს შუბოსნები მიცვივდნენ, გაოცებისაგან გაოგნებული ზეზე წამოაგდეს და იქაურობას სწრაფად მოაშორეს.

ჯალალედინმა თავი აილო. იქ მყოფთ თვალი მოავლო და თავისთვის, ოღონდ გასაგონად თქვა:

— აღესრულა დიდი კაცი, დასრულდა ხანა შფოთისა და დიდი ამბებისა.

— სამახარობლო ეკუთვნის ჩვენგან ამბის მომტანს, ხელმწიფევ, — შეჰბედა ორხანმა, — ღმერთმა ჩვენი სულტნის უბოროტესი მტრისა და მთელი საისლამოს ამაოხრებლის, წყეული ჩინგიზის სიკვდილი რაკი ინება, ამიერიდან...

— ამიერიდან ცხოვრება მოსაწყენი ხდება, ეშხსა და მიმზიდველობას ჰკარგავს, რადგანაც აღარ არის ის კაცი, რომლის მტრობაცა და მოყვრობაც ერთნაირად საამაყო იყო! რისთვისღა მინდა გამარჯვება და ძლევამოსილება, თუ მას ველარ შევხვდები პირისპირ, ხმალდახმალ! რაღა აზრი აქვს ხმლის ქნევას და ქვეყნების დაპყრობას, თუ ჩინგიზ-ყაენი ველარ ნახავს თავის დაცემასა და ჩემს ამაღლებას!..

ჯალალედინი ფეხზე წამოდგა, ხელი ჩაიქნია და თავის საწოლში განმარტოვდა.

იმ დღესვე ნესევისთან კაცი აფრინა, თბილისში დაიბარა და თან ჩინგიზ-ყაენის ცხოვრების წიგნის მორთმევა დაავალა.

ნესევის მონგოლი „მემატიანე“ მოცალების ჟამს თორელს მონგოლურ ენას ასწავლიდა. ყველა სხვა ენის უმეცარი მონგოლი ხელის ნიშნებითა და საგნის ჩვენებით უხსნიდა, თორელი ნათქვამს ქართული ასოებით იწერდა და სიტყვებს იზეპირებდა. იმ ორ წელიწადში იმდენი ისწავლა, რომ თავის ტყვე ამხანაგთან თავისუფლად ლაპარაკობდა.

მონგოლს სჯეროდა, დღეს თუ ხვალ ჩინგიზ-ყაენი ჯალალედინს წამოეწეოდა და ძაღლივით ამოხდიდა სულს, მათ ტყვეობასაც მალე მოეღებოდა ბოლო და თვითონაც ჩინგიზის უძლეველ ლაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარს შეუერთდებოდა, რათა მთელი დედამიწის ზურგი დაეპყრათ და უთვალავ ხალხებზე ებატონათ.

ნესევის სხვა ტყვეები წიგნის კითხვითა და სამუშაოთი იყვნენ გართულნი და მათს სამყოფელს გარეთ მომხდარ ამბებს დიდად არ იძიებდნენ. მონგოლი ტყვე, მათგან განსხვავებით, სულ მიყურებული იყო, სულ იმას ცდილობდა, ვისმეს გამოლაპარაკებოდა და რამე გაეგო.

ჩინგიზ-ყაენის სიკვდილის ამბავი რომ შეიტყეს, ნესევიმ და სულტნის სხვა ახლობლებმა ამბის მომტანებს სამახარობლო დაურიგეს და ნადიმი გამართეს.

ყაენის სიკვდილის ამბავმა ნესევის ტყვეებამდისაც მიაღწია. მონგოლ ტყვეს ერთხანს სიცილად არ ყოფნიდა ღვთისსწორი მბრძანებლის, უკვდავი ჩინგიზის სიკვდილი და ამ ამბავს მონგოლთა მტრების მიერ გავრცელებულ ჭორად თვლიდა, მაგრამ, როცა ყველა ტყვემ, უილურმა და სინდელმა, ადარბადაგანელმა და ქართველმა ერთად მოიწყინეს და ახლო მომავალში ჯალალედინის ულლისაგან თავიანთი ქვეყნებისა და საკუთარი განთავისუფლების იმედი დაჰკარგეს, მაშინ კი შეფიქრიანდა მონგოლი. ნესევისა და მის ყველა ტყვეს ფიცით ათქმევინა სიმართლე. როცა ყველამ უყოყმანოდ ფიცით დაუდასტურა ჩინგიზ-ყაენის სიკვდილი, მონგოლი უცებ გამოიცვალა, მოტყდა და მოეშვა. დანაღვლიანებული, სულ მუდამ განმარტოებული, კუთხეში მიყუჟული იჯდა, ფიქრობდა გაუთავებლად და ოხრავდა. მადა დაჰკარგა და ჭამა თითქმის სულაც აღიკვეთა.

ერთ მშვენიერ დღეს ნესევის ტყვეთა კარავთან ჩოჩქოლი შეიქნა. ყოველი მხრიდან მორბოდნენ ხვარაზმელი ჯარისკაცები. ნესევიც სირბილით მიიჭრა და თვალწინ საშინელი სანახაობა წარმოუდგა: კარვის კართან გუშაგად მდგარი ხვარაზმელის შუბზე მუცლით წამოგებულიყო მისი მონგოლი მემატიანე.

გუშაგი ფიც-სალავათს ამბობდა, შუბი თავათ გამომტაცა და ზედაც თვითონვე წამოეგოო.

ნესევიმ ტყვეების დაცვა გააძლიერა, მონგოლის „ნაამბობით“ შექმნილი ჩინგიზის მატიანე თან წამოიღო და ჯალალედინს თბილისში ეახლა.

ზაფხული იდგა.

თბილისში ცხელოდა და ჯალალედინი დასაძინებლად გადაბუგულ ქალაქში აღარ რჩებოდა. თაბორის მთაზე გამართულ კარავში კოჯრის ნიავი ჰქროდა და გრილოდა. მხართეძოზე წამოწოლილი სულტანი მდივანს უსმენდა. ნესევი ჩინგიზ-ყაენის „იასას“ კითხულობდა.

— ყოველი კაცი, რომელიც თავის სახლში დაამყარებს წესრიგს და თავის ოჯახს მოუვლის კარგად, დიდ სამფლობელშიც შესძლებს წესრიგის დამყარებას და ქვეყანას კარგად მოუვლის; ყოველი კაცი, რომელიც ათ კაცს ჯეროვნად დარაზმავს ბრძოლისათვის, ღირსია იმისა, რომ ათასს ან ათი ათას კაცს უძღოდეს: იგი ისევე კარგად დარაზმავს ბრძოლისათვის ათი ათასსაც, როგორც ათ კაცს...

— ჭეშმარიტი ნათქვამია, მოჰამედ. ვინც ათს გაუძლევება, ის ათასსაც უწინამძღვრებს, ვინც ათ კაცს ვერ დარაზმავს, ის ათასს სულ ვერ გაართმევს თავს... — ბრძანა ჯალალედინმა და ნესევის ანიშნა კითხვა გაეგრძელებინა.

— ვაჟკაცის სიკეთე ცოლის სიკეთით გაიზომება. თუ ცოლი უჭკუოა და სულელი, გარყვნილია და უწესო, ეს ქმრის ბრალია და მისი ვაჟკაცობაც ამით გამოიცნობა... ხალხს, რომლის შვილები მამის დარიგებას არ მისდევენ, უმცროსები უფროსებს არ უსმენენ, ქმარი ცოლს არ ენდობა, ცოლი ქმრის სიტყვას არ ემორჩილება, დიდი პატარას არ იცავს და პატარა დიდს არ უჯერებს, დიდებულები ქვეყნის სიკეთით სარგებლობენ და ქვეყანას კი არაფრით ამდიდრებენ, ადათებსა და კანონებს არ იცავენ, გონიერებასა და გარემოებას ანგარიშს არ უწევენ —

ასეთ ხალხს ქურდები, მექრთამეები და თაღლითები დაუბნელებენ მზეს.

— ასე იყო მუდამ და ყველგან, ესეც ჭეშმარიტება უთქვამს ჩინგიზ-ყაენს.

— როცა კაცი ღვინითა და არაყით ითრობა, იგი ბრმავდება, ველარაფერს ველარ ხედავს, ყრუვდება და აღარაფერი ესმის, მუნჯდება და ველარაფერს პასუხობს. ღვინოსა და არაყში არ არის არც სარგებელი, არც ჭკუა, არც ვაჟკაცობა, არც კეთილი ქცევა. სიმთვრალეში სამარცხვინო საქმეს სჩადიან, ერთიმეორეს ეჩხუბებიან და ჰკლავენ. ღვინო კაცს ცოდნასა და ხელოვნებას ართმევს, ღვინისა და არაყის მოყვარული ხელმწიფე ვერ შესძლებს დიდი და ქველი საქმეების გაკეთებას. თუ ადამიანი სმას ვერ ეხსნება, მაშინ თვეში სამჯერ უნდა დალიოს. როგორც კი სამჯერ მეტად დალევს, რაიმე დანაშაულს ჩაიდენს. თუ თვეში მხოლოდ ორჯერ დათვრება, ესა სჯობს, თუ მარტო ერთჯერ, ეს კიდევ უფრო საქებურია, თუ სულ არ დათვრება, ამას ხომ არაფერი აჯობებს! მაგრამ სად იპოვი ისეთ კაცს, რომელიც სულ არა სვამს. ხოლო თუ ასეთი მოიძებნება, იგი ღირსია პატივისცემისა და დაფასების...

— ასეთი კაცი მარტო შენა ხარ, მოჰამედ. შენ თვეში კი არა, წელიწადშიაც არა სვამ ერთხელ.

— თავიდანვე ვერ შევეჩვიე სასმელს და რა ვქნა, დასანახავად მძულს ღვინო და არაყი.

— ტყუილად ნანობ, მოჰამედ, სასმელში, მართლაც, არა ჰყრია რა. ჩინგიზ-ყაენი ბრძენი ხელმწიფე იყო და შენი მსგავსი კაცი სწორედ დაფასების ღირსია.

ნესევი გაწითლდა და კითხვა განაგრძო:

— ვაჟკაცის უდიდესი სიამოვნება ის არის, წინაალმდეგობა დათრგუნოს და მტერი დაამარცხოს, ძირფესვიანად აღმოფხვრას იგი და წაართვას, რაც აბადია, ცხარე ცრემლით ატიროს მისი ქალები, მის ნაპატივებ მერანს მსუქან გავაზე მოახტეს, მისი ცოლების მკერდები სასთუმლად გაიხადოს, უცქიროს მათ ფერად-ფერად ლაწვებს და ჰკოცნოს ისინი, ხოლო მათი ტკბილი, უნაბისფერი ტუჩები საწუწნელად ჰქონდეს.

— ჰქონია გემო ჩინგიზ-ხანს! — აღმოხდა ჯალალედინს. — მამაჩემისა და ჩემი საუკეთესო მერნებით იქროლა, ჩვენივე ჰარემების ულამაზესი ქალები იგდო ხელთ და მათი მკერდები სასთუმლად გაიხადა, მხოლოდ ჩემი ძირფესვიანად აღმოფხვრა ვერ შესძლო,— სულტანი ტახტზე წამოიწია, თვალები აღგზნებული ჰქონდა და სახე ანთებული, — ხელთ რომ ჩავვარდნოდი, ალბათ, მაშინვე მომკლავდა... მე კი...

— შენც მოჰკლავდი, ხელმწიფევ!

— ჰო, ალბათ, მეც მოვკლავდი, მაგრამ ასეთი კაცის მოკვლა ცოდო იქნებოდა, მოჰამედ! ხომ უნდა გამხარებოდა მისი სიკვდილი, მაგრამ, მერწმუნე, გულწრფელად მეწყინა. ჯერ ერთი, იმით იყო საწყენი ასეთი გონიერი და ძლიერი კაცის სიკვდილი, რომ თავისი დიდი მიზნები ბოლომდე ვერ განახორციელა, მთელი მსოფლიოს დაპყრობა ვერ მოასწრო; მეორეც იმით, რომ თუ სიკვდილი იყო, ჩემი ხელით მაინც მომკვდარიყო, როგორც ვაჟკაცს შეჰფერის — ხმალდახმალ თანასწორ ბრძოლაში, და არა დიაცივით ლოგინში მწოლარე. მისი სიკვდილის შემდეგ ცხოვრება მოსაწყენი გახდა, მოჰამედ, ომში გამარჯვება აღარ მახარებს, რადგან ჩემს წარმატებას ვერ შეიტყობს და ვერ დააფასებს ის, ვინც ყველაზე კარგად იცოდა ჩემი მამაცობისა და გაუტეხლობის ფასი.

— ჩინგიზ-ხანის სიკვდილი ჩვენთვის მაინც დიდი იმედის მომცემია, მისი მემკვიდრეები მამის მიერ დაპყრობილი უთვალავი ქვეყნის ხელში დაჭერას, ალბათ, ვერ შესძლებენ, ხალხები აღსდგებიან და ჩვენი სამშობლოც მათი უღლისგან განთავისუფლდება.

— ეგ მხოლოდ ჩემი მეთაურობით მოხდება, მოჰამედ, რადგან, შენც კარგად ხედავ, ჩინგიზის მიერ დაპყრობილ უთვალავ ქვეყანაში ჩემს მეტი კაცი არ გამოჩნდა, მონგოლებს რომ წინაღდგომოდა და ვაჟკაცურად შებმოდა. მე ჩინგიზის სიკვდილის შემდეგ ომის სურვილი დავკარგე, რადგან ბრძოლას მხოლოდ ისეთ მტერთან აქვს ეშხი, როგორიც ჩინგიზ-ყაენი იყო. მის ლეკვებთან შებმა და თავის გაყადრება არცა მსურს და აღარც შემფერის, ჩემო მოჰამედ!

— შენი წმიდა ვალი ის არის, ხელმწიფევ, შენი ხალხისა და ქვეყნის გათავისუფლებისათვის იბრძოლო და სამაჰმადიანოს მისი უბოროტესი მტრების, მონგოლების უღელი მოაშორო. განა სულერთი არ არის, ვის თავზე გადაამტვრევ იმ უღელს, ჩინგიზისა თუ მისი ლეკვების ძვლებზე დალეწავ შენი სამშობლოს ბორკილებს?

— არის და არც არის, მოჰამედ! კაი ყმას კაი მტერთან ომი აძლევს ძალასა და გულოვანებას, ბრძოლის ეშხსა და ალტყინებას!

— ჩინგიზის უზარმაზარი სამფლობელო ეგრე ადვილად, თავისთავად არ დაიშლება და მონგოლების წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებს შენი წინამძღოლობა ახლაც ისევე სჭირია, როგორც ჩინგიზის სიცოცხლეში. ჩინგიზ-ყაენმა თავის მემკვიდრეებს ბრძოლისა და ცხოვრების ისეთი წესი და რიგი დაუკანონა თავისი იასით, რომ ვიდრე მათ ერთი პირი ექნებათ და მამის კანონებს არ გადავლენ, დიდხანს დარჩებიან უძლეველნი და მოურევნელნი. აგერ, თავად ჩინგიზ-ყაენი წერს თავის იასაში: „მომავალში, ხუთასი, ათასი და ათი ათასი წლის შემდეგაც, როცა ჩვენი შორეული შთამომავლები დაიბადებიან და ყაენის ტახტზე დასხდებიან, თუ ეს შთამომავლები ჩვენს წესსა და კანონს დაიცავენ და მათ არ შეცვლიან, ზეცა მათი შემწე იქნება და ისინი ბედნიერებასა და სიხარულში იცხოვრებენ...". ჩინგიზ-ყაენის სიბრძნე მარტო მისი შვილების საკუთრებად როდი უნდა დარჩეს, ჩვენც ზოგი რამ უნდა გადმოვიღოთ მის წესთაგან, სასარგებლო და გონივრული; მაგალითად, ჯარსა და სახელმწიფოში უფროს-უმცროსობის მტკიცედ დაკანონება, ლაშქრისა და ქვეყნის დაყოფა და ბევრი სხვა, რომელთაც მომავალშიც მიბაძავენ და შეითვისებენ ძლიერი და ჭკვიანი ხელმწიფეები.

— მე მეყო სწავლაცა და ბრძოლაც, მოჰამედ! იქნებ მართალი იყო ათაბაგი უზბეგი და ეგებ მართლაც იმად არ ღირდეს ეს სოფელი, რომ კაცი ერთ წამს მაინც გამოფხიზლდეს, ქვეყნის სიმუხთლეს ამაოდ შეებრძოლოს და თავდავიწყების ბედნიერებაზე ხელი აიღოს. მომწყინდა ცხოვრება, მოჰამედ, დავიღალე, ნეტავ სადმე უკაცურ კუნძულზე გამხიზნა მამაჩემივით და ცოტახანს მაინც დამასვენა. რაც საქართველოში მოვედი, ხმალი ველარ ჩავაგე და ომებისაგან სული ველარ მოვითქვი. საქართველოს დაპყრობით ლხინის მოკრებას ვფიქრობდი, მაგრამ ლაშქარიცა და აქ ნაშოვნი ოქროც თოვლივით მადნება ხელთ და გაძლიერების მაგივრად თანდათან ვსუსტდები. კარგი იყო, გურჯებს არ გადავყროდი და მათთან დაუსრულებელ ომში არ ჩავბმულიყავი, მაგრამ სინანული გვიანაა და ჩადენილი შეცდომა აღარ გამოსწორდება.

ჯალალედინმა ხელი ჩაიქნია, ფეხზე წამოდგა და გაიარ-გამოიარა. მერე შუბლშეკრულმა ნესევის მრისხანედ მოხედა და კბილებიდან მკაცრად გამოსცრა:

— ვატყობ, თუ დაღუპვა მიწერია, ქართველები დამღუპავენ, საქართველო ჩემს ბედისწერად იქცა და თუ აქაურობას დროზე არ გავეცალე, სიკვდილი არ ამცდება!..

ნესევი სალაშქრო ზანაქში ჰყავდა გამოძახებული ჯალალედინს და თორელს კარგახანი არ ენახა.

გამოცვლილი, დაღლილი და მოტეხილი ეჩვენა თურმანს თავისი პატრონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გურამ თიკანაძე

ქართველ ფოტოხელოვანთა შორის გურამ თიკანაძეს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ამ ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედის ნამუშევრებს იცნობენ საქართველოში, მთელს ჩვენს დიად სამშობლოში და საზღვარგარეთაც. გურამ თიკანაძის ფოტო-სურათებს ძალზე ხშირად აქვეყნებენ ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და სხვა ქვეყნების ილუსტრირებული ჟურნალების ფურცლებზე.

გურამ თიკანაძის ფოტოები წარდგენილი იყო ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენაზე. მისმა ნამუშევრებმა პრემიები დაიმსახურა „ვოკრუგ სვეტასა" და მსოფლიო ახალგაზრდობის ჟურნალ „მოლოდიოჟ მირას" კონკურსებში.

რამდენიმე თვის წინ გურამ თიკანაძემ კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა. იტალიის ქალაქ მოდენაში გაიმართა დიდი საერთაშორისო გამოფენა. 45 ქვეყნის 1200-ზე მეტმა ოსტატმა გამოაგზავნა თავისი ფოტოსურათები ამ გამოფენაზე. გურამ თიკანაძის ფერად ფოტოს „თბილისის ზღვაზე" მიანიჭეს ბრინჯაოს მედალი.

გურამ თიკანაძის ფოტოსურათებისათვის დამახასიათებელია ლამაზი, მოულოდნელი რაკურსები, შუქისა და ჩრდილის საინტერესო განაწილება, კომპოზიციის კარგად მიგნება და თემის პოეტური გადაწყვეტა.

გურამ თიკანაძე განსაკუთრებით კარგად ფლობს ფერადი ფოტოგრაფიის ხელოვნებას. მისი ფერა-

დასასრული ჩანართის მე-2 გვ.



შროშის ბზაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცისკარი

თბილისის ზღვაზე



დი ეტიუდები ყოველთვის გამოირჩევა ნათელი და ჟღერადი ტონალობით.

გურამ თიკანაძის შემოქმედებითი თემატიკა მრავალფეროვანია. იგი ერთნაირად ძლიერია როგორც ჩვენი თანამედროვე ადამიანის სულიერი განწყობილებისა და სიჯანსაღის, ასევე მშობლიური ბუნების სილამაზის გადმოცემაში. მისი ხელოვნება მხარში უდგას საბჭოთა ადამიანების გმირულ ცხოვრებას, ასახავს მათ მიღწევებსა და გამარჯვებებს.





მოხუცის პორტრეტი

— თბილისსა და ხლათში ვიყავი, თორელო, და მინდა ქართული ღვინით გაგიმასპინძლდე, — შესვლისთანავე მიაგება სიტყვა ნესევიმ და გაშლილი სუფრისკენ მიიწვია.

— საქართველოში რა ამბებია, მოჰამედ-ბატონო? — მოუთმენლად იკითხა თორელმა და სქელი წარბებით დახურულ მრგვალ თვალებში მიაჩერდა ნესევის.

— ცუდი... ძალიან ცუდი, — ამოოხვრით თქვა ნესევიმ და ღვინო დაუსხა.

თორელს ღვინისკენ არც გაუხედავს, პირში მიჩერებოდა და თავისი ქვეყნის ამბის გაგებას წყალობასავით ელოდა.

— დალიე, თქვენ ისეთი კარგი ღვინო გქონიათ, ლამის მეც შევეჩვიო სმას, — გაიღიმა სახედაჭუფრულმა ნესევიმ და თორელს სასმისი მიუწია.

თორელმა ცოტა მოსვა, სასმისი დადგა და პატრონს ისევ თვალებში მიაჩერდა.

— ახალი რა არის ჩემს ქვეყანაში? — აკანკალებული ხმით იკითხა თორელმა.

— ახალი ისაა, რომ ქართველები თქვენი სიჯიუტით თავსაც იღუპავთ და ჩვენც გვღუპავთ...

მსგავსი რამ არასოდეს დაცდენია ჯალალედინის მდივანსა და მემატიანეს თორელთან. მანამდე, ქართველების უგუნურებაზე რომ ლაპარაკობდა, მარტო საქართველოს უქადდა დაღუპვასა და განადგურებას. ახლა კი მოულოდნელად ხვარაზმელების შესაძლო დაღუპვაზედაც წამოცდა სიტყვა და თორელი სმენად იქცა.

— თქვენს მეფეს რომ ჭკუა ჰქონოდა, ჯალალედინს შეირთავდა, თქვენი ქვეყანაც უზრუნველი დარჩებოდა და ჩვენც დაწყნარებული ზურგი გვექნებოდა. ეს არა ჰქენით, მოყვრობის მაგივრად სამტროდ აღგვიდექით და ახლა თქვენსავე დათესილს იმკით. სულტანი ჯალალედინი დაუზოგავად ანგრევს და აოხრებს საქართველოს.

— ეგ ახალი ამბავი არ არის, ჩემო ბატონო.

— ახალი ისაა, რომ ჯალალედინისთვის საქართველო ბედისწერად იქცა.

— ეგ როგორ?

— რაც საქართველოში ფეხი შემოდგა, სულტნის მოსვენება არ იქნა. ქართველები მის წინააღმდეგ შფოთსა და ომს არ ეხსნებიან.

— სხვაგვარად როგორ უნდა მოქცეულიყვნენ?

— ქართველების დაუცხრომელი შფოთისა და ბრძოლებისაგან ველარ მოიცალა სულტანმა. ქართველებს ჰგონიათ, მთელი აღმოსავლეთის მპყრობელს, დიდსა და აღმატებულ სულტანს საქართველოს მეტი სხვა საქმე არა აქვს რა. რამდენჯერაც თავისი მთავარი საქმეებისათვის სამხრეთისაკენ მობრუნდა, იმდენჯერ ქართველებმა ზურგში მოუნდომეს მახვილის ჩაცემა. ახლა მეზობელ სამაჰმადიანო სამეფოებსაც უმხედრებენ და საერთო ძალით უპირებენ გამკლავებას. მაგრამ ჯალალედინი ჯერ კიდევ უძლეველია და თუ ქართველები მის ბედისწერად გახდომას ფიქრობენ, სულტანი თვითონ იქცევა საქართველოს ბედისწერად, საბოლოოდ მოსპობს და ისე გაანადგურებს ქართველობას, მათი სახსენებელი გაჰქრეს და ქვეყნად ქართულად მოლაპარაკე კაცი აღარ დადიოდეს.

— ეგ ძნელი საქმეა, მოჰამედ-ბატონო, შეუძლებელი საქმეა, — შეჰბედა თორელმა.

— შეუძლებელი ჩვენი სულტნისთვის არაფერია. ჯალალედინს სხვა გზა აღარა აქვს, ან ქართველები უნდა დაემორჩილონ და მის მტრობას დაეხსნან, რასაც უგუნური გურჯები არ შვრებიან, ან საბოლოოდ უნდა მოისპონ სულტნის მახვილითა და მიწის პირისაგან აღიგავონ... — მოსჭრა ნესევიმ. მერე უცებ საუბრის გეზი შეცვალა, მაგრამ როგორღაც ლაპარაკი ველარ აეწყო.

თორელმა საჭმელ-სასმელს პირი ვერ

დააკარა და ამჯერად ყმისა და პატრონის სტუმართმასპინძლობა არ გამოვიდა.

დაძმარებული დაბრუნდა თურმანი თავის სამყოფელში. ნესევის ამ უცნაურ დაწესებულებაში თორელის მეტი აღარავინ შემორჩენილიყო. ყველას დაესრულებინა თავისი სამუშაო, ნესევისათვის თავიანთი ქვეყნების ისტორია დაეწერათ, პატრონს თავის ტყვეთაგან ზოგი გაეყიდა, ზოგიც გაეშვა და ზოგიც მომკვდარიყო.

თორელიღა შერჩენოდა ნესევის. მასაც პატრონის ყველა დავალება შეესრულებინა და ახლა თვითონაც არ იცოდა, რატომ არ იშორებდნენ თავიდან.

აგრერიგად გაანჩხლებული ნესევი თორელს ჯერ არ ენახა, რაც უფრო ულრმავდებოდა ნესევის ნათქვამს, მით უფრო რწმუნდებოდა სულტნის მდივნის სიმართლეში — საქართველო ჯალალედინის ბედისწერად იქცაო. მაგრამ თუ ჯალალედინმაც მართლა გადასწყვიტა თავადაც საქართველოს ბედისწერა გახდეს და მის მოსპობას გადააკლას თავი, მაშინ რაღა ეშველება თორელის სამშობლოს, ვინ იხსნის ქართველ ერს? თუ საქმე მხოლოდ ჯალალედინის პიროვნებაშია და მისი მოსპობით საქართველოც გადარჩება, ნუთუ კაცი არ უნდა გამოჩნდეს, რომელიც ამ გმირობას ჩაიდენს და მთელს ერს იხსნის დალუპვისაგან? ეგებ თავად თორელმა მოახერხოს საიდანმე სულტნის მიდგომა და მასთან ანგარიშის გასწორება? მაგრამ საიდან და როგორ? სულტანი შორს არის და ახლოც რომ იყოს, გუშაგებით გარშემორტყმულ ტყვეს ვინ მიუშვებს ჯალალედინთან?!

თორელს ამ ქვეყნად გაძაღლებული სულის მეტი აღარაფერი შერჩენოდა და ახლა იმასღა ფიქრობდა, ის სული ისე დაელია, თავისი ქვეყნის გადარჩენისათვის ერთხელ კიდევ რამე გაეკეთებინა.

ლიხთიმერეთის გადასასვლელებთან მოპოვებულმა გამარჯვებამ ქართველებს მტრის საბოლოოდ დამარცხებისა და განდევნის იმედი განუმტკიცა. ლაშქრის შეკრებასა და მომზადებას უფრო გულით მოჰკიდეს ხელი. ერთის მხრივ, კავკასიონის გადაღმელ მთიელებთან გამართეს მოლაპარაკება ჯარის დასაქირავებლად, მეორეს მხრივ, ხლათის მელიქსა და იკონიის სულტანს დაუწყეს წვევა საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალით გამოსვლისათვის.

საგანგებოდ გაგზავნილმა ელჩებმა ელ აშრაფსა და ქეიქობადს უკანასკნელ ბრძოლაში დავლად დარჩენილი ჯალალედინის თაჯი და ალკაზმულობა ჩაუტანეს იმის საჩვენებლად, თუ როგორ სასტიკად დაამარცხეს ხვარაზმშა და როგორ ბეწვზე გადაურჩა დალუპვას ჯალალედინი. ქართველები თავიანთ მომავალ მოკავშირეებს ხვარაზმელთა დასუსტებასა და საერთო ძალით მათი განადგურების შესაძლებლობაში არწმუნებდნენ და ყოველი ღონით თავის მხარეს იბირებდნენ.

ჯალალედინის მძლავრობით შეჭირვებულ ხლათელებს სხვა გზა მაინც აღარ ჰქონდათ; იკონიის სულტანიც ჯალალედინისაგან დღეს თუ ხვალ იმასვე ელოდა, რაც ხლათსა და საქართველოს გადახდათ. მოკავშირეები შეთანხმდნენ გამოსაყვანი ლაშქრის რაოდენობაზე და სამივე ჯარის თავშესაყრელი დრო და ადგილი დათქვეს.

ქართველებმა დიდძალი ჯარი შეკრიბეს, ლეკები, ალანები და მთის სხვა ტომებიც მოიშველიეს და რუმის სულტნისა და ხლათის მელიქის ჯარებთან შესაერთებლად გაემართნენ, რათა შემდეგ ერთად შებმოდნენ ჯალალედინს.

ჯალალედინმა საიდუმლოდ შეიტყო მტრების განზრახვა და ისევ დაასწრო. მუსულმანი მოკავშირეები ჯერ კიდევ შორს იყვნენ, რომ სულტანი ბოლნისის ხევში დაბანაკებულ ქართველთა ლაშქარს მოულოდნელად დაესხა თავს.

სასტიკსა და თავგანწირულ ბრძოლაში ორივ მხრიდან ურიცხვი მოწყდა. ქართველებმა გმირულად იბრძოლეს, მაგრამ მტრის სიჭარბემ კვლავ თავისი ქნა. ქართველები ბრძოლით რომ მოიქანცნენ, ხვარაზმელებმა მაშინ ჩააბეს

ომში დასვენებული ჯარები. ქართველთა სიმხნე გატყდა, მტერმა ისევ სძლია, უამრავი მოისრა და უფრო მეტი კიდევ ტყვედ ჩაუვარდა სულტანს.

ქართველთა წინააღმდეგობა რომ გასტეხა, ჯალალედინს ხელ-ფეხი გაეხსნა სამხრეთისაკენ სამოქმედოდ და ისევ ხლათისკენ დაიძრა. ხლათს ალყა შემოარტყა და ქვის სატყორცნი მანქანები მიუყენა.

ალყა დიდხანს გაგრძელდა. უკიდურესი გაჭირვების ჟამს ციხეში შინაგამცემები გაჩნდნენ და გამძვინვებული ხვარაზმელები მხეცებივით შეცვივდნენ ხლათში. ჯალალედინმა აქაც მისთვის ჩვეული ულმობლობა გამოიჩინა, მეციხოვნენი გაჟუჟა და ქალაქის ზღუდე მიწასთან გაასწორა.

სატახტოს დაცემამ სირიაში მყოფი ხლათის მელიქი ელ აშრაფი გამოაფხიზლა და აამოქმედა. ჯერ სირიის მპყრობელი მიიმხრო, მერე იკონიის სულტანს ეზრახა. ქეიქობადმა ელ აშრაფის სირიელთა ლაშქარს თავისიც შეუერთა და ჯალალედინისკენ საომრად გაეშურა.

ჯალალედინი ერზინჯანის ახლო დახვდა მტერს. მოპირდაპირენი საომრად დაეწყვნენ და ჯალალედინი გაოცდა მტრის ცხენოსნების სიმრავლით. ოცდაათი ათასამდე საუცხოოდ შეჭურვილი მეომარი ჯიშიან არაბულ ცხენებზე ამხედრებულიყო. ცხენთა ალკაზმულობამ და სიკისკასემ სულტანს თვალი მოსტაცა და შეეხარბა ქეიქობადისა და ელ აშრაფის ბედი, იმ ოცდაათიათასიანი ლაშქრის სათავეში დგომა და მონგოლთა წინააღმდეგ ომი ინატრა. რა მტერი დაუდგება ამ მფრინავ ცხენებზე ამხედრებულ, ომებში გამოწრთობილ სირიელ და იკონიელ ცხენოსნებს. აფსუს, რომ ჯალალედინი არ არის მათი წინამძღოლი სარდალი! როგორ წალეკავდა დიდფაშვიან დაუჭედელ ცხენებზე მსხდომ წვრილთვალა მონგოლებს ხვარაზმელი სულტანი!

გემოთმიმყოლ ადამიანს რომ საუკეთესო სასმელ-საჭმელის ან ულამაზესი ქალის ხელთ გდება მოუნდება, ისე მოსწყურდა ჯალალედინს იმ ცხენოსანი ლაშქრის სარდლობა, მაგრამ ის ლაშქარი ახლა მის პირდაპირ იდგა და წუთიწუთზე თავად მას უნდა შებმოდა.

ჯალალედინმა თავის ჯარს მოხედა და სახე გაუფითრდა: უწესრიგოდ შექუჩებულ ფარას ჰგავდა მტრის ცხენოსან ლაშქართან შედარებით მისი ჯარი.

თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო მტრის წინაშე შიში მამაცმა ჯალალედინმა და გული შეუქანდა. შემდრკალ, გუნებაგაფუჭებულ სულტანს ბრძოლა აღარ უნდოდა, მაგრამ მოწინააღმდეგე უკვე დაიძრა მისკენ და უომრად გაცლა აღარ შეიძლებოდა.

მტრები ერთიმეორეს ეკვეთნენ. არაბმა და თურქმა მხედრებმა ხვარაზმელთა წყობა დაშალეს, მტერი გრიგალივით ახვეტეს და ჯალალედინმა პირველად უჩვენა ზურგი თავის ერთმორწმუნეებს.

დაიღალა სულტანი უაზრო ომებითა და ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორისაკენ წყვეტებით; მოსწყინდა გაუთავებელი ბრძოლები საქართველოს მიუვალ მთებსა და ხეობებში, წვრილწვრილი ომები სამაჰმადიანო სახელმწიფოების პატარა მეფეებთან და მელიქებთან, რომელთა სახელიც ქვეყნად მათი ქვეშევრდომების გარდა სხვამ არავინ იცოდა.

ჩინგიზ-ყაენის სიკვდილის შემდეგ ჯალალედინისათვის ბრძოლის ველი დაცარიელდა: იქ ღირსეული მოპირდაპირე აღარავინ ეგულებოდა და ამიტომ გული აღარ მიუწევდა ბრძოლისაკენ.

ბრძოლის გაგრძელებას რომ აზრი დაეკარგა, ცხოვრებაზეც გული აეყარა. დიდ საქმეებზე ხელი ჩაიქნია, თავისი სამშობლოს გათავისუფლებისა და მთე-

ლი საისლამოს გადარჩენისათვის ზრუნვას მოეშვა. სამაგიეროდ, წვრილმანი გახდა, თავისი კარისა და ახლობლების საქმეების ჩხრეკა დასჩემდა.

რაც დრო გადიოდა, უფრო სასტიკი და ეჭვიანი ხდებოდა. ახლობლებს უკვირდათ მისი ზნის შეცვლა, ეშინოდათ და ერიდებოდნენ. სულტანი ყველაზე მისანდოებსაც გაურბოდა, მათს ყოველ ნაბიჯს ეჭვის თვალით უცქეროდა.

განსაკუთრებით თავის ვაზირსა და ძველ თანამებრძოლს, შერეფ ელ მოლკს ჩაუდგა კრიჭაში. რაკი ერთხელ დაეჭვდა მის ერთგულებაში, ვერ იქნა და გული ველარ მოიბრუნა. მისი არაფერი მოსწონდა, კარგიც ავად ეჩვენებოდა და ძველებურად აღარ ენდობოდა. ყველას გაერიდა. ბოლო დროს ირგვლივ ყველა შეთქმული ეგონა და ეჩვენებოდა, რომ ყველას მისი მოკვლა უნდოდა. შეშინებულმა მცველთა რიცხვი გაადიდა და მამლუქებსაც ფარულად ერთიმეორის თვალთვალი დაავალა.

ცაგო ქვაბთახევის მონასტერში იწვა და თავს მკურნალი ბერი ადგა. ერთხანს მომჯობინება დაეტყო, ჰრილობამ პირის შეკვრა იწყო და ავადმყოფმაც ცოტა მოიხედა.

პირველადვე ქმარ-შვილის ამბავი იკითხა. სანუგეშო რომ ვერაფერი უთხრეს, კედლისკენ გადაბრუნდა და აქეთ გამოხედვა აღარ ინდომა. ჯავრმორეულს ძალით ასმევდნენ წამლებს, სასმელ-საჭმელს პირს აღარ აკარებდა. თანდათან დასუსტდა და უარესობისკენ წავიდა ერთხანს გამობრუნების გზაზე დამდგარი ქალი.

მერე ისევ დაალო პირი ჰრილობამაც და მკურნალი ბერი ამაოდ აკვდებოდა ავადმყოფს, მის თანგადაყოლასა და ხელოვნებას უკვე აღარ მოჰქონდა სასურველი შედეგი. სნეულის საქმე სულ უკუღმა მიდიოდა. ბოლოს ძილსაც უკლო. ცოტახნით ჩაძინებულს ქმარ-შვილი დაესიზმრებოდა და ნეტარების ღიმილი გადაეფინებოდა. გალვიძებული ცხარე ცრემლით ტიროდა და სასოწარკვეთას ეძლეოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგჯერ წათვლემილს ჯალალედინი მოელანდებოდა, ხმლით მისკენ მიიწევდა მოსაკლავად და ხელიდან რომ უსხლტებოდა, ისევ მოთქმითა და ვიშვიშით ახელდა თვალს და გაჩენის დღეს იწყევლიდა სულტნის ცოცხლად გაშვებისათვის.

გრძნობდა ცაგო, რომ საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა. ისე სიკვდილი არ უნდოდა, ერთხელ კიდევ ახალდაბა არ ენახა

— თქვენს მადლს მე ვერ გადვიხდი, მაგრამ გეყოფათ ჩემგან შეწუხება. აქ ტყუილადღა ვარ. ჩემს სოფელში გამიშვით, თქვენს წამლებს წავიღებ. იქ დედაჩემი მომივლის და მშობლიური ჰაერიც სულს უფრო ჩქარა ჩამიბრუნებს, — შეეხვეწა ცაგო მკურნალ ბერებს.

ბერებმა ერთმანეთს უსიტყვოდ გადახედეს. ცაგოს განკურნების იმედი მაინც დაწმენდილი ჰქონდათ და აღარ გაჯიუტდნენ.

— გაგიშვებთ, რაკი არ იშლი. დედის ხელი და შენი სოფლის ჰაერი ჩვენს მოვლაზე მეტად გარგებს. ოღონდ წამლებს არ გაანებო თავი და, ღვთის შეწევნით, მალე ფეხზე დადგები. — გაამხნევა ბერმა. ცაგო ცხენზე შესვეს, მორჩილი გააყოლეს, წამლებიც გაატანეს და გაუშვეს. მორჩილი შუაგზიდანვე დააბრუნა ცაგომ და მარტო გაუდგა ახალდაბისკენ. ცხენი ნელა მიჰყავდა, მაგრამ გრძელმა გზამ მაინც დაღალა და უკანასკნელი ღონეც წაართვა. მთელი სხეული უხურდა, სახე წამონთებული ჰქონდა და თავი უბრუოდა. სიცხე თანდათან უმატებდა და თვალში ბინდი ერეოდა.

მწუხრი დგებოდა, ახალდაბას რომ მიატანა. ცხენზე თავს ძლივს იჭერდა და მიდამოს კარგად ველარც არჩევდა. მაინც იცნო მშობლიური სოფელი: ლანდად ხედავდა ნაცნობ მთა-გორებსა და ველ-მინდვრებს, ბაღ-ვენახებსა და პატარ-პატარა უბნებს.

ნიავმა გაიქროლა და სული ჩაუბრუნა. წამით შვება იგრძნო, ბაგეზე ღიმილმა გადაურბინა. ალერსს ხელი უშვა და მკლავები გაშალა, თითქოს იმ ნიავის თუ თავისი ბედნიერი ბავშვობის ჩაკვრა უნდოდა გულში.

თვალთ დაუბნელდა, რეტი დაესხა და ცხენიდან გადმოეკიდა. ცხენი შეჩერდა, ერთი მოკლედ დაიჭიხვინა და ტორის ცემასა და ფრუტუნს მოჰყვა. ძირს დაცემულმა ცაგომ მწარედ დაიკვნესა და წამით ისევ გამოფხიზლდა. თვალი გაახილა: ცაზე მთვარე ჩნდებოდა, აქა-იქ ვარსკვლავი ბრწყინავდა.

„აი, ჩემს სწორა რომ ვარსკვლავია, ის თუ მოსწყდა, მოვკვდები“, — ფიქრობდა ნახევრად გონდაკარგული, სიცხისაგან გახურებული ცაგო და მოციმციმე ვარსკვლავს თვალს არ აშორებდა.

უცებ საიდანღაც ფანდურის ჩხაკუნი და სიმღერა მისწვდა:

ქალნი, ქართლით გამოსულნი,
ახალდაბას არიანო...
ერთსა ჰქვიან მზევინარი
და მეორეს მარიამო...

ჩაესმა ნაცნობი ხმით ნათქვამი სიმღერა და ცაგოს ტკივილი დაავიწყდა. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა უცებ მისი ბავშვობის ჭრელ ნაქარგად მოეჩვენა, იმ ცის დაბლა ჩამოღება, მუხლზე დადება და სიმღერით ქარგვა მოუნდა:

მესამესა, ჩემსა მკვლელსა,
ყელს გიშერი ავლიანო...—

ჩაიმღერა ჩუმად გულში, მაგრამ უცებ სუნთქვა შეეკრა და გულის წვერზე რაღაც ისარივით დაესო.

ცაგომ თვალი მიხუჭა და ტკივილისაგან დაიგმინა.

გზადმომავალმა ვაჩემ ფანდური გააჩუმა, ყური მიუგდო. კვნესა განმეორდა. აქვე, ახლო, ვიღაც კვნესის და — მოეჩვენა თუ ნამდვილად ესმის ვაჩეს — ვიღაც მის სახელს იძახის, ვიღაც საშველად უხმობს.

უსინათლომ ჯოხით გზა მოსინჯა და ფეხს აუჩქარა. აგერ სადღაც ცხენის ფრუტუნი ისმის. ბალახს ძოვს ლაგამწაუყრელი პირუტყვი და კარგად ესმის ვაჩეს, როგორ აწვალებს ლაგამს ბალახით პირგამოტენილი ცხენი.

— ვააა-ი-ი-ი-ი! — დაიკვნესა ისევ ვიღაცამ და ვაჩე მიხვდა, რომ ქალის ხმა იყო.

— ვინა ხარ? სადა ხარ? — გაეხმაურა ვაჩე, წამით შეჩერდა და სმენად დაიძაბა.

— ვაიი!.. — ისევ დაიკვნესა ქალმა და ვაჩემ ჯოხის კაკუნით იქით აიღო გეზი, საიდანაც ხმა მოდიოდა.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, გახშირებული სუნთქვაც მოესმა.

— ვინა ხარ?

— ცა-გო ვარ... ვა-ჩე!.. — ისევ დაიგმინა ქალმა და ვაჩეს გული შეუქანდა.

— ცაგო?.. აქ საიდან?! — ამოიღუღლუღა ვაჩემ და მოცელილივით მუხლზე დაეცა.

უკვე სულ ახლო ესმოდა კვნესა. ქალის ცხელი სუნთქვა მისწვდა ვაჟკაცს. ვაჩემ ხელი მოაფათურა. ქალის გულმკერდი მოხვდა ბრმას ხელთ, მერე ზემოთ აჰყვა ყელ-ყურზე, შუბლზე... შუბლზე ცივი ოფლი ჰქონდა ქალს. შეშფოთებულმა ვაჩემ ორივე ხელით თავი აუწია და თვითონაც ზედ დაიხარა თვალდათხრილი. თვალთა ცარიელი ბუდეებით დააცივდა უსინათლო, თითქოს რამეს ხედავდა.

ცაგომ თვალი გაახილა, სიბრალულით შეხედა.

— რა კარგი იყო ვაჩე! — ერთი ამოიოხრა და თვალი ისევ მიხუჭა.

თვალდახუჭული, ალბათ, ფიქრში თავის ბავშვობას ხედავდა, ვაჩეს იმ კარგ თვალებს ხედავდა, კრძალვითა და გაუმხელელი ალერსით რომ მიჩერებოდნენ ხოლმე. ბაგეებთან ღიმილი აუთამაშდა, ხელი ვაჩეს სახისკენ წაიღო და ორთავ თვალის ცარიელ ბუდეებს დააფარა. ლონემ უცებ უმტყუნა და ორივე ხელი მოჭრილივით ჩამოუვარდა.

— ვკვდები, ვაჩე! — ამოიკვნესა ცაგომ და თავი ულონოდ გადააგდო.

— რას ამბობ, ცაგო! ახლავე სოფელს დავუძახებ, დედაშენს შევატყობინებ...

— არ გინდა... არავინ არ გინდა... არ დამტოვო...

— არ დაგტოვებ, ცაგო... მაგრამ რა ვილონო... — აწრიალდა უმწეოდ ვაჩე.

— არაფერი არ გინდა... ვკვდები, ვაჩე...

ვაჩე ვერ ხედავდა, მაგრამ ხელებით გრძნობდა, როგორ თანდათან ცივდებოდა ცაგო, აფორიაქებული ვერც ხელს უშვებდა მომაკვდავს, ვერც წამოდგომა მოეხერხებინა.

— მაპატიე, ვაჩე! — ულონოდ, ოდნავ გასაგონად თქვა ცაგომ და დადუმდა.

— რა უნდა გაპატიო, ცაგო, შენ რა გაქვს საპატიებელი?! — შესძახა ვაჩემ და სასოწარკვეთილმა თავი გზისკენ მიიბრუნა. გზაზე, ეტყობოდა, კაცთაგანი არავინ იყო, ბალახში გადასული ცხენის არხეინი ხრამუნი ისმოდა მხოლოდ უკაცურ შარაზე.

ვაჩე ისევ დაჟინებით „დააჩერდა" ცაგოს. ხელები მოუფათურა და საშინელი სიცივე იგრძნო.

— ცაგო! ცაგო! — ჩასძახა განწირული ხმით. ცაგო აღარც ხმას იღებდა, აღარც ინძრეოდა.

ვაჩემ ყური დაადო მკერდზე: გული აღარ სცემდა და ქალის მთელი სხეული ქვასავით ცივი იყო.

— ცაგო! ვაი, ცაგო! — დაიღრიალა უსინათლომ.

ცაზე, ცაგოს სწორა, მისი ბედის თუ უბედობის ვარსკვლავი ისევ ენთო და ციმციმებდა; ცაც ჭრელი იყო, ცაგოს ბავშვობის ნაქარგივით ჭრელი. ლაგამწაუყრელი ცხენი ბალახს ძოვდა და ფრუტუნებდა.

დანადაკრულივით ზმუოდა ვაჩე.

თორელის სამყოფელში ნესვევი მოვიდა. ჩვეულებრივად თავის კარავში იბარებდა ხოლმე თურმანს მოჰამედი და საკუთარი ფეხით მასთან არასოდეს მოსულა. დაღვრემილი, წინანდელზე მეტად მოტეხილი ეჩვენა ნესვევი თორელს.

მოჰამედი დაჯდა, მაგიდაზე მოზრდილი წიგნი დასდო და ამოიოხრა.

— რად ოხრავ, მოჰამედ-ბატონო, ჩემს ბედნიერ პატრონს რა უნდა ჰქონდეს საწუხარი?

— ჩემი საწუხარი ჩემი პატრონისა და მთელი ქვეყნის მფლობელის, დიდი და აღმატებული სულტნის საწუხარია. ალაჰი რომ კაცს გაურისხდება, ფათერაკს ფათერაკზე შეამთხვევს და მარცხს მარცხზე მიაყოლებს. სულტანს უსაყვარლესი შვილი გარდაეცვალა, დიდად სწუხს და იტანჯება.

თორელმა დაკვირვებით იცოდა, სულტანი რომ მათს სამყოფელში გამოჩნდებოდა, დაცვა ერთი ათად მატულობდა ხოლმე; ორი დღეა, რაც იქაურობა სულტნის მცველი მამლუკებით გაივსო და თურმანს ეჭვი ჰქონდა, რომ სულტანი სადმე ახლო უნდა ყოფილიყო — აკი გაუმართლა გუმანმა.

— სულტნის რომელ შვილზე ბრძანებთ?

— დუშხანი მოკვდა, ჯალალედინის უსაყვარლესი შვილი. მთელმა ქვეყანამ იცის და შენთან რა დასამალია, დუშხანის დედა სულტნის ჰარემის მშვენება და ჯალალედინის ერთ-ერთი ცოლი იყო. ერთგული ყმა და მსახური აქაშ მოლკი რომ შემოეხვეწა, დამითმეო. სულტანმა უკვე დაორსულებული ქალი მისცა აქაშ მოლკს — და ეს იმითაც გამომჟღავნდა, რომ აქაშ მოლკის ცოლს დუშხანი ცხრა თვეზე ადრე ეყოლა. ბავშვი პირწავარდნილი ჯალალედინი იყო, სულტანს თავის კანონიერ შვილებზედაც მეტად უყვარდა და, რომ იტყვიან, მზე მასზე ამოდიოდა! ახლა დუშხანი უეცრად გარდაიცვალა. ექიმებმა ვერაფერი უშველეს და განრისხებულმა ჯალალედინმა მათი სასტიკი დასჯა გადასწყვიტა.

— მერე, თუ ექიმები უბრალონი არიან?

— ჯალალედინმა განრისხების დროს ბრალიანი და უბრალო არ იცის, ეგ არის მაგისა და ჩვენი უბედურება. —

ისევ ამოიოხრა ნესევიმ. — მაგრამ ახლა სულტანს აღარც ექიმი ახსოვს და აღარც თავისი თავი, შვილის დაკარგვას ბმამალლა მოსთქვამს და მის კუბოს არ შორდება.

ნესევიმ წიგნი თორელისკენ მისწია.

— სულტნის უილბლობამ და სოფლის უხანობამ მეც გული გამიტეხა და საწუთროზე ხელი ჩამაქნევინა, თურმან. შენ ჩემზე უკეთ იცი, ადამიანს ქირთა თქმასავით არაფერი შველის, ხოლო თუ კაცს თავისი დარდის ლექსად თქმის უნარი გააჩნია, მწუხარება კიდევ უფრო დიდად უმსუბუქდება. შენ ალბათ გაოცდები და იქნებ ისიც გაიფიქრო, გამოჩერჩეტებულა ჩემი პატრონიო, მაგრამ ნუ გაგიკვირდება. ზოგი სმასა და შექცევაში ჰკლავს ჯავრს, ზოგიც ჩემსავით კითხვასა და წერაში. ამ ლექსებს ჩემთვის ვწერ და არ ვაპირებ, ქვეყანას მოვფინო. ჩვენს დროში, როცა უამრავი ჭეშმარიტი მგოსანი თხზავს ნამდვილად უკვდავ ქმნილებებს, ჩემი მჭლე ლექსებით ვის გავაკვირვებ, მაგრამ ხომ იცი, კაცს რომ ლექსის წერის ჭია აქვს, ის ჭია დამფასებელსაც თხოულობს და მეც შენი გულწრფელი აზრის გაგება მსურს, ღირს რამედ თუ არა ჩემი ეს ახირება, აქვთ თუ არა ამ ლექსებს კიდევ სხვა გამართლება, გარდა იმისა, რომ დარდს მიქარვებს და რაღაც ჭიას ვიკლავ?!

თორელმა არაფერი თქვა. გაუკვირდა: ასეთი საქმიანი კაცისაგან მიმცხოვნების ჟამს ლექსებზე გადაგება, მაგრამ იმასაც ფიქრობდა, ესოდენ ჭკვიანი, განათლებული და გემოვნებიანი კაცი სხვა ბერიკაცებივით სისულელეს არას დასწერდა და მით უფრო, სხვის სამსჯავროზე არ გამოიტანდაო.

ნელა დაუწყო ფურცვლა წიგნს. რამდენიმე ფურცელი რომ ჩაიკითხა, დარწმუნდა, ალლოს არ უმტყუნია. ნესევის ლექსებში ბევრი ღრმა და დამაფიქრებელი აზრი იყო, გამართულად ნაწერ ლექსებს დამწერის ხელგაწაფულობაც ეტყობოდა, მაგრამ ფრთები აკლდა მოჰამედის ლექსებს, ის ძლიერი ფრთები, რომელიც მარტო დამწერს კი არა, წამკითხველსაც გადასდებს ხოლმე ამაფრენასა და თავდავიწყებას.

სოფლის ამაოებისა და საწუთროს გაუტანლობის სევდა, ბრძოლისა და შრომის უაზრობის აღიარება, სამშობლოსათვის თავდადების უნაყოფობის შეგნება გასდევდა ელეგიების მთელ წიგნს. გაუთავებელი სამდურავი ცოტა არ იყოს მოსაწყენსა და ერთფეროვანს ხდიდა ნესევის ლექსებს, მაგრამ თორელმა წიგნი მაინც დიდი გულისყურით წაიკითხა. უკანასკნელი ფურცელიც რომ გადამალა და თავი აილო, თორელი შეყოყმანდა: მის წინ ამოდენა ღირსებითა და წლებით დაზიდული კაცი დამნაშავე ბავშვივით იდგა და თვალში ისე შესციცინებდა, თითქოს მისგან ელოდა შემდგომი ყოფნა-არყოფნის მსჯავრს.

ნესევიმ ყოყმანი შეატყო თორელს, მაშინვე ხელის ცახცახით წიგნი დახურა და შეეხვეწა:

— ახლა ნურაფერს მეტყვი, ამ წიგნს დაგიტოვებ, ერთხელ კიდევ გადაიკითხე და შენი აზრი დამიწერე. სიმართლის პირში თქმა უფრო ძნელია, ვიდრე დაწერა, ამიტომ მეგობრულად გთხოვ, რასაც ფიქრობ, ყოველივე დამიწერო, ავიცა და კარგიც. შენ თავათ მგოსანი ხარ და მე შენი გულწრფელი აზრის გაგება მინდა; გახსოვდეს, პატივმოყვარე კაცი არა ვარ და პირმოთნეობა ჭირივით მძულს. — ნესევი წამოდგა. — უკვე შუაღამე გადასულა. ჩემი ნაცოდვილარის კითხვით თუ ძალიან არ დაგღალე, ცოტა გამყევი, გამაცილე, — უთხრა თორელს და დასტურს არ დაელოდა, ისე წავიდა წინ.

მთვარიანში მიდიოდნენ. გზად გუშაგები იდგნენ ყოველ ნაბიჯზე, სულტნის მდივანს სცნობდნენ, თავს დაბლა უკრავდნენ და მის თანამგზავრთან ერთად უსიტყვოდ ატარებდნენ.

უცებ ნესევი შეჩერდა. თორელს მკლავში ხელი სტაცა და ჩურჩულით უთხრა:

— სულტანი მოდის, გზაზე ნუ გადაეყრები, სადმე მოეფარე.

თორელი დაილუნა და იქვე მდგარ კარავში შეიმალა. ნესევიმ გვერდზე გაუხვია და ისიც მეზობელ კარავში გაუჩინარდა.

კარავში სვეტს ამოფარებულ თორელს გული სწრაფად უცემდა. აგერ მეექვსე წელი გადიოდა, რაც სულტნის შეხვედრას ნატრობდა, ახლა წინ გადაეყარა და გზიდან გაექცა, იმის მაგივრად, რომ ყელში სცემოდა და ზედ შეკვდომოდა მისი ქვეყნისა და ხალხის დამაქცევარს.

კარავში მხრებმოხრილი, თავჩაღუნული ჯალალედინი შემოვიდა. გვერდი ჩაუარა სვეტს აკრულ, სუნთქვაშეგუბებულ თორელს.

სულტანი კარვის შუაგულისკენ წავიდა და თორელმა ახლაღა დაინახა კარავში მდგარი პატარა კუბო.

ჯალალედინი წამით შეჩერდა და თორელი უკვე ნახტომს ზომავდა, სწრაფად ანგარიშობდა თუ სად და როგორ დაცხრომოდა სისხლიან სულტანს, ქვეშ როგორ მოეგდო და როგორ გაეთავებინა.

უცებ ჯალალედინმა თავში ხელი წაიშინა, კუბოს დაემხო და ალრიალდა.

ფეხისწვერებზე შემდგარმა თორელმა დაინახა, რა სასოებითა და მხურვალებით ჰკოცნიდა ჯალალედინი ბავშვის პატარა თითებს, ხუჭუჭა შავი თმის კულულებსა და დახუჭულ თვალებს.

უცებ გალხვა ყინული და ჩვარივით მოეშვა გადასახტომად გამზადებული, ზამბარასავით დაჭიმული თორელის სხეული. წახდა, ხელები ჩამოყარა და მუხლები აუკანკალდა. გულამოსკვნით, საცოდავად ტიროდა ჯალალედინი და თორელსაც გული ყელში მოებჯინა, მასაც ცრემლი მოეძალა და ტირილი მოუნდა.

თავისდა უნებურად შეკავებული ოხვრა აღმოხდა თორელს, ის ოხვრა ჯალალედინის ყურს მისწვდა. სულტანი უცებ გაინაბა, მერე ერთი ისკუპა და ხმალი იძრო. იქ ვერავ[illegible], მაგრამ კარისკენ უკან[illegible] [illegible] ხმლის ქნევით.

თორელს ცივი ოფლი დაასხა, ერთი სიკვდილი გაათავა. უნდოდა ყელში სცემოდა კართან მოახლოებულს, მაგრამ ჯალალედინი ისე გამეტებით იქნევდა ხმალს, ახლოს მაინც არ მიუშვებდა.

ყველაფერი დალუპა იმ ერთმა წამმა, გულის აჩუყებისა და ადამიანობის იმ ერთმა წამმა! ამ კარავს, ალბათ, ახლავე ალყას შემოარტყამენ და აქ დარჩენა უაზრობა, თვითმკვლელობის სწორი იქნება.

თორელი გამოვარდა და ისიც იმ კარავში შეიმალა, სადაც წელან ნესევიმ შეაფარა თავი.

---

ყველა მტარვალის ბოლო თითქმის ერთნაირია, მათ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ სტოვებთ ნებისყოფა, წინანდელზე მეტი დაჟინებითა და ღონისმოკრებით აგრძელებენ ბრძოლას, რომელსაც უკვე აზრი აღარა აქვს და ძველებური რწმენით აკეთებენ საქმეს, რომელიც უკვე წაგებულია.

ისინი ინერციით, უკანმოუხედავად ისწრაფვიან წინ და ვერ გრძნობენ, რომ უფსკრულს უახლოვდებიან. უფსკრულისაკენ ამ თავბრუდამხვევ ქროლვაში ბრმად უკანმიმყოლთა რიგები თანდათან თხელდება, ღალატი და განდგომა ხშირდება. მკაცრი მბრძანებლები მოღალატეებსა და რწმენაშერყეულებს სასტიკად უსწორდებიან, უყოყმანოდ იშორებენ და სიცარიელის შევსებას თითქმის უცნობი, ახალი ადამიანებით ცდილობენ.

ყველაზე გვიან მბრძანებელს ის უახლოესი თანამებრძოლები სტოვებენ, რომლებთანაც ერთად თითქმის მთელი სიცოცხლე გაუტარებია, გამარჯვებისა და მარცხის სიხარული და ჯავრი გაუყვია, და რომელთაც ზედ უფსკრულის წინ ახელიათ თვალი.

ახეთი ახლო თანამებრძოლების განდგომა იმის მომასწავებელია, რომ საქმე, რომლის გამარჯვებისთვისაც ერთად უბრძოლიათ, დაღუპულია. მაგრამ ნებისყოფაგაუტეხელი მტარვალები ღალატის მიზეზს ვერ უფიქრდებიან, გახელებულები შექმნილი მდგომარეობის ცივად განსჯას ვერ ახერხებენ და სულის სიღრმემდე აღშფოთებულნი ანგარიშმიუცემელ სისასტიკეს იჩენენ, არაადამიანურად უსწორდებიან იმას, ვისაც არაერთხელ დაუმტკიცებია ერთგულება საკუთარი თავგანწირვით.

მცირე ხანი თავრეზს დაჰყო ჯალალედინმა. საყვარელი შვილის სიკვდილის შემდეგ, როგორც კი ცხოვრების აღრინდელ კალაპოტში ჩადგა, ათაბაგ საადის ულამაზეს ასულზე იქორწინა. ათაბაგის ნორჩი ასულის უბადლო მშვენებამ, უმანკოებამ და უზომო მინდობამ სულტანი ისევ გაახალისა. სიცოცხლის ჭაბუკური წყურვილი აღუდგინა და ძალღონის მოჭარბება აგრძნობინა. ერთხანს სიყვარულით განცხრომასა და თავდავიწყებას მიეცა. ერთთავად ათაბაგის ასულთან ათენებდა და აღამებდა, ქვეყნისა აღარც ძველი ახსოვდა, აღარც ახალს კითხულობდა.

მაგრამ ერთ დილას საშინელმა სიზმარმა შეაშფოთა: განკითხვის დღეს ბეწვის ხიდზე მიმავალს ალაჰი ცოდვებს ეკითხებოდა. სულტანმა სათითაოდ გაიხსენა, რომელ ომში რამდენი კაცი დაეხოცა. ალაჰმა მოუსმინა.

ომი იმიტომ არის, რომ ხალხი უნდა დაიხოცოსო, — ბრძანა უფალმა და სულტანს მისი ხმლის უამრავი მსხვერპლი მიუტევა.

შემსუბუქება იგრძნო ბეწვის ხიდზე მიმავალმა, მაგრამ წელში მაინც ვერ გასწორდა, ფეხი ვერ გადგა.

მაშინ მისი ბრძანებით გაჟლეტილთა სულები გაიხსენა ჯალალედინმა, ბევრი უდანაშაულო გაექუქათ მის ჯარისკაცებს ქვეყნების დაპყრობისას და ქალაქების აღებისას.

— მე მხოლოდ ისლამის მტრებს, ურწმუნოებს და მაჰმადის უარმყოფელებს ვაჟლეტინებდი! — დაიგმინა სულტანმა და ალაჰის გვერდით მჯდომ მაჰმადს მიაპყრო ვედრებით თვალი.

მაჰმადმა ალაჰს შეხედა და მისი სარწმუნოებისთვის თავგამოდებული სულტნის სული შეავედრა.

— მიუტევე, უფალო, რამეთუ იღწვოდა ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის!

უფალმა ისმინა თავისი წინასწარმეტყველის ვედრება და ბრძანა:

— ეს ცოდვაც მიეტევოს.

ახლა კი მოეხსნა მხრიდან მთავარი სიმძიმე ცოდვილს, წელშიაც ოღნავ გაიმართა, მაგრამ ფეხი მაინც ვერ გადადგა წინ.

ჯალალედინი ისევ დაფიქრდა, ისევ გაიხსენა, თუ რამ ავკაცობა ჩაედინა და უფალს შეჰღაღადა:

— დამნაშავე ვარ სხვათა მიერ უდანაშაულოდ შებეზღებულთა და შეთქმულთა უწყალოდ დასჯაში.

— მეფეები უმაგისოდ ვერ იმეფებენ და ეგ ცოდვაც მოგეტევოს! — ბრძანა უფალმა.

ცოდვილმა შვებით ამოისუნთქა, ყველა ტვირთი მოეხსნა და ის იყო გასაფრენად მოემზადა, რომ ფეხქვეშ ბეწვის ხიდი შეირყა, წონასწორობა დაერღვა და განკითხული კინაღამ ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩავარდა.

— სხვა რა ცოდვა მაქვს კიდევ, უფალო?! — შესტირა განწირულმა.

— ცოდვა უდიდესი და მიუტევები.

— ვითარ, უფალო?

— შენ დასთხარე თვალნი, რომლებშიც ენთო ცეცხლი ჩემი...

სულტანი აცახცახდა, მზერა ვერ გაუსწორა უფლის ცეცხლოვან თვალს.

— შენ დასაჯე თვალის დათხრით შვილი ჩემი, რომელიც შეუდგა ჩემს გზას...

— როგორ, უფალო?

— იგი ხედავდა და ქმნიდა თავისი უფლის მსგავსად. აწ იხილე ის კაცი,

რომელიც აღმაღლდება ჩემთან ცათა შინა და მან ნახოს, თუ როგორ ჩავარდები შენ საუკუნო ჯოჯოხეთის ცეცხლში.

უფალმა სადღაც ხელი დასტაცა ქართველთა მეფის კარის მხატვარს და მაღლა-მაღლა წაიყვანა. მხატვარს გვერდით ორი უმშვენიერესი ასული უდგას, მარჯვნივ და მარცხნივ, ორი წვეთი წყალივით გვანან ისინი ერთმანეთს და სულტანი მიხვდა, რომ ერთი მათგანი მხატვრის მიერ კედელზე დახატული ულამაზესი ქალია, ხოლო მეორე — იმ ნახატის ცოცხალი დედანი. მეორემ, ცოცხალმა ქალმა თვალი თვალში გაუყარა ჯალალედინს და სულტანმა მაშინვე იცნო ის ქალი, რომელმაც მის კარავში დაჭრილი შემოათრია, ლიხთ-იმერეთის გადასასვლელებთან რომ დაესხნენ გურჯები თავს. ამ თვალებით უყურებდა ის ქალიც, დაჭრილს რომ სატევარი ამოაძრო და ცოტაც გაწყდა, კინაღამ სულტანს დასცა. ჯალალედინმა ისრის ტყორცნა დაასწრო და მერე აღარ გაუგია, ის ლამაზი თვალები სამუდამოდ დაიხუჭა, თუ კიდევ ანათებს სადმე.

მხატვარი გაცისკროვნებული თვალებით შეჰყურებს ხან იმ უმშვენიერეს ქალებს, ხანაც ბეწვის ხიდზე მოქანავე პატარა კაცს.

ბეწვის ხიდი თანდათან უფრო და უფრო წვრილდება და...

გალეული ხიდი ჩაწყდა, ჯალალედინმა ერთი შეჰყვირა და ჯოჯოხეთის ცეცხლში დაინთქა...

სულტანს საზარელ გუნებაზე გაეღვიძა.

სიზმარს დაუფიქრდა და თავის ჩადენილ სისასტიკეთა მოგონებაზე გაარჯოლა.

„შერეფ ელ მოლკის ბრალია! მაინც საიდან მოიგონა ასეთი საშინელი სასჯელი?“ — გაიფიქრა სულტანმა და ვაზირი მოიხმო.

შერეფ ელ მოლკი თავათაც ცუდ გუნებაზე იყო. მბრძანებელს მონგოლების მოახლოების ამბავი აცნობა.

— ცუდმა სიზმარმა ცუდი დღის გათენება იცის! — თავისთვის თქვა სულტანმა და ხანმოკლე დუმილის შემდეგ ვაზირს მიმართა: — ის ქართველი ტყვე ქალი რა იქნა, ვაზირო, რომლის ქმრისთვისაც საშინელი სასჯელი მოიგონე?!

ვაზირი გაშრა, სულტანს კარზე უბოროტესი მტერი ჰყავდა მომდგარი, ყოველი წამი ძვირად ღირდა, ჯალალედინს სასწრაფოდ გაქცევასა და თავის გადარჩენაზე უნდა ეზრუნა, ის კი ექვსი წლის წინანდელ ამბავს იხსენებდა და ტყვედშეპყრობილ რომელიღაც ქართველ ქალს კითხულობდა.

— ადარბადაგანისაკენ მიმავალ ქარავანზე თავდასხმისას გაიტაცეს გურჯებმა, მერე, მგონი, მაინც ვერ გადარჩა ალაჰის რისხვას და ისევ მორწმუნეთა ხელით მოიკლა, — მოახსენა ვაზირმა და ეშმაკური ღიმილით შეხედა სულტანს.

ჯალალედინმა მრისხანე მზერა ესროლა.

— ახლავ ავიყაროთ მუღანისკენ, იჩქარე, გზას მალე უნდა დავადგეთ.

ვაზირმა მორჩილად დაუკრა თავი და სწრაფად გავიდა.

ჯალალედინმა თავრეზი დასტოვა და მუღანისკენ გაიქცა. ეს მერამდენედ დააგდო ბედისაგან დევნილმა სულტანმა თავისი ჰარემი და სიმდიდრე მტრების იავარსაყოფად.

თან მხოლოდ ათასი ცხენოსანი ახლდა. იმ ათასში ათიც აღარ იქნებოდა მისი მინდობილი და ბოლომდე ერთგული. ძველ თანამებრძოლთა და ახლობელთაგან უმრავლესობა შემოცლოდა. ზოგი ომებში დაცემულიყო, ზოგს უიმედო ბრძოლებზე ხელი აეღო და თავისი ბედი სხვისი დროშისთვის მიებარებინა.

მისანდოთაგან ერთადერთიღა შემორჩენოდა — მისი ერთგული მდივანი და მემატიანე, მასზე მლოცველი მოჰამედი.

ჯალალედინი თავისი მცირე რაზმით მუღანისკენ იჩქაროდა.

იგი ხედავდა, როგორ ნელ-ნელა, მაგრამ გარდუვალად უახლოვდებოდა აღ-

სასრული. რა არ იღონა, რომ მონგოლთა ტალღა შეეჩერებინა, უკუეგდო და ბოლოს სრულიადაც დაემსხვრია, მაგრამ ეს ტალღა, მისთვის აუხსნელი რაღაც საიდუმლო კანონზომიერებით, მაინც წინ მოიწევდა, ფეხდაფეხ მოსდევდა და ახლა უკვე საბოლოოდ დანთქმას უქადდა.

მუღანი უკანასკნელი თავშესაფარი იყო. მონგოლები აქაც მოვიდოდნენ, ხვალ თუ ზეგ, და მერე... მერე ქვეყანა მისთვის თავდებოდა, გასაქცევი და სულისმოსათქმელი აღარსად რჩებოდა.

ჩრდილოეთით სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ქართველები იყვნენ, დასავლეთით — მის მიერ აკლებული და შევიწროებული მელიქები და სულტნები. ეს უკანასკნელნი ხვარაზმშას მემკვიდრეს, დიდსა და ალმატებულ სულტანს ერთ დროს მთელი საისლამოს იმედად და მახვილად სახავდნენ წყეულ მონგოლებთან ბრძოლებში, ჯალალედინიც მათ სულ მონგოლთა მოსალოდნელი შემოსევის გარდუვალობით აშინებდა და საერთო ძალით დახვედრის აუცილებლობას ჩააგონებდა. ძალთა გაერთიანებისა და ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობა ჯალალედინს თავათაც ერთადერთ ღონედ ესახებოდა, მაგრამ საქმით თავისი ამ რწმენისა და განზრახვის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა: მუსულმანურ ქვეყნებსაც ქრისტიანულ საქართველოსავით ექცეოდა, ალყას არტყამდა და იპყრობდა, ძარცვავდა და იკლებდა.

ჯალალედინმა თავისი ამ უგუნურებით მუსულმანი სულტნები და მელიქებიც ისევე აიმხედრა და მტრად გადაიკიდა, როგორც ქრისტიანული საქართველო.

მუღანი უკანასკნელი სადგური იყო. აქ თავდებოდა დევნილი სულტნისთვის ქვეყნის ნაპირი: წინ წყალი იყო და უკან — მეწყერი.

სულტანმა მთელ სხეულში სიცივე იგრძნო. სად არ უვლია, რომელ მიწაზე არ გაუთევია ღამე, მაგრამ ციება არსაიდან აჰყოლია. ეს სიცივე, ალბათ, მოახლოებული სიკვდილის სუსხი იყო, მთელ ტანში რომ დაურბინა ჟრუანტელივით.

ცხენი შეაყოვნა სულტანმა, ჩამოხტა და ღვინო მოითხოვა. ხარბად სვამდა, თვალებგამოშტერებული რაღაც წერტილს დაჟინებით მიჩერებოდა და ფიქრობდა... ფიქრობდა დაღუპულ ცოლ-შვილზე, სიმდიდრესა და დიდებაზე, დამსხვრეულ იმედებსა და წამხდარ ვაჟკაცობაზე.

თვალებზე ცრემლი მოადგა, სული ყელში მოებჯინა და ველარ იქნა, ველარ შესძლო ტირილის შეჩერება. დაჭრილივით ერთი დაიგმინა და ცრემლი ღვარად წასკდა. რა დიდი შვება ყოფილა ცრემლი, როცა შენს უნებურად მოდის, როგორი მოფონება სცოდნია, როგორ მოეშვა მშვილდის მოზიდული ლარივით დაჭიმული თითოეული ძარღვი.

რამდენჯერ მოსწოლია ყელში დარდი და ბრაზი, მაგრამ თავი ვაჟკაცურად შეუკავებია, ცრემლზე არც კი უფიქრია. არც ახლა უფიქრია ცრემლზე ჯალალედინს, მაგრამ თავათ ცრემლმა არა ჰკითხა რა, თვითონ წამოვიდა, გზაც იპოვნა და სულის საოხიც მოუტანა.

არც ეს არის კარგი: ვაჟკაცი რომ ცრემლს ველარ ერევა და დიაცივით ტირის, ალბათ, დაძაბუნების ნიშანია. ძაბუნი და გატეხილი ვაჟკაცი რისღა ვაჟკაცია, მისი ან მეფობა ვილას უნდა, ან სარდლობა და ომში წინამძღოლობა.

სულტანმა ცრემლები მოიწმინდა და კვლავ ცხენზე ამხედრდა. ცხენმა დაარწია და ცრემლი ისევ ლაპალუპით წამოუვიდა. მიდიოდა სულტანი და გრძნობდა, რომ სიკვდილისკენ მიდიოდა, გრძნობდა, მაგრამ აღარც ცხენის შეჩერება შეეძლო, აღარც ცრემლის.

მუღანში რომ შეჩერდა, უკვე ღამდებოდა. ცოტა წაიძინა, მაგრამ მალევე გაეღვიძა და კარგ გუნებაზე ადგა: ისე მხნედ იყო, თითქოს ცხოვრებას თავიდან იწყებდა, ჯანითა და იმედით სავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეს გზაზე დაღვრილი ცრემლიც დაავიწყდა და სიკვდილის სიახლოვეც.

ნესევი იხმო, ხლათის მელიქთან და იკონიის სულტანთან გასაგზავნი წერილები უკარნახა, ამ წერილებში ჯალალედინი ერთხელ კიდევ სთხოვდა ჯარის მოშველებას, რათა საერთო ძალით გამკლავებოდნენ მონგოლებს.

წერილები შერეფ ელ მოლკთან გაატანა მდივანს და საიმედო ხელით დანიშნულებისამებრ სასწრაფოდ გაგზავნა დაავალა.

შერეფ ელ მოლკი ჯალალედინის საქმეს უკვე საბოლოოდ დაღუპულად სთვლიდა, მის უიღბლობასა და ბედუკუღმართობაში დარწმუნებულს სულტნის ყოველი ნაბიჯი განწირულად მიაჩნდა. რაკი ბრძოლამ ვერაფერი მისცა, უკვე მიმცხოვნებულ ვაზირს მშვიდი სიბერე და მოსვენებული სიკვდილიღა უნდოდა. მხედრის აყრილი ყოფა მოსწყენოდა და ერთ ადგილზე დამკვიდრებულ, დაწყნარებულ ცხოვრებას ნატრობდა. გარეგნულად თამამი, ბუნებით მხდალი და მშიშარა იყო. ომში მტერთან პირისპირ შებმასა და სიკვდილთან თამაშს გაურბოდა, სამაგიეროდ დაპყრობილ და დამორჩილებულ მტერთან, უდანაშაულო ტყვეებთან საშინელ სისასტიკესა და ულმობელობას იჩენდა. ღვთისმოშიშს ყურანის კითხვისას ყველაფერი ამქვეყნიური ავიწყდებოდა ხოლმე, გულწრფელად სტიროდა და ქადაგად დაცემულივით მთელი სხეულით ცახცახებდა.

დაილალა შერეფ ელ მოლკი ამდენ წანწალსა და წყვეტებაში, აყრა-დაყრასა და ღამისგასათევის მუდმივ ძებნაში.

ჯალალედინს ცხოვრებამ ვერაფერი ასწავლა, მას ისევ შფოთი და ბრძოლა უნდა. რაც უფრო ცუდად მიუდის საქმე, მით უფრო ჯიუტი და თავნება ხდება, ვაზირისა და ახლობლების გაუბედავად შეპარებულ რჩევას ყურს არ უგდებს, ერთხელ ამოჩემებულს არ ეხსნება და კვლავ ბრძოლის ველისკენ მიიწევს, თითქოს იქ სიკვდილის მეტი რამე ელოდეს. ვერ ხედავს სულტანი ამ სიკვდილს, თუ არ უნდა, რომ დაინახოს. ყოველი გაფრთხილება, გონიერებისკენ მოწოდება ღალატად ეჩვენება. კიდევ უფრო აღიზიანებს და უფრო მეტად ულმობელს ხდის.

ჯერ კიდევ დრო აქვს შერეფ ელ მოლკს. რაკი სულტანი გონს ვერ მოდის და თავს იღუპავს, ვაზირი რაღად უნდა დაიღუპოს, განა ერთხელ მაინც მასვე არ უნდა ეკუთვნოდეს თავისი ბედის გადაწყვეტის უფლება? ამდენ ხანს, მთელი სიცოცხლის მანძილზე შერეფ ელ მოლკის ბედი და სიცოცხლე სულტანს ებარა და როგორც სურდა, ისე იყენებდა მბრძანებელი. ახლა, როცა სიკვდილ-სიცოცხლის გზაჯვარედინზე დგანან, მათი გზები თავისთავად იყრება — სულტანი სიკვდილისკენ ისწრაფვის, ვაზირს სიცოცხლე უნდა.

ვაზირი უკანასკნელი გოდოლიღა არის ჯალალედინის სიმაგრეში. მისი ძალა კარგად იციან სულტნის მტრებმაც და მოყვრებმაც, მის განდგომას ბუნებრივად ჩათვლიან და კარგადაც დაუფასებენ.

შერეფ ელ მოლკმა ჯალალედინის წერილები მოსპო, დაჯდა და თავათ მისწერა უსტარი ხლათის მელიქსა და იკონიის სულტანს. წერილებში ვაზირი მწუხარებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ჯალალედინმა ვერ გაამართლა ვერც მუსულმან მეფეთა კეთილგანწყობილება, ესოდენ მეგობრულად რომ შეხვდნენ მას, ვერც მისი ახლობლებისა და მრჩევლების იმედები, ასე ერთგულად და თავდადებით რომ ემსახურებოდნენ სულტანს.

იმის მაგივრად, რომ პატივითა და ღირსებით მოქცეოდა თავის მუსულმან მოკავშირეებს და საერთო მტრის, მონგოლების წინააღმდეგ ბრძოლაში გაძღოლოდა მათ, უგუნურმა ჯალალედინმა მართლმორწმუნე მუსულმანების რბევას მიჰყო ხელი, დაპყრობა და დამონება მოუნდომა სულტნებსა და მელიქებს, რომლებიც თავიანთი წარ-

მოშობითა და კეთილშობილებით არათუ ხვარაზმშაზე დაბლა იდგნენ, არამედ აღემატებოდნენ კიდევაც მას.

ჯალალედინმა თავისი ზვიადობითა და წინდაუხედაობით თვითონვე განიმზადა აღსასრული. სულტანს აღარც ლაშქარი ჰყავს, აღარც ერთგული მოკავშირეები. მას სამყოფელიც აღარა აქვს და მისი ხელისუფლება უშუალო ხელქვეითებსა და მსახურებს იქით აღარ ვრცელდება. ადარბადაგანის ნამდვილი პატრონი, ქვეყნის მთავართა და დიდებულთაგან აღიარებული მფლობელი ამჟამად შერეფ ელ მოლკია, მხოლოდ მას შეუძლია წესრიგის დამყარება ადარბადაგანში და კეთილმეზობლური ერთიერთობის აღდგენა ხლათისა და იკონიის სახელმწიფოებთან. ვაზირი შეიპყრობს ჯალალედინს და სათანადო სასჯელის მისაგებად გადასცემს ელ აშრაფსა და ალადინს, ამ სამსახურის სამუქფოდ შერეფ ელ მოლკი ადარბადაგანზე მისი ხელისუფლების ცნობას მოითხოვს მხოლოდ. ამით მოისპობა შფოთი და უნდობლობა მუსულმანთა შორის და დამყარდება გულწრფელი თანამშრომლობა მონგოლთა წინააღმდეგ სამღვთო ომის საწარმოებლად.

შერეფ ელ მოლკმა წერილები დაბეჭდა და უაღრესად საიდუმლოდ გაგზავნა დანიშნულებისამებრ.

მაგრამ მოხდა სწორედ ის, რასაც ყველაზე ნაკლებ ელოდა გამდგარი ვაზირი. ჯალალედინის ბრჭყალები ჯერ კიდევ სჭრიდა, ალადინისა და ელ აშრაფისათვის განკუთვნილი ვაზირის წერილები მის ხელთ აღმოჩნდა.

სულტნის აღშფოთებას საზღვარი აღარ ჰქონდა. მის მიერ კაცადქცეული და ესოდენ აღზევებული უბრალო მონა, ხეირიანად წერა-კითხვაც რომ არ იცოდა და სულს გარდა ყოველივე ჯალალედინისაგან ჰქონდა მინიჭებული და ნაწყალობევი, ეს მდაბალი და ულირსი მონა მის მტრებთან აბამდა უშუალო კავშირს, თავისი მბრძანებლის ხელყოფას ბედავდა, ნადირივით უპირებდა შეპყრობას და არც თუ ისე დიდ ფასად გაყიდვას.

თვალწინ დაუდგა ყველა ის მარცხი, რომლებშიაც დამნაშავედ თავისთავე ვაზირს თვლიდა. შერეფ ელ მოლკმა გადაკიდა ხლათელებს ჯალალედინი, მას რომ სულტნის უნებართვოდ არზრუმზე არ ელაშქრა და, უკან შემოქცეული, ხლათელებთან ომს არ გადაჰყროდა, ხვარაზმელები, ალბათ, ხლათის მტრობას გადარჩებოდნენ. შერეფ ელ მოლკის ჩაგონებითა და წაქეზებით გაილაშქრა ლიხთიმერეთს ჯალალედინმა, სასტიკად დამარცხდა და კინაღამ გურჯების ხელთ ჩავარდა. ვაზირის მოქმედება მაშინვე საეჭვოდ ეჩვენა სულტანს: ლიხთიმერეთს გადასვლა გადაჭრით ურჩია და თვითონ კი ლაშქარს არ გაჰყვა, რაღაც მიზეზით ფეხი აითრია და თბილისში დარჩა. იქნებ მანვე შეატყობინა ქართველებს სულტნის საიდუმლო გალაშქრების ამბავი! ეს ეჭვი მაშინვე აღეძრა და უსაფუძვლო როდი ყოფილა!

ჯალალედინმა შერეფ ელ მოლკთან თავისი ურთიერთობიდან ყველაფერი დაივიწყა, მისი ძველი ერთგულებაც და სამსახურიც. მის გონებაში მხოლოდ ის აღდგა ამ ხანგრძლივი სამსახურიდან, რაც თავის დროზეც საეჭვო იყო და ნაკლებ სანდო. რამდენი ახლობელი და საყვარელი ადამიანი შეაბეზღა სულტანთან ვაზირმა, ცრუმოწმობით მათს დანაშაულში დაარწმუნა და მოაკვლევინა. შემდეგ, გვიან იგებდა ვაზირის დასმენის მსხვერპლთა უდანაშაულობას, მაგრამ მკვდარს რაღა გააცოცხლებდა, ან სულტნისთვის რა სახელი იყო თავისი შეცდომის გაჰქლავნება. ვაზირმა ისე მოაწყო, რომ სულტნის კარს მოაშორა მისთვის საშიში ყველა დიდებული და მხოლოდ თავის ერთგულთა, თავის მიერვე აღზევებულ მსახურთა ამარა დასტოვა. ასეთ გარემოცვაში სულტანთან გზა მოჭრილი ჰქონდა ვაზირის ყველა მტერს; ჯალალედინამდე ვერც ვაზირის უსამართლობის ხმა აღწევდა, ვერც ვაზირის

მსხვერპლთა საჩივარი. თვე არ გავიდოდა, რომ ვაზირს სულტნის საწინააღმდეგო შეთქმულება არ აღმოეჩინა. სულტანი ყველას სასტიკად სჯიდა, თურმე კი ბრმად ვაზირის პირად ანგარიშებს ასწორებდა. რამდენი ერთგული ადამიანი მოასპობინა სულტანს ამ გამოგონილი შეთქმულების საბაბით, და ყველაზე საშიში შეთქმული თავათ ყოფილა ვაზირი.

გაცეცხლებულ სულტანს ცხელ გულზე ვაზირთან მიჰრა, ცხენის ძუაზე გამობმა და თრევა უნდოდა, მაგრამ გონიერებამ შეაკავა. შერეფ ელ მოლკი მიუვალ ციხეში იყო და მის შესაპყრობად მისული, შეიძლებოდა, თვითონ აღმოჩენილიყო შეპყრობილი. სულტანმა ნესევი იხმო. ერთგულმა მოჰამედმა სიდინჯე და წინდახედულების გამოჩენა ურჩია.

ჯალალედინმა ბრაზი დაიოკა და მოსაჩვენრად დაწყნარდა. მულანში მისვლის აღსანიშნავად ნადიმი გამართა და ვითომ არაფერი მომხდარიყოს, თავისი ვაზირი მიიპატიჟა. ორგული ვაზირიც ძვირფასი ძღვენით ეახლა; სულტანს რომ ეჭვი არ აეღო, თან შეიარაღებული მცველებიც არ გაიყოლა.

ნადიმი კარგა ხანს გაგრძელდა. სულტანი და ვაზირი ერთიმეორეს აჭარბებდნენ თვალთმაქცობაში — ხელმიწვევნით იცავდნენ ერთმანეთისადმი ჩვეულ მოპყრობას, ზედმეტ თავაზსა და მოფერებას უფრთხოდნენ, რომ გულისნადები არც ერთს არ გაემჟღავნებინა.

მოღალატე ვაზირი თეთრ კბილს უჩვენებდა, მაგრამ გული შავი ჰქონდა და იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი წერილები ალადინსა და ელ აშრაფზე, როგორ მოუვიდოდა მათი დასტური და როგორ პატივაყრილსა და შეპყრობილს გაუგზავნიდა თავის მტრებს ამ არხეინსა და უდარდელს, ზვიადსა და ამპარტავან სულტანს.

რა იცოდა უბედურმა გამცემმა, რომ ის წერილები ხლათისა და იკონიისკენ კი არ მიჰქონდა იმ წუთს მის სანდო შიკრიკს, — მის გვერდით მჯდარ ჯალალედინს ედო უბეში და სულტანიც თავის მხრივ იმას ფიქრობდა, თუ როდის მოუტანდნენ მისი მცველები შერეფ ელ მოლკის ერთგული მამლუქების შეპყრობის ამბავს.

ორივემ ბევრი სვა, სულტანმაც და ვაზირმაც, ორივე მაგრად დათვრა, მაგრამ არც ერთს ხვაშიადი არ გაუმჟღავნებია, გადაკრული სიტყვითაც ერთიმეორისთვის არაფერი უგრძნობინებია.

გვიან ღამით გაიყარნენ პირზე კოცნითა და ერთგულების ფიცით.

ვაზირი სულტნის მცველებმა მიაცილეს. მთვრალი მივიდა თავის სამყოფელში და იმდენი გონი აღარ მიჰყვა, რომ იქ მომხდარი ცვლილება შეემჩნია. მსახურებისთვის არ დაუძახნია, გაუხდელად დაწვა და მაშინვე მკვდარივით დაეძინა.

ჯალალედინი სხვას ვერავის ენდო, ისევ თავისი ერთგული მდივანი ნესევი მოიხმო და მოღალატე ვაზირის მიმართ სიკვდილის განაჩენის აღსრულება მას დაავალა.

სულტნის მდივანსა და მემატიანეს ხელი კალამსა და სამეფო ბეჭედზე ჰქონდა გაჩვეული, ხმალს იშვიათად იღებდა და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა სხვა გზა და ღონე აღარ ჰქონდა მტრისგან თავის დასაცავად. ახლა მისი სათაყვანებელი სულტნის სიცოცხლე რომ ბეწვზე ეკიდა, მოჰამედი არა მარტო ხმალს იხმარდა, თუ საჭირო იქნებოდა, ადიდებულ წყალს მისცემდა თავს და გამძვინვებულ ცეცხლში შევარდებოდა.

ნესევიმ თვალი მოავლო სულტნის მამლუქებს.

რაღაცაზე დაფიქრდა.

მერე მსახური იხმო და თორელი მოაყვანინა.

— იარაღი გაქვს? — შეეკითხა შემოსვლისთანავე.

თორელი ვერ მიუხვდა.

— ალბათ საწერ-კალამს კითხულობ, ახლავე მოვიტან, — მიუგო თორელმა და მოსატანად გაბრუნება დააპირა.

— რა დროს საწერ-კალამია, ხმალ-ხანჯალს გეუბნები, — შეუწყრა სულტნის მდივანი.

— ხმალ-ხანჯალს ტყვეობაში გადავეჩვიე, რომ მქონდეს, ალბათ ვეღარც მოვიხმარ, — ღიმილით მოახსენა ცოტა არ იყოს შემკრთალმა თორელმა.

— მიეცით იარაღი! — ბრძანა ნესევიმ და სულტნის მცველებმა მაშინვე მიართვეს თურმანს ხმალ-ხანჯალი.

ნესევიმ მცველები დაითხოვა და თორელთან მარტო დარჩა.

— აისხი! — იარაღზე მიუთითა მოჰამედმა და თავადაც აღჭურვას შეუდგა. ნამდვილად მცდისო, ფიქრობდა თორელი და გამტერებული შეჰყურებდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

ნესევიმ ალკაზმვა მოათავა, თორელთან მივიდა, პირისპირ დაუდგა და თვალებში ჩააცქერდა.

— შემიძლია გენდო?

ჰკითხა და თან თვალებით ხვრეტდა თორელს.

— სულით ხორცამდე! — აღმოხდა თორელს და ნესევის გამოწვდილ მარჯვენას თავისი შეაგება.

ერთიმეორის მარჯვენას ჩაფრენილები წამით ასე შეჰყურებდნენ ერთმანეთს. მერე მოჰამედმა ხმალი აიღო და თავისი ხელით გადაჰკიდა თორელს.

— ამაღამ საიდუმლო დავალება უნდა შევასრულო. მხოლოდ მამლუქების ერთგულებას ვერ ვენდობი. შენ ქართველი ხარ და თანაც კეთილშობილი. შენი სიტყვისა მჯერა, ვიცი, არ მიღალატებ. ამიტომ გადავწყვიტე, თან გიახლო. მძიმე საქმის შესასრულებლად მივდივართ, თანაც ისეთი საქმისა, გურჯები რომ დაგვიმადლებენ. იცოდე, შენს სიტყვასა და სინდისს მინდობილი ვიქნები.

— სიცოცხლე შენგან მაქვს ნაჩუქარი, შენვე მოიხმარე, როგორც გინდოდეს, — მტკიცედ უთხრა თორელმა და იარაღის ასხმას შეუდგა.

ნესევიმ იცოდა, რომ ქართველებს შერეფ ელ მოლკის უდიდესი სიძულვილი ჰქონდათ. სულტნის ვაზირმა არაერთხელ მოსწვა და მოაოხრა თბილისი და საქართველოს დაპყრობილი ნაწილი. მისი სახელი საქართველოში წყევლა-კრულვით იხსენიებოდა და ქართველებს მისი სიკვდილივით ვერაფერი გაახარებდათ.

მოჰამედი დარწმუნებული იყო, რომ ქართველ კაცს შერეფ ელ მოლკის მოსაკლავად ამართული ხელი არ აუკანკალდებოდა.

ამ რწმენით წაიყვანა თორელი სულტნის განაჩენის აღსასრულებლად მიმავალმა ნესევიმ.

დილით ხმაურზე გაეღვიძა შერეფ ელ მოლკს. იჭაურობას თვალი მოავლო: თავს სულტნის იარაღასხმული მცველები ადგნენ.

გაოცებული წამოიწია.

მცველებმა ერთმანეთს რაღაც უჩურჩულეს, ერთმა მათგანმა კარი გამოაღო და ვიღაც იხმო.

კარის ზღურბლზე თავშიშველი მოჰამედი აღიმართა. ისიც თავითფეხამდე იარაღში ჩამჯდარი.

სულტნის შუბლშეკრულ მდივანს მელოტი გრძელი თავი ულაპლაპებდა, გადმოხურულ სქელ წარბებქვეშ დიდი შავი თვალები მრისხანედ უელავდნენ.

ეს ოთახისა და საწერ-კალამის ჩუმი ვირთხა, რომელსაც ვაჟკაცებში არც კი თვლიდა შერეფ ელ მოლკი, ახლა ყოვლისშემძლე ბუმბერაზად მოეჩვენა. იგი სულთამხუთავის სასტიკი გამომეტყველებით უახლოვდებოდა.

ნესევის ხმალზე ხელდადებული უცნობი მოჰყვებოდა, მხარბეჭიანი და შნოიანი. სადღაც ენახა და ვერ გაიხსენა. იერით ქართველს მიამგვანა და შეშფოთდა: იარაღასხმული ქართველის მოსვლა მისთვის კარგს არას მოასწავებდა.

— უზენაესი სულტანი ჯალალედდინი, განადიდოს ღმერთმა დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი, — ხელაპყრობით წარმოთქვა ნესევიმ, — ბრძანებს: სიკვდილი ღვთისა და ხელმწიფის მოღალატეს!

შერეფ ელ მოლკი ლოგინზე წამოჯდა, წამით თვალი მოავლო იქაურობას, მისი იარაღი აღარსად იყო, აღარც მის მცველთაგან ჩანდა ვინმე. ვაზირი უცებ მოიკუნტა, დაპატარავდა და თვალებადღა იქცა, ბუდეებში შემალულ, დაფეთებული თაგვივით მოძრავ, შეშინებულ თვალებად.

შერეფ ელ მოლკი ქვემ-ქვემ იყურებოდა. ეტყობოდა მისი ტვინი სწრაფად მუშაობდა, რაღაც გამოსავალს ეძებდა და, ალბათ, რომ ვერ იპოვა, უცებ მოიკუნტა, თითქოს ნაჭუჭში შესაძრომად დაპატარავდაო. უყურებდა თორელი ამ მედროვეს, მახეში გაბმულს, გატეხილსა და დამფრთხალს, გასაცოდავებულსა და პეწდაკარგულს. საძაგელი იყო მისი ზვიადობა, მოსაჩვენარი გაფუყულობა და ფახიფუხი. მთელი სიცოცხლე სხვებს უგებდა მახეს, სხვებისთვის თხრიდა ორმოს და ბოლოს აკი თვითონ გაება და თავისივე ფეხით ჩავარდა ორმოში. ისე ბრმასავით გაება, საფრთხის სიახლოვეც ვერ იგრძნო. იმავე ქსელში გააბეს, რომლის ქსოვის შეუდარებელ ოსტატადაც თავად ითვლებოდა. და აი რა საწყლად გამოიყურება ახლა ეს ხაფანგში გაბმული მელა თუ თაგვი, როგორ მისდის ფერფური და როგორ უცემს გული. რა ადვილი ყოფილა სხვების ხოცვა, როცა შენ მხოლოდ ბრძანებებს იძლევი და ათასობით აჟლეტინებ უმწეო მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს. რა ადვილი ყოფილა სხვათა სიკვდილის ცქერა და რა ძნელი, როცა საკუთარ სიკვდილს უყურებ თვალში.

შეეზიზღა თორელს ესოდენ უდიერი ადამიანის სიმშვლე, სიმდაბლე და პატარაკაცობა, გული აერია მისი ხაცოდაობის ცქერით.

ხომ ასე საცოდავად გამოიყურება განსაცდელში ჩავარდნილი ვაზირი ახლა, მაგრამ აბა ერთი სიკვდილს გადარჩეს, ისევ გაიბერება და გაამაყდება, ისევ შეიფერებს დიდკაცობას და ისევ დაუზოგავად გაჟლეტს ხალხს.

ნესევიმ განაჩენი წაუკითხა.

ვაზირს პირველმა შეკრთომამ გაუარა, ნელ-ნელა მოეშვა. რაკი ყველაფერი გათავებული იყო, აღარც წინააღმდეგობის გაწევას ჰქონდა აზრი, აღარც შეწყალების თხოვნას. ამ გაუთავებელ სიცოცხლეში მაინც არა ეყარა რა, მოსვენება აქამდე არ ჰღირსებია და ამიერიდანაც ხომ უკეთესს აღარას მოელის.

ერთი დამცინავად მოავლო თვალი მის მოსაკლავად მოგზავნილებს: როგორი მუყაითობითა და ბეჯითობით ასრულებდნენ სულტნის ბრძანებას, როგორ ცივად და უგრძნობლად გამოიყურებოდნენ, თითქოს ის სიკვდილი, ახლა მისთვის რომ მოჰქონდათ, მათ არასოდეს მიაკითხავდა (ასე ეგონა მასაც, მაგრამ როგორ მოტყუვდა!).

მასხრობა ყოფილა წუთისოფელი. ეს უბედური მონები ჯერ კიდევ გუშინ მისი კალთის მთხვევას ნატრობდნენ და მის ფეხისმტვრადაც არ ღირდნენ. ვაზირის ერთი მწყრალი გამოხედვა იკმარებდა, რომ მხრებზე თავი აღარ შერჩენოდათ.

რა მაღლა იყო გუშინ და რა დაბლა დაცემულა დღეს! როგორ მალე წაშლილა ის მანძილი, რომლის გადალახვას სიზმარადაც ვერ წარმოიდგენდნენ ეს საცოდავი მონები. ძალა და ხელისუფლება თურმე საოცრად ზრდის მანძილს ადამიანებს შორის.

საოცარია, ადამიანები კერპებს თვითონ ჰქმნიან და თვითონვე ამხობენ. იმ კერპების დამხობისასაც ისეთსავე აღტყინებას და ტკბობას განიცდიან, როგორც მათზე ლოცვისას. და მხოლოდ გვიან გრძნობენ გულის გატეხვას, როცა ყველა სიმაღლე და ბრწყინვალება საბოლოოდ ჰკარგავს ფასსა და მიმზიდველობას.

შერეფ ელ მოლკი თბილი წყლით განიბანა. მერე სასთუმლიდან განუყრელი ყურანი ამოიღო, საყვარელი ადგილი გადაშალა და წაიკითხა:

ოდეს თვალი დადგეს,
ოდეს მთვარე დაბნელდეს,
ოდეს მზე და მთვარე შეერთდეს,
მაშინ ღაღად ჰყოს კაცმა:
— სადა ვპოო სადგური თავშესაფარი?
ალარსად იყოს სადგური თავშესაფარი შენდა,
თვინიერ უფლისა შენისა, რომელ გვყოს
სადგურად თავშესაფრად.

შერეფ ელ მოლკს თვალებზე ცრემლი მოადგა და ხმა აუკანკალდა. ცოტაც კიდევ და ქალივით ქვითინი წასკდა. იქ მყოფი მამლუკები გატყდნენ, თითქოს გულში ყინული გაულხვათო, მოლბნენ, თვალები მოუწყლიანდათ და რომ თავი არ გაეცათ, შებრუნდნენ.

მკაცრად მოავლო მხლებლებს თვალი ნესევიმ. ყველაზე მეტად იმან გააოცა, გურჯიც რომ ცრემლს ძლივს იმაგრებდა, შეწითლებული ნესტოები უცახცახებდა და ხმალზე დადებული ხელი უტოკავდა. მეც არ მოვიშალოო, გაიფიქრა გაკერპებულმა მოჰამედმა და მამლუკებს მკაცრად უბრძანა:

— დროა, შევუდგეთ!

სულტნის მცველები უცებ გასწორდნენ წელში და ვაზირისაკენ მტკიცე ნაბიჯით დაიძრნენ.

— უზენაესი სულტნის ბრძანებით ვაზირს ნება აქვს აირჩიოს დახრჩობა ან თავის მოჭრა.

— თავის მოჭრა.

დაუფიქრებლად თქვა არჩევანი შერეფ ელ მოლკმა და ბაგეზე ნაძალადევი ღიმილი შეეყინა.

— კეთილშობილებს თავს არა სჭრიან. დახრჩობა უფრო ღირსეული სიკვდილია და ნაკლებ მტკივნეულიც, — განმარტა სულტნის მდივანმა, თითქო არჩევანი დახრჩობასა და თავის მოჭრას კი არა, წითელი და თეთრი ღვინის შესმას შეეხებოდა. შერეფ ელ მოლკი მიხვდა, ეს უკანასკნელი არჩევანიც უმისოდ იყო გადაწყვეტილი.

— ეგრე იყოს! ისე ჰქენით, როგორც მოგილაპარაკნიათ! — ყრუდ წაიდუდუნა ვაზირმა, დაწვა და საყელო გადაიწია. მამლუკთაგან ერთმა ხელები გაუკავა. მეორემ ყელზე შემოაჭდო ორივე ხელი და ნელა, მაგრამ ღონივრად წაუჭირა.

ვაზირს სუნთქვა შეეკრა და ხრიალი დააწყებინა. ჯერ სახე წამოუწითლდა, მერე თანდათან თვალები გაუფართოვდა და ბოლოს მთლად რომ გალურჯდა, ხრიალიც შეწყდა.

მკვლელმა სახე ამოუტრიალა და თორელმა დაინახა: გადაბრუნებული, სიღრმისკენ უაზროდ მზირალი თვალები.

მამლუკმა ყელიდან მოაშორა ხელი, თვალთან ახლო მიიტანა, რატომღაც დააცქერდა, თითები რამდენჯერმე გაშალა და ისევ მოხარა.

— წავიდეთ! — თქვა ნესევიმ და მსხვერპლისკენ აღარც ერთს აღარ მოუხედავს, ყველანი ჩუმად, ფეხაკრეფით გავიდნენ, თითქოს ვისმესგან მიიპარებოდნენ ან ვინმეს გაღვიძებას ერიდებოდნენ. კარი მიუგდეს და თითქოს მოლაპარაკებულნი იყვნენ, ისე დადგნენ, რომ ერთმანეთისთვის არ შეეხედნათ.

— თავი უნდა მოვჭრათ? — ჩურჩულით იკითხა მკვლელმა.

— თავი სულტანს უნდა მივართვათ, — ჩურჩულითვე თქვა ნესევიმაც.

— გაციევება ვაცალოთ?..

— ვაცალოთ!..

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

მკვლელმა რატომღაც ისევ ხელებზე დაიხედა, თითქოს დაბუეებული ჰქო-

ნოდეს, თითები რამდენჯერმე ისევ გაშალა და მოლუნა.

— კარგი იყო, ცოტა რომ დამელია! — თავისთვის თქვა მკვლელმა.

— მერე დავლიოთ, — გაეხმაურა ნესევი.

— არ გაცივდებოდა? — იკითხა მეორე მამლუკმა.

— ცოტაც ვაცალოთ.

მოჰამედი სდუმდა, ქვასავით ცივსა და მკაცრად შეკრულ შუბლზე მძიმე ფიქრი აღბეჭდოდა.

უცებ თორელი შებრუნდა, არავისთვის არაფერი უკითხავს, არც თვითონ იცოდა, რატომ წავიდა კარისკენ, რაღაცამ შიგნიდან უბიძგა და ფეხები თავისთავად დაიძრნენ.

კარი შეაღო და ზღურბლთან გაშეშდა:

შერეფ ელ მოლკი საწოლზე იჯდა, ფერზე მოსული და გონმობრუნებული. ხელებზე დაყრდნობილი მოყანყალებულ თავს ძლივს იმაგრებდა, კისერი ერყეოდა და მთვრალივით ირწეოდა. კართან მომდგარ მკვლელებს მოხედა და უცნაურად შეჰლიმა.

თორელს ძარღვებში სისხლი გაეყინა, ვერ მიხვდა, ამ ღიმილით მათ ხელობას დასცინოდა ერთხელ უკვე მკვდარი ვაზირი თუ შეწყალებას სთხოვდა უკანასკნელად. შემაზრზენი სურათისგან პირი იბრუნა და თვალებზე ხელი აიფარა.

— მოსჭერით! — ბრძანა მოჰამედ ნესევიმ.

მამლუკი ვაზირთან მიიჭრა, ხმალმა წამით გაიელვა, ტუჩებმა ერთი გაიწკაპუნეს და შერეფ ელ მოლკის თავი ძირს დაეცა.

თორელმა თავი ვერ შეიკავა და ერთხელ კიდევ შეხედა: მოჭრილ თავს ბაგეზე შეჰყინოდა დამცინავი თუ შეწყალების მთხოვნელი წელანდელი ღიმილი. თურმანს გააჟრჟოლა და შეტრიალდა. მამლუკმა მოჭრილი თავი შეახვია და სწრაფად გამოვიდა.

სიტყვის უთქმელად, ძუნძულით დაუყვნენ კიბეს, მერე უხმოდვე ცხენებს მოასხდნენ და დაწყევლილ ადგილივით გაშორდნენ იქაურობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულტანი დარწმუნდა, რომ თურქი მელიქები მოლაპარაკებას განზრახ აჭიანურებდნენ და მის მოსაშველებლად თითსაც არ ანძრევდნენ.

მონგოლები ახლოვდებოდნენ, გარიყულივით ქვეყნის განაპირას ჯდომა ალსასრულის შერიგებას ჰგავდა, საჭირო იყო ჩქარი და საზრიანი მოქმედება: მუღანში უქმად ყოფნა აღარ შეიძლებოდა, იქ ვერც ჯარს შეაგროვებდა სულტანი, აღარც უკანდასახევი გზა ექნებოდა.

ისევ ხალიფი თუ უშველიდა. მორწმუნეთა მეთაური სხვაზე უკეთ გაერკვეოდა მოსალოდნელ საფრთხეში. მას უკვე ეცოდინებოდა, თუ რა უბედურება მოჰქონდათ მონგოლებს მუსულმანთათვის; ალბათ ისიც გაგონილი ექნებოდა, რომ მაჰმადიანთა ერთადერთი იმედი წყეულ მონგოლებთან ბრძოლაში ჯალალედინი იყო, მხოლოდ ჯალალედინს შეეძლო მუსულმანთა დაცვა, მონგოლთა წინააღმდეგ წაძღოლა და მტრის საბოლოოდ განადგურება.

ბაღდადის ხალიფს ოქროც ბევრი ჰქონდა და ჯარიც ბევრი ჰყავდა. თუ ის დაეხმარებოდა, მთელი საისლამო ფეხზე დადგებოდა და მონგოლთა წინააღმდეგ საომრად ქუდზე კაცი გამოვიდოდა.

სულტანმა ყოველივე იანგარიშა, ასწონ-დასწონა და ის იყო ბაღდადს წასვლა გადასწყვიტა, რომ მოულოდნელად ამადის მფლობელის, ელ მოჯაფერის დესპანები მოუვიდა. მოჯაფერი თავის ჯარსა და სამსახურს სთავაზობდა, იმ პირობით, თუ ჯალალედინი არზრუმის დაპყრობაში დაეხმარებოდა. წყალწაღებულივით ხავსს მოეჭიდა ჯალალედინი. მოჯაფერის მიერ შემოთავაზებული ლაშქრობა ერთადერთ ხსნად დასახა და იმედის ნაპერწკალი ისევ აენთო. არზრუმის სულტანი ამას წინათ ისევ გადუდგა ჯალალედინს. არზრუმის დაპყრობით ნადავლსაც იშოვნიდა და ჯარსაც შეივსებდა. არზრუმის სულტნის დასჯა სხვა სულტნებსა და მელიქებ-

საც დააშინებდა, ჯალალედინის ძალას აგრძნობინებდა და ჯარისა და ოქროს მოშველებას დააჩქარებინებდა.

განგებამ თუ ბედისწერამ მოჯაფერთან წასვლა ჩააგონა, სულტანი აიყარა და ამადის გზას დაადგა.

ღამით პატარა სოფელში შეჩერდა, დაბინავდა და კარვები გაამართვინა.

მას შემდეგ, რაც უკანასკნელი დიდი ჰარემი თავრეზს დარჩა, ჯალალედინს ახლის შევსებაზე აღარც უფიქრია. მუღანში ათაბაგ საადის ასული ჰყავდა მხოლოდ თან, ამ ხნის კაცი ჭაბუკივით იყო გამიჯნურებული ყვავილივით ნაზ ქალიშვილზე, რომელიც თხუთმეტი წლისაც არ იქნებოდა.

ათაბაგის ასულის ალერსი და მასთან ყოფნა განწირულ სულტანს თითქოს ამქვეყნიური ბიწიერებისა და ჭუჭყისაგან სწმენდდა, ადამიანთა მუხანათობას და წუთისოფლის გაუტანლობას ავიწყებდა და ცხოვრებაზე გულს უბრუნებდა. მის უძირო შავ თვალებში მაცქერალს სიცოცხლის დაუსრულებლობისა და სიკეთის უძლეველობის რწმენა უბრუნდებოდა და მის წინააღმდეგ მბრუნავ ბედის ჩარხთან ერთხელ კიდევ შეჭიდების სურვილი უათკეცდებოდა.

ცხენების ჭიხვინი მისწყდა, ბანაკი მიწყნარდა, გრძელი გზით დაღლილ ათაბაგის ასულს ეძინა. სულტნის კარავში სუფრას აწყობდნენ.

ჯალალედინი კარვის კართან იდგა და ჩაბნელებულ სოფელს გაჰყურებდა.

სოფელი პატარა იყო, სინათლეც არსად ბჟუტავდა. ცაზე მთვარე არ ანათებდა, ვარსკვლავებიც არ ჩანდნენ და თვალი ღამის წყვდიადში ვერ ატანდა.

სადღაც ტურის კივილი გაისმა, მერე ძაღლი აჰყვა და გრძლად გააბა შემზარავი ყმუილი.

უჩვეულოდ ყმუოდა ძაღლი, უცნაური წკავწკავითა და გაბზარული ხმის კანკალით. ყმუილს კი არა, გამწარებული დიაცის გოდებას უფრო ჰგავდა ეს გაბმული, გულის გამწყალებელი მოთქმა. ცუდად ენიშნა სულტანს. ტანში ჟრუანტელმა დაურბინა. ბნელი ღამისა თუ მარტოობის შიშმა აიტანა და თავის უმწეობაზე გული ამოუჯდა. მუხლები მოეჭრა და წაიქცეოდა, რომ კარვიდან მსახური არ გამოსულიყო და ვახშმად არ მიეწვია.

გამოღვიძებული ათაბაგის ასული ყელზე მოეხვია მბრძანებელს და უცებ გაჰქრა, გაიფანტა მარტოობის შიშიცა და ბნელი ღამის წინაშე უმწეობის შეგრძნებაც. თვითონვე მოეჩვენა სულტანს საოცრებად: რა უცებ გამოეცვალა გუნება, თითქოს ეს სუსტი გოგონა და კარვის თხელი კედლები ჰყოფდნენ და იფარავდნენ მას სამყაროს იმ უსასრულობისა და ყოვლისშემცველობისაგან, რომლის წინაშე ულონობამაც ასე შეაშინა წელან.

ათაბაგის ასული სუროსავით ეხვეოდა.

ბედი ჰქონდა ჯალალედინს ქალებში. ეს ტანდაბალი, არაბივით შავი კაცი ქალებს რაღაც უხილავი ძალით იზიდავდა. ას წარმოსადეგ ვაჟკაცთან ერთად რომ გაევლო, ქალები მხოლოდ მას გააყოლებდნენ ვნებიან მზერასა და ჩუმ ოხვრას. მისი ყოველი კუნთი და მთლიანად უჩვეულოდ შეკრული სხეული მუდამ დაძაბული იყო და მოუღლელი. დაუმცხრალი ქინით ანთებული ყოველი ნაკვთი სიცოცხლის წყურვილით სუნთქავდა და, ალბათ, ქალები შორიდანვე, შინაგანად გრძნობდნენ სიცოცხლის ამ ძალას, ასე ცეცხლივით რომ ედებოდათ და სწვავდათ მისი სურვილი. სულტნის დაბალ ტანს და შავ სახეს შნოსა და იერს, შუქსა და ეშხს აძლევდა გასაოცრად ცოცხალი თვალები — გაბრაზების დროს ცეცხლი-

ვით სასტიკი და ლახვარივით მჭრელი, ალერსის დროს კატასავით თბილი და შემპარავი.

ქალებს ერთნაირად იზიდავდა ჯალალედინის სისასტიკეცა და სინაზეც, რადგან დიაცთაგან ცოტას მოსწონს მუდამ ზომიერი და აუღელვებელი მამაკაცი.

ამიტომ იყო, რომ ჯალალედინის ბედის მონაწილე ცოლები, მისი მრავალრიცხოვანი ჰარემების უტურფესი ასულები განწირულების ჟამს თავიანთ თავზე მეტად სულტნის სიცოცხლეზე ფიქრობდნენ და წყალში თუ ცეცხლში დანთქმისას მის სახელს ავედრებდნენ ყოვლისშემძლე ალაჰს.

ათაბაგის ეს პატარა ასულიც ასევე იყო.

როცა დიდსა და ალმატებულ სულტანს მიჰგვარეს ცოლად, პირველად ცოტა არ იყოს ეოცა: „ქვეყნის მპყრობელს" არც ბროლის სასახლე ჰქონდა, არც ჯარი ჰყავდა ურიცხვი და არც თვალმარგალიტი თავსაყრელი. სულტანს ხან ტყეში ეძინა და ხან მინდორში, ზოგჯერ მთელ ღამეებსაც ცხენზე მჯდარი სტეხდა, რათა გრძელი გზა სწრაფად დაეფარა.

პირველმა გაოცებამ მალე გაიარა. ათაბაგის ასული მიეჩვია ფათერაკებით სავსე, მოუსვენარ ცხოვრებას, ტყესა და მინდორში ძილს, გამოუძინებელ წამოხტომას და ცხენით გაქცევას. სადაც არ უნდა დაევანა სულტანს, მისი ახალგაზრდა ცოლისთვის კარავი მუდამ მზად იყო, იმ კარავს ფუფუნება არ აკლდა და, რაც მთავარია, სულტნის ფართო მკერდი და ძლიერი მკლავები ყოველთვის თბილი და უშფოთველი ძილის მომგვრელი იყო.

რაც უფრო ცუდად მიდიოდა სულტნის საქმე, მით უფრო მეტად ეტანებოდა თავის უკანასკნელ სიყვარულსა და ღვინოს, თავდავიწყებით ეწაფებოდა ერთსაც და მეორესაც, თითქოს ათაბაგის ქალის ალერსითა და რჩეული ღვინის სმით შეიძლებოდა დარდის ჩახშობა და ბედის განაჩენის შეცვლა.

ახლაც, ლოგინიდან ახლად წამომდგარი ქალის სითბო რომ იგრძნო, ხელი დაავლო, ბურთივით აიტაცა და ისევ ლოგინისკენ გააქანა...

ალერსით დათენთილ ათაბაგის ქალს საწოლისკენ მოუწია სუფრა სულტანმა. ათაბაგის ქალმა შარბათი შესვა, დურაჯის ფრთას ცოტა მოსწიწკნა და ხორციელად და სულიერად ერთნაირად კმაყოფილმა ბალიშზე მისდო თავი.

ჯალალედინმა უდარდელად მძინარ ცოლს საბანი დაჰხურა და საწოლიდან ფრთხილად გადმოვიდა.

რა იცოდა უბედურმა სულტანმა ან ათაბაგის მშვენიერმა ასულმა, რომ ეს მათი უკანასკნელი ღამე იყო.

ჯალალედინს შიოდა, ვახშამს მადიანად შეექცა და ღვინოს ხარბად დაეწაფა.

ცოტა რომ შეზარხოშდა, საუბარი მოუნდა თანამესუფრესთან. ფეხზე წამოდგა და ნესევის კარვისკენ წავიდა. წამით მოეჩვენა, რომ ვილაც აედევნა, ნაბიჯს აუჩქარა და ნესევის კარავში შევარდა.

მოჰამედი მაგიდას უჯდა, ხლათსა და იკონიას გასაგზავნ წერილებს წერდა. სულტანმა სული მოითქვა და უსიტყვოდ დაჯდა მაგიდასთან, მდივნის პირდაპირ, უსიტყვოდვე ხელი მოუსვა ჯერ კიდევ მელანშეუმშრალ წერილებს, დაჭმუჭნა და გასტყორცნა.

ამ წერილების წერით თვალებგამოღამებული ნესევი წამოხტა და ხელში ეცა მბრძანებელს, მაგრამ სულტნის მოღუშულ სახეს რომ შეხედა, სკამზე ულონოდ ჩაიკეცა.

— მბრძანებელო, იკონიასა და ხლათს გასაგზავნი წერილები იყო...

— ჯანდაბას იკონიაცა და ხლათიც, ჩვენს საქმეს მაინც აღარა ეშველება რა! — ჩაიქნია ხელი სულტანმა. მერე მსახურები იხმო და სუფრის გაშლა უბრძანა.

ორნი უსხდნენ სუფრას — სულტანი და მისი ერთგული მდივანი-მემატიანე.

სულტანი გამეტებით სვამდა. სულმოუთქმელად, ზედიზედ ცლიდა დიდრონ სასმისებს.

ღვინოსმიუჩვეველ მოჰამედს ზიზღით მიჰქონდა ტუჩთან სასმისი, გული ერეოდა, მაგრამ სულტნის ხათრით მაინც ცოტ-ცოტას წრუპავდა და ფიალას ოხვრით დგამდა, თითქოს საწამლავი დაელიოსო.

სულტანმა მემუსიკენი ახმობინა. მათთან ერთად თავათაც იმღერა. ბოლოს ღვინო დაამალა მემუსიკეებს. უარზე რომ დადგნენ, ძალით ჩაასხა პირში თითოეულს, მერე სათითაოდ ყველას პანღური უთავაზა და იქიდან დაითრინა.

ცისას და ბარისას ედებოდა ღვინისაგან გონწართმეული სულტანი. მერე ერთხანს ფიქრმა წაიღო. სკამი ნესევისაკენ მისწია, მხარზე ხელი მოჰხვია და ხმადაბლა თქვა:

— მამაჩემი, ღვთივ კურთხეული ხვარაზმშა არ მეხსნება ეს ერთი ხანია...

— ხვარაზმშას შენზე რა ხელი აქვს, — შუბლი შეიჭმუხნა ნესევიმ, — იგი მოწამეთა სიკვდილით აღესრულა და ალაჰთან არის მისი სასუფეველი.

— როგორც კი თვალს წავატყუებ, მამაჩემი მეცხადება, ქვეყნის მპყრობელი მუჰამედი. აბესკუნის კუნძულზე მეძახის, კეთროვნებთან პურის საჭმელად... ჰა-ჰა-ჰა-ჰა... — აუვარდა ისტერიული სიცილი სულტანს. — მთელი ქვეყნის მპყრობელი, მორჭმული ხვარაზმშა და კეთროვნების სუფრა, ჰა?! ღირსეული დასასრულია, არა?!.

— ალაჰს ალბათ ასე სურდა, რათა შემდგომ იქ, — ნესევიმ ხელი ცისკენ აიშვირა, — მართალთა და მორწმუნეთა შორის ამაღლებულიყო განსვენებული ხვარაზმშა.

— ალაჰს ალბათ ისიც სურს, რომ მეც მამაჩემივით აბესკუნის კუნძულზე გავიხიზნო, კეთროვნების ნაწყალობევი პური ვჭამო და ზიზღურად გავიხრწნა. ალაჰი უსამართლოა! — სულტანმა მუშტი დაჰკრა და სუფრამ ზრიალი გაილო. — ალაჰი ბრმა არის და უსამართლო, დაუნდობელი და უგულო! მე არ წავალ კასპიის კუნძულებზე... არ მინდა კეთროვნებთან... სიკვდილი არ მინდა... არა!

ჯალალედინი საყელოში ეცა ნესევის, ერთხანს ასე ანჯღრია, მერე ხელი უშვა, სუფრას წიხლი ჰკრა და წააქცია. უგონოდ მთვრალი სულტანი თავათაც წაიქცა და ხვრინვა ამოუშვა.

კარვის კართან ხმაური გაისმა. ნესევიმ შეშინებულმა გამოიხედა: სულტნის მცველ მამლუკებს თორელი შეეპყროთ, ერთს გულზე შუბი მიებჯინა, დანარჩენები ხელებს უკრავდნენ. თორელის ფეხებთან შიშველი სატევარი ეგდო და ლამეში თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა. თურმანი უძალიანდებოდა, მაგრამ ხელიდან დასხლტომას ამაოდ ცდილობდა.

ნესევი მიხვდა, რაც მომხდარიყო, თორელს მწარე ღიმილით შეხედა და თურმანმა ვერ გაიგო, ის ღიმილი ზიზღს გამოხატავდა თუ სინანულს.

— წამოიყვანეთ! — უბრძანა მამლუკებს და თავათ წინ წაუძღვა.

ერთხანს იარეს, თურმანის სამყოფელთან შედგა მოჰამედი.

— ხელი გაუხსენით! — მოუბრუნდა მცველებს.

მამლუკებმა ბრძანება უყოყმანოდ შეასრულეს.

— ახლა დაგვტოვეთ. სულტანს მიხედეთ! — უბრძანა მცველებს, წინ თორელი გაუშვა და კარავში შევიდა.

თორელი სულს ძლივს ითქვამდა. ნესევის ცივ მზერას თვალს არიდებდა და პატრონისკენ არ იხედებოდა.

— ასე გადამიხადე, თორელო? — უთხრა მოჰამედმა, საწოლზე ჩამოჯდა და თვალები ისარივით ჩაასო თორელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორელმა თავი დახარა.

— არ მეგონა, კეთილშობილი რაინდი და ისიც მგოსანი თუ ასე უმადური იქნებოდი! სულტანზე ამართე, განა, მახვილი?

თორელი ხმას არ იღებდა.

— დიდებულ სულტანს ისე როდი აქვს საქმე მოწყობილი, რომ ყოველმა გამვლელ-გამომვლელმა და, მით უფრო, მისმა ტყვემ მოუსწრაფოს სიცოცხლე. შენ ჩემი მონა ხარ, სიცოცხლე მე გაჩუქე და ალბათ, იცი: შენი ყოველი ნაბიჯისათვის მე ვარ სულტნისა და ალაჰის წინაშე პასუხის გამცემი.

თორელმა კიდევ უფრო ჩაჰკიდა თავი.

— სულტანზე რომ მახვილი ამართე, იმ მახვილით მე მკლავდი უპირველესად, რადგანაც სულტნის მოკვლის უბრალო ცდისათვისაც შენი მფარველი და პატრონი აგებს პასუხს.

— დამნაშავე ვარ შენს წინაშე, ჩემო პატრონო, მაგრამ მახვილი სამშობლოს სიყვარულმა და მამულიშვილობის ვალმა ამაღებინა, ხოლო სამშობლოს წინაშე ვალი ყველა სხვა ვალდებულებას აღემატება.

— მერე ჯალალედდინის მოკვლით რა ვალს იხდიდი სამშობლოს წინაშე?

— აკი შენ თვითონ გიბრძანებია არაერთხელ: ჯალალედდინი საქართველოს ბედისწერად იქცა; თქვენს ქვეყანას მანამ არ დაეხსნება, ვიდრე სრულად არ მოსპობსო!..

— მითქვამს და ეგრეც იყო, მაგრამ ეგ ისევ თქვენივე უგუნურებით მოხდა: ქართველებს რომ შორსმჭვრეტელობა გამოგეჩინათ, ჯალალედდინს კი არ უნდა შებრძოლებოდით, მისთვის ოქრო და ლაშქარი უნდა მიგეცათ და იმ მთავარი მტრის წინააღმდეგ ომში დახმარებოდით, რომელიც ახლა თქვენსკენაც მოიწევს და რომელიც ჩვენი განადგურების შემდეგ თქვენც მოგსპობთ.

— დღესდღეობით ხვარაზმის სულტანი აოხრებს საქართველოს და ქართველი კაცის ვალი ის არის, ქვეყანა და ხალხი ამ მტარვალისაგან იხსნას.

— ეგრე მოკლე ჰკუით რომ სჭრით, იმიტომ არის კარგად თქვენი საქმე. შენ თუ შენი ქვეყნის მომავლისათვის ზრუნავ, იმას რატომ ვერ ხედავ, რომ ჯალალედდინის შემოსევა დროებითია და ხვალ თუ ზეგ უკანვე წავა, ხოლო ჩინგიზის მოსვლა გამანადგურებელი იქნება და მის უღელს ველარასოდეს ველარ მოიშორებთ.

— იქნებ საბოლოოდ მართალი იყოთ, მაგრამ ხვალ რა მოხდება, უფლის მეტმა არავინ იცის. ჩემს ქვეყანას დღეს უჭირს და ჩემი ვალი ის იყო, დღევანდელი ჭირი მომეშორებინა საქართველოსთვის.

ნესევიმ ერთი მრისხანედ შეხედა და თვალი თვალში გაუყარა თორელს.

— ხვალ შენს თავთან ერთად ალბათ ჩემი თავიც ძირს დაგორდება. მეგონა, ჩემს წინაშე შენს დანაშაულს შეიგნებდი და პატიებას მაინც მთხოვდი უკანასკნელად, მაგრამ სიკეთისათვის სიკეთე ვის უქნია?!

ნესევიმ მძიმედ ამოიოხრა და ფეხზე წამოდგა.

— ხვალემ იზრუნოს ხვალისათვის, აღსრულდეს ბედის და განგების განაჩენი! — სულტნის მდივანმა ხელი მაღლა ალაპყრო, მერე ერთხელ კიდევ მოხედა თორელს და თავის ქნევით გავიდა კარვიდან. კარავი სულტნის მცველებით იყო გარშემორტყმული.

რაკი ჯალალედდინის ჩრდილოეთისკენ ლტოლვის მიზეზი არ იცოდა, თორელს ეჭვი ჰქონდა, სულტანი, ალბათ, ისევ საქართველოს დასალაშქრავად მიდისო.

საგონებელში ჩავარდნილი ღამეებს თეთრად სტეხდა და იმაზე ფიქრობდა, ან საიდანმე მიდგომოდა სულტანს, ან როგორმე მისი ბანაკიდან გაპარულიყო. გუმანით გრძნობდა, საქართველო აქედან არც ისე შორს უნდა ყოფილიყო; თუ გაქცევას მოახერხებდა, საქართველომდე მიაღწევდა, ქართველებს მტრის მოახლოებას შეატყობი-

ნებდა და უკვე დაუძლურებულ ხვარაზმელებს ერთხელ კიდევ შეებრძოლებოდა.

კარგად დაღამდა თუ არა, კარვის კარს მოადგა თურმანი. კარავთან გუშაგები არ იდგნენ და თორელი ფრთხილად გამოვიდა.

არც მეზობელ კარვებთან ჩანდნენ გუშაგები. გალეული თორელი ნელი, ფრთხილი ნაბიჯით მიჰყვა კარვების რიგს. შერეფ ელ მოლკის მკვლელობიდან უკანმობრუნებულმა მოკლე სატევარი დაიტოვა, ჩუმად უბეში გადამალული. მაშინ ნესევი იმდენად გახარებული და აღელვებული იყო სულტნის დავალების ესოდენ მარჯვედ შესრულებით, ყურადღებაც არ მიუქცევია, თუ რას უბრუნებდა თორელი მიცემული იარაღიდან. ახლა თორელს ის სატევარი ხელთ ჰქონდა დაბლუჯული და თვალის ცეცებით მიდიოდა წინ, სულტნის სამყოფელისკენ.

უცებ კაცის ლანდს მოჰკრა თვალი, კარავს ამოეფარა და სატევარი მოიმარჯვა. ლანდი გაუსწორდა.

თორელმა სულტანი იცნო. ჯალალედინი ღიღინით მოდიოდა. წამით შედგა, ფეხდაფეხ დადევნებულ მცველებს ხელი აუქნია.

— დამეხსენით, მომწყდით თავიდან! — შეუძახა მრისხანედ და მცველები მაშინვე ოთხად მოიკეცნენ.

ჯალალედინი სწრაფი ნაბიჯით გაშორდა თორელის სამალავს. თურმანმა ერთი მიიხედა სულტნის მცველებისაკენ. მცველები შებრუნებულიყვნენ და თურმანი ჯალალედინს აედევნა. სწრაფად მიმავალმა სულტანმა თითქოს იგრძნო, რომ ვიღაც მისდევდა, წამით მოიხედა და ნაბიჯს კიდევ უფრო აუჩქარა.

ჯალალედინი ნესევის კარავში შევიდა. თურმანი შორიახლო მიჰყვა და იმ კარვის კედელს აეკრა.

თორელი თვალს არ აშორებდა სულტანს. ერთ წუთს ყოყმანობდა, შევარდნილიყო თუ არა ნესევის კარავში, მაგრამ სულტნისა და მდივნის საუბრის მოსმენამ გაიტაცა.

მერე მთვრალი სულტანი რომ ნესევის ეცა ყელში და ნჯღრევა დაუწყო, თურმანმა სატევარი ამართა და კარვის კარისკენ ისკუპა.

მაგრამ, ეტყობა, ჯალალედინს თორელის ხელით სიკვდილი არ ეწერა: თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, საიდანღაც სულტნის მცველები გაჩნდნენ, გულზე შუბი მიაბჯინეს და ხელიდან სატევარი გააგდებინეს.

ყველაფერი გათავდა ისევ უილბლოდ და უსახელოდ. ხვალ ჯალალედინის ჯალათი თორელს თავს გააგდებინებს და ალბათ ისევე გაიწკაპუნებს თურმანის კბილებიც, როგორც შერეფ ელ მოლკის კბილებმა გაიწკაპუნეს, როცა მისი თავი დაგორდა ძირს. თორელს თვალი მოუწყლიანდა და თვითონვე გაუკვირდა: თავისი პირადი უბედურებითა და სამშობლოს ავბედობით გამწარებულს სიკვდილი ბევრჯერ უნატრია და ახლა, როცა ეს სიკვდილი ასე ახლო იყო, თურმე სიცოცხლის დასრულება ენანება.

გარეთ ძაღლი ყმუოდა გაბმით, გულის შემღონებელი გრძელი ყმუილით. თურმანს ისე მოეჩვენა, თითქოს ის ძაღლი თორელის კვალზე მოსულ სულთამხდელს ხედავდა და მისი საცოდაობით ატირებული შეჰყმუოდა სიკვდილს, რომელიც გათენებასთან ერთად მოვიდოდა.

იმ ძაღლის ყმუილითა თუ თორელის თავხედობითა და უმადურობით შეშფოთებულ ნესევისაც ძილი გასტეხოდა. იგი ხედებოდა, რომ აღარც თორელის მოკვლას ჰქონდა მნიშვნელობა, აღარც მის სიცოცხლეს. ყველაფერი გათავებული იყო, ბედს განაჩენი გამოტანილი ჰქონდა და უკვე ვეღარაფერს ვერ შეცვლიდა ერთი ან ასი ზედმეტი ღამის გათენება, სულტნისათვის მტრის მახვილის აცდენა და მისი სიცოცხლის ცოტად თუ ბევრად გახანგრძლივება.

განგებას ყოველივე წინასწარ ჰქონია გადაწყვეტილი და რაც ამდენ ხანს უშფოთნია დიდებულ სულტანს, თურმე სულ ამაო ყოფილა. ადამიანები მხოლოდ ბედისწერისაგან დათქმულს აკეთებენ თურმე და ტყუილად ცდილობენ მისი მარწუხებისაგან თავის დაღწევას. ადამიანი ცოცხლობს და იბრძვის, ერთი კუთხიდან მეორეს აწყდება, ქვეყნებს იპყრობს და ხალხებს იმორჩილებს და ჰგონია, თავის ბედსა და სხვებისასაც თვითონ განაგებს, მაგრამ თავს იტყუებს მხოლოდ და მისი ბრძოლაცა და წყვეტებაც მარტოოდენ განგების ძლიერ ხელებში ფართხალი ყოფილა.

აგერ უბედური ჯალალედინი რას არ ეცადა, როგორ არ ეწვალა და რა არ ილონა, მაგრამ ბედის განაჩენს მაინც ვერაფერი უყო, ვერც შეცვალა და ვერც გაექცა: მონგოლების წინსვლა ვერაფრით შეაჩერა, ვერც პირადმა გმირობამ უშველა, ვერც დროის გასვლამ, ვერც ჩინგიზის სიკვდილმა და ვერც ქვეყნის მეორე ნაპირისკენ ლტოლვამ. ასე სცოდნია ბედს, ერთს მოიძულებს და მეორეს შეიყვარებს. ის, ბედისაგან მოძულებული, ამაოდ ებრძვის თავის ხვედრს და ბევრჯერ ისე კვდება, ბედის ერთხელ გაღიმებასაც ვერ მოესწრება.

ასე ყოფილა დასაბამიდან, ქვეყნის რომელიმე კუთხეში გაჩნდება ბრძოლისა და ნგრევის სული, თანდათან გაძლიერდება და მერე უდაბნოს ქარივით დაიძრება; იმ სულმა ერთხანს უნდა იბობოქროს, ყველა წინააღმდგომი ქვეშ უნდა იგდოს და დალეწოს. ამაოა მისი შეკავების ცდა, მის შესაჩერებლად და დასაოკებლად აღდგომა. ბობოქარი სული თავათ უნდა დასცხრეს ამ ქროლვასა და წყვეტებაში, თვითონვე უნდა მოეშვას შინაგანად და ძალაგამოცლილი დადგეს. უგუნურებაა იმ ნგრევისა და შფოთის ბობოქარ სულთან შებრძოლება, მაგრამ, ალბათ, ეს არჩევანიც არ არის ჩვენზე დამოკიდებული, და რაგინდ სხვას ფიქრობდე, მაინც იმ ორომტრიალში ჩათრეული აღმოჩნდები.



გაექცა და გაერიდა ჯალალედინის მამა, დიდი მუჰამედი ჩინგიზის ურდოებს, მაგრამ ვერ უშველა გაქცევამ. წინაღუდგა, შეებრძოლა იმავე ურდოებს ჯალალედინი, მაგრამ ვერც ბრძოლამ უშველა. ბედის განაჩენს ვერავინ შეცვლის და სულერთია, სად მოგისწრებს სიკვდილი.

აი, ახლაც მოდის სიკვდილი, მოდის დაუჭედელ ცხენზე ამხედრებული, და ნესევის ესმის მისი ფეხის ხმა, მისი ცივი და მკაცრი სუნთქვა. იმ სიკვდილს მაინც ვერსად წაუხვალ, იგი შეჰყრის ყველას ერთად, უძლეველ ჩინგიზსაც და უიღბლო ჯალალედინსაც, მტერსაც და მოყვარესაც, ლამაზსაც და მახინჯსაც, ყრმასაც და მოხუცსაც... იმდენად გაუტეხა ნესევის გული ცხოვრებამ მარადიული სიკეთის შესაძლებლობაზე, ბოროტების საბოლოოდ დასჯასა და სიმართლის გამარჯვებაზე, რომ აღარც საიქიო და საუკუნო სასუფეველი სწამს. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ამქვეყნიური ცხოვრების შემდეგ კიდევ იყოს წინასწარმეტყველთაგან აღთქმული მეორე, იმქვეყნიური ცხოვრება! ნესევი დაიღალა და იმ მეორე, დაუსრულებელი ცხოვრებისათვის აღარც ძალა აქვს, აღარც ხალისი.

ადამიანს მხოლოდ არარაობა, არყოფნის სიცარიელე და უსაზღვროება დაასვენებს. ბედნიერება არყოფნა არის და ის არყოფნა ახლა გარდუვალობის ულმობელი სიმკაცრით უახლოვდება მასაც, სულტანსაც...

— ნეტავ დროზე მაინც მოვიდეს! — ამოიოხრა ნესევიმ და თვალი ისე დახუჭა, კვლავ გახელის სურვილი აღარ ჰქონდა.

გვიან დაძინებულმა ნესევიმ ცუდი სიზმარი ნახა, შეშფოთებულმა გაიღვიძა. სიზმარში თავისივე მოჭრილი თავი ედო მუხლებზე მოჰამედს, თავს აღარც თმა ჰქონდა, აღარც წვერი და საგანგებოდ ცეცხლზე გატრუსულს ჰგავდა.

ადრე სიჭაბუკეში თმაგაცვენილ ნესევის სიზმარში გამელოტება ცუდად ჰქონდა დაცდილი.

უკვე გათენებული იყო, მოჰამედმა რომ თვალი გაახილა. საშინელ სიზმარს ჩაუკვირდა. და ასე ახსნა: მისი თავი სულტანი იყო და რაკი ეს თავი სიზმარში მოჭრილი და თმაწვერგაცვენილი ნახა, სულტნის დაღუპვა გარდუვალად ეჩვენა. გაცვენილი წვერი სულტნის ახლობლებად, ხოლო თმა სულტნის ქონებად განმარტა, ჯალალედინი ერთსაც მალე დაჰკარგავდა და მეორესაც.

ჯერ კიდევ სიზმრისაგან ხეირიანად გამორკვეული არ იყო, რომ კარავში თორელი შემოვარდა.

— ადექით, თავს მონგოლები დაგვესხნენ!— შეჰყვირა თორელმა და დაბნეულ ნესევის ხელთ ტანსაცმელი შეაჩეჩა.

მოჰამედმა აცახცახებული ხელებით ძლივს ტანსაცმელი ჩაიცვა და იარაღი აისხა...

თორელი აჩქარებდა. სულტნის მდივან მდივანს ერთი დრამის საღირალი არაფერი უძებნია, მხოლოდ ტყავში ჩასმულ წიგნს დასტაცა ხელი. თორელმა იცნო წიგნი — ორ ცალად ნაწერი ჯალალედინის ცხოვრების მატიანე. ამ წიგნს წლების განმავლობაში დიდი რუდუნებითა და გატაცებით წერდა უბედური სულტნის მდივანი და ამ შრომას თავისი ცხოვრების უმაღლეს და ერთადერთ გამართლებად თვლიდა.

ახლა, როცა ნესევის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, თავის ხსნაზე მეტად ამ წიგნის გადარჩენა აფიქრებდა.

— ვინ იცის, რა ბედი მელის, — მიმართა თორელს ნესევიმ, — ჩემი ცხოვრების აზრი ამ წიგნის დამთავრება იყო, მაგრამ ჩანს, ჩემი სიცოცხლის ალსასრული და ამ მატიანის ბოლო ერთად დამდგარა. ამ წიგნის მეორე ცალს შენ გაბარებ და შემოგვედრებ, როგორმე გადაარჩინო და შეუნახო შთამომავლობას. ამ სიკეთეს არა მარტო სამაჰმადიანო დაგიმადლებს, შენი ქვეყანაც მადლობელი დაგრჩება, რადგან შთამომავლობამ თავისი მტრის ცხოვრებაც ისევე უნდა იცოდეს, როგორც მოკეთისა.

ნესევიმ თორელს წიგნი გადასცა და ორივენი გარეთ გამოვარდნენ.

ცხენებს რომ მოასხდნენ, ნესევიმ სულტნის კარვისკენ გაიხედა და გაფითრდა — მონგოლები გარს ერტყმოდნენ კარავს. სულტანს ალბათ ისევ ეძინა და არ იცოდა, გარეთ რა ხდებოდა.

მოულოდნელად საიდანღაც სულტნის მხედრობა მოვარდა, მონგოლების მეწინავე რაზმს შეუტია, ნაწილი დახოცა, ნაწილიც გაფანტა.

სულტნის ერთი მამლუკი კარავში შეიჭრა და სულტანი გამოიყვანა. თავზე თეთრი ჩაჩი ეხურა საცვლების ამარა სულტანს. ჯალალედინი მორბოდა და თან სახელოებში ხელებს უყრიდა. ცხენზე რომ შეჯდა, პატიოსანთვლებიანი ოქროს დიდი სარტყელი შემოირტყა, მსახურს იარაღი ჩამოართვა, რაზმის უფროსს რაღაც უბრძანა და ცხენს ქუსლი ჰკრა.

— მომყე,— შესძახა თურმანმა და ნესევისა და მისი ცხენებიც ერთდროულად მოსწყდნენ ადგილს.

ისინი სხვა მხრისკენ მიჰქროდნენ.

კარგა გზა რომ გაიარეს, მოჰამედი მიხვდა, თორელმა ჩრდილოეთისკენ აილო გეზი.

უკანმოუხედავად მიაჭენებდნენ ცხენებს. რომელიღაც მდინარეს გასცდნენ, მერე ტყეს აუარეს გვერდი, გრძელი მინდორი გალიეს და კვლავ რომ მდინარეს მიადგნენ, ნესევიმ ცხენი შეაჩერა:

— ცოტა შევისვენოთ, მდევრები მაინც არ ჩანან.

თორელის თანხმობას არ დაელოდა, ცხენიდან გადმოხდა, ლაგამი წაუყარა და მოსართავები შეუშვა.

თორელმაც დაიქვეითა, მანაც ჯერ გაოფლილ ცხენს მიხედა.

— კარგად ითრინეს ჩვენმა ცხენებმა, მდევარი შორს მოვიტოვეთ და,

ალბათ, ჩვენი კვალიც დაჰკარგეს, — თქვა თორელმა და ტანსაცმლიდან მტვერი დაიბერტყა.

— მდევრები... მგონი ჩვენ სულაც არავინ მოგვდევდა... ჩვენ ვის ვუნდივართ, მონგოლები სულტანს დაედევნებოდნენ... ნეტავი თუ გაასწრო მბრძანებელმა.

— გაასწრებდა. კარგი ცხენი ჰყავდა. სანამ მონგოლები მის ჯარს გაუსწორდებოდნენ, სულტანი სამშვიდობოს იქნებოდა.

— ვინ იცის, ყველაფერი ალაჰის ნებაზეა, უმისოდ კაცის თავიდან თმის ღერიც არ ჩამოვარდება, — ოხვრით თქვა ნესევიმ და თმის ღერის ხსენებამ წუხანდელი სიზმარი მოაგონა. მისი სათაყვანებელი სულტნის თავი იქნებ მართლაც მოჭრილი გდია ახლა მონგოლთა ნოინის ფერხთქვეშ.

ნესევის თვალზე ცრემლი მოადგა.

— ჩვენი გზები აქ იყრება, თურმან, შენ სამშობლოსკენ წახვალ, მე კი...

— შენც ჩემთან წამოხვალ, მოჰამედ, ჩემი სახლი შენი სახლი იქნება, საქართველო სტუმართმოყვარე ქვეყანაა, ნახავ, როგორ შეგხვდებიან.

— არა, თურმან, მე საქართველოში არ მიმესვლება. ჯალალედინისა და შერეფ ელ მოლკის სისასტიკის გამო ქართველებისათვის ყველა ხვარაზმელი მოსისხლე მტერია. მე სულტნის გზა და კვალი უნდა ვეძიო, სიცოცხლეც მასთან გავატარე და სიკვდილიც მასთან მიწერია. შენ სამშობლო გაქვს და ბედნიერი ხარ. მე სამშობლოში ველარ დავბრუნდები და სულერთია, სად ჩავკვდები.

ნესევიმ ამოიოხრა და ლოყაზე ცრემლი დაუგორდა.

— ამიდის მფლობელთან, ელ მოჯაფერთან წავალ. თუ სიკვდილს გადაურჩა, ალბათ, სულტანიც მას შეაფარებდა თავს.

— ნება შენია, მოჰამედ. მე კი მზად ვარ, ყოველნაირად გემსახურო.

— ვიცი, თურმან, მაგრამ წილი უკვე ნაყარია და ჩვენი გზები აქ იყრება.

— მაშ, ეს წიგნიც დაიბრუნე, უკვე სამშვიდობოს ვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამშვიდობო ჯერ შორს არის ჩემთვის, თურმან, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხიფათს გადავეყრები ან სიკვდილი სად ჩამისაფრდება.

— ღმერთმა გაშოროს სიკვდილი და უბედურება.

— სიკვდილისა არ მეშინია, თურმან, მაგრამ ამას ვწუხვარ, რომ ჩემი სამშობლოს უნახავი მოვკვდები, მისგან შორს, მისი გათავისუფლების ამაოდ მნატვრელი. თქვენი მგოსნის ლექსი მახსენდება, თურმან, რა კარგად უთქვამს:

ვა, სოფელო, რა შიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
სად წაიყვან სადაურსა,
სად ალუფხვრი სადით ძირსა!..

არაბულად, წამღერებით წარმოსთქვა მოჰამედმა რუსთაველის ლექსი, თვალები მოუწყლიანდა და თორელს მოეხვია.

— დაივიწყე წუხანდელი წყენა. ჩემს ადგილზე შენც ასე მოიქცეოდი... ცხოვრება ისეა მოწყობილი, კეთილშობილ ადამიანებს ყოველთვის არა აქვთ უფლება თავიანთი ღირსების შესაფერისად მოექცნენ ერთიმეორეს.

ორივეს ცრემლი მოადგა. მათ თვალწინ წამით გაირბინეს ერთად გატარებულმა დღეებმა, რუსთაველის ქმნილების თარგმნაზე ერთად გათეულმა ღამეებმა.

მამაშვილურად გადაჰკოცნეს ერთიმეორე. მოჰამედი ცხენზე შეჯდა და მდინარის ნაპირს აჰყვა დასავლეთისკენ.

მეორე დღე იწურებოდა.

მოდიოდა დაღლილი და გაწამებული თორელი.

გზაზე აღარც ღამის გასათევი შეხვედრია, აღარც ფუნდუკი და ხანაგა, არც სადმე ქარავნის სადგომი.

ნანგრევებსა და ნახანძრალებში წვიმისა ან სიცხისაგან მცირე ხნით თავის შეფარებას თუღა შეძლებდა კაცი, თო-

რემ აღარც სკამი და ლოგინი იყო სადმე, აღარც სულიერი ვინმე, რომ ლუკმა გაემეტებინა და გზა მაინც ესწავლებინა.

მდინარეებზე ხიდი აღარსად იყო და თორელს დიდი მანძილის გავლა უხდებოდა ფონის საძებრად.

გზის ახლომახლო სოფლები ერთიანად დაცარიელებული იყო. ხანძარსა და ნგრევას გადარჩენილ სახლებში კაციშვილი აღარ დარჩენილიყო, ოთხფეხი და ფრინველი აღარსად ჭაჭანებდა და დაყრუებულ ორღობეებში ძაღლის ყეფაც აღარ ისმოდა.

აგვისტო იდგა. ამ დროს აქაურ ვენახებში ყურძენი უკვე შემოსული უნდა ყოფილიყო და ხილით დახუნძლულ ბაღებში მკრეფელები უნდა მდგარიყვნენ, მაგრამ ვაზი ძირადაც აღარსად იყო, ხოლო აჩეხილსა და ცხენებისგან გადაჭმულ ხეხილს ნაყოფი წამლად აღარ შერჩენოდა.

კეთილნაშენი, სიცოცხლით სავსე სოფლები მოშლილიყვნენ, ჩამკვდარიყვნენ და დაყრუებულიყვნენ. ხალხი ან გამწყდარიყო, ან აქაურობა მიეტოვებინა და თავის გადასარჩენად მთებში გახიზნულიყვნენ.

ექვს წელზე მეტი არ ენახა სამშობლო თორელს. იცოდა ხვარაზმელების მხეცობა, სისასტიკე და დაუნდობლობა, მაგრამ მთელ ქვეყანას თუ ასე გააჩანაგებდნენ და მიწასთან გაასწორებდნენ, ეს კი ველარ წარმოედგინა.

აქა-იქ თითო-ოროლა კაცი რომ გამოჩნდებოდა, თორელის დანახვაზე თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ, უკან არ იხედებოდნენ და ტყეში შესწრებას ჩქარობდნენ. თორელის ძახილი და მუდარა არ სჭრიდა, ადგილზე არავინ იცდიდა და აღარც უკან ბრუნდებოდა ვინმე. პირველად ვერ გაეგო თორელს, ასე საფრთხობელასავით რატომ აშინებდათ მისი გამოჩენა. მაგრამ თავის თავს რომ დაუკვირდა, მიხვდა: მიზეზი მისი ხვარაზმული ჩაცმულობა იყო.

მაინც ცხელოდა, ქუდი გადააგდო და ხალათი გაიძრო, ასე უფრო ნაკლებად ეცემოდათ თვალში ქართველებს მისი „ხვარაზმელობა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარესთან სამიოდე ბიჭს მოჰკრა თვალი, თევზაობდნენ. სანამ ისინი დაინახავდნენ, თორელმა დაასწრო და თავათ გასძახა:

— ქართველებო, ქრისტიანებო!

ბიჭები დაფრთხნენ, თევზის ჭერას თავი ანებეს, ბადეები და კალათები მიატოვეს და ტყისკენ მოჰკურცხლეს.

— მობრუნდით, მეც ქართველი ვარ, ქრისტიანი ვარ!—მისძახოდა თორელი, მაგრამ ბიჭები უკანმოუხედავად გარბოდნენ.

თორელი მდინარის პირას მივიდა, ცხენიდან გადმოხდა. კალათები სავსე იყო ჯერ კიდევ ცოცხალი კალმახებით. თურმანმა ჩაიჩოქა, დააცქერდა წითლად დაწინწკლულ კალმახს და თვალი ველარ მოსწყვიტა.

იქვე პატარა ხურჯინი იყო ფერდობზე მიწოლილი. ხურჯინიდან ტიკჭორას ამოეყო თავი. მებადურების საგზალი არც ისე ღარიბი უნდა ყოფილიყო.

ორი დღის უსმელ-უჭმელ თურმანს პირს ნერწყვი მოადგა, ერთი ფიქრი ისიც გაიფიქრა, დამჯდარიყო, ხურჯინიდან საგზალი ამოელაგებინა და ტიკჭორისთვის თავი მოეხსნა, მაგრამ მაშინ ხომ მართლა მტრად ჩათვლიდნენ მებადურები. გუმანით ხვდებოდა თორელი, ის ბიჭები აქვე სადმე უნდა ყოფილიყვნენ დამალულნი და შორიდან უთვალთვალებდნენ.

— სადა ხართ, ხალხნო! ქართველებო! ქრისტიანებო!..—გასძახა თორელმა და გაიყუჩა.

პასუხად ისევ დუმილი და სიჩუმე იყო.

მაშინ თორელი ჩამოჯდა და თუმცა ეტირებოდა, ნელა წამოიწყო ხალხში გავრცელებული სიმღერა:

ნეტავ რა არი მისთანა,
ამომავალი მზისთანა,
ტაძარი გელათისთანა,
მეფე თამარ ქალისთანა...

---

**გრიგოლ აბაშიძე**

**დიდი ღამე**

თორელის ეშმაკობამ გასჭრა, სამალავიდან ნელ-ნელა გამოვიდნენ ბიჭები, ჯერ ერთიმეორეს მიაჩერდნენ, მერე მდინარისკენ გაუბედავი ნაბიჯით წამოვიდნენ და შორიახლო შეჩერდნენ.

— ქრისტიანი ხარ? — შემკრთალი ხმით იკითხა შორიდან ერთმა.

— ქრისტიანი ვარ, ქართველი ვარ! — შესძახა თორელმა და გულში მჯიღი დაიკრა.

— ნამდვილად ქართველი ხარ? — ახლა მეორემ იკითხა.

— ქართველი ვარ, ქრისტეს მადლმა! — ისევ შესძახა თორელმა, მერე მუხლზე ჩაიჩოქა და სამჯერ პირჯვრის წერით თქვა: — ქართველი ვარ, საქართველოს ყველა წმიდანის მადლმა, ქრისტიანი ვარ, ქრისტეს მადლმა და ძალმა.

ბიჭები ნელა, მაგრამ უფრო გაბედული ნაბიჯით წამოვიდნენ თორელისკენ.

— აქაურები ხართ? — ახლა თორელმა იკითხა.

ბიჭებმა ერთიმეორეს გადახედეს და მერე ერთმა თავის ქნევით დაუდასტურა:

— აქაურები ვართ, მაგრამ აქ აღარ ვცხოვრობთ, მთებში ვართ გახიზნულნი.

— ორი დღეა, პირში ლუკმა არ ჩამსვლია, — ოხვრით თქვა თორელმა და თვალი საგზლით გატენილ ხურჯინს მიაპყრო.

პატრონებმა ხურჯინს თავი მოხსნეს და საგზალი ამოალაგეს. მრგვლად მოხარშული ვარია, გუდის ყველი და დედას პურები დააწყეს მწვანე მოლზე.

თორელმა მიპატიჟებას აღარ დაუცადა, პური შუაზე გაგლიჯა, ქათამს ბარკალი აახლიჩა და ისე დახარბებული ეცა საჭმელს, გეგონებოდა, ვინმე მოსდევს და ეშინია, არ წამართვასო.

ბიჭები გაკვირვებული უყურებდნენ, თავათ შორიახლო ისხდნენ და ხელს არაფერს ჰკიდებდნენ.

— ღვინოს არ დალევ? — იკითხა ერთმა.

— როგორ არ დავლევ, თუკი ამ სიკეთესაც მიზამთ?! — გაებადრა სახე თორელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ვიცით, ყველა მუსულმანი არა სვამს და...

— მერე მე რა მუსულმანი ვარ! — გაეცინა თორელს. — ჩემს ჩაცმულობას თუ უყურებთ, ტყვეობიდან ვბრუნდები, მეშვიდე წელია ხვარაზმელთა ტყვე ვიყავი.

— მეშვიდე წელი? — გაიკვირვეს ბიჭებმა.

— ჰო, მეშვიდე წელი, არც მეტი, არც ნაკლები! — დაუდასტურა თორელმა და ღვინით სავსე სასმისი ჩამოართვა. — ამ ღვინის მადლი დაილოცოს, მის მომყვან ხალხსა და ქვეყანას გაუმარჯოს, ჭირი აშოროს და ლხინი უმრავლოს! — საჭმლის ღეჭვით თქვა პირგამოტენილმა და ღვინო გადაჰკრა. — უჰ, რა ღვინოა! — ამოითქვა სული და პირი გააწკლაპუნა, მერე ულვაშებზე ხელის ზურგი გადაისვა და ჭამა განაგრძო.

— თავათ სადაური ხარ? — ისევ იკითხა რომელიღაცამ.

— თავათ თორიდანა ვარ, ახალციხის მხრიდან.

— შალვა ახალციხელიც თორელი იყო! — აღმოხდა მეორეს.

— თორელ-ახალციხელები გარნისთან ჩაიხოცნენ, ერთიც არ გადარჩენილა.

— ვინც გადავრჩით, ტყვედ ჩავვარდით.

— შენც გარნისთან დაგატყვევეს?

— გარნისთან, მეც, შალვაც, ზოგი სხვაც...

— შალვა წამებით მოჰკლეს იმ ურჯულოებმაო, მართალია?

— მართალია.

— შენ როგორღა გადარჩი?

— ეს გრძელი ამბავია. ალბათ, ბედი იყო.

— ხალხი ამბობს, შალვას რომ მარცხი არ მოსვლოდა, ხვარაზმელები ფეხს ვერ შემოდგამდნენ ჩვენს მიწა-წყალზეო.

— იმასაც ამბობენ, შალვას მარცხი ღალატით მოუვიდაო, მართალია?

— იქნებ მართალიც იყოს, ძნელი სათქმელია.

— როგორ თუ ძნელი სათქმელია, შენ ხომ იქ იყავი?!

— იქ ვიყავი, მაგრამ მე ხელჩართულ ომში ვიბრძოდი და უკან რა მოხდა, მთავარ ბანაკში, არ ვიცი.

— უკან რა უნდა მომხდარიყო?

— ვინ იცის, რა მოხდა. ჩვენ, მესხები, წინამბრძოლები ვიყავით, პირველნი ჩვენ შევხვდით მტერს. მტერი ურიცხვი იყო, ჩვენ — სულ ოთხი ათასი. ვეფხვებივით ვეკვეთეთ და ერთხანს უკანაც დავახევინეთ, მაგრამ ბოლოს მტრის სიმრავლის ზღვამ იმძლავრა და წვეთივით შთაგვნთქა. ქართველთა მთავარი ლაშქარი ჩვენს უკან იდგა გარნისის მთებზე. იქ რა მოხდა, ჩვენგან არავინ იცის, ეს კია, რომ სამჯერ შეუთვალეს შალვამ და ივანემ, ჯარი მოეშველებინათ, მაგრამ მშველელი არ გაჩნდა. ისე წაგვლეკა მტრის სიმრავლემ, ჩვენს მთავარ ლაშქარს თითიც არ გაუნძრევია.

— ღალატი ყოფილა, მა რა ჯანდაბაა!

— ჩვენებსავე გაუწირიხართ და ეგა ყოფილა!

— ჰაი, ღედასა, იქ ვყოფილიყავი! — მუჰი შეჰკრა და მუქარით უმისამართოდ დაიქნია ბიჭთაგან უფროსმა.

თორელმა უკანასკნელი ფრთა რომ აილო, მაშინ მიხვდა, მთელი ქათამი მარტოს გაეთავებინა.

— ეს რა ვქენი, საგზალი ისე გაგითავეთ, ლუკმაც არ შეგახვედრეთ! — იტყოდა თორმანმა.

— ღმერთმა შეგარგოს! ჩვენ ნასაუზმევი ვართ. თევზსაც მოვიხარშავდით, მაგრამ ცეცხლის დანთებისა გვეშინია, ხვარაზმელი მარბიელები წამოგვადგებიან თავს.

ამის თქმა და ცხენოსნების გამოჩენა ერთი იყო. ბიჭებმა დაინახეს უცხო ცხენოსნები, ისევ მიატოვეს ყველაფერი და ტყისკენ გაჰქუსლეს.

თორელმა ცხენოსნებისკენ მიიხედა. ხუთიოდე იქნებოდა, ხვარაზმელები უნდა ყოფილიყვნენ.

ეტყობოდა შემშინებლებს თავათ შეეშინდათ. ერთ წუთს შეყოვნდნენ, მერე ცხენები შეატრიალეს და ქუსლებით გაშორდნენ იქაურობას.

თორელი დიდხანს ელოდა ბიჭების გამოჩენას, ბევრი უძახა, მაგრამ გაქცეულები ტყიდან ველარ გამოიყვანა.

ლოდინით გული გაუწყალდა. წამოდგა და კალთა დაიბერტყა. ცხენს რომ მოახტა, მაშინ გამოჰყვეს თავი ბიჭებმა ტყიდან.

— რამ დაგაფრთხოთ, ეგრე რამ დაგაგლახავათ!. ვერა ხედავთ? იმათ უკვე ჩვენი ეშინიათ!

ბიჭები მიუახლოვდნენ.

— აქ ახლომახლო კაცი ვერსად გაათევს?

— ვერსად. სოფლებში კაცის ჭაჭანება აღარ არი. ისევ მონასტერში თუ ახვალ.

— მონასტერი გადარჩა?

— მხოლოდ ეგ ერთი მონასტერი გადარჩა მთელ ლიხსაქეთ, ამბობენ წინამძღვრის წმიდანობამ და ჯალალედინის სიზმარმა გადაარჩინაო.

— ჯალალედინს სიზმარში ლომზე მჯდარი მაჰმადი გამოცხადებია, ამა და ამ მონასტერში ვარ, თაყვანი მეცი და შესაწირავი მაახლეო. ჯალალედინი მონასტერში მისულა და გუმბათზე სწორედ ლომზე მჯდომი მაჰმადის ის გამოხატულება უნახავს, სიზმრად რომ გამოცხადებია. სულტანს მონასტრისთვის წყალობა შეუწირავს და ხვარაზმელები გაუფრთხილებია, მონასტერს არ შეხებოდნენ.

— ზღაპარია! ქრისტიანულ მონასტერში მაჰმადის ხატს რა უნდოდა?!

— ჩვენ თავათ გვინახავს, ჩვენი თვალით. ტაძრის გუმბათზე გამოხატული მაჰმადი. ლომზე ზის და ქვემოთ წარწერაც აქვს ქარაგმიანი.

თორელს გაეცინა ბიჭების გულუბრყვილობაზე.

— დაღამებამდე ვიქნები მონასტერში?

— იქნები, თუ კარგად ივლი.

თურმანმა მადლობა გადაუხადა მასპინძლობისათვის და ცხენი იქით დასძრა, *სადაც ბიჭებმა მონასტრის გზა* უჩვენეს.

კარგად დაბინდებული იყო, მონასტერს რომ მიაღწია. ომიანობითა და შფოთით დაშინებულმა ბერებმა კარი არ გაუღეს. ვინაობა და მოსვლის მიზეზი გამოჰკითხეს და წინამძღვარს მოახსენეს.

თორელი რომ გაიგონა, წინამძღვარი ცას ეწია სიხარულით. ბორბლებიანი სკამით მოაგორებდნენ „წმიდანად" წოდებულ წინამძღვარს.

თორელმა შორიდანვე შეიცნო უკვე საფეთქლებთან თმაგათეთრებული, მკერდზე წვერდაფანჩული პავლია კუტი.

სიძე-ცოლისძმა ალტაცებით გადაეხვივნენ და ცრემლით დაულტეს გულმკერდი ერთიმეორეს. ხვევნა-კოცნას რომ მორჩნენ, თორელმა მაშინვე იკითხა:

— ჩვენები როგორ არიან? ხომ ცოცხლები გადარჩნენ?

— ცოცხლები არიან, — ჩუმი ამოოხვრით თქვა წინამძღვარმა და თავი ჩაღუნა, რომ თორელს თვალში არ შეეხედა. — ბიჭი უკვე დიდია, დედაც კარგად არი...

— ცაგო? ცაგო როგორღა არი? — იკითხა ისევ თორელმა და ამაოდ სცადა კუტის დახრილ თვალებში პასუხის ამოკითხვა.

— ცაგო... კარგად... თუმცა ცოტა შეუძლოდ იყო... — დანაშაულზე წასწრებულივით, დაბნეულად მიუგო პავლიამ და მახეში გამომწყვდეულივით მოავლო თვალი იქაურობას.

— შენ რაღაცას მიმალავ, პავლია! აბა, დაიფიცე, ამ ხატზე დაიფიცე! — უთხრა გაფითრებულმა თორელმა, თავი აუწია და მთავარანგელოზის ხატისკენ გაახედა.

პავლიამ პასუხის მაგივრად ტირილი ამოუშვა და თავში ხელი წაიშინა.

შუაღამემდე ტირილით უყვებოდნენ ერთმანეთს ქვეყნისა და თავთავიანთ ამბებს. რაზედაც უნდა ელაპარაკნათ, *მაინც გარნისის საბედისწერო ომს* უბრუნდებოდნენ.

— მაინც რა მოხდა გარნისთან? ექვსი წელია, ეს კითხვა მაწვალებს და პასუხი ვერ მიპოვნია. ნუთუ მართლა გაგვწირა მხარგრძელმა და მთელმა მხედრობამ?

— არა მგონია, თურმან. მხარგრძელი ესოდენ დიდი დანაშაულის ჩადენას ვერ გაბედავდა.

— შეუძლებელი არაფერია. მხარგრძელს ახალციხელების შური და მტრობა ჰქონდა.

— პირად მტრობას საქართველოს ბედილბალს როგორ ანაცვლებდა! ეგეც არ იყოს, ასე თავის ნებაზე ვინ მიუშვებდა? კბილით დაგლეჯდნენ დანარჩენი სარდლები — ცოტნე დადიანი და ეგარსლან ბაკურციხელი, ვარამ გაგელი და სურამელი... ასე აშკარა ღალატს როგორ გაბედავდა?!.

— სამჯერ გაუგზავნა მხარგრძელს კაცი შალვამ, სამგზის სთხოვა ჯარის მოშველება. ბოლოს, როცა იმედი გადაუწყდათ, თავათ ივანე აიჭრა მთავარ ბანაკში, მაგრამ არც მაშველი ჯარი გაჩნდა და ივანეც დაიღუპა.

— ამბობენ, ჩვენი ბანაკიდანვე გამოტყორცნილმა ქვამ მოჰკლა ივანე ახალციხელიო.

— ეგ ხომ მაინც ცხადი ღალატია! — შესძახა თორელმა.

— ღალატია, მაგრამ ვისგან, აი, ეს არის გამოსაცნობი. გარნისიდან ლტოლვილი მხედრები ერთნაირად ჰყვებოდნენ მომხდარ ამბავს. ბრძოლის წინა დღეს შირვანელი მოქარავნენი მისულან ჩვენს ბანაკში, მხარგრძელთან რაღაც დიდი სათხოვარი ჰქონიათ, ძვირფასი ძღვენი და ღვინო მიურთმევიათ. ივანე მეორე დღეს მტრის შემოტევას არ ელოდა თურმე. დედოფლის ძეობის ამბავი მოსვლია. გახარებულს და ბანაკის მიუდგომლობით გულდაარხეინე-

ბულს სარდლებისათვის სუფრა გაუშლია, თავათაც უსვამს და სხვებისთვისაც ბლომად დაულევინებია. სუფრის შემდეგ ყველას დაბანგულივით დასძინებია, მარტო ივანეს არ ეძინა თურმე მთელი ღამე, გულის რევა და კუჭის ტკივილი ასტეხია მწვავე. ახალციხელები იმ სუფრაზე არა ყოფილან თურმე და ამასაც უკუღმართად ხსნიან: შალვამ და ივანემ იცოდნენ, ღვინო რომ მოწამლული იყო, თავათ არ დალიეს და სხვებიც არ გააფრთხილესო.

— სიცრუეა, ცილის წამებაა! — აღშფოთდა თორელი. — იმ დღეს სულ მათთან ვიყავი, შუაღამემდე არ მოვშორებივარ ახალციხელებს და ნამდვილად ვიცი, რომ მათ არც შირვანელების სტუმრობა გაუგიათ, არც ძღვენის მორთმევის ამბავი.

— მჯერა, რომ აგრე იქნებოდა. შირვანელი მოქარავნენი, როგორც ჩანს, მტრის შემოგზავნილები იყვნენ ჩვენს ბანაკში, თავიანთი საქმე გაუკეთებიათ და იმ ღამესვე გაპარულან. დილით ბრძოლა ისე დაწყებულა, ჩვენს სარდლებს მკვდრებივით სძინებიათ. მარტო მხარგრძელი ყოფილა ფხიზლად და ისიც ტკივილისა და გულის რევისაგან ცოცხალ-მკვდარი. მაინც მოუყვანინებია ცხენი მხარგრძელს, მაგრამ შეჯდომა და ცხენის წაქცევა ერთი ყოფილა — ცხენს ფეხის ძარღვები ჰქონია გადაჭრილი.

— მაშ, თავათ ივანეც გაუყიდნია მოღალატეს...

— აგრე ყოფილა! — დაუდასტურა წინამძღვარმა. — მხარგრძელი რომ გულშეწუხებული დაცემულა, ბანაკში ყვირილი ამტყდარა: მხარგრძელი მოჰკლეს, მხარგრძელი მოჰკლეს, თავს ვუშველოთო!.. ჯერ ლეკნი და ოვსნი, ჯიქნი და ძურძუკნი დამფრთხალან და გაქცეულან, ამასობაში მტრის ცხენოსნებიც გამოჩენილან, არეულსა და შეშინებულ ბანაკს შესევიან და ყველაფერი ერთბაშად მოშლილა. მოულოდნელი ელდისა და თავდასხმისაგან გონდაკარგულ ქართველობას მტრისთვის ზურგი უჩვენებია. ერთიმეორეს ასწრებდნენ თურმე, ვინ ცხენითა და ვინ ქვეითად, ძმა ძმას ველარ ცნობდა, მამა შვილს. ყველა თავის გადარჩენაზე ფიქრობდა თურმე და გაქცეული ლაშქრის შეჩერებასა და თავის მოყრაზე აღარავინ ზრუნავდა. თავათ მხარგრძელი რომელიღაც ერთგულ მსახურს შეუსვამს თავის ცხენზე და იქაურობისთვის გაუშორებია. დაღევნებულ მტერს უწყალოდ უქლეტია ლტოლვილი ქართველობა და მიუდგომელ მთებზე გამართული უზარმაზარი ბანაკი უბრძოლველად ხელთ ჩავარდნია. ჯალალედინი გაოცებულა თურმე ჩვენი ბანაკის ხილვისას და ასე უთქვამს: ესოდენ გამაგრებული და მიუდგომელი ბანაკის დაცემა ადამიანის ღონეს აღემატება და მხოლოდ ღვთის ძალას შეეძლოო.

— ჭეშმარიტად ეგრეა. გარნისის ბანაკის აღებას მტერი ვერ შესძლებდა, შინაგაცემა და ღალატი რომ არ ყოფილიყო.

— გარნისის ბრძოლის შემდეგ ნახევარ წელზე მეტი გავიდა, ვიდრე ჯალალედინი თბილისს აიღებდა, ღვინი და გარნისი საქართველოს შორეული მისადგომები იყო. ქვეყნის მეთაურებს ბევრი დრო ჰქონდათ ღონის მოსაკრებად, ახალი ლაშქრის შესაგროვებლად და მტრის დასახვედრად.

— გარნისთან ჩავიდა საქართველოს ძლიერების მზე, — აღმოხდა თორელს. — სწორედ გარნისის ბრძოლამ გამოამჟღავნა, რომ საქართველოს სახელმწიფოს სხეულს ჩუმი ჭია გაჩენია და იდუმალი ხრწნა მორევია. გარნისის ომში იჩინა თავი იმ ძნელმა სატკივარმა, რომელიც კარგა ხანია ღრღნის ჩვენი ქვეყნის ძლიერებას: მძლავრი სახელმწიფო ხელისუფლების დასუსტებამ დაშალა ქართველ მთავართა და ერისთავთა ერთი პირი და ერთნებობა. ლაშას უდროო სიკვდილი დიდი უბედურება იყო საქართველოსთვის, ქვეყანას სათავეში ჩაუდგა სუსტი და უნე-

ბისყოფო ქალი, რომელსაც დიდი თამარისა არც სიბრძნე გამოყვა, არც სიმტკიცე და ნებისყოფა. სადავემიშვებულმა მთავრებმა ნელ-ნელა დაივიწყეს თავიანთი უმაღლესი მოვალეობა — ტახტისა და ქვეყნის მორჩილება და სამსახური: თითოეულმა თავისი უფლებისა და სამფლობელოს გაფართოება ამჯობინა, თავი ძველებურად მეფის ადგილას მჯდომელად ჩათვალა და ძველებურად ურთიერთ ქიშპსა და მეტოქეობას ანაცვალა სახელმწიფოს ძლიერება.

— ეტყობა, მარტო მეფის სისუსტე არ უნდა იყოს ყველა უბედურების მიზეზი. ჩანს, მეფის კარის მოღვაწეთა შორისაც აღარ არიან ძლიერნი და გონიერნი, ქვეყნისათვის თავისდამდებნი და ტახტის ერთგული ვაზირნი და დიდებულნი, მსგავსად ორთავ ძმათა მხარგრძელთა და ახალციხელთა, რომელნიც იყვნენ ბურჯნი სახელმწიფოს სიმტკიცისანი ნეტარი თამარის დროს.

— ვაი, რომ აგრეა, მეფის კარზე შექცევასა და სახიობაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე ქვეყნის დაცვასა და განმტკიცებაზე. თავათ მხარგრძელთა მემკვიდრენი, წყობათა შინა ძლიერ და ახოვან სარდალთა ძენი ავაგი და შანშე მანდატურთუხუცესი ქვეყნისა და ტახტის საქმეს თავს არიდებენ და უფრო თავის გადარჩენასა და შექცევანადიმებზე ზრუნავენ.

— მაშ დაღუპულა საქართველო, თუ აღარც მეფე ჰყავს მზრუნველი და აღარც ერისმთავარი. იმის მაგივრად, რომ დაგვეცვა და შეგვენახა საქართველოს ძლიერება, ქვეყანა დავამხეთ და დავაუძლურეთ...

— მერე გვაპატიებს, განა, შთამომავლობა? ვინ იცის, იქნებ სამუდამო საწყევად ვუტოვებთ ჩვენს სახელს შვილთა და შვილიშვილთ.

— ძლივს გამობრწყინდა საქართველოს სახელი და ჩვენივე უგუნურებით დავაბნელეთ. ხალხი ამბობს, ცისკარი ერთხელ იხსნებაო და ვაი თუ ჩვენს მიერვე დახშული ცისკარი კვლავ არასოდეს აღარ გაიღოს საქართველოსთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მაშინ ჩვენს სახელს უკუნითი უკუნისამდე წყევლით მოიხსენიებს შთამომავლობა!

— ახლა მთელს დედამიწის ზურგზე ისეთი ძალები ამოძრავდნენ, ისე დიდი გრიგალები დაიძრნენ, რომ ჩვენისთანა ერს ძალთა დიდი მოკრება და გონიერება მართებს, რათა თავი შეინახოს და გადაირჩინოს.

— ჩვენ უბედურებმა მთელი ძალა ხვარაზმელებთან ბრძოლას შევალიეთ და ახლა უფრო ძლიერი მტერი რომ მოგვადგება კარს, ალბათ წინააღმდეგობის გაწევასაც ველარ შევძლებთ. ჩვენ რომ ხვარაზმელებს დარაზმულნი დავხვედროდით და გარნისთან უკუგვექცია, ქვეყანა არ მოოხრდებოდა, ხალხი არ დაძაბუნდებოდა და მონგოლებსაც ისევე ღირსეულად დავხვდებოდით, როგორც ლაშას დროს. ახლა, რაკი ხვარაზმელების საქმე უკუღმა წავიდა, იქნებ მონგოლების მოსვლამდე საქართველომ კიდევ მოასწროს ღონის მოკრება და გაძლიერება. რას ფიქრობენ, რას შვრებიან ჩვენი ქვეყნის მესვეურები, მეფე და მხარგრძელი?

— ხვარაზმელთაგან ლტოლვილი მეფე ლიხსიქითაა შეფარებული, ხოლო მხარგრძელი... — პავლეა კუტი შეჩერდა და სული მოითქვა: — მხარგრძელს მე თვალდ დავუხუჭე თვალი ამ მონასტერში, წესიც მე ავუგე და მევე გავაპატიოსნე.

— როგორ? უკვე მიიცვალა ივანე?

— მიიცვალა, ჩვენს მონასტერში მოკვდა ბერად შემდგარი.

— ბერად აღიკვეცა მხარგრძელი?

— გარნისის მარცხიდან წელიწადიც არ იყო გასული, ჩვენს მონასტერს რომ მოადგა. დიდი შესაწირავი შემოსწირა და ბერად აღკვეცას შემოგვევედრა.

— ივანე ათაბაგი, თითქმის უგვირგვინო მეფე, ბერად რატომ უნდა შემდგარიყო, თუ ცოდვა რამე არ აწუხებდა?!

— ვერ გეტყვი, თურმან. აღსარებაშიც ისეთი არა უთქვამს რა. გულმხურ-

ვალე მლოცველი იყო და ბერული წესის ბეჯითად აღმსრულებელი. ერთთავად თავის სენაკში იყო ჩაკეტილი, ხმამაღლა გოდებდა და ღმერთს ცოდვათა მიტევებას ევედრებოდა. ერთხელ, ღამე, ხმამაღლა ღაღადისი მომესმა, ვილაც გოდებდა ბოხი ხმით. ჩემი სენაკიდან სკამით გამოვგორდი. მხარგრძელის სენაკი იქვე იყო. ღაღადისი იქიდან მოისმოდა. ყური მივუგდე და ეს ლოცვა გავიგონე: „ნეტარ არს კაცი, რომელსა არა შეურაცხა უფალმან ცოდვაი და არცა არს სულსა მისსა ზაკვაი. რამეთუ დავდუმენ მე, განკფდეს ყოველნი ძვალნი ჩემნი ღაღადებითა ჩემითა მარადღეს. რამეთუ დღედაღამე დამიმძიმდა ჩემზედა ხელი შენი. მივიქეც მე გლახაკებად, რამეთუ განმესხა მე თვალი. ცოდვაი ჩემი გაუწყე შენ და უშჯულოება ჩემი არა დავფარე შენგან. ვთქვი: აღუვარო ბრალი ჩემი უფალსა და შენ მომიტევე მე უღმერთოება გულისა ჩემისა“...

მდუღარებით ლოცულობდა მხარგრძელი. ბერიკაცის ბოხი ხმა გაბზარულივით ქღერდა და უფრო მოთქმას გავდა, ვიდრე ვედრებას. სენაკში მლოცველს ალბათ ხმაური ჩაესმა, ღაღადისი შესწყვიტა და ერთხანს მონასტერში ისევ დუმილი ჩამოვარდა. მერე სენაკის კარი გაიღო და მლოცველმა სიბნელეში იკითხა:

— მანდ რომელი ხარ?

— მე ვარ, მამაო იოანე, — მივუგე დანაშაულზე წასწრებულივით შეცბუნებულმა, — მე ვარ, წინამძღვარი. არ მეძინა მე ულირსს და სულის მოსათქმელად გარეთ გამოვედი. არც შენ გძინავს, მამაო?

— ჩემთვის ძილი და მოსვენება დიდიხანია დაკარგულია, წინამძღვარო. ლოცვასა და ვედრებაში ვათენებ ღამეებს, რამეთუ განმწმინდოს ცოდვათაგან ჩემთა უფალმა და მიიღოს სული ჩემი გატანჯული.

— ილოცე, მამაო, ილოცე. იგულისმოდგინე და უფალი დიდია. წყალობით მოგხედავს გულიწმინდით მლოცველს... — ვუთხარი. პირჯვარი გადავსახე და სკამი გავაგორე. ივანემ დალილი თვალი გამომაყოლა, ერთი მძიმედ ამოიოხრა და სენაკში შებრუნდა.

მეორე დღეს მხარგრძელი გვიანამდე რომ არ გამოჩნდა, სენაკში მიაკითხეს. შეუძლოდა ვარო, ეთქვა, საჭმელ-სასმელი მიეტანათ, მაგრამ ხელი არაფრისთვის ეხლო. მწუხრისას მიმიხმო ბერმა და რომ შევედი, ველარ ვიცანი: ლოგინზე გრძლად გაჭიმული მოხუცი შფოთავდა, სახე სიცხისგან წამონთებოდა და სულს ძლივს ითქვამდა.

გალეული, დამდნარი მეჩვენა ოდესღაც ახოვანი და გულმხეცი ბუმბერაზი. ძვალსა და ტყავზე დასვლოდა უზარმაზარი სხეული, მიხრწნილი და გამოფიტული ბერიკაცი ჩონჩხს დამსგავსებოდა. მხოლოდ თვალებიღა მოაგონებდნენ მნახველს, დაშრეტილი, სევდით სავსე თვალები, რომ ამ ჩონჩხში ჯერ კიდევ კიაფობდა ბოლომდე ჩაუმქრალი ნაპერწკალი მოლილი, გატანჯული სიცოცხლისა.

— შემინდე, მამაო! — ჩურჩულით მითხრა და წამწამზე ცრემლი ჩამოელვენთა.

— უფალმა შეგინდოს და გიხსნოს სნეულებათაგან! — ვუთხარი უბედურს, ახლო მივედი და ჯვარი გარდავსახე.

— ისმინა ლოცვა ჩემი და მომიწოდა მე უფალმა, რამეთუ ვვლიდი გზითა მართლითა. და აჰა, აღესრულა ესე... — წარმოსთქვა სასოებით და ერთხანს დადუმდა. მერე უცებ თვალი თვალში გამიყარა და მკაცრად მითხრა: — მატიანეს წერ თურმე, წინამძღვარო, ჩვენი დროისას.

— შეწევნითა და ჩაგონებითა ღვთისათა ხელვყავ ეგოდენ დიდსა და ძნელ საქმეს... — მივუგე კრძალვით.

— ჰოდა ეს იცოდე, წინამძღვარო, ყოველი კაცი ისე ემსახურება თავის ერს, როგორც შეუძლია და როგორც ღონე აქვს. მეც ასე ვემსახურე ჩემს ქვეყანას, მისი დიდებისა და ძლიერებისთვის ვიღვაწე, როგორც შემეძლო

და ნუ მომიხსენებ ავად ცოდვათათვის, რომელიც კისრად ვიდე.

— რომელ ცოდვაზე ბრძანებ, მამაო?

— სხვათა ღალატის გამო შევიქენ დამნაშავე ერისა და მეფის წინაშე, უმეცარ ვიყავ შინაგაცემისა, რომლის მიზეზით მოიწყლა ურიცხვი ქართველობა და დაემხო ძლიერება საქართველოსი, — ივანეს ხველა აუვარდა, ლოგინზე წამოიწია, დიდხანს ახველა, მერე მისუსტებული ისევ ბალიშზე დაეშვა და ძლივს გასაგონად განაგრძო: — მე ვიყავ ათაბაგი, ბურჯი ტახტისა და ჩემივე აღზრდილი მეფის ძლიერებისა, მე ვიყავ წინამძღოლი ქართველთა ლაშქრისა და ამიტომ ვიდებ თავს ცოდვასა და დანაშაულს, რომლებიც სხვებმა ჩაიდინეს ღალატით. მაგრამ რომელთა გამო მე ვაგებ პასუხს ღვთისა და ერის წინაშე... სხვა სხვის ომში ბრძენიაო, ჩვენს ხალხს უთქვამს და ჩემს ღვაწლსაც, მამულისათვის ჩემს შრომას, ომსა და სამსახურს სხვები უკეთ განსჯიან, მაგრამ ერთი გახსოვდეს, წინამძღვარო, პატიოსნებისა და უზაკველობის იმ თვალით შეხედე ყოველს ნამოქმედარს ჩემსას, რომლითაც მე ვუყურებდი...— ესა თქვა და დადუმდა უბედური. ნაშუადღევს უფრო ცუდად შეიქნა. მკურნალმა და წამალმა ველარ უშველა. აღსარება თქვა და მზის ჩასვლისას სულიც განუტევა.

— სხვა სხვის ომში ბრძენიაო, არა?!

— ეგრე თქვა და იმის შემდეგ, მართალი გითხრა, მატიანეს წერაზე გული ამიცრუვდა. ლომგული, რკინის მკვნეტელი ბუმბერაზები უზარმაზარი ლაშქრით ერთიმეორეს ეკვეთებიან, ერთი მარცხდება და მეორე იმარჯვებს. ჩემისთანა საპყარი, ულონო კუტი, რომელსაც თავის დღეში ხელთ ხმალი არ სჭერია, მონასტრის ჩუმ სენაკში ზის და იმ ბუმბერაზების ნამოქმედარს ჩხრეკს, არწივებსა და ლომ-ვეფხვებს ვმირობასა და თავგამეტებას უწუნებს. განა სასაცილო არ არი, რომ მე, ბედისაგან ესოდენ დაჩაგრული ბერი, ვაჟკაცური ცხოვრების სიამეს მოკლებული დავრდომილი, ივანე მხარგრძელისა და შალვა ახალციხელის შეცდომებზე ვწერდე, მათს მხედრულ [illegible] ვწონიდე და შთამომავლობას ჩემს განაჩენს ვუტოვებდე?!.

— ეგ მუდამ აგრე იყო, ხმლით ერთი წერდა ქვეყნის მატიანეს, კალმით — მეორე. შთამომავლობა ერთსაც მიუდგომლად დააფასებს და მეორესაც. მაგრამ ვაი, რომ ჩვენ ვერც ხმლით ვასახელეთ ჩვენი ქვეყანა და ვერც კალმით.

— მაგას შენს თავზე რად ამბობ, თურმან, შენ ხმლითაც კარგად ემსახურე და კალმითაც შენს ხალხს.

— კარგად ემსახურეო! მერე სად არი კარგი სამსახურის ნაყოფი — დაქცეული ქვეყანა და დამხობილი ძლიერება?

— ეგ მთელი თაობის დანაშაულია, თურმან, მარტო შენ რას გააწყობდი.

— საქმეც ეგ არი. ჩვენი თაობის ეს დანაშაული, ალბათ, მომავლის უამრავ თაობას ექნება წყევლა-კრულვით მოსახსენებლად, რადგან პაპის გაჭედილი ულელი შვილთაშვილებს გაულუნავს ქედს.

თორელმა თავი ჩაჰკიდა. დუმილი ჩამოვარდა.

— ახლა ვინ არის ამირსპასალარი? — იკითხა ცოტახნის შემდეგ.

— ავაგ მხარგრძელი, ივანეს მემკვიდრე.

— რას ამბობ? ავაგის ამირსპასალარობა სად თქმულა! ივანეს მემკვიდრე პატიოსნებითა და მშვიდობისმოყვარულობით, უზრუნველობითა და დაუდევრობით იყო ჩემს დროს ცნობილი მხოლოდ. ეს თვისებები კი ამირსპასალარისთვის დიდ ღირსებად არ ჩაითვლება. ავაგი ჩემი ტოლი და კარგი მეგობარია, მაგრამ ვაი, რომ ამ საქმისთვის შეუფერებელი იქნება.

— მემკვიდრეობით გადასცა მეფემ ავაგს ივანეს შემდეგ ამირსპასალარობა.

— მემკვიდრეობით მამულის გადაცემა კი შეიძლება, მაგრამ მთავარსარდლობასა და ლაშქრის უფროსობას სხვა ნიჭი უნდა; როგორც მგოსნობა არ გა-

დადის ყოველთვის შვილზე, ისე არც ამირსპასალარობის ნიჭი გადაეცემა მამისაგან შვილს ყოველთვის. რა სავალდებულო იყო ავაგისათვის ამირსპასალარობის ბოძება, განა სხვა სავაზირო ცოტა ჰქონდა მეფეს?! ან ცოტა სარდალი ჰყავდა ამირსპასალარობის ღირსი?

— თავათ შემოხვეწნია ხელმწიფეს, მამის ყველა ღირსება და სახელი დამიმტკიცე მემკვიდრეობითო.

— დავით აღმაშენებელი პირადი ღირსებითა და დამსახურებით არჩევდა ვაზირებს. ზაქარია და ივანე მხარგრძელები დიდი სარდლები და მოღვაწენი იყვნენ, ქვეყნის სიკეთისა და ძლიერებისთვის ზრუნავდნენ, მეფესა და საქართველოს ბევრი სამსახური გაუწიეს და დიდი ამაგი დასდეს. მათი მემკვიდრეები, შანშე და ავაგი უფრო ნადიმებსა და შექცევას ეტანებოდნენ, როცა მამები სისხლს ღვრიდნენ. არხეინსა და უდარდელ ცხოვრებას შეჩვეული შვილები მამების ტვირთს ვერ ასწევენ. ქვეყნის საქმის მართვას ძლიერი ხელი და გონიერი თავი უნდა...

## თავი მეშვიდე

თორელი თბილისს უახლოვდებოდა და ღელავდა. მან უკვე იცოდა, რომ თბილისი ის აღარ დახვდებოდა, რაც ექვსი წლის წინათ დატოვა. ჯალალედინის ნაკვალევზე ბევრჯერ გაუვლია და დაახლოებით მაინც ჰქონდა წარმოდგენილი დანგრეული თბილისი. დედაქალაქის ყველაზე საყვარელი კუთხეები ფიქრშიც არ ემეტებოდა დასაქცევად და გადასაბუგავად, და თუმცა არა ერთის ნაამბობით იცოდა, რომ აღარც მტკვარზე მოტივტივე ლაშას სასახლე დახვდებოდა ორთაჭალაში, აღარც რუსუდანის ახალი პალატები, აღარც მეტეხის ულამაზესი ხიდი, მაინც გულში კიდევ ჰქონდა იმედის ნატამალი, რომ ყველა ნაამბობი არ გამართლდებოდა, ზოგი რამ, იქნებ სხვებისათვის არცთუ ისე მნიშვნელოვანი, მაგრამ მისთვის ძვირფასი და ახლობელი, გადარჩებოდა ხანძარსა და ნგრევას.

მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა თბილისს, ეს იმედიც ქრებოდა და თორელს თვალთ უბნელდებოდა.

ქალაქგარეთ, ორთაჭალაში ის ადგილი მოიძია, სადაც ლაშას სასახლე უნდა მდგარიყო. ეს სასახლე ლერწმისა და ნაქსოვი ჭილისაგან იყო ნაშენი. ხუთ წელიწადს აშენებდნენ ლაშას ამ სამყოფელს აღმოსავლეთის შორეული ქვეყნებიდან ჩამოყვანილი ოსტატები თვითონ ლაშას გეგმითა და ზედამხედველობით. სასახლე ტივებზე იდგა, ნავივით ირწეოდა.

აქ, ამ სასახლეში უყვარდა ლაშა-გიორგის ქეიფი და განსვენება. თავათ თორელსაც ბევრი ღამე გაუთენებია ამ ზღაპრულ სასახლეში, რომელსაც ალკაზმულობით, ფუფუნებითა და მოწყობილობის სინატიფით საქართველოს გარეთაც შორს ჰქონდა განთქმული სახელი.

ჯალალედინმა რომ თბილისი აიღო, განსასვენებლად აქ მიიყვანეს თურმე თბილისელმა სპარსელებმა. თითქმის მთელი აღმოსავლეთის მპყრობელის მემკვიდრე, უამრავი სასახლის პატრონი და მნახველი რას უნდა გაეკვირვებინა, მაგრამ ლაშას სასახლე რომ ნახა, გაოცებულა და მოხიბლულა. დიდხანს უყურა თურმე ამ ზღაპრულ სათამაშოსავით ბრწყინვალე და გამჭვირვალე სამყოფელს, მერე მისი დარბაზები და ტალანები დაუვლია, პატრონისა და გამმართავის გამომგონებლობითა და გემოვნებით მოხიბლულა და ვაზირისათვის ღიმილით უთქვამს:

— აქ მე არ დამედგომება, ეს ფუფუნებასა და ნებივრობას შეჩვეული მეფეებისთვის არის.

სულტანს სალაშქრო კარავი გაუმართვინებია და როგორც მეომარსა და მხედარს შეჰფერის, ღამეებს თურმე იქ ათევდა.

ბოლნისის ბრძოლის შემდეგ ქართველებზე გახელებულ ჯალალედინს ლაშას სასახლის დაწვა უბრძანებია და ხუთ წელს ნაშენები ერთ წამში მოუსპია — ლერწამსა და ჰილობს თივასავით მოსდებია ცეცხლი და უმალვე გაუნადგურებია. მტკვარზე დანაზშირებული ტივებილა ირწეოდნენ იმ ადგილას, სადაც ამ ექვსი წლის წინ ხელთუქმნელი სასახლე იდგა.

მიდიოდა თორელი. მარჯვნივ და მარცხნივ ნახანძრალი სახლების ჩონჩხები მოჰყვებოდნენ გარუჯული კედლებითა და ჩამტვრეული სარკმლებით. ქარვასლები და ქულბაქები, სახლოსნოები და სავაჭროები თითქოს მიწისპირისგან აღგვილიყვნენ. მტკვრისპირიდან მოკიდებული მთების კალთებამდე სახლი აღარ იდგა, რომ ცეცხლისა და ნგრევის ხელი არ შეხებოდა. აქაიქ მოჩანდა ნაჩქარევად შეკეთებული სახლები, ალბათ, ხვარაზმელ მეციხოვნეთა სადგომები; ახლა ეს სახლებიც დაცარიელებულიყვნენ და მარტო თბილისის ქუჩების ცქერითაც შეიძლებოდა იმის წარმოდგენა, თუ რა სისხლის ფასად უჯდებოდათ ხვარაზმელ დამპყრობლებს საქართველოს დედაქალაქში ფეხის მოკიდება.

მეტეხის კლდეს შეავლო თვალი თორელმა და გაშეშდა. ძველ ტაძარს გუმბათი აღარ ჰქონდა და კედლები შერუჯოდა. ტაძრის გაყოლებით, დიდ მანძილზე, ნახანძრალილა იყო. გიორგი მესამისა და თამარის, ლაშასა და რუსუდანის პალატებისგან თითქმის აღარაფერი დარჩენილიყო. მხოლოდ დავით აღმაშენებლისეული სასახლელა იდგა ძველ ადგილზე. ხანძარს სახურავი მოეშორებინა და შიგნიდან გამოებუგა, უზარმაზარი ლოდებისაგან ნაშენი მკვიდრი კედლებისათვის ვერაფერი დაეკლო ცეცხლს; ეტყობოდა, ხვარაზმელ მეციხოვნეებს სახელდახელოდ შეეკეთებინათ სასახლე და, ალბათ, იქ იდგა მათი ჯარი, ვიდრე საქართველოდან გაიქცეოდნენ. დიდი და ლამაზი ძველი ხიდის ნახანძრალ ბურჯებზე ბოგირივით რაღაც მიეკოწიწებინათ.

უხმოდ ჩაუარა სასაფლაოსავით მდუმარე ნასასახლარებს თორელმა. რა ამაო ყოფილა იმის იმედი, ევებ რუსუდანის პალატები მაინც გადარჩაო, — ნაპალატარზე საძირკველიც აღარსად ეტყობოდა და ვაჩეს მხატვრობას რა სასწაული შეინახავდა! გული მოუკვდა თორელს, ხელახლა გაეხსნა ცაგოს დაკარგვით მიყენებული ღრმა და მძიმე ჭრილობა. თბილისში დაბრუნება იმიტომაც უხაროდა, ვაჩეს დახატულ ცაგოს ვნახავო. ახლა ეს ოცნებაც დაემსხვრა და ისეთი სიცივე იგრძნო, თითქოს სადღაც ღრმად მიდიოდა, მღვიმესა თუ მიწისქვეშეთში.

მართლაც მღვიმეს თუ ერთიმეორეზე აკოლიკებული აკლდამების წყებას ჰგავდა ახლა ის საოცნებო ქალაქი, რომელიც ექვსი წლის წინ ხალხითა და სიხარულით, ხმაურითა და სინათლით სავსე დასტოვა თორელმა.

თურმანმა ფეხშიშველა გოგონა დაინახა, ჭალარა, დაკონკილ კაცს მოუძღოდა; მხრებში მოღუნული წვეროსანი თავაღებული მოდიოდა, ცალი ხელი გოგონასთვის ჩაეკიდნა, მეორეთი ჯოხს მოაბაკუნებდა. ესენიც არ დავაფრთხო ჩემი ჩაცმულობითო, გაიფიქრა, ცხენიდან ჩამოხდა და კედელს ამოფარებულმა დაუწყო შორიდან თვალთვალი.

გოგონამ მიიყვანა უსინათლო და სწორედ რუსუდანის ნაპალატარის პირდაპირ დასვა ლოდზე.

ბავშმა რაღაც უთხრა ბრმას, მობრუნდა, თავქვე დაეშვა და დანგრეულ ქუჩაში ჩაიკარგა. თორელი უსინათლოსკენ წავიდა. მიუახლოვდა და შეჩერდა.

— მზეს ნუ მეფარები! — ხელი გაუქნია უსინათლომ და თურმანს გააჟრჟოლა: ხმა ვაჩესი იყო, ბოხი და მღერი ხმა.

თურმანი მზის მხრიდან მოშორდა, მეორე მხარეს დაუდგა და დააკვირდა: ოდნავ კეხიანი ცხვირი ვაჩესას ჰგავდა. სქელი, ცოტა ჩამოწეული ქვედა ლაშიც მისი იყო, ხელები კი... ხელები ნამდვილად ვაჩესი იყო, ნიჩაბივით გრძელი ხელები, თხელი და გრძელი თითებით. ამ ხელებს ათასი კაცის ხელებში იცნობდა თურმანი, მაგრამ მაინც ყოყმანობდა. უსინათლომ იგრძნო, რომ იქვე ახლო ვიღაც იყო და არ შორდებოდა.

— რომელი ხარ? — იკითხა.

— მე ვარ, თურმანი ვარ! — აღმოხდა თორელს, სლუკუნი წასკდა, გულამომჯდარი მუხლებზე დაეცა და მოეხვია. ხელი კანკალით მოუფათურა ბრმამ ჯერ მხრებზე, მერე თავკისერზე.

მერე თითქოს წამოდგომა უნდოდა, ოდნავ წამოიწია და ჩურჩულით იკითხა:

— რომელი თურმანი? თორელი ხომ არა?..

— ჰო, თორელი ვარ, თურმან თორელი! — ამოსძახა თურმანმა და ხელები მოხვია.

— ნუთუ კიდევ ცოცხალი ხარ, შე ბეჩავო?!. — შეჰღრიალა ვაჩემ და გაშლილი ხელები სალტესავით შემოარტყა თორელს.

თურმანი გვერდით მოუჯდა, ლოდზე.

— ხომ ხედავ, რას ვგავარ, თურმან! რაღა სასიცოცხლო ვარ მე უბედური, ნათელს ველარ ვარჩევ და ბნელს, მზეს ველარ ვხედავ და ქვეყანას...

— ამით ხარ ბედნიერი, ვაჩე, სწორედ ამით, რომ ჩვენს დაქცევას ვერ ხედავ!

ვაჩე პასუხმა შეაკრთო, გაილურსა. სწორედ ასე უთხრა გოჩი მუხასძემაც ამ ორიოდე წლის წინათ. ეტყობა, საქართველო მართლა საშინელი სანახავი გამხდარა, რომ მისი ცქერა აღარ ახარებთ და უსინათლოს ბედი შურთ.

— ბედნიერი ხარ, რომ ბრმა ხარ და ჩვენი ქვეყნის ასე გაპარტახებას არ ხედავ. ნეტავ მეც არ ვხედავდე, ნეტავ მეც ბრმა ვიყო!.. — შესტირა თურმანმა და ისევ ხელი მოჰხვია.

— ქვეყანას წყლული მოუშუშდება, ისევ აღსდგება, ეშველება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ვინ იცის, ვაჩე, ეშველებაღა კიდევ?.. აღსდგება კიდევ ოდესმე ჩვენი ქვეყანა იმ ბრწყინვალებით, რომელსაც მე და შენ მოვესწარით?!.

საქართველოში ათასნაირი ხმა მოდიოდა: ზოგი ჯალალედინის სიკვდილს ადასტურებდა; ზოგი ირწმუნებოდა, სულტანი ბაღდადს გაიქცა და მთელ სამუსულმანოს ამზადებს მონგოლთა წინააღმდეგ საღვთო ომისთვისო; ზოგი იმასაც ამბობდა, ხვარაზმშა ჯერ კიდევ ხლათსა და არზრუმშია, ახალ ლაშქარს აგროვებს მონგოლების გასამკლავებლად და საქართველოს კვლავაც დალაშქრავსო.

ერთი ჭორი მეორეს ეწინააღმდეგებოდა და მართალი ამბავი არავინ იცოდა.

მთავარი ის იყო, რომ ხვარაზმელები ჩუმად და სწრაფად გაიკრიბნენ საქართველოდან, ქვეყანამ მოისვენა მტრის რბევისა და აოხრებისაგან და ხალხსაც მეტი არა უნდოდა რა. ჯალალედინს საქართველოზე ხელი აღარ მოუწვდებოდა და ქართველებისთვის სულ ერთი იყო, სად დალევდა სულს მონგოლთაგან ლტოლვილი მტარვალი.

ასე ფიქრობდა ქართველთა უმრავლესობა, მათ შორის ბევრი მათგანიც, ვისაც ქვეყნის გადარჩენასა და ახალი, უფრო საშინელი მტრის შემოსევისაგან დაცვაზე უნდა ეფიქრა.

მხოლოდ შორსმჭვრეტელნი და საქმეში ჩახედულნი გრძნობდნენ, თუ რა მოჰყვებოდა ჯალალედინის საბოლოოდ დამარცხებასა და სარბიელიდან გაქრობას. ჯალალედინის უკან მოდიოდა გაცილებით უფრო დიდი და ძლიერი მტერი, რომლის გამკლავება ჯერჯერობით ვერავინ შესძლო და, თუმცა ჯალალედინის არსებობა საქართველოსთვის მხოლოდ უბედურების მომასწავე-

ბელი იყო, მაინც ქართველებისთვის უკეთესი იქნებოდა ხვარაზმელ სულტანს მონგოლებისათვის მეტი წინააღმდეგობა გაეწია, ისიც მეტად დაესუსტებინა და თავათაც სისხლისგან დაცლილიყო.

ასე ფიქრობდა თორელიც, თუმცა მის თვალწინ ისეთ პირობებში გაექცა მონგოლებს სულტანი, საეჭვო იყო ახლა მაინც მტრის ხელისაგან მისი დასხლტომა. მაგრამ სულტანს იღბალი ჰქონდა და ვინ იცის, ეგებ ახლაც იხსნას სიკვდილისაგან ბედის იმ ვარსკვლავმა, რომელმაც ადიდებული სინდის ტალღებიდან უვნებლად გაიყვანა და წყეული ჩინგიზი პირში ჩალაგამოვლებული დაატოვებინა.

ქვეყანა ჩვეულებრივ ცხოვრებას უბრუნდებოდა. მინდვრებში გუთნეული იმართებოდა, ნავენახრებში ვაზს ყრიდნენ, ნახიდურებზე ხიდებს სდებდნენ და ნასახლარებზე ახალ საძირკვლებს დგამდნენ. კალატოზებსა და დურგლებს ერთიმეორეს ეცილებოდნენ, დაქცეულს თავაულებლად აშენებდნენ და ანახლებდნენ, და ხალხს თავისი და ქვეყნის დამაქცევრის, სასტიკი სულტნის სახელი მხოლოდ იმადღა გაახსენდებოდა, რომ მისთვის ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც წყევლა-კრულვა შეეთვალა.

გზები ისევ გაიხსნა და ქარავნები ისევ დაიძრნენ ოთხივ მხრიდან, მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მოჰქონდათ და მიჰქონდათ, რის მოტანაცა და წაღებაც კი შეიძლებოდა.

საქონელი ბევრი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერს ცეცხლის ფასი ედო; მექარავნენი დიდ ჯგუფებად, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულები მოგზაურობდნენ და შორს წასვლას ვერ ბედავდნენ.

ყველაფერი ეს იმას მოასწავებდა, რომ საქართველოს სამხრეთითა და ჩრდილოეთით ჯერ კიდევ დიდი შფოთი იყო და ქვეყნის დამშვიდებას პირი არ უჩანდა.

არზრუმის მხრიდან მოსულმა ერთმა მექარავნემ თორელი მოსძებნა და საიდუმლოდ მოჰამედ ნესევის წერილი გადასცა.

ბიბლიოთეკა

„ამ უსტარს რომ მიიღებ, ეგებ მისი დამწერი, შენი მფარველი და მეგობარი მოჰამედ ნესევი ცოცხალი აღარც იყოს, — სწერდა ნესევი. — ალაჰს რომ ჩემი ლოცვისთვის ესმინა, აქამდისაც მიიბარებდა ჩემს გაძაღლებულ სულს და არ შემასწრებდა იმ საშინელებას, რომელსაც ახლა გამცნობ მე უბედური. უფალმა დამსაჯა ცოდვათა ჩემთათვის და არ მომცა ღონე გამეგრძელებინა მატიანე დიდისა და აღმატებული სულტნის ჯალალედინის ცხოვრებისა.

ჩვენი განშორების ჟამს, როდესაც ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მე შენ შემოგვედრე ჩემი წიგნის ერთი ცალი, რათა შთამომავლობას არ დაჰკარგოდა ნაყოფი ჩემი უდიდესი შრომისა.

განგებამ ისე წარმართა, რომ მე ცოცხალი დამტოვა მაშინ, როცა ულმობელად და სასტიკად მოექცა ყველაზე მაღალსა და კეთილშობილს კაცთა შორის, გამორჩეულს, მორჭმულსა და სვიან სულტანს, რომლის ფერხთა მტვრად არ ვღირვარ არც მე, მისი ულირსი მონა და არც ვინმე მისი დანატოვართაგანი.

ალაჰმა, რომლის უნებურადაც ამ ქვეყნად არა ხდება რა, სიცოცხლე მოუსწრაფა მას, ვისი სიცოცხლითაც ჩემი ცხოვრებისა და შრომის აზრი ცოცხლობდა, და ამით წერტილი დაუსვა ჩემს შრომასაც, თუმცა უფრო სამართლიანი ის იქნებოდა, ჩემს ცხოვრებას დასმოდა წერტილი, ხოლო მატიანე სულტნის ცხოვრებისა სხვას გაეგრძელებინა უკუნითი უკუნისამდე.

მაგრამ ჩვენ, მოკვდავნი, უძლურნი ვართ მივსწვდეთ ღვთის განაჩენის სიღრმეს და ვიდრე პირში სული გვიდგას, ვალდებული ვართ ვზიდოთ ცხოვრების ის ტვირთი, რომელიც უფალს ჩვენთვის მოუკუთვნებია.

ამ ვალდებულების შეგნებამ ერთხელ კიდევ ამაღებინა ხელში კალამი, რათა ჩემი წიგნის უკანასკნელი ფურცლები დამეწერა. თუმცა ამ ფურცლების წერისას ცრემლით უფრო ვალტობდ

ჩემს წიგნს, ვიდრე მელნით, მაგრამ მაინც სრულყავი შრომა ესე.

ახლა ამ წიგნის დასასრულს გიგზავნი შენ, რამეთუ დაურთო იგი ჩემი შრომის იმ ცალს, რომელიც შენ მოგაბარე ჩვენი განშორების ჟამს.

მაშ ისმინე მონათხრობი ჩემი დიდისა და ალმატებული სულტნის ცხოვრების უკანასკნელი დღეებისა.

...როცა სულტანმა დაინახა, რომ თათრები მისკენ მიჰქროდნენ და გარს ერტყმოდნენ, თავის მამლუკებს უბრძანა, მას მოსცილებოდნენ და მტრისთვის შეეტიათ. სულტნის ჯარმა მართლაც გაafთრებით შეუტია მტერს. მტერი აიბნა და უკან დაიხია.

სულტანმა არეულობით ისარგებლა და რამდენიმე ერთგული ცხენოსნით ამიდისაკენ გაიქცა. ამიდის ციხეს რომ მიადგა, თათრებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ. ამიდის მფლობელი შინ არ იყო, ქალაქის მცხოვრებლებმა თათრების შიშით ლტოლვილ სულტანს კარი არ გაუღეს და ქვები დაუშინეს, რათა იქაურობას გასცლოდა.

შეურაცხყოფილი და გამწარებული სულტანი ამიდის ციხეს წყევლა-კრულვით გაშორდა და ცხენი ბასიანის მთებისკენ გააქროლა; ეტყობოდა, ხევხუვებსა და ვიწრო მოსახვევებში მდევარს მოსწყდა. კარგა ხანს ისე მიჰქროდნენ, დადევნებული თათრების ხმა აღარ სწვდებოდათ.

ამასობაში დაღამდა და სულტანმა სოფლის კალოზე გაათია. უნაგირზე თავმიდებულ სულტანს ძილფხიზლად ეძინა. განთიადისას ცხენების თქარათქურმა გამოაღვიძა, მდევარს გეში აელო და ისევ კვალში ჩასდგომოდა.

სულტანი და მისი მხლებლები ისევ ცხენებს მოახტნენ და გააქროლეს. სულტანმა მხლებლები დაქსაქსა, სხვადასხვა მხარეს მიაჭენებდნენ ცხენებს— იმისი იმედი ჰქონდა, ვერ მიცნობენ, ჩემს მხლებლებს დაედევნებიანო. მაგრამ ანგარიშმა არ გაუმართლა, თათრების რაზმს თხუთმეტი ცხენოსანი გამოეყო და სწორედ მას გამოუდგა.

ისარივით მიჰქროდა სულტნის ფრთაშესხმული მერანი. უკან მიიხედა [illegible]რულმა: ბუზის ტოლად ჩანდა მდევარი ცის დასალიერზე. ახლა უფრო გამეტებით გააქროლა ცხენი და ერთხელ რომ კიდევ მოიხედა უკან, მდევარი უკვე მუშტის ტოლა ჩანდა. ეტყობოდა, ეწეოდნენ სულტანს.

არამც და არამც მტრის ხელში ცოცხლად ჩავარდნა არ უნდოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოლა და ან მომკვდარიყო, ან თავი ეხსნა.

სულტანმა კიდევ მოიხედა და კარგად გაარჩია: ორიღა მოსდევდა. ალბათ დანარჩენებმა კვალი დაჰკარგეს და ხელი აიღეს დევნაზე. ორთან გამკლავება არ იყო ძნელი. შვილდზე ისარი გამართა, ცხენს ალვირი მოსწია და ტანით ნახევრად შემობრუნებულმა, უზანგებზე შემდგარმა გასტყორცნა ისარი. ორთაგან ერთი ცხენზე გადმოეკიდა, დამფრთხალი ცხენი გვერდზე გახტა და ჭიხვინით გზიდან გადაუხვია. მეორე მდევარი წამით დაიბნა, მერე უცებ იმანაც მშვილდ-ისარი მოიმარჯვა და ის იყო უნდა ესროლა, რომ ჯალალედინის მიერ გამოტყორცნილი ისარი შიგ მკერდში დაერჭო და ისიც ცხენზე თავით გადმოეკიდა.

სულტანი ცხენიდან გადმოხტა და მაღლობზე აცოცდა. იქიდან გზას გახედა, კიდევ ხომ არავინ მომსდევსო. თვალის მისაწვდენზე არავინ ჩანდა, არც ცხენოსანი და არც ქვეითი. ჯალალედინმა თავი სამშვიდობოს გასულად ჩათვალა და ალაჰს მადლობა შესწირა.

თანდათან ადგილსამყოფელში გაერკვა და მოისაზრა, თუ საით წასულიყო.

ის იყო, ციცაბო აღმართს ფეხით შეუყვა, რომ გზა გადაულობეს. შეხედულებით ქურთებს ჰგავდნენ. ხელში კომბლები ეჭირათ, მაგრამ ერთიანად იარაღში ისხდნენ.

ერთი შეხედვით სულტანს უბრალო მწყემსებად ეჩვენა უცნობები, მაგრამ როგორც კი მათს იარაღასხმულობასა და ქცევას დააკვირდა, მიხვდა, რომ შარაგზის ყაჩაღებთან ჰქონდა საქმე. პირი იბრუნა და თავქვე სირბილით დაეშვა. იქ, დაბლა, თავისი ცხენი ეგულებოდა. ცხენზე შეჯდომას თუ მოასწრებდა, მერე ეს ყაჩაღები ველარ დაეწეოდნენ. ორიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გარბენილი, რომელიღაც ყაჩაღმა ფეხებში კომბალი ესროლა. სულტანმა წაიფორხილა და წაიქცა.

თავი ნელა ასწია. ქვედა ლაშიდან სისხლი მოდიოდა. სისხლი ხელით მოიწმინდა და თავზე მდგარ ყაჩაღებს ახედა. ყაჩაღებს ხანჯლები გაეძროთ, რაღაცას დავობდნენ, ერთიმეორეს ლაპარაკს არ აცლიდნენ.

სულტანი მიხვდა, მოკვლას უპირებდნენ. ერთმა მათგანმა ძვირფასი თვლებით შემკულ ოქროს დიდ სარტყელში ჩაავლო ხელი სულტანს. ეტყობოდა, ის უფროსი უნდა ყოფილიყო. ყაჩაღმა სულტანი სარტყელით აზიდა და ჯალალედინს საიდანღაც ჩაესმა თუ გაახსენდა ქეიქაუსის სარტყელზე წარწერილი წყევლა: „იყოს წყრა ჩემი, ვინც უკანონოდ შემირტყას". შიშით გააქრქოლა და ცივი ოფლი დაასხა. რა გულუბრყვილო ყოფილა, როცა იმ წარწერის ამხსნელებსა და ვაზირის რჩევას დასცინა! განგების განაჩენს ჯერ ვერავინ გაქცევია და ეტყობა, ჯალალედინიც ქეიქაუსის ქამრის წყრა ყოფილა! დაბნეული და შეშინებული სულტანი თვალებს აცეცებდა, გამოსავალს ეძებდა.

წინ გაიგდეს და თავქვე დაეშვნენ. ყაჩაღების მეთაური ოქროს სარტყელს ჩაფრენოდა, ხელს წუთით არ უშვებდა და მხარდამხარ მიჰყვებოდა.

ჯალალედინი მხრით ყაჩაღის მხარს მიეკრა და ჩუმად, ჩურჩულით უთხრა:

— მე სულტანი ჯალალედინი ვარ.

ყაჩაღი დაუჯერებელი ამბის გაგონებამ შეაკრთო, ფეხი ქვას წამოკრა და კინაღამ წაიქცა.

— მე რომ მომკლათ, — ჩურჩულით ეუბნება სულტანი, — სიკვდილს ვეღარ თქვენ გადაურჩებით, ჩემს სისხლს არავინ გაპატიებთ, დედაბუდიანად ამოგხოცავენ. ამიტომ, გიჯობს, ჩემზე ხელი არ აღმართო.

ყაჩაღთა მეთაურმა დანარჩენებს ანიშნა, წინ წასულიყვნენ.

კარგად რომ დაწინაურდნენ, მეთაური შეჩერდა, ტყვეს ახედ-დახედა, დააკვირდა.

— მე ყველა მუსულმანთა ხელმწიფე ვარ და გიბრძანებ, — ისევ ჩურჩულით ეუბნება ჯალალედინი. — ამ ქვეყნის მელიქთან ელ მოლეკ მოჯაფერთან მიმიყვანე. იგი დიდად დაგიმადლებს, ჯილდოდ შენს წონა ოქროს მოგცემს...

ყაჩაღი ყოყმანობდა, მას უკვე ტყვის კეთილშობილება აღარ ეეჭვებოდა და ამაში მის ნათქვამზე მეტად თვალ-მარგალიტით შემკული ოქროს უშველებელი ქამარი არწმუნებდა.

— ხოლო თუ ეს არ შეგიძლია, ჩემი ქვეყნის რომელიმე კუთხეში მიმიყვანე; ჯილდოდ სამფლობელოს მოგცემ, ემირობას გიბოძებ და ჩემი უზარმაზარი სახელმწიფოს უბედნიერეს კაცად გაგხდი.

ყაჩაღთა მეთაური დარწმუნდა, რომ ტყვის ბრძანებისა თუ თხოვნის შესრულება მეტ სარგებელს მოუტანდა, ვიდრე მისი მოკვლა და გაძარცვა.

— კარგი, წაგიყვან შენს სახელმწიფოში, — დაეთანხმა ყაჩაღი. მერე დანარჩენებს მოელაპარაკა, რაღაცაზე დაითანხმა თუ სადღაც გაგზავნა, ტყვე შემოაბრუნა და ბილიკ-ბილიკ აღმართს შეუყენა.

სოფელში რომ შევიდნენ, შუადღე იქნებოდა. ქურთი პატარა სახლში შეუძღვა სულტანს და კარი მაგრად ჩაკეტა. სულტანი სკამზე ჩამოჯდა, ყაჩაღი მაშინვე მუხლზე დაეცა და ეთაყვანა.

ყაჩაღის ცოლი გაოცებული უყურებდა: სტუმრისა და ქმრის უცნაურ ქცევას საგონებელში ჩაეგდო ტყვეებისა და ნაძარცვის მიღებას შეჩვეული ქალი.

ქურთი წამოდგა. ხელი ტუჩთან მიიტანა გაფრთხილების ნიშნად, ცოლი უკან გაიყვანა და დიდხანს ჩუმად ელაპარაკა.

ჯერ ფიცი ჩამოართვა, რომ საიდუმლოს არავის გაანდობდა, მერე გამოუტყდა, რომ მისი ტყვე უბრალო ვაჭარი ან მოგზაური კი არ იყო, არამედ მთელი ქვეყნის მპყრობელი, ხელმწიფეთაგან უდიდესი და უმდიდრესი სულტანი ჯალალედინი ბრძანდებოდა.

ქმარმა სულმოუთქმელად უამბო, თუ რა დიდი ჯილდო მოელოდა სულტნის გადარჩენისათვის, როგორ მისცემდა ემირობას და სამთელობელოს ჯალალედინი და როგორ გახდებოდა სამისლამოში უბედნიერესი კაცი.

ცოლი აღტაცებული უსმენდა, მაგრამ ტყვეს ეჭვის თვალით უცქეროდა და თავისი მეოცნებე ქმრის ნათქვამისა ნაკლებად სჯეროდა.

თავისივე ნაამბობით აღფრთოვანებული ქმარი ცოლს გადაეხვია. ერთხელ კიდევ ჩამოართვა ფიცი, რომ სულტანზე სიტყვას არავისთან დაძრავდა, ჯალალედინისაგან ნებართვა აიღო და მთაში წავიდა ცხენების მოსაყვანად.

ქურთის ლოგინზე გაუხდელად წამოწოლილმა ჯალალედინმა ოქროს სარტყელზე ხალათი გადაიფარა, დამალა და ახლა წუთიწუთზე ელოდა მასპინძლის დაბრუნებას. სულტანს სჯეროდა, ჯილდოს დახარბებული ყაჩაღი სამშვიდობოს გამიყვანსო, და გული საგულეს ჰქონდა.

ოთახში ხანდახან ქურთის ცოლი შემოიხედავდა, ფეხაკრებით გაივლიდა და უხმოდვე გაქრებოდა. სახე არ უჩანდა ქურთის ცოლს, მაგრამ კარგი ტანი ჰქონდა და ლამაზ, ცოცხალ თვალებს აკვესებდა, რაც სულტანმა პირველი შეხედვისთანავე შენიშნა.

ჯალალედინი ალიზის დაბალ ჭერს შეჰყურებდა და თავის მუხთალ ბედზე ფიქრობდა. ეს მერამდენეჯერ გარიყა ტახტისა და ქვეყნისაგან დაუნდობელმა ბედმა, ეს მერამდენეჯერ იწყებს ცხოვრებას თავიდან შველისა და შეწყალების სათხოვნელად ხელგაწვდილი.

განა ღირს კი ის ტახტი და სამეფო და, საერთოდ, სიცოცხლე ამდენ[illegible]ბად და თავის დამცირებად?!

ღირს და არცა ღირს...

უცებ ოთახში ყაჩაღის ცოლის ლანდმა გაირბინა. ჯალალედინი წამოიწია, ერთ წუთს წამოდგომა და დიასახლისის მოხვევა დააპირა, მაგრამ ქალი ისევე მალე გაუჩინარდა, როგორც მალე გამოჩნდა. ჯალალედინს შერცხვა თავისი უგონო განზრახვისა, საკუთარ თავზე დამცინავად გაეღიმა და ისევ საწოლზე გაიშალა.

ათაბაგის ასული გაახსენდა. ნეტავ სად არი ახლა, ვის მკლავზე წევს, ან წევს კი სადმე, ვისმეს ლოგინში? იქნებ გააუპატიურეს და მერე ისიც ისევე მოჰკლეს მონგოლებმა, როგორც სხვა მისი ცოლები. ვინ იცის... ვინ იცის...

ჯალალედინს ჩასთვლიმა.

ხმაურზე გამოეღვიძა. მაშინვე ხელი ხმალზე იტაცა და ლოგინზე წამოიწია.

ოთახში უცხო კაცი იყო. ბანჯგვლით ერთიანად თავპირდაფარული სისხლიან თვალებს აბრიალებდა და უშველებელ ტლანქ ხელში მახვილს საბურჭალოსავით ათამაშებდა. რაღაცას როხროხით ელაპარაკებოდა დიასახლისს, კილოზე ეტყობოდა, უწყრებოდა.

ჯალალედინი გაინაბა. ძილში ხალათის კალთები ამოწეოდა და ოქროს სარტყელი მოუჩანდა. უცნობი სულტნის ოქროს სარტყელს თვალს არ აცილებდა და ჯალალედინი მიხვდა, თუ დაიღუპებოდა, იმ ოქროს სარტყლის გამო დაიღუპებოდა.

„იყოს წერა ჩემი, ვინც უკანონოდ შემირტყას“ — ჩაესმა ისევ იდუმალი ხმა და ისევ ქრელამ დაუარა: „იყოს წერა ჩემი!.. იყოს წერა ჩემი!“ — ჩასძახოდა ვიღაც და წელზე უცებ ისეთი მხურვალება იგრძნო, თითქოს ის

სარტყელი ცეცხლზე გაევარვარებინოს ვისმეს და ისე შემოერტყას. მზად იყო, მოეხსნა და ქურთისთვის ესროლა ქეიქაუსის ის ძვირფასი, თუმცა შანთივით გაცხელებული სარტყელი, მაგრამ ქურთს მრისხანე სახე ჰქონდა და სულტანს განძრევისა ეშინოდა.

უცნობი — ვინ არის? რატომ არ მოჰკლავთ, ნუთუ ვერ ცნობთ, რომ ხვარაზმელია?

დიასახლისი — იგი ჩვენი სტუმარია, ჩემმა ქმარმა მას ამანი მისცა.

უცნობი — გაგიჟდით? ჩვენს ამომგდებ ხვარაზმელებს ამანსა და თავშესაფარს როგორ აძლევთ. ახლავე მოვკლავ.

დიასახლისი — არ გაბედო, იგი სულტანია, ჩემმა ქმარმა საიდუმლოდ მითხრა და ფიცი ჩამომართვა, რომ არავის ვეტყოდი.

უცნობი — ჰკუაზე მოდით, სულტანს აქ რა უნდა. ალბათ, ეგ იმისთვის მოიგონა, რომ თავი გადაირჩინოს. მაგრამ ვის მოატყუებს! ხვარაზმელი სულტანიც რომ იყოს, ისიც არაა დასანდობი. ამას წინათ მაგ ძაღლებმა ხლათთან ძმა მომიკლეს, შვილივით გაზრდილი ძმა. დაფიცებული მაქვს, ხვარაზმელი არავინ დავზოგო, თუ სადმე გადავეყრები.

ჯალალედინს არ ესმოდა რას ლაპარაკობდნენ მისთვის გაუგებარ ენაზე. ხვდებოდა კი, რომ ცხარე ლაპარაკი მას ეხებოდა. განგებ თვალმიხუჭული ერთიანად დაძაბული იწვა და არ იცოდა, რა ექნა.

უცნობმა ერთი შეჰღრიალა და მისკენ ზვავივით წამოვიდა.

ჯალალედინმა თვალი გაახილა, წამოხტომა უნდოდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მის თავზე მოქნეული ხმლის ელვალა მოჰკრა თვალი და ყველაფერი მაშინვე დაბნელდა, დაყრუვდა და გათავდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ელ მოლექ მოჯაფერმა მოაძებნინა მთებში სულტნის ცხენი და უნაგირი, მისი ღიდებული ხმალი და სარტყელი. უფრო გვიან მისი ძვლებიც მონახეს და შესაფერისი პატივით მიწას მიაბარეთ.

ალესრულა სულტანი 17 აგვისტოს, 1231 წელს"...

მეფე ისევ თბილისში გადმოვიდა. რაკი დაქცეულ სატახტოში შესაფერისი შენობა აღარსად მოიძებნა, დედოფალმა აგარებში დაისადგურა. აქ კიდევ გადარჩენოდა ზოგი რამ ხვარაზმელთა მხეცობას. მეფეთა საზაფხულო სამყოფელი გაეძარცვათ, მაგრამ რატომღაც არ გადაეწვათ და იქ ცხოვრება კიდევ შეიძლებოდა.

თორელი მეფეს ეახლა. დარბაზში რომ შევიდა, თვალს არ დაუჯერა: ტახტზე მოღლილი, ნაადრევად მოტეხილი ქალი იჯდა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა რუსუდანს თვალები ჩაცვივნოდა და სახეზე ნაოჭები მოხშირებოდა, ფერუმარილი და სალებავები ფარავდნენ, მაგრამ სულ როდი აქრობდნენ უდროოდ გაჩენილი ღარებისა და ადრე მოსული ჭაღარის კვალს. ქართველი ხალხის წამების განვლილ ექვს წელს ულამაზესი დედოფლის გარეგნობაზედაც მძიმე დაღი დაესვა. უძილო ღამეებს, საქვეყნო ჯავრსა და საზრუნავს, გამწარებასა და გაჩენის დღის წყევლას თავისი გაეტანა — დედოფალს სიცოცხლის ადრინდელი ხალისი დაჰკარგოდა. ხელჩაქნეული ბრძენივით ცხოვრებაზე გული გაგრილებოდა და ისე გამოიყურებოდა, თითქოს ამ ქვეყნისაგან გასახარელსა და სანუგეშოს აღარაფერს ელოდა.

გაუკვირდა თორელს დედოფლის ესოდენ გამოცვლა, გაუკვირდა და შეებრალა ახალგაზრდა ქალი: რა უიღბლო ყოფილა დიდი თამარის ეს ნებიერი ასული. ჩიტივით უზრუნველსა და უდარდელ ცხოვრებას შეჩვეულს, ნაზსა და ახიზ დედოფალს უცებ ამოდენა ტვირთი და საზრუნავი, უბედურება და მწუხარება დაატყდა თავს. ასეთი განსაცდელი საქართველოს ძველადაც, ძნელბედობის დროსაც არ ჰქონია და რუსუდანის სუსტ მხრებზე მოულოდ-

ნელად დაწოლილ ტვირთს ალბათ ბევრი ვაჟკაცი ხელმწიფეც ვერ გაუძლებდა.

სიყვარულში უიღბლო დედოფალმა პირადი ცხოვრებაც ვერ მოიწყო ისე, როგორც თავად სურდა, თუმცა მისი სურვილი კანონი იყო და მაშინვე სიტყვის შეუბრუნებლად სრულდებოდა.

იღბალი არ ჰქონია რუსუდან დედოფალს, ცხოვრება და მეფობა სწორედ მაშინ მოუწია, როცა მის სამეფოს საშინელი ქარიშხალი მოაწყდა და ყველაფერი დალეწა. ის ქარიშხალი ჯერ გადავლილიც არ იყო, საქართველოს ახალი, უფრო საშინელი გრიგალი უახლოვდებოდა.

უმწეო და სრულიად უღონო იდგა ამ გრიგალების წინაშე საქართველოს ახალგაზრდა დედოფალი, მისი სამეფოს წასალეკავად დაძრულ ტალღას მხოლოდ ძლიერი მკერდი და ღონიერი მკლავი თუ შეაჩერებდა. დედოფალი ცრემლით ხვდებოდა წამოსულ გრიგალებს და აბა ცრემლი გრიგალს როგორ შეაჩერებდა.

თორელმა თვალი ვერ გაუსწორა დედოფლის მწუხარებით სავსე მზერას, თავი დახარა და თავათაც იმავე წუხილით გატეხილი ეთაყვანა.

დედოფალს თვალები მოუწყლიანდა თორელის დანახვაზე. ცრემლი მოიწმინდა და გაბზარული ხმით წარმოსთქვა:

— ფრიად გვახარებს, მგოსანო, შენი დაბრუნება. იმედი აღარ გვქონდა, რომ კვლავ გიხილავდით ცოცხალსა და უვნებელს. გვეგონა, შენც მტრის ხმლით იყავი მოკლული, ვითარცა სახელოვანი სახლიკაცები შენი — შალვა და ივანე და ვითარცა ურიცხვი ნათესავი შენი, რომელთაც თავი დასდეს ჩვენი მეფობისა და საქართველოს დიდებისათვის.

— უფალმა არ ინება სიკვდილი ჩემი, დედოფალო. ბედნიერი ვიქნებოდი, მეც გარნისის კლდეებთან დამხუჭვოდა თვალი და არ მენახა არც ჩემი სათაყვანებელი მეფის ესოდენ შეჭირვება, არც სამშობლოს ესოდენი უბედურება.

— ვიცი, თორელო, შენი ერთგულება ტახტისა და სამშობლოსადმი. უღირსი ვარ ღირსი მოგაგო შენი გმირობისა და თავდადებისათვის. უფალი ჩვენზე უკეთ გადაგიხდის, რადგან მას ვერავინ შეედრება სიუხვითა და მოწყალებით. ხოლო ჩვენ, ჩვენის მხრივ, გადავწყვიტეთ, მოგანიჭოთ მთავრობა. ჯერჯერობით მამულს ვერ გიბოძებთ, მაგრამ, როგორც კი ქვეყანა დაწყნარდება, საპატრონოსაც საკადრისს დაგიმტკიცებთ.

დედოფალმა მწიგნობართუხუცესს წყალობის სიგელი ჩამოართვა და თორელს გადასცა. თორელი ისევ მუხლებზე დავარდა და დედოფლის კალთას სამგზის ემთხვია სასოებით.

რუსუდანმა სელზე დაჯდომა უბრძანა. მგოსანი კრძალვით დაჯდა იმ სკამზე, რომელზედაც დიდი ვაზირები და ერისთავთ-ერისთავები სხდებოდნენ ხოლმე.

— საბერძნეთის დიდ სულტანს სმენია ჩვენი ასულის სიტურფე, მრავალი ნიჭითა და ძღვენით შემოგვევედრა, რათა მივსცეთ ცოლად თამარი, — ბრძანა მეფემ.

თორელს გაგონილი ჰქონდა რუმის ძლიერი სულტნის ალა-ად-ინ ქეიქობადის სახელი. ქეიქობადი თავის თავს აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების მფლობელს უწოდებდა. ხვარაზმელი სულტნის მძლავრობას მან მონგოლების მოსვლამდე დაუდო საზღვარი, თითქმის ბიზანტიის მთელი ზღვის გამოღმა ნაწილი ეპყრა და წინა აზიაში მეტოქე აღარავინ ჰყავდა.

— ეგ რომელი სულტანია, მეფევ, რუმის მპყრობელ ქეიქობადზე ხომ არ ბრძანებთ, დიდი რუქნადინის ძეზე? — იკითხა თორელმა.

— ქეიქობადი უკვე მიიცვალა. მისმა უმრწემესმა ძმამ ყიასედინმა დაიპყრო ქეიქობადის ტახტი და სრულიად საბერძნეთი.

— ყიასედინიც გამიგონია, მეფევ, თავისი გვირგვინოსანი ძმის მსგავსად ომისა და შფოთის მოყვარულს არ ამბობენ; განათლებული ყოფილა ფრიად,

რაც დედამიწის ზურგზე უცხო ფრინველი და ცხოველია, შემოკრებილი ჰყოლია. იმ მხეცების სანახავად და ფრინველების გალობის მოსასმენად ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდიან თურმე.

თორელმა ის აღარ თქვა, რომ ყიასედინი მარტო იშვიათი მხეცებისა და ფრინველების შეგროვებით კი არ იყო გართული, გრძნეულთა მფარველობითაც ცნობილი იყო, ღვინის სმა და დროსტარება უყვარდა და უმშვენიერესი ქალების ჰარემიც არა ჰქონდა სამხეცეზე მცირერიცხოვანი.

— ფიცით აღგვითქვამს დიდებული სულტანი, რომ ჩვენს ასულს ქრისტეს სჯულს არ დაატოვებინებს და თავის სასახლესთან ეკლესიასაც აუშენებს სალოცავად.

— დიდი სიკეთე იქნება, მეფევ, საქართველოსათვის ესოდენ ძლიერისა და სახელოვანი სულტნის დამოყვრება. ჩემს ტყვედყოფნასა და უცხოობაში მეფის ასული იმოდენა გაზრდილა, მისი სიტურფის ამბავი შორეულ ქვეყნებსაც მისწვდენია. ღმერთმა ბედნიერი ჰყოს ბატონიშვილ თამარის დედოფლობა საბერძნეთში და ჩვენი მეფისა და საქართველოსთვისაც სასიკეთო ყოფილიყოს იკონიის დიდი სასულტნოს დამოყვრება!

თორელმა ხელაპყრობით შეავედრა უფალს მეფე და მისი ასული.

გვიან ღამემდე უჯდა დედოფალს პირისპირ თორელი და დაწვრილებით უამბობდა თავისა და შალვას თავგადასავალს, ხვარაზმელთა სულტნის გაქცევისა და დაღუპვის ამბავს.

დედოფალმა დარბაზი შეჰკრიბა.

ხვარაზმელთა წასვლისა და ლიხთ-იმერეთიდან კარის გადმოსვლის შემდეგ ეს დარბაზის პირველი კრება იყო. თორელიც მიიწვიეს მისი ახალი, მაღალი მდგომარეობის შესაფერისად.

დარბაზს რომ თვალი მოავლო, თორელი გაოცდა. ძველ დიდებულთაგან ბევრი მოისაკლისა: ვარამ გაგელი არ მოსულიყო, ავაგ ამირსპასალარიც არ ჩანდა. ლიხსიქეთა მთავართაგან დადიანი და სვანთა ერისთავი არ იყვნენ.

ლიხსაქეთელი მთავრები ხვარაზმელთა ბატონობის დროს თავიანთ ციხეებში იკეტებოდნენ და მეფის კარზე ხლებას გადაჩვეოდნენ. ეტყობოდა, არც ლიხსიქითელები თვლიდნენ თავს ვალდებულად მეფის მოწოდებაზე გამოცხადებულიყვნენ და მთლიანი და განუყოფელი საქართველოს საქმეების გადაწყვეტაში მიეღოთ მონაწილეობა.

დარბაზში ახლები სჭარბობდნენ, თორელის არყოფნაში მიცვლილ ან ბრძოლებში დაცემულ მთავართა და დიდებულთა შვილები და მემკვიდრეები.

დარბაზმა ქვეყნის საგარეო და საშინაო მდგომარეობა განიხილა. ყველანი გახარებულნი იყვნენ ხვარაზმელთა გაქცევით. თორელი მეფის ახალი ვაზირებისა და დიდებულების გულუბრყვილობასა და სიბეცეზე მეტად მათმა პირმოთნეობამ და მაამებლობამ გააოცა. ისინი ხვარაზმელთა გაქცევას მხოლოდ ქართველთა სპის გმირობითა და საქართველოს მეფის გონიერი მმართველობით ხსნიდნენ. მათ ან არ იცოდნენ ჯალალედინის გაქცევისა და დაღუპვის ნამდვილი მიზეზი, ან თვალს ხუჭავდნენ მოახლოებულ საშიშროებაზე და მეფის წინაშე მლიქვნელობით თავიანთი მდგომარეობის განმტკიცებაზე ზრუნავდნენ.

თორელმა სიტყვა მოითხოვა. ყველა სულგანაბული უსმენდა გარნისის გმირის მონათხრობს. მან გაოცება გამოსთქვა იმის გამო, რომ ქართველები ანგარიშს არ უწევდნენ მონგოლთა ახალი ურდოების გამოჩენას.

— მონგოლების შიშით გაიფანტა ჯალალედინის უზარმაზარი ლაშქარი, ხოლო თვით ძლიერი და უშიშარი სულტანი მათი დევნით მოისპო. მონგოლები დღეს თუ არა ხვალ საქართველოშიც მოვლენ და ჩვენს სამეფოს დიდი მომზადება მართებს, რათა სრულად არ აღვიგავოთ პირისაგან მიწისა.

თორელმა სიტყვა დაასრულა და დარბაზს თვალი მოავლო. მიხვდა, რომ

უმრავლესობას არ მოეწონა მისი ნათქვამი. კარის მგოსნისაგან მეფის გონიერებისა და ქართველთა სიმხნის ხოტბას მოელოდნენ, ის კი ქართველთა მტრების ქებას მოჰყვა და ყვავივით დასჩხავლა სამეფოს ახალი უბედურება.

უმრავლესობამ თორელის ნათქვამი არაფრად ჩააგდო, მონღოლები შორს არიან და ჩვენამდე, ვინ იცის, როდის მოვლენო. განსაკუთრებით ეპისკოპოსმა საბამ გამოიდო თავი:

— ღმერთმა ჩვენი მეფის გულმხურვალე ლოცვა ისმინა და ქართველთა სპას ხვარაზმელებზე ძლევა მისცა. ღვთივ გვირგვინოსანი დედოფლის ლოცვითა და ვედრებით ღმერთი კვლავაც კეთილად წარუმართებს საქართველოს, გააძლიერებს მას და აღამაღლებს უფრო მეტად, ვიდრე თამარისა და დავითის მეფობის დროს იყო ძლიერი და ამაღლებული. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია და მარიამ ქალწული კვლავაც არ მოაკლებს მფარველობას ჩვენს ქვეყანას და მის უძლეველ მეფეს.

საბა რიხითა და მჭექარე ხმით გაჰყიოდა. მისმა ნათქვამმა ყველა მოხიბლა და აღიტაცა. თავისი სიტყვა დედოფლის მაღალფარდოვანი ქებით დაასრულა და სათქმელი რომ დაამთავრა, ვილაცამ დარბაზიდან ღვთისმშობლის საგალობელი წამოიწყო. მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და დედოფლისკენ მზერამიპყრობილმა ქვეყნის გამგებლებმა ერთხმად, დიდი სასოებით იმღერეს „შენ ხარ ვენახი"...

დარბაზის მეორე სხდომა საშინაო საქმეებს მიეძღვნა.

მწიგნობართუხუცესმა არსენიმ გრძლად ილაპარაკა ხვარაზმელთა მხეცობასა და ქვეყნის აოხრებული ნაწილის გასაჭირზე. თორელს ეგონა, მწიგნობართუხუცესი გახიზნული მოსახლეობის უკან დაბრუნებისა და საქართველოს დანგრეული ნაწილის მოშენება-აღდგენის გზებს დაუსახავდა დარბაზს, მაგრამ აქაც მოსტყუვდა: მწიგნობართუხუცესმა უპირველეს საზრუნავად მეფის ახალი სასახლის აშენება მიიჩნია, თან ისიც დასძინა, ახალი პალატები სიმდიდრითა და ბრწყინვალებით ბევრად უნდა სჭარბობდეს ცეცხლისაგან მოსპობილ რუსუდანისა და მისი წინაპრების პალატებს, რათა უცხოთა თვალში ქართველთა მეფის სახელსა და შარავანდედს შუქი და დიდება არ მოაკლდესო.

შემდეგ მწიგნობართუხუცესმა დარბაზს მეფის სალაროს დაცარიელებაც აუწყა: თბილისის აღებისას მთელი საჭურჭლე ჯალალედინს დარჩა და ლიხსიქით თუ რამ გვქონდა, ისიც ხვარაზმელებთან ომებზე დაიხარჯაო.

ასეთ პირობებში მეფესა და მის ვაზირებს ქვეყნის ძალთა აღდგენაზე უნდა ეზრუნათ უპირველესად, რათა დოვლათი მომრავლებულიყო, სახელმწიფოს შემოსავალი სწრაფად გაზრდილიყო და საქართველოსკენ დაძრული ახალი მტრის დასახვედრად ძლიერი ლაშქარი ჰყოლოდათ. ლამაზი და მდიდრული სასახლეების შენება ამ დროისათვის მიუტევებელ ფუფუნებად და დანაშაულადაც კი ეჩვენა თორელს, მაგრამ როცა მწიგნობართუხუცესმა დარბაზს მოწოდებით მიმართა, ჩვენს სათაყვანებელ დედოფალს თავის სატახტოში ღამის გასათევიც არა აქვსო, ერის მთავრებს გული აუჩუყდათ და თვალები მოუწყლიანდათ. დარბაზმა ერთხმად დაადგინა, ახალი პალატების ასაშენებლად ხვამლის საგანძურიდან მეფეთა ხელუხლები საუნჯის ნაწილი გამოეტანათ და დაეხარჯათ...

ამ საერთო აღფრთოვანებასა და აღტყინებაში რამდენიმე დიდებული შენიშნა თორელმა: ეტყობოდათ, არც ისინი ეთანხმებოდნენ დარბაზის ნაჩქარევ გადაწყვეტილებას, მაგრამ საყოველთაო განწყობილების წინააღმდეგ წასვლას ვერ ბედავდნენ და სიჩუმეს არჩევდნენ.

დარბაზი დაიშალა. თორელი გუნებადამძიმებული გამოვიდა. მოდიოდა გრძელ ტალანებში და თან იმას ფიქ-

რობდა, თუ რა საოცრად შეერყია მტრის მძლავრობას სულ რაღაც ექვსი წლის განმავლობაში საქართველოს ძლიერების საფუძვლები: გავლენიან მთავართა უმრავლესობა ტახტსა და სრულიად საქართველოს საქმეებს გადგომოდა; მეფის ვაზირებსა და ახლობელ დიდებულებს სიმართლის თქმაზე ხელი აეღოთ და პირფერობასა და ლიქნას დაჩვეოდნენ; ყველა თავის პირად სიკეთეზე ფიქრობდა და ქვეყნის უშიშროებისათვის ზრუნვა ღვთისმშობლის კალთის იმედად დაეგდოთ. ქვეყნის მმართველთა უდარდელობას უკვე დაენგრია ძლიერი საქართველო, ხოლო ახლანდელი მათი გულდაარხეინება და მარტოოდენ საკუთარ მოსახვეჭელზე ზრუნვა სამეფოს საბოლოოდ დაღუპვას უქადდა.

ამ ფიქრებში თორელს მწიგნობართუხუცესის კაცი წამოეწია, ვაზირთუპირველესი გიხმობსო, მოახსენეს.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბონდო კეშელავა

### ის ყვავილებს ახარებს

ცის კიდურზე ჯერ მზის შუქი.
მიფრქვეული არ იყო,
როცა ცირამ ციცქნა-ციცქნა
ყვავილების რგვა იწყო.

ფერი ფერებს შეუფერა,
მწკრივი მწკრივზე ახარა.
ზოგი აქეთ, ზოგი იქით
მიხარა და მოხარა,
ერთი კიდე დაუმშვენა
ამ ჩვენს ფართო გზა-შარას.

გადახედა ნაამაგარს
კაფანდარა ასულმა,
მოთენთილებს მოჰკრა თვალი,
წყალი გადაასხურა.

ცის ტატნობი საღამომდე
ღრუბლიანი ერჩია,
მით რომ ჩია ჩითილები
შკნობას გადაერჩინა.

მაგრამ ციდან მზემ სხივები
მიწას უხვად აყარა.
საცოდავად მოილვენთნენ
ყვავილები ყარყარა.

უცებ ცირაც ჩაიკეცა,
ჩამოყარა მკლავები —
ვერ ქნა, ველარ მოაშორა
მოთენთილებს თვალები.

მხოლოდ ერთი მას ნუგეშს ჰგვრის —
ციცქნა-ციცქნა რგულები
დილისთვის რომ ყურს აცქვეტენ
გულმკერდ დახატულები.

## გიორგი ქავთარაძე

# ტყვეობის ჩანაწერები

ლაზარეთის ტერიტორიაზე ერთი შავგვრემანი კაცი ყოველთვის მარტო დადიოდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გადაირბენ - გადმოირბენდა ხოლმე. დახვეწილი ინტელიგენტის გარეგნობა ჰქონდა, მკრთალ სახეზე საოცრად შვენოდა ცოცხალი, მოუსვენარი შავი თვალები და გიშერივით შავი წვერ-ულვაში.

არიან ადამიანები — ქალებიც და მამაკაცებიც — რომელთა დამახსოვრება გაცნობისა და რამდენჯერმე შეხვედრის შემდეგაც კი ძალიან ძნელია და თუ თქვენი კარის მეზობლად არ ცხოვრობენ, ვერ გაიხსენებთ. ასეთი ადამიანები იქნებ დიდად მნიშვნელოვანნიც არიან რაიმეთი, მაგრამ ერთი ხის ფოთლებივით ჰგვანან ერთმანეთს.

ლაზარეთის ტერიტორიაზე მარტო მოსიარულე კაცი კი ისეთი გამოსარჩევი იყო, რომ ჯარშიაც მიიქცევდა ყურადღებას.

ჩვენი ქართველი ექიმები ხარიტონ ანთიძე და გრიგოლ ბურჯანაძე ბოლო დროს ცალკე ცხოვრობდნენ. ერთ საღამოს მათთან შევიარე. ის კაცი პირველად იქ ვნახე ახლოს. გამაცნეს. როგორც კი ხმა ამოიღო, მაშინვე მივხვდი, რომ ებრაელი იყო. ძალიან შემებრალა. ვიცოდი, რომ დიდ განსაცდელში იქნებოდა მწამებლების ხელში ჩავარდნილი ტყვე ებრაელი.

ნაძალადევი სითამამით ლაპარაკობდა, დარდიმანდულად ცდილობდა მოქცეულიყო, ღვინოსა და ქალებზე მსჯელობდა და ვინ იცის ერთხელაც არ დამთვრალიყო თავის დღეში. შეკრთა, მე რომ შევედი, მაგრამ ჩქარა შემომეჩვია. წასვლა ეჩქარებოდა და ცოლის ავადმყოფობა მოიმიზეზა. გამიკვირდა, ტყვეობაში საიდან გაიგო თავისი ცოლის ავადმყოფობა-მეთქი?

ის საინტერესო კაცი პროფესიით ექიმი აღმოჩნდა. რუს ექიმ ქალთან ერთად ჩავარდნილიყო ტყვედ და ტყვეობაშივე შეუღლებულიყვნენ. ამბობდნენ: იმდენად სიყვარული კი არა, სხვა მოსაზრება ამოქმედებდაო, მაგრამ ცოლის შერთვა ნეტავ რას უშველიდა? არა, ცოლი მისთვის რაღაც იმედი იქნებოდა. ტყვეობაში მათ ვაჟიშვილი შესძენოდათ.

ტყვე ებრაელი ექიმი და მისი მეუღლე გარეგნულად სრულიად შეუფერე-

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი", № 2, 3.

ბელნი იყვნენ. ცოლ-ქმარს იქნებ სულიერი თვისებების ძალა უფრო აკავშირებთ, ვიდრე გარეგნული შესაფერისობა.

მას მეორედ კიდევ შევხვდი ქართველ ექიმებთან, მათთან რუსი ტყვეებიც იყვნენ, გაცხარებული კამათი ჰქონდათ გერმანელი ნაცისტების მიერ სამხედრო ტყვეების მასობრივად გაჟლეტისა და წამებით სიკვდილის გამო.

ებრაელი ექიმი სდუმდა და დუმილი უფრო ამხელდა მას. იგი ვერ ახერხებდა ლაპარაკს, დაბნეული იყო. შემებრალა და ანთიძეს ქართულად გადავუჩურჩულე, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ-თქო. მან არ იცოდა ქართული ენა, მაინც მიხვდა და შეწუხდა, პაპიროსი მთხოვა: მაპატიეთ, შინ დამრჩაო. თამბაქო მივაწოდე. ჩამომართვა, მაგრამ ხელები უკანკალებდა და ვერ ახერხებდა თამბაქოს გახვევას. არიან თამბაქოს მწეველები, რომლებიც ვერ ახერხებენ თამბაქოს გახვევას-მეთქი. — დიახ! მე გახლავართ აგეთიო, — დამიდასტურა ნათქვამი და სიმწრით გაიღიმა. მე გავუხვიე ჩემივე მიწოდებული თამბაქო.

იგი ჰოვანესიანის გვარს ატარებდა. მის გასაგონად ვთქვი, უკეთესი იქნებოდა, გადარჩენილ ტყვე ებრაელებს მაჰმადიანური გვარი აერჩიათ-მეთქი. არც ამჯერად გამოუთქვამს თავისი აზრი. სიტყვა ბანზე ამიგდო, ცოტა ხანს კიდევ დარჩა, მერე დაგვემშვიდობა და გავიდა.

ლაზარეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა სულ ცალკე, ერთ სოროსებურ ქოხში. რამდენჯერაც არ უნდა შემხვედროდა, ყოველთვის მთხოვდა, შემევლო მასთან ბინაზე. როცა დრო და სურვილი მქონდა, მივდიოდი ხოლმე. პირველად რომ ვესტუმრე, ტყვეობაში დაბადებული ექვსი თუ შვიდი თვის ვაჟიშვილი მაჩვენა.

— გამარჯობა, ჩვენებურო, ერთი ეს მიბრძანე, სად გიბრძოლია, ან ტყვედ სად ჩავარდი?! — ჩავიჩოქე მისაალერსებლად და გამოველაპარაკე პატარა ტყვეს, რომელსაც ჰიტლერელები მესამე იმპერიის მტრად თვლიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხარკოვთან, — მიპასუხა ამოოხვრით.

— აა, მაშ ერთად გვიომნია, ვაჟკაცო!

— დამაცალე, ძია, მალე პარტიზანი გავხდები და გამოვისყიდი დანაშაულს! — კიდევ დედამ გამცა პასუხი, ბავშვის მამა კი იცინოდა მომხიბლავად, ფართო შუბლი ოფლით დაცვაროდა.

შეხვეულ ბავშვს ხელები გაუხსნეს. მისი ნახვით გულის დარდი გადამეყარა. ბიჭი მამას დამსგავსებოდა. უდარდელად იყო დაგორებული მაზარასა და შემთხვევით ნაპოვნი ჩვრების ნახევებზე. იმ წუთში ბედნიერი იყო, — უძუძურ დედას კარგად გაეძღო ძროხის რძით, დანარჩენისა კი მას არაფერი ესმოდა, არც მშობლების ტრაგედიისა და არც ცხოვრების დიდი ორომტრიალისა.

რამდენადაც შვილმა გამახარა, იმდენადვე დამტანჯა დედის სევდიანმა სახემ. საწყალ ტყვე ქალს მეორე სატანჯველად შვილი გასჩენოდა. უსაზღვროდ უყვარდა, ეშინოდა არავინ მომიკლასო. როგორ ეხსნა? შიშით გარეთ ვერ გამოდიოდა, თან მესამე უბედურებაზეც უნდა ეფიქრა: საყვარელი ქმრის ებრაელობა არ გაეგოთ ფაშისტებს.

ვანუგეშე. დედას მხოლოდ თეთრი კბილები გამოუჩნდა მადლობის გადახდისას, ღიმილიც კი დავიწყებოდა. გულით მეწადა რაიმეთი დავხმარებოდი და მოვახერხე კიდეც: სამრეცხაოში შეშა რომ მივიტანე, გასარეცხად მიტანილი ზეწრები მოვიპარე, გავატანე უკრაინელ ქალს, გაჰყიდა ბაზარზე და ძუძუდამშრალ დედას ერთი თვის განმავლობაში რძეს უზიდავდა.

კიევიდან რომ მივდიოდით, ებრაელი ექიმი ლაზარეთში დარჩა. შემდეგ გავიგეთ, ცოლ-ქმარი ერთმანეთისთვის დაეშორებინათ და ცალ-ცალკე გაეგზავნათ სხვადასხვა ბანაკში. მას თავისი გვარი ჰოვანესიანი რიზა-ზადედ გადაეკეთები-

ნა და წვერიც გაეპარსა. თუკი მაინც ეჭვს მიიტანდნენ და წინადაცვეთას გაუსინჯავდნენ, თავს მაჰმადიანის გვარით გაიმართლებდა. ეს შესანიშნავი კაცი მას შემდეგ აღარ შემხვედრია, მისი მეუღლე კი, კიევიდან ტყვეების სეტყვასა და ყუმბარების მეხთაცემაში რომ გავრბოდით, მაშინ ვნახე: ხელში ბავშვი ეჭირა, ისედაც პატარა ქალი სულ დალეულიყო და შეშინებული აქეთ-იქით აწყდებოდა.

მახათაძის სიკვდილის შემდეგ სერგო ლორთქიფანიძე გამოგვაკლდა, მას გაზაფხულამდე აღარ მოუღწევია, — გერმანელებმა წაიყვანეს სადღაც. წაყვანისას ვაჟკაცურად ეჭირა თავი, შემდგომი მისი ასავალ-დასავალი კი ვერ გავიგეთ.

სერგო ლორთქიფანიძე მოხდენილი ბიჭი იყო. ამბობდნენ, ერთ ლამაზ გერმანელ ფროილაინს მოსწონდაო. მეც ვამჩნევდი: გერმანელი ქალი უფრო აქტიურობდა, ხშირად უსაქმოდ შემოდიოდა ჩვენთან, თუკი მისი უფროსი გერმანელი ოფიცრები გასული იყვნენ ლაზარეთიდან. ვინ იცის, იქნებ ის გახდა მიზეზი ლორთქიფანიძის დაკარგვისა. ეს თუ მართლა ასე იყო, რასაკვირველია, გერმანელები დაუსჯელად არ დასტოვებდნენ არაარიელ ქართველ ლორთქიფანიძეს „არიული სისხლის“ აღრევისათვის.

ხარიტონ ანთიძე თერაპევტი იყო, გრიგოლ ბურჯანაძე კი ქირურგი. როგორც მედიცინის მუშაკებისგან მესმოდა, ორივე კარგი მცოდნე იყო თავისი ხელობისა. გერმანელებმა გამოსცადეს და შესთავაზეს ემუშავნათ მათს ლაზარეთში, როგორც მკურნალებს. ამ ამბავმა ორივე ექიმი საგონებელში ჩააგდო. ბოლოს ავადმყოფობა მოიგონეს. ამის გამო გერმანელებმა მალე აუკრეს გუდა-ნაბადი და სადღაც წაიყვანეს. 21 კაციდან 17 კაცი დავრჩით.

როდესაც ისინი მანქანით ლაზარეთიდან გადიოდნენ, მოგვაძახეს: აბა თქვენ იცით, ბიჭებო, რა ქვეყნის და პატრონნად იქნებითო.

ხარიტონ ანთიძემ გაგვიყვანა ჩვენ ბელაიაცერკოვის ბანაკ-ჯოჯოხეთიდან. იგი რომ არა, არა მგონია, რომელიმე ჩვენთაგანი ცოცხალი გადარჩენილიყო.

ომის დამთავრებისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შევხვდი თბილისში ანთიძესა და ბურჯანაძეს. მარადენით გამოუთქმელად დარჩება ჩვენი ის შეხვედრა. არ ვიცოდით საიდან დაგვეწყო საუბარი, რომელი უფრო მნიშვნელოვანი ეპიზოდი მოგვეგონებინა. შეშლილებივით ვიცინოდით, გამვლელთა მოურიდებლად ვეხვეოდით და ვანჯღრევდით ერთმანეთს.

ტყეში შეშის დასამზადებლად დაახლოებით 30 კილომეტრის მანძილზე ტრამვაით დავდიოდით. ტრამვაი პირდაპირ შუაგულ ტყეში შედიოდა, თავიანთი ტყეების იდეალურად დამცველი და მომვლელი ფაშისტები ოდნავადაც არ ზოგავდნენ უკრაინელთა ქონებას, შეუბრალებლად ჩეხდნენ და ანადგურებდნენ ნაძვებსა და ფიჭვებს, იმ მშვენიერ ტყეს, რომელიც ომამდე კიეველთა საამაყო აგარაკი ყოფილიყო. შეშად ხომ წვავდნენ და რასაც ვერ ერეოდნენ, გერმანიაში გაჰქონდათ. გული გვეტკინებოდათ, წლობით ნაზარდი ბუმბერაზი ხეები რომ ეცემოდა.

საღამოს 9 საათიდან მივდიოდით ტყეში სამუშაოდ. როგორც 1941 წელს, 1942 წელსაც არანაკლებ მკაცრი ზამთარი იყო რუსეთსა და უკრაინაში. საზაფხულო მაზარებითა და პილოტურებით შეხვდნენ ჰიტლერელები დიდ ზამთარს. ელვისებური ომის გეგმა ჩაეფუშათ.

როდესაც ტყეში შეშას ვამზადებდით, ხის ტოტებს ლაწალუწი გაჰქონდა ყინვისაგან. მკაცრ ზამთარს შეუჩვეველი ქართველებისათვის ძალიან ძნელი იყო ასეთ სასტიკ ყინვაში მუშაობა და ისიც ღამით. ვიგონებდი თბილისში ზამთარში უქუდოდ სიარულსა და ფეხზე თხელ წინდებს.

შუაგული ზამთარია. ჩვეულებრივად ტრამვაის პარკში ვართ და ტყეში წასასვლელად ტრამვაის ველოდებით. ჩვენ და ფაშისტები ვერ ვჯდებით და ფეხების ბაკაბუკით ვკლავთ დროს თუ ვაფრთხობთ ყინვას. უკრაინელები და რუსები კი არხეინად მიდი-მოდიან, ან სხედან და საუბრობენ, არაფრად აგდებენ თავიანთ ნაცნობ ყინვას. უარესიც გვინახავსო, ამბობენ.

ტრამვაის პარკის წინ ჰიტლერის დიდი პორტრეტი ეკიდა, ჰიტლერი სურათზე არ ტოვებდა ბნედიანი სადისტის შთაბეჭდილებას: უთუოდ მის თაყვანისმცემელ მხატვარს გაეშვენიერებინა იგი, ჩვენ კი გვინდოდა ჰიტლერი თავისი ნამდვილი სახით დაგვენახა.

პირველად სურათი შოთა ნიკურაძემ შენიშნა. მოგვიახლოვდა დინჯად და ჩაგვილაპარაკა: ჩავიაროთ აი, იმ ბოძამდე, შესავალში „ფლოდა რელტიჲ“ [1]-ს გიჩვენებთო. გავყევით თითოოროლა კაცი და დავათვალიერეთ მისი პორტრეტი.

ჰიტლერი ამაყად გამოიყურებოდა, ლაღად გასცქეროდა დროებით დაპყრობილ უკრაინას; რასაკვირველია, პორტრეტში არ კანკალებდა სიცივისაგან და არც ქედს უხრიდა დიდ ზამთარს. პორტრეტს წარწერილი ჰქონდა ერთადერთი სიტყვა „Befreier“—„გამათავისუფლებელი“, რომელიც რაღაც ეშმაკად მე წავიკითხე და ვუთარგმნე კიდეც ამხანაგებს. ამ ერთადერთი სიტყვის ქვეშ როგორღაც გაჩნდა ერთი რუსული სიტყვა: „От жизни“.

ვიღაცის მიერ მიწერილმა სიტყვამ კინაღამ გვიმსხვერპლა ყველა, მხოლოდ ხელწერის შემოწმების შემდეგ გადავრჩით დახვრეტას.

გავიდა ის ზამთარი და შოთა ნიკურაძემ აღიარა: „От жизни“ მე დავწერე მარცხენა ხელითო.

ზამთარი იყო, როდესაც მარშალ პაულიუსის ნაქები არმია განადგურდა სტალინგრადთან. როგორც ცნობილია, პაულიუსი თავისი მრავალრიცხოვანი არმიით ტყვედ ჩაიგდო ხელში წითელმა არმიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაშისტებმა შავარშიიანი დროშები გამოჰკიდეს, თავდახრილნი და დაღვრემილნი დადიოდნენ.

შაბათი საღამო იყო. კარი ადრე ჩაგვიკეტეს, ყველანი შინ ვიყავით, მხოლოდ კოტე ნუცუბიძე გვაკლდა, იგი რაღაც საქმეზე წაიყვანეს ქალაქში და ერთ კაცს ერთი ბადრაგი გააყოლეს. ნუცუბიძე ლაზარეთში გვიან დაბრუნდა. ჩვენს ბინას რომ უახლოვდებოდა, თავისი ნაცნობი უკრაინელი ქალი შეხვედროდა. ბადრაგს არ დაემალა იმ ქალთან გამოლაპარაკება. ქალს ეთქვა: თქვენს საცხოვრებელ სახლს რომ მიუახლოვდები, კიბის ქვეშ შენთვის რაღაც დავტოვე და ისე გამოიღე. ბადრაგმა არ შეგნიშნოსო. ბადრაგს ყურადღება არ მიექცია ნუცუბიძისთვის და მართლაც სულ ადვილად გამოეღო ძონძებში შეხვეული პარკი, რომელშიაც გემრიელ საჭმელთან ერთად სამი ნახევარ-ნახევარლიტრიანი არაყი დებულიყო.

ნუცუბიძე ჩვენთან შემოვიდა და როდესაც ტყვეობიდან გაქცევის გეგმაზე კამათი ატყდა, ჯიბიდან შავლულიანი რევოლვერი ამოიღო, უკან დაიხია, ისე, თითქოს ვიღაცას უმიზნებსო და დაიყვირა: ამას ხედავთ? გადაწყდა, გადაწყდა, ბიჭებო, ჩემო საყვარელო ამხანაგებო, თქვენ როგორც გინდათ ისე მოიქეცით და დღეიდან მე ვიცი, რასაც ვიზამო.

ჩვენ მაშინვე მოგვაგონდა გერმანელების კანცელარიაში დაკარგული რევოლვერი და ნუცუბიძის ნაცნობი ქალი, რომელმაც მას რევოლვერი შეუნახა.

იარაღის დანახვამ და ნუცუბიძის შემართებულმა განწყობილებამ სიმამაცე დაგვიბრუნა, თითქოს ახლად დავიბადეთ.

[1] „ფლოდა რელტიჲ“—ნიშნავს ადოლფ ჰიტლერს თუ უკუღმა წაიკითხავთ. როდესაც მისი ხსენება გვინდოდა, ამ ხერხს მივმართავდით.

— ოხ, კოტე, რა კარგი ბიჭი ხარ, რომ იცოდე, მაგრამ სუ, ნუ ყვირი, არავინ გაიგონოს, — ჩურჩულით მივაძახე ნუცუბიძეს, რომელიც მზად იყო გაეტეხა კარი და გარეთ გავარდნილიყო.

— შური უნდა ვიძიო და მერე უნდა მოვკვდე, ღმერთო, ნუ ჩამიყვან ისე საქართველოში, — თქვა ბოლოს სავსე ნუცუბიძემ და რევოლვერს ლულაზე აკოცა.

რევოლვერი ისევ ჯიბეში ჩაიდო. გავიდა თავის ოთახში, გამოიტანა უკრაინელი ქალის მოტანილი სასმელ-საჭმელი, დააწყო მაგიდაზე, ისევ გავიდა თავის ოთახში და მაშინვე ხელებგაშლილი ბალდადურის ცეკვით წამოვიდა ჩვენსკენ. თავზე ნახევარლიტრიანი არაყი ედგა, მაღლა იხედებოდა და რევოლვერს უმიზნებდა.

— აჰა, დაიდგი თავზე, უნდა ვესროლო, — უთხრა შალვა ვარდანიძეს ნუცუბიძემ. ასეთნაირი საქციელით ტყვეობას ივიწყებდა, მას ალბათ თავი მტკვრის ნაპირას წარმოედგინა თავის ტოლ ბიჭებში.

— დამანებე, ბიჭო, თავი, — საცოდავად დაელრიჯა ვარდანიძე და თავზე დაიფარა ხელი: მართლა არ დამადგას ბოთლი და არ მესროლოს ამ გადარეულმაო.

— აჰა, დაიდგი თავზე, — კიდევ გაუმეორა ნუცუბიძემ და ჩვენ თვალი ჩაგვიკრა.

შეშინებული ვარდანიძე თვალს არ აშორებდა რევოლვერს, ხელს იფარებდა და ეხვეწებოდა: ბიჭო, გასწი იქით, არ გავარდეს მაგ წყეულიო.

— არ გავარდესო! აბა რაღ მინდა, თუ არ გავარდება. გავარდება, გავარდება, შალვა, ვისთვისაც საჭირო იქნება. ეს წყეული არაა, ახლა ეს რევოლვერი ჩემი მეგობარია. წყეული იყოს, რამაც შენ შენს მოსწავლეებს მოგაშორა! რა შენი საქმეა, ბიჭო, ომი, შენ ახლა შენს მოწაფეებთან უნდა იყო და ლექსებს აზეპირებინებდე:

და, რომ ყვიროდა: „დაჰკარ, დაჰკარ!“
მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭაჭა
და შეუნგრია გულის ფიცარი —



რიხიანად წარმოთქვა ეს სამი სტრიქონი და გაჩერდა. ვარდანიძემ მიაწოდა შემდეგი სტრიქონები.

— არა, ჩემო შალვა, მეტი აღარ მჭირდება, მეტი არც სკოლაში ვიცოდი და ქართული ენის მასწავლებელმა თავგასიებული ორიანი დამიწერა. შენ, ბიჭო, შენს სკოლაში უნდა იყო და მოწაფეებს ეუბნებოდე: ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წელს, მოჰკლეს 1907 წელს...

ღმერთო ჩემო! რა მოულოდნელად კარგი საღამო იყო, სულ სიცილ-ტირილი მოგვდიოდა. მივუსხედით სუფრას, წავივახშმეთ, არაყს წირვა გამოვუყვანეთ და ფიცი დავდეთ, რომ ტყვეობაში უსახელოდ არ დავხოცილიყავით.

მოვილაპარაკეთ: ტყეში, შეშის დამზადების დროს, კოტე ნუცუბიძეს უნდა დაეხოცა ჩვენი მეთვალყურე მებადრაგენი, დანარჩენები ცულებით უნდა შევიარაღებულიყავით და დროებით შევფარებოდით ტყეს. ეს არ იყო ადვილი საქმე. თუ წინასწარ არ ვიშოვნიდით თავშესაფარს რომელიმე უკრაინელის ოჯახში, ტყეში შიმშილითა და სიცივით დავიხოცებოდით.

— აბა, მომავალო პარტიზანებო, ამოიღეთ, ვის რა იარაღი გაქვთ! — გვითხრა კოტე ნუცუბიძემ, რომელიც რევოლვერის გამო ჩვენი მეთაური გახდა და მივიღეთ კიდეც მეთაურად. გერმანული და ზოგს უკრაინული ხანჯლისებური დანა ყველას გვქონდა, გარდა ვარდანიძისა. ვარდანიძეს გერმანელების ნებართვით არ ვამუშავებდით ტყეში. იგი ჩვენი ბინის დამლაგებლად რჩებოდა.

მაინც არ ეშვებოდა ნუცუბიძე ვარდანიძეს, ეუბნებოდა: შალვა, შენ უნდა წაგიყვანოთ ტყეში, აჰა რევოლვერი, შენ უნდა დახოცო ფაშისტები. ვარდანიძე იღიმებოდა და თვალს არიდებდა რევოლვერს. საბოლოოდ ნუცუბიძემ უხანჯლო ვარდანიძეს გადასცა თავისი ალუმინის ჩანგალი, რომლის მეორე ბოლო კოვზი იყო და ეს კოვზჩანგალა სქელი ქაშის ჭამის დროსაც კი ილუნებოდა. იმ ღამით ჩვენ-ჩვენს

ოთახებში აღარ დავწოლილვართ. ერთ დიდ ოთახში გავათენეთ მშფოთვარედ.

მეორე დღეს ნახშირის საზიდად წაგვიყვანეს და მთელი კვირა ამ საქმისთვის გამოგვიყენეს. ამის შემდეგ კიდევ ორჯერ მოგვიხდა წასვლა შეშისთვის, მაგრამ არ იყო ხელსაყრელი პირობები ჩვენი გეგმის განხორციელებისათვის.

როგორც ერთხელ ვთქვი, 17 კაცი დავრჩით ლაზარეთში. აღარც შეშისთვის გვიშვებდნენ და აღარც ქალაქში რაიმე საქმისთვის, ლაზარეთშივე ვმუშაობდით და უწინდებურად თავისუფლად ერთ ნაბიჯსაც ველარ ვდგამდით. შემდეგ გესტაპოელები მოვიდნენ ლაზარეთში და დაგვკითხეს; ისეთ პასუხებს ვაძლევდით, რომ თუ ჩვენ არაფერში გამოგვადგებოდა, არც მათთვის ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა.

იმ საღამოს, დაწოლის წინ, არ გავუფრთხილებივართ, თუ ვის რა უნდა გაეკეთებინა მეორე დღეს. გაგვიკვირდა წესრიგის მოყვარული გერმანელებისაგან.

დილით მანქანის ხმაურმა გამოგვაღვიძა. რაღაც სხვანაირი ხმა ჰქონდა იმ მანქანას. წამოვცვივდით ლოგინიდან ყველანი, გავიხედეთ გარეთ და რას ვხედავთ? ჩვენი ბინის წინ გაზის კამერა დგას. ისეთი დუმილი ჩამოვარდა, რომ ჯღორხეთურ ხმაურზე მძაფრი იყო. მარტოკა რომ ვყოფილიყავი და მარტო ჩემთვის მოეყვანათ ის ცოდვიანი „მანქანა", მგონი ნაკლებ ვიგრძნობდი სიკვდილის მოსვლას; შევხედე გაფითრებულ ამხანაგებს და მათში ჩემი თავიც დავინახე.

გაგვიღო კარი გუშაგმა. ჩვენ კარგა ხნის ჩაცმულ-დახურულები კისხედით. მოვიდა ჩვენი ჯგუფის უფროსი გერმანელი, გაიყვანა ხუთი კაცი ჩვენგან და სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ბარებითა და თოხ-წერაქვებით შეიარაღებულები დაბრუნდნენ. დაგვირიგეს სამუშაო იარაღები, გავიდეთ მხარზე ზოგმა ბარი, ზოგმა თოხი და როგორც გვიბრძანა უფროსმა გერმანელმა, გავყევით უკან; ბადრაგს დაგვიანებოდა და გზაზე წამოგვეწია.

მიგვიყვანეს პატარა ტყის ნაპირას, სწორედ იმ ადგილას, სადაც ხუთი თვის წინათ მახათაძე დავასაფლავეთ. დაგვაჯგუფეს ოთხ-ოთხ, ხუთ-ხუთ კაცად და გვიბრძანეს გაგვეთხარა მიწა დაახლოებით ადამიანის სამარის ზომისა. არც გვიკითხავს, ვისთვის რა საჭიროა სამარისოდენა მიწის გათხრაო. არც ლაპარაკი, არც შფოთვა, არც სასოწარკვეთა არ გამოგვიმჟღავნებია. დადგა მხოლოდ ყველაზე უმძიმესი წუთები — სიკვდილის მოლოდინი, და ამ გრძნობამ ისე გაგვაოგნა, ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენჯერ ჩაგვივლია გვერდი მახათაძის სამარისთვის, რა სინანულით გაგვშორებივართ ყოველთვის, ახლა კი თავზე ვადგივართ და ბედნიერად მიგვაჩნია იგი. სძინავს მშვიდად.

ჩვენი ჯგუფის უფროსი გერმანელი და ბადრაგი განცალკევდნენ, ცოტა თავისუფლად ვიგრძენით თავი. შუადღის მოახლოებამდე სულ იოლად იმოდენა სიღრმის მიწა გავთხარეთ, რომ გაჭირვებით ჩვენს მტრებსაც ეყოფოდა.

დუმილით ვმუშაობდით. ამ უმძიმესი წუთების დროს რაღაც ფრინველმა გადაგვიქროლა თავზე, ყველამ უმიზნოდ გავაყოლეთ თვალი. მხოლოდ კალენიკე წიტაიშვილმა წამოიძახა: ყვავი, ყვავიო. ის ფრინველი არ იყო ყვავი, მაგრამ არ გაგვისწორებია მისი შეცდომა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის, რა ფრინველიც არ უნდა ყოფილიყო. თვითონვე მიხვდა წიტაიშვილი და თავისთვის თქვა: ჩხიკვი, ჩხიკვიო და უხალისოდ დაჰკრა ბარი მიწას. გაგვეცინა, თითქოს გავმხნევდით კიდეც.

უცებ ლაზარეთის მთავარი კორპუსის დაღლარა ცეცხლფარეშის მიამიტურად უდარდელი ღიღინი მოგვესმა. ყველამ მისკენ ვიბრუნეთ პირი. წესიერად ჩაცმულ-დახურულიც სასაცილო იყო ყოველთვის, საქმიანობის დროს

კი რაღა საკითხავია—თავით ფეხამდე ნახშირით იყო მოსვრილი, თეთრი კბილები მოუჩანდა, ტანისამოსის ნაფლეთები ყურთმაჯებივით ეკიდა სახელოებთან; ჩვენ იგი რაღაც ახალი ამბის მომტან-მაუწყებლად მივიჩნიეთ და ცოტა გამოვცოცხლდით. აქა-იქ გააპო მჭმუნვარებით მოკუმული ტუჩები დამწყვდეულმა ღიმილმა. მაგრამ დაგვტანჯა იმ შერეკილმა ცეცხლფარეშმა: დადგა და სანამ გულდასმით არ გაახვია და არ გააბოლა მახორკა, ფეხი არ მოიცვალა. მერე ღიღინით წამოვიდა ჩვენსკენ.

— აი, ბედნიერი კაცი, არაფერი რომ არ აწუხებს! — ყველამ ერთად ჩავილაპარაკეთ შეთანხმებულებივით. ის საწყალი ვერ გრძნობდა ვერაფერს უჭკუობის გამო, თორემ თავისი თანამემამულეებივით მასაც ბევრი რამ ჰქონდა სამწუხარო. გერმანელების შემოსვლამდე იმავე კორპუსის ცეცხლფარეში ყოფილიყო, გვრიტებივით ცოლშვილი ჰყოლოდა და ბედნიერადაც ცხოვრობდა, ახლა კი მტრის ნასუფრალით იკვებებოდა.

მოგვიახლოვდა, კეთილი ღიმილით ჩაგვიარა გვერდი ძალად მესაფლავეებს. არც „გამარჯობას" თქმა დავიწყებია (ჩვენში საფლავის მთხრელებს არ ეუბნებიან „გამარჯობას", თუმცა მან ეს რა იცოდა). ჩვენს უფროს გერმანელსა და შებადრაგეს მიაშურა, ფაშისტურად მიესალმა და ხმამაღლა შესძახა:

— ქალაქის „შტრალოდან"[1] ნახშირია მოსატანი, მუშებისთვის გამომაგზავნეს.

გაგვეხარდა, დიდი კმაყოფილებით გავიდებდით მხარზე ჩვენი სამარის გასათხრელ იარაღს და გავსწევდით ნახშირის მოსატანად, მაგრამ ჩვენმა უფროსმა გერმანელმა უარით გაისტუმრა.

მიდიოდა დაღლარა ცეცხლფარეში, ხშირ-ხშირად იხედებოდა უკან. რატომღაც გვახარებდა მისი უკან-უკან მოხედვა. ალბათ ფიქრობდა, ვაითუ უფროსმა გადაიფიქროს და მუშები გამატანოსო! დაღლარა კი არა, იგი ჩვენ მაშინ უსაყვარლეს, უკარგეს ადამიანად გვეჩვენებოდა. ძონძების ფართხუნით მიიმალა ტყეში და უკანასკნელი იმედიც დაგვეკარგა.

ისევ ჩამოწვა დარდის ღრუბელი. ყველანი მტკიცედ ვინარჩუნებდით დუმილს. ფეხაკრეფით, უხმაუროდ გვიახლოვდებოდა სიკვდილი.

სამნი ძმანი გურულები
მუშაობდნენ ყანასა... —

წამოიწყო გაუბედავი ხმით გურულმა ვასო კობიძემ. მისმა ამ მოულოდნელმა სიმღერამ დაგვაფრთხო დანარჩენები, მაგრამ არ დაგვიშლია:

სამუშაოც კარგი ჰქონდათ,
დასძახოდნენ ნანასა და... —

უფრო გაბედულად განაგრძო სიმღერა მეორე გურულმა ვანო კილაძემ. აჰყვნენ დანარჩენებიც და ისეთი სიმღერა დავაგუგუნეთ, გეგონა, ველარ გაბედავდა სიკვდილი მოსვლას. შეცბუნებული ორივე გერმანელი იმ წამსვე ჩვენთან გაჩნდა. ისინიც დააფრთხო ჩვენმა სიმღერამ, ხმას ვერ იღებდნენ. მხოლოდ ერთმანეთს შესცქეროდნენ განცვიფრებულები.

მთელი ხმით მღეროდა განსაკუთრებით ვანო კილაძე, რომელსაც ისეთი ძლიერი ბარიტონი ჰქონდა, ვერ დაიჯერებდით, თუ იმოდენა ხმა ისეთ პატარა კაცში იმალებოდა.

ჩვენი სიმწრის სიმღერა ჩქარა ჩააქრო ორი გერმანელი ექიმის მოსვლამ. გაოცებულნი წამოგვადგნენ თავს. უფროსი ექიმი, რომლის გვარი ბოილე იყო, მალე მოეგო გონს, იგი იაფფასიანი ბალაგანის მოცეკვავეს ჰგავდა, სიარულის დროს სხეულის ყველა ნაწილს ათამაშებდა და ისე დადიოდა, იფიქრებდით, ნათხოვარი ფეხები აქვსო.

[1] კიევის განაპირას მდებარე შეშისა და ნახშირის საწყობი.

მეორე ექიმი, რომლის გვარი არც მაშინ ვიცოდი, კარგი თვალტანადი იყო, არაფრით არ ჰგავდა გერმანელს; ფრიად სერიოზული, იგი არასოდეს არ მინახავს გაღიმებული, თითქოს არ სჭირდებოდა ღიმილი მის სახეს. უკან ხელებშემოდებული ჩასცქეროდა ნახევრად გათხრილ 17 კაცის საფლავს, ხანდახან გადაგვავლებდა ხოლმე ჰკვიან თვალებს და დუმილს განაგრძობდა.

გულით მეწადა გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ მან არ ისურვა. მინდოდა შემეგინებინა მათი ბარბაროსული საქმიანობა და გული მაინც მომეოხებინა, მაგრამ ეს აღარ დამჭირდა. გერმანელმა ექიმმა დუმილი დაარღვია და ჩვენს უფროსს უთხრა, რატომ არ გამოგზავნეთ ეს ტყვეები ნახშირის მოსატანად, რატომ არ შეასრულეთ ჩემი ბრძანებაო? ჩვენმა უფროსმა გერმანელმა თავის მართლება დაიწყო. აღარ დააცალა კარგმა თვალტანადმა ექიმმა სათქმელი და უბრძანა, ყველანი წაიყვანეთ ნახშირის გადმოსაზიდადაო.

გავემართეთ ჩვენი ბინისაკენ. გაზის კამერა იმავე ადგილზე იდგა. დილით უჭმელები წავედით, ბადრაგმა გვიბრძანა: შედით თქვენს ბინაში, თქვენ-თქვენი ულუფა გაინაწილეთ, ისადილეთ და გამოდით დანიშნული დროისთვისო.

შევცვივდით, გავინაწილეთ ფქვის ხმელი პური, ვისადილეთ სასწრაფოდ და გარეთ რომ გამოვედით, კამერა აღარ დაგვხვედრია. გაფრენილიყო დაუბრუნებლად ჩვენი ბედისწერის შავი ყორანი.

მოაგრიალა ახალგაზრდა გერმანელმა შოფერმა ნახშირის საზიდი მანქანა. უხაროდა და ეჩქარებოდა კიევში წასვლა: ერთ გერმანელ ფროილაინთან პაემანი მაქვსო; ფოტოსურათიც კი გვიჩვენა. ვუქეთ, მოვუწონეთ. იცინოდა, ბედნიერი თვალებით გვიცქეროდა. ჩავსხედით მანქანაში და რამდენიმე წუთის შემდეგ მივქროდით კიევის ლამაზ ქუჩებში. გვიხაროდა დროებით გადარჩენა.

ბედნიერებამ მხოლოდ ცოტა ხნით მოიცალა ჩვენთვის.

მაისის მშვენიერი დილა იყო. სამუშაოდ აღარ გაგვიშვეს. ლაზარეთის რუსმა თარჯიმანმა ჩვენთან ჯგუფის უფროსი გერმანელი ოფიცერი შემოიყვანა. მან თარჯიმნის პირით გამოგვიცხადა, ჩვენი საცხოვრებელი სახლის უკან ჩავმწკრივებულიყავით ჩაუცმელდაუხურავნი, როგორც ვიყავით, ისევე. შევასრულეთ ფაშისტი ოფიცრის ბრძანება.

ყველაზე გვიან მუდამ დინჯი და აუჩქარებელი შალვა ვარდანიძე გამოვიდა ოთახიდან. მას საერთოდ არც სიხარული ემჩნეოდა და არც აღელვება.

სანამ თარჯიმანი და გერმანელი ოფიცერი მოვიდოდნენ, შეგვექნა ლაპარაკი: რა უნდა იყოს მიზეზი ასეთი ბრძანებისა, ვის რა ბრალს გვდებენო. ვასო კობიძის აზრით ჩვენ თარჯიმნის დასმენილები ვიყავით. თარჯიმანი დაუძინებელი მტერი იყო ლაზარეთში მომუშავე ცეცხლფარეშისა, რომელსაც პარტიზანებთან ჰქონდა კავშირი. ცეცხლფარეში ჩვენს ჯგუფთან დაახლოებული იყო და მისგან ვიცოდით ფრონტისა და პარტიზანების ამბები. ზოგმა რა გაიხსენა და ზოგმა რა.

ჩვენი ფიცის დადების დღეს, საღამოთი, ლაზარეთის თარჯიმანი შემოლაყუნდა ჩვენთან. თვითონ არ ამბობდა და არც ვიცოდით რა ეროვნებისა იყო, ამბობდნენ დედით გერმანელიაო. როგორც ჩანს, შერეული სისხლისა იყო — ჰკუაც რომ შერეული ჰქონდა? მე ყველაფერი ვიცი, რასაც თქვენ ფიქრობთ

და საქმიანობით. გვემუქრებოდა, გვაშინებდა, თითქოს კიდეც ხუმრობდა, ვერ გაიგებდით, როდის ლაპარაკობდა სერიოზულად და როდის ხუმრობდა. ყველა ჩვენთაგანს „გრუზინსკაია შუტკათი“ ემუქრებოდა. მისი აზრით, „გრუზინსკაია შუტკა“ შემდეგში მდგომარეობდა: დამნაშავეს ტომარა უნდა ჩამოაცვა თავზე და ისე აკოტრიალო და სცემო, ვერ უნდა გაიგოს, ვინ სცემა. ასეთი სულელური „შუტკა“ არ არსებობს საქართველოში-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვარდანიძემ შემაჩერა.

ვანო კილაძე გვარწმუნებდა, ნუცუბიძემ რომ რევოლვერი გვიჩვენა და ფიცი დავდეთ, თარჯიმანს მოვკარი თვალი სარკმელთანო.

შესაძლებელი იყო თარჯიმანი დამალულიყო დანგრეულ ოთახში. ის ოთახი სწორედ ჩვენს გვერდით იყო. თხელი კედელი გვფარავდა მხოლოდ, ლაპარაკი კი კარგად ისმოდა. მან არ იცოდა ქართული ენა, მაგრამ რუსულადაც ვსაუბრობდით ისე, როგორც იციან საქართველოში რუსულ-ქართულის შერეული ლაპარაკი.

— ჰაი დედასა! — ჩაილაპარაკა ნუცუბიძემ თავისთვის. — რამ გაგაფითრათ, ბიჭებო! აი, ქალიც იმას ჰქვია, ვენაცვალე მის გამზრდელს, — ისევ მოიგონა თავისი ნაცნობი ქალი, მიბარებული რევოლვერი რომ მოუტანა.

მე ვდუმდი, არ იყო დრო ამხანაგებთან შეკამათებისა. თუ გადავრჩებოდი, სად წამივიდოდნენ? მხოლოდ ერთი „ნუ გეშინიათ“ წამომცდა. თარჯიმანი და გერმანელი ოფიცერი იგვიანებდნენ. ჩვენი ცხარე კამათი და მიზეზების ძებნა არ თავდებოდა. მხოლოდ შალვა ვარდანიძე არ იღებდა ხმას. თავისებურად მწარედ იღიმებოდა ხანდახან და სხვების ლაპარაკს, არ ვიცი, უსმენდა თუ არ უსმენდა.

ეს დღე იყო 1943 წლის 19 მაისი, როდესაც ჩვენი წითელი არმია მტრისგან დროებით დაპყრობილ ჩვენს სამშობლოს მიწა-წყალს ათავისუფლებდა. გამარჯვება ახლოვდებოდა და რა დროს სიკვდილი იყო!

ამ დროს მანქანის გრიალი გაისმა, თვალწინ გაზის კამერამ ჩაგვიქროლა და ერთ-ერთი კორპუსის წინ დადგა. ერთმანეთს თვალი ველარ გავუსწორეთ. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და ეს სიჩუმე ვარდანიძემ დაარღვია, ეგ ხომ მაცივარიაო. მე კი თვალები ამემღვრა, არც წარწერის წაკითხვა შეიძლებოდა. თუმცა ასეთ მანქანებზე არაფერს არ აწერდნენ. მანქანა საკმაოდ შორს იდგა ჩვენგან, მაგრამ მე მაინც დავინახე, აშკარად დავინახე, თუ როგორ გაიღო დახურული მანქანის კარი. მომეჩვენა, თითქოს 17 ცელმომართული სიკვდილი გამოემართა ჩვენსკენ.

ეს ზმანებაც გაქრა, როდესაც გერმანელი ოფიცერი და თარჯიმანი მოგვიახლოვდნენ და დადგნენ ჩვენს პირდაპირ. მაშინვე ვიგრძენით, რომ საქმე არც ისე ცუდად იყო, როგორც გვეგონა. ისინი სრულიადაც არ ჰგავდნენ სიკვდილის ამბის მაუწყებლებს.

ეს მართლაც ასე გამოდგა და არ ვიცი რამ გადაგვარჩინა, ბედმა თუ შემთხვევამ. გამოგვიცხადეს, ახლავე მოემზადეთ ბანაკში წასასვლელადო. დავიშალეთ, დავესიეთ ჩვენს ბარგი-ბარხანას, ჩაგვსვეს მანქანაში და 1943 წლის 19 მაისს მიგვიყვანეს დარნიცას სამხედრო ტყვეთა ბანაკში, რომელიც კიევიდან დაახლოებით 30 კილომეტრით იყო დაშორებული.

კიევის გერმანელთა „კრიგლაზარეთი“ ჩვენთვის სამოთხე იყო (თუნდაც იმიტომ, რომ ცარიელი მივატოვეთ ჩვენს მიერ ჩვენთვისვე ნახევრად გათხრილი სამარე, უაზროდ რომ შესჩერებოდა უკრაინის ცა-ლაჟვარდს). დარნიცა კი ჯოჯოხეთის ნაპირი. ჯერ დარნიცამდე ვერ აღწევდა აბრიალებული

კუპრის ალი, მაგრამ ემჩნეოდა, რომ ჩქარა გადაიქცეოდა ჯოჯოხეთად.

ეს დღეც დადგა, ბანაკი მთლიანად გაივსო სამხედრო ტყვეებით. უმოწყალოდ ხვრეტდნენ ტყვეებს. ფურგონებით გაჰქონდათ შიმშილითა და ათასგვარი ავადმყოფობით დახოცილები, მაგრამ ბანაკს თითქოს არაფერი აკლდებოდა.

ახალი მისულები ვიყავით დარნიცას ბანაკში. საღამო ხანი იყო. ბანაკის უფროსმა პოლიციელმა გამოგვიცხადა, რომ მთელი ბანაკი ერთად შევკრებილიყავით მოუწყობლად. ავასრულეთ მისი ბრძანება. რაღაც ახალი ამბავი უნდა ემცნოთ ტყვეებისთვის, მაგრამ სხვა ბანაკებში ტყვეებსაც სამხედრო წესით ჩაგვამწკრივებდნენ ხოლმე და მოუწყობლად თავის შეყრამ გაგვაკვირვა.

გაიღო ბანაკის ჭიშკარი და ობობას ქსელივით გაბლანდულ ეკლებიან მავთულხლართებში გამოძვრა უკრაინელი მღვდელი. გულზე ჩამოკიდებული ჯვარი ხელში ეჭირა, მისი ოქრომკედით ნაქსოვი ოლარი ჩამავალი მზის სხივებზე ლამაზად ელვარებდა.

მოგვიახლოვდა თუ არა ერთად თავმოყრილ ტყვეებს, ამ ვითომ კეთილმა, გაიძვერა მოძღვარმა პათეტურად აღაპყრო ზეცისაკენ ყალბად აციმციმებული თვალები და ჯვარი გადაგვსახა. ჩვენ გაოცებული ვიდექით და შევცქეროდით. მორწმუნე ფაშისტებმა და პოლიციელებმა თავი დახარეს და პირჯვარი გადაიწერეს.

მღვდელი მარტო იყო, წირვა-ლოცვის რიტუალის შესასრულებლად ემზადებოდა.

გაარღვია მღვდელმა ტყვეების გარემოცვა, ამაღლდა სახელდახელოდ გაკეთებულ ამბიონზე, რომელზედაც ეკლესიიდან გამოტანილი ადამისდროინდელი ფარდაგი იყო გადაფარებული, ავიდა, გასწორდა წელში და გადმოგვავლო „მოწყალების“ თვალი. მას სწრაფად ეახლა უფროსი პოლიციელი. მღვდელმა პოლიციელს საკოცნელად ალერსით თავისი ფაფუკი ხელი და გამეფებულ ჩუმეში კოცნის ტლაშუნი გაისმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძღვარმა პოლიციელს რაღაც წაუჩურჩულა, პოლიციელმა თავი დაუქნია, შემდეგ შედგა, დაფიქრდა და ტყვეებს გამოგვიცხადა: გთხოვთ გამოვიდეს, თუ ვინმე არის თქვენში მცოდნე ძველი სლავიანური ენისა, დიაკვნობა გასწიოს და საღვთო წიგნი წაიკითხოსო. არავინ არ გამოსულა. ბოლოს, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ისევ სხვა პოლიციელმა ჩამოართვა ხელზე კოცნით მღვდელს კონდაკი[1] და დიაკვნობა იკისრა (ხომ კარგი სანახავი იქნებოდა მოძღვრის თანაშემწის როლში ლოცვადმდგარი პოლიციელი?).

მღვდელმა კვლავ გადაგვსახა ჯვარი, კვლავ აღაპყრო ცად თვალები და ატირებული ხმის კანკალით გვაუწყა: — შვილნო ჩემნო! ღმერთი განურისხდა ხალხს, გა-ნუ-რის-ხ-და, — დამარცვლით წარმოსთქვა, — ვინაიდან მათ დაივიწყეს ჭეშმარიტი ღმერთი. ვიდრე გვიან არაა, ვუშველოთ თავს. ბოლშევიკებს ურწმუნოება ღუპავს და ნაცისტებს კი სარწმუნოება ეხმარება. დადგა ჟამი, გავათავისუფლოთ საბჭოთა კავშირი ბოლშევიკებისაგან. საბრალოა მართლმადიდებელი რუსეთი და ყველა ხალხი ურწმუნო ბოლშევიკების ხელში. თქვენ, ტყვეები, უკვე თავისუფალნი ხართ და ილოცეთ ყოვლისშემძლე ღმერთი, ილო-ცეთ, რათა მოისპოს ყველა კომუნისტი ამ ცოდვილ მიწაზე და პირველ რიგში დიდ რუსეთში,—დაასრულა მოძღვარმა ქადაგება და ჯვარი გადაგვსახა.

— ამინ, ამინ, გოტ მიტ უნს, — წარმოსთქვეს ერთხმად ფაშისტებმა.

— ამინ, გოტ მიტ უნს, — თუთიყუშებივით გაიმეორეს პოლიციელებმა.

დადუმდა მოძღვარი და პოლიციელმა-დიაკვანმა გამოგვიცხადა, და-

[1] კონდაკი — წირვის ვაგების წიგნი.

ფიქრდით კარგად და დაეხმარეთ გერმანელებსო. ჯერ ერთი, საჭირო იყო ლოცვა; მეორეც, იქნებ აღმოჩენილიყვნენ ჩვენს შორის ისეთები, რომლებსაც ეცოდინებოდათ, სად ჰქონდათ ბოლშევიკებს გადამალული პური, იარაღი და სხვა ისეთი რამეები, რაც კი „ღვთისმოსავ“ ნაციონალ-სოციალისტებს გამოადგებოდათ. რომლებიც ასეთები აღმოჩნდებოდნენ, სააქაოს ფაშისტები დააჯილდოებდნენ და საიქიოს“ — ღმერთი.

მთელი ბანაკი დუმდა. პოლიციელმა რამდენჯერმე გაიმეორა ეს წინადადება, მაგრამ ყველას პასუხი ერთი იყო — დუმილი.

მღვდელმა ისევ განაგრძო წირვა-ლოცვა, ისევ გვსახავდა ჯვარს ხან ჯვრითა და ხან მარჯვენა ხელის ცერისა და ნეკის შეერთებით.

მთელი ბანაკი ერთ ქანდაკებად ქცეულიყო.

შუაწირვის დროს მღვდელმა და პოლიციელმა ისევ ჩურჩული დაიწყეს. პოლიციელი-დიაკვანი როლიდან გამოვიდა, ისევ პოლიციელად მოგვევლინა და მუქარა დაიწყო: ყველანი გაწყდებით ბანაკებში შიმშილითა და ავადმყოფობითო. მღვდელსაც დავიწყებოდა თავისი მღვდლობა, ხან თავს ვადახრიდა პოლიციელისაკენ, ხანაც საცეცხლურის ქნევით აუვლ-ჩაუვლიდა და ისე კარნახობდა.

პოლიციელი შეხტა ამბიონზე და გამოგვიცხადა: დაიხოცებით წამებით და ვინც ცოცხალი გადარჩება, გერმანიაში გავრეკავთო. აღელდნენ „პატიოსანნი“ ღვთის მსახურნი, ნერვიულობდა მღვდელი, ვინაიდან მრევლი მის ქაქანს არად აგდებდა.

ჩვენთვის ყველაფერი ნათელი გახდა: უკრაინელი მღვდელი მტრის მოსყიდული იყო და მათ საამებლად მოციქულობდა ღმერთთან, ღმერთის სახელით ჯაშუშობდა და სპეკულაციას ეწეოდა. ახლა დიდ გასაჭირში ჩავარდნილიყო, ქარი ოლარს უფრიალებდა, წვერი ასწეწოდა და გიჟივით იქნევდა ჯვარს. მაინც რომ ვერაფერს გახდა,



ბოლოს პოლიციელი-დიაკვნის პირით დაგვემუქრა, თუ პირჯვარს არ გადავისახავთ, სამი დღე და ღამე პურს ვერ მიიღებთ და დღეს კი დაღამებამდის დაჩოქილები იქნებითო.

არტყდა ტყვეებში ჩურჩული, პირჯვარი მაინც გადავიწეროთ, თორემ ეს ძაღლები რაღაცას აგვიტეხენო. დავიწყეთ პირჯვრის წერა და ცისკენ თვალების ტრიალი.

დარნიცას ბანაკში ყოველდღე მოდიოდა ტყვეების ახალი ნაკადი. ტევა აღარ იყო. ნაწილი ტყვეებისა კიდევ გაჰყავდათ სხვადასხვა სამუშაოზე, გაჰყავდათ აგრეთვე გასაქცევად გამზადებული გერმანელების ბარგი-ბარხანის ჩასაწყობად.

განა მხოლოდ თავიანთ ბარგს აწყობდნენ კიევის დროებით დამპყრობნი მანქანებზე — ნაძარცვ ქონებასაც, ყველაფერს, რაც კი ხელში მოჰყვებოდათ, რაც კი მოეწონებოდათ, რასაც კი მოისურვებდნენ. ბევრ მათგანს ისეთი უმნიშვნელო რამეები მიჰქონდათ, განცვიფრებულები შევცქეროდით.

დარნიცადან კიევში სამუშაოდ წასვლას თუ მოვახერხებდით, ხომ კარგი, თუ არა და უნდა ვმსხდარიყავით ბანაკში, გვინდოდა თუ არა, უნდა გვეცქირა ბანაკის ირგვლივ შემოვლებული მავთულხლართებისათვის, ან უნდა დაგვემარხა ჩვენი ძმები, შიმშილით და წამებით დახოცილი ტყვეები.

ჩვენი გლდანელი კოტე ნუცუბიძე კიევში სამუშაოზე ყოფნის დროს გაიქცა და რა ბედი ეწია, არ ვიცი. მას შემდეგ აღარ შემხვედრია და არც არაფერი გამიგია მისი.

დარნიცაში ჩემი მტერი, ბელაიაცერკოველი პოლიციელი შემხვდა. ყოველთვის გავურბოდი, დარნიცაში მაინც შევხვდით ერთმანეთს. რიხიანად მომესალმა და მერე სულელურად გამიცინა. მე მძიმედ დავუკარი თავი და გაცლა ვამჯობინე.

რამდენი საყვარელი ამხანაგი თვალწინ მომიკვდა, რამდენს დავშორდი, ის პოლიციელი კი არ დამეკარგა. სამუშაოზე მივდიოდი კიევში. მიცნო, როგორც ბელაიაცერკოვში, ჯგუფიდან გამომიყვანა და ბანაკში დამტოვა.

იმ დღეს პირამდე სავსე ბანაკი თითქმის დაცარიელდა. დიდად საჭირო იყო მუშახელი, სულ რამდენიმე კაცილა დავრჩით. მოუთმენლად ველოდი ნაცნობ-უცნობთა დაბრუნებას.

სანამ სამუშაო დრო დამთავრდებოდა, მე ჩემი დამემართა. ბანაკში დარჩენილი ტყვეები ხედიხედ გაჰყავდათ დასახვრეტად. ორი კაცი იქვე ბანაკის გადაღმა დახვრიტეს. ბანაკში დარჩენილებს ფეხიც არ მოგვაცვლევინეს ადგილიდან და იძულებული გაგვხადეს გვეცქირა.

დარნიცას ბანაკში ახალი მისული ვიყავი და ვფიქრობდი. ვინ უნდა დამასმინოს ან რაზე-მეთქი. როგორც იქნა დაღამდა და ბანაკი ისევ ტყვეებით აივსო. გახარებული ვეგებებოდი ქალაქიდან დაბრუნებულ ამხანაგებს, ნაცნობებსა და უცნობებს. მინდოდა ყველას გადავხვეოდი.

მეორე დღეს მე და გოგი სეფერთელაძე გამოგვიძახა ჩემმა მტერმა პოლიციელმა და ცალკე დაგვაყენა. მოვიდა ვიღაც გერმანელი და უთხრა: აი, ორივე წაიყვანეთო.

ტყვეების ჯგუფი რიგრიგობით გადიოდა ბანაკიდან, შევნატროდი მათს ბედს, ისე შევნატროდი, თითქოს თავთავიანთ სახლებში მიდიოდნენ.

სეფერთელაძე ჩემი სეხნია გახლდათ, მაგრამ საერთო არაფერი გვქონდა, გარდა სახელისა. მე იგი არ მიყვარდა. მთელი წელიწადი ერთად ვიყავით, ერთ ბედქვეშ ვგმინავდით, მაგრამ საერთო მასთან ვერაფერი ვპოვე. რა შეედრება იმ გრძნობას, როდესაც სულიერად გიჭირს და შენი სულიერი მღელვარების დამამშვიდებელ ადამიანს იპოვი. მხოლოდ მწუხარების გაზიარება კი არ გვიმსუბუქებს სულის ნაღველს. სიხარულის გაზიარებაც გვახარებს. მე თუ არ მიყვარდა ჩემი სეხნია სეფერთელაძე, არც მას მივაჩნდი რაიმედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენს წასაყვანად მოსულმა გერმანელმა აგვხედ-დაგვხედა და ფლეგმატურად გვითხრა, გამომყევითო. ისეთი სამხედრო ფორმა ეცვა, მისი მსგავსი არასოდეს არ მენახა, ჰიტლერული ჯარის არც ერთი სახეობის ფორმას არ ჰგავდა. თავისი ჩაცმა-დახურვის მიხედვით ნამდვილი არლეკინი იყო. მარცხენა მკლავზე ყვითელი ლენტი ჰქონდა შემოვლებული წარწერით: „Tob". მე ეს სიტყვა „Tod"-ად წავიკითხე. მოგეხსენებათ, რომ გერმანული სიტყვა „Tod" ქართულად სიკვდილს ნიშნავს, ერთი სიტყვით, მოსულიყო სიკვდილი და ამბობდა: აი, წაიკითხეთ—მე სიკვდილი ვარო!

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ხასიათზე დავდგებოდი. როგორც ვთქვი, იმ დღეს სულ ორ-ორი, სამ-სამი კაცი გაჰყავდათ დასახვრეტად. „ნუთუ ერთი ღამისთვის მიხაროდა სიცოცხლე?" —ვფიქრობდი გულში. სეფერთელაძემ მითხრა: ის მაინც მითხარი, რა აწერია, რას ნიშნავს გერმანელის მკლავზე შემოვლებული ლენტის წარწერაო. ისიც გრძნობდა რაღაც საშიშს. შემეცოდა და ვერ ვუთხარი, რასაც მე ვფიქრობდი. გავყევით გერმანელს.

გერმანელი ველოსიპედით იყო, ერთი ორჯერ მოახტა კიდეც ველოსიპედს და გააქანა, მიგვატოვა ცოტა ხნით, მერე ისევ მობრუნდა. არ მეჩვენება საიმედოდ მისი საქციელი. პირიქით, უფრო მიღრღნის გულს; კატამაც ასე იცის, გაუშვებს პირში დაჭერილ თაგვს და ისევ დაიჭერს. ჰაი დედასა! როგორ აგვიგდო! ახლა ხელით მიაგორებს ველოსიპედს, მიმართულება კიევისკენ აიღო. მივუახლოვდით ბუჩქნარს, აქა-იქ მეჩხერი ხეებიცა დგას. გერმანელმა ბუჩქნარისკენ გადაუხვია და სამარესავით გათხრილ მიწასთან გაჩერდა. იგი არაფერს გვეუბნება. ჩვენ ცოტა მოშორებით დავდექით. მეზარება საერთოდ სა-

მარეში ჩახედვა, ახლა კი უფრო გულ-მოდგინედ ვარიდებ თვალს ამ სამარეს.

კი, ნამდვილი სამარეა, წინასწარ გათხრილი, მომზადებული. კიდევ კარგი, რომ ჩვენ არ მოგვიხდა ჩვენი სამარის გათხრა, თუმცა უკეთესი ხომ არ იქნებოდა? ამ ერთ გერმანელს ბარს თავში დავარტყამდი, მოვკლავდი და გავიქცეოდი.

კი, ნამდვილი სამარეა, ორი კაცი ჩაეტევა შიგ. ვუახლოვდებით, თუ თვითონ გვიახლოვდება სიკვდილი. ჩემთვის ყველაფერი გასაგებია... სეფერთელაძემ არ იცის, რომ „Tod“ სიკვდილს ნიშნავს. ნეტა არც მე ვიცოდე.

ყველაფერი წარმოვიდგინე: ჩვენთვის წინასწარ გათხრილი სამარე, ჩვენ უკვე დახვრეტილები ვართ. მაინცდამაინც პირველად მე ვვარდები სამარეში, შემდეგ სეფერთელაძე. გერმანელს მაინც ვხედავ. იგი ველოსიპედით მიჰქრის კიევისაკენ. არა, არა, არ დავემორჩილები ბედს, მე ფიცი მაქვს დადებული — უნდა ვიბრძოლო. სრულიადაც არ მეშინია ამ ახოვანი გერმანელისა, მე მართალი ვარ და, მაშასადამე, უფრო ძლიერიც. მისი რევოლვერისაკენ მიშტერავს თვალი, მინდა ახლავე გადაწყდეს ყველაფერი. მაგრამ მისი ბლაგვი ხელი რევოლვერის ნაცვლად ქუდს ეხება. იხდის ქუდს, შიგ იხედება და ისევ იხურავს. ავიღე ქვა და ჯიბეში ჩავიდე, გავშალე ჯაყვადანა და მეორე ჯიბეში ჩავაპარე წვერით, გახეულ ჯიბეში ვადამდე ჩაძვრა, ცივი დანის პირი ტანზე მეხება და ჟრუანტელი მივლის. განა ტყუილად მივეცი ჩემი უკანასკნელი პერანგი ამ დანაში? მაშ რისთვის მინდოდა ეს დანა? ჰყინტი ყველის გასაჭრელად? მოასწარი, მოჰკალ და გაიქეცი. თუ ველზე გაქცეულს მომკლავენ, ეს მირჩევნია.

— გოგი, რა მოგივიდა? ველარ გცნობ, — მეუბნება სეფერთელაძე.

— დამეხსენი, არაა შენი საქმე, — ვპასუხობ სეფერთელაძეს. გერმანელს თვალს არ ვაშორებ. ის გადაჭრილ ხეზე ჩამომჯდარა. მოსასხამი ნაძვის ხეზე მიყუდებულ ველოსიპედზე გადაუკიდნია, ხელები ცალ მუხლზე შემოუ[illegible]ლავს და ფიქრებში წასულა.

სამარე მზადაა, საქმე კარგად აქვს, რა უჭირს. „ახლა გაქვს დრო“, — ვეუბნები ჩემს თავს. მინდა დავაცხრე მოულოდნელად, დავასწრო. მზადა მაქვს ქვაც, დანაც. „რას გაშტერებულხარ, შე სულელო“, — ვუყვირი ჩემს თავს. მაგრამ გერმანელი პაპიროსს იღებს პორტსიგარიდან და ჩვენც გვაწოდებს. სახეში შევყურებ და ისე ვართმევ პაპიროსს, მადლობის თქმაც არ მავიწყდება. განზე ვდგები და ახლა ხელებში ვუცქერი. გოგი სეფერთელაძე იღებს პაპიროსს და ნაძალადევად იცინის.

გერმანელი ასანთს მთხოვს. მე ვაყოვნებ ასანთის მიცემას, სეფერთელაძე ცდილობს დამასწროს, მეც ხელს არ ვუშლი.

სამივენი ვდუმვართ და ვაბოლებთ.

გოგი სეფერთელაძე იღიმება, მაგრამ არ უხდება ნაძალადევი ღიმილი.

გერმანელმა დაამთავრა პაპიროსის მოწევა, გადააგდო ნამწვავი, გადააფურთხა სამარისაკენ და ბოლიში მოიხადა. ნეტავ რად იხდის ბოდიშს? მეც მინდა მივაფურთხო ამ სამარეს, მეც მინდა მივაფურთხო იმას, რამაც ჩვენ ამ მდგომარეობაში ჩაგვაყენა.

ვეწევი პაპიროსს და მეშინია, ჩქარა არ დამთავრდეს. მგონია, რომ პაპიროსის დამთავრების შემდეგ გადაწყდება ჩვენი ბედი. სიცოცხლესავით ვუფრთხილდები პაპიროსის დამთავრებას. აჰა, დაცვივდა უკანასკნელი ფერფლიც...

გერმანელმა თავი გადააქნ-გადმოაქნია და ამოოხვრით თქვა: კარგია რუსეთი, მაგრამ ჩემი სამშობლო ყველაფერს მირჩევნიაო. რა კარგი იქნებოდა, ახლა რომ მე ჩემს ოჯახში ვიყო და თქვენ კი თქვენს ოჯახშიო. შეგვხედა, გაგვიღიმა და მისი ულამაზო სახეც გამშვენიერდა.

სიტყვა „გაოცება“ ცოტაა იმის გამოსახატავად, რაც ჩვენ დაგვემართა. ვკითხე, რომელი ქალაქიდან ხართ-მეთქი. ისეთი ქალაქი დაასახელა, არც გამეგონა და ალბათ რუკაზედაც ვერ მო-

ნახავდა ვინმე. ბერლინთან თუ არის ახლოს-მეთქი.

ეწყინა. ბერლინიც დასწყევლოს ღმერთმა და მთელი გერმანიაცო. მე ავსტრიელი ვარ, გერმანელები ჭირივით მეჯავრება, ეს ომი რომ მოგვახვიეს თავზეო.

რა მშვენიერი, რა საყვარელი კაცი იყო იგი იმ დროს. მინდოდა გადავხვეოდი, ბედნიერება და ოჯახში მშვიდობით დაბრუნება მესურვებინა მისთვის.

შვებით ამოვისუნთქე და ვკითხე, სად მიგყავართ-მეთქი. უკვე მივედითო, — მიპასუხა და გზის ნაპირას მდებარე ბარაკისაკენ გაიშვირა ფართო ჭორფლებიანი ხელი, — ორი კაცი აკლიათ, იმ ბანაკის ტყვეები შეშის დამზადებაზე მუშაობენო.

ბარაკამდე ბაზარი შეგვხვდა, ბაზარში შესვლის ნება დაგვრთო, არ ჩქარობდა. კიევიდან გამოყოლილი ფული გვქონდა, თითო პური და ოქროსფერი მახორკა ვიყიდეთ მე და გოგი სეფერთელაძემ, გამოვედით ბაზრიდან და მერე მიგვიყვანა ბარაკში.

იმ ბარაკში დაახლოებით ასი კაცი იქნებოდა. ქართველები ცოტანი იყვნენ. მათში გამოირჩეოდა თბილისელი ახალგაზრდა ნიკოლოზ დაჩანიძე. იგი ტყვესავით კი არ შეგვხვედრია, საგანგებოდ მოვლინებული პროპაგანდისტივით გამოგვეცხადა და აგიტაცია გაგვიმართა. იგი ნამდვილად თავგანწირული იყო, ყველგან და ყოველგვარ პირობებში ეწეოდა აგიტაცია-პროპაგანდას, ამხნევებდა ტყვეებს და მოუწოდებდა დაეღწიათ თავი ტყვეობიდან და ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ.

ნიკოლოზ დაჩანიძეს ამავე ბანაკში დავშორდი. ძალიან გვინდოდა ერთად ყოფნა, მაგრამ არ მოხერხდა. იგი გაქცეულიყო და როდესაც წითელ არმიას კიევი გაეთავისუფლებინა დამპყრობლებისაგან, ჩვენს ჯარს შეერთებოდა და მათთან ერთად ებრძოლა მტრის გასანადგურებლად.

1945 წელს ტყვეობიდან დაბრუნებული, მხოლოდ 1949 წელს შევხვდი ნიკოლოზ დაჩანიძეს მოულოდნელად თბილისში. ომში ცალი ფეხი დაეკარგოდა, გამოცვლილიყო: მას ტყვეობაში მხოლოდ დამჭკნარი ტყავი ჰქონდა გადაკრული ჩონჩხზე. მაგრამ რამდენი ენერგია და ცეცხლი იყო მასში. რომ შემხვდა, კარგად იყო ჩასუქებული, მრგვალი, სანდომიანი პირისახე სავსე მთვარესავით გაბადროდა. ამჟამადაც თბილისში ცხოვრობს, ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, ვიგონებთ ტყვეობის ჯოჯოხეთს და განვლილ უბედურებას.

ახალ ბანაკში ყოფნა ცოტა ხანს მომიხდა. სულ რამდენჯერმე ვიყავით ტყეში შეშის დასამზადებლად და მოსაზიდად. შეშას ჩვენი ბანაკის ახლოს ვაწყობდით და საჭიროებისამებრ გაჰქონდათ ქალაქში გერმანელებს. ჩვენი მოსვლის შემდეგაც დავდგით შეშის ხურდუმები, მაგრამ ამ შეშის მოხმარება აღარ ღირსებიათ გერმანელებს — ჩვენი დამზადებული შეშა ჩვენებს დარჩათ. ჩვენც ასე ვხუმრობდით შეშის დამზადების დროს: მოდიან ჩვენები და შეშას მაინც დავუმზადებთო.

ერთ დილით, სამუშაოზე გასვლას რომ ვაპირებდით, აურზაური ატყდა და სულ მალე ჩვენი ბარაკის წინ მდებარე დიდი გზა უკანდახეული მტრის ჯარითა და ტრანსპორტით ჩაიხერგა. იმ დილით აუცილებელიც რომ ყოფილიყო ტყვეების გაგზავნა შეშისთვის, ბარაკის ჭიშკრის გაღებაც აღარ შეიძლებოდა. კინაღამ ბარაკიან-ტყვეებიანად გადაგვთელა განგაშით უკუქცეულმა ჰიტლერული არმიის ჯარმა. სასწრაფოდ ჩვენც განგაშით აგვშალეს და ბარაკიდან გასვლა გვიბრძანეს. თითო-ოროლა კაცი ძლივს გავეტიეთ ოდნავ გაღებულ ჭიშკარში. კიევამდის თითქმის ერთად ვიარეთ მოსისხლე მტრებმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამხედრო ტყვეების ნაკადი ჩვენთვის უცნობი ქალაქისაკენ მიემართებოდა.

ჯგუფ-ჯგუფად ვიყავით თავმოყრილი და თუ რაიმე შემთხვევა არ დაგვაშორებდა ერთმანეთს, კარგი ამხანაგების ერთად ყოფნა დიდი იმედი იყო.

აბესალომ აჯიაშვილს ნათქვამი ჰქონდა, არავითარ შემთხვევაში არ წავალ გერმანიაში, აქ, უკრაინაში სიკვდილი მირჩევნიაო.

გზაზე ტყვეების გარეკვის დროს ისევ გაჩაღდა მათი ხოცვა-ჟლეტა. აჯიაშვილმა განგებ მიგვატოვა და კოლონის წინა რიგში მოექცა. შემდეგ თვალიდან დაგვეკარგა, იგი გაქცეულიყო და მოეკლათ.

დახოცილებსა და დაჭრილებს, ახლაც, როგორც ტყვეობის პირველ დღეებში, მიშველების ნაცვლად ფეხით თელავდნენ ცეცხლის ქვეშ მიმავალი ტყვეები. გზის ნაპირას დაცემულ აბესალომ აჯიაშვილს მოვკარი თვალი. იგი შავი ხუჭუჭა თმით ვიცანი, მისი სქელი ქოჩორი ეკლიანი ბუჩქივით უმკლავდებოდა უდარდელი ქარის თარეშს.

წითელი არმია შეუჩერებლად მიიწევდა წინ. გარბოდა ჰიტლერის ნაქები ჯარი და ჩვენც გვარბენინებდნენ. სულ მცირე მანძილით ჩამორჩენაც საკმაო იყო, რომ მოვეკალით. ისეთი ჟამი დადგა, რომ წარსულ ხოცვა-ჟლეტას არაფრად ვაგდებდით.

ჯანსაღი და მსუბუქტვირთიანი ტყვეები გაუჭირვებლად გარბოდნენ პირველ ხანებში. მე პირადად კი გვარიანად ვიყავი დატვირთული წვრილმანი ნივთებით და ცოტა არ იყოს მიჭირდა სიარული, მით უმეტეს სირბილი.

არც ფრონტზე და არც ტყვეობაში, შიმშილითა და ავიტამინოზით დაუძლურების გარდა, ავად არ გავმხდარვარ. გამომადგა ჩემი კარგი ფიზიკური წრთობა და ჩემი გადარჩენის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო.

მაწვალებდა ჩემი „ზედმეტი“ ნივთები, მაგრამ თუკი ველარ ვზიდავდი და ჩამოვრჩებოდი, მზად ვიყავ ყველაფერი გადამეყარა.

ჩამოვთვლი ყველა იმ ნივთს, რაც მიმქონდა და რაც ზედმეტი აღმოჩნდეს, მკითხველმა გადაყაროს.

ზურგჩანთაში მქონდა პურის პატარა ნაჭერი და სამას გრამამდე ორცხობილა, ერთი კონსერვი და წყლით სავსე მათარა. კიდევ მქონდა ორი მსუბუქი წონის ნივთი. ამ ორ ნივთს ჯერ ვერ დავასახელებ, ვინაიდან ორივე დამჭირდება და მეშინია, ზედმეტი არ მოგეჩვენოთ და არ გადამიყაროთ.

მაზარა არ მქონდა. დავკარგე, კიევიდან დარნიცაში წასვლისას მანქანიდან გადამივარდა, დაჭრილი ჯარისკაცივით დაეცა შუა გზაზე. ასე მეგონა, უსაყვარლესი მეგობარი დავკარგე-მეთქი. თვალის მიწვდენამდე ვუცქეროდი გზაზე დაგდებულ მაზარას, ვხედავდი, თუ როგორ თელავდნენ მანქანები.

ის მაზარა ჩემი ფრონტული მაზარა კი არ იყო, შემთხვევით ჩამივარდა ხელში: მხარმარცხნივ, პირდაპირ გულთან, ხაკისფერ სარჩულზე ორი სახელი ეწერა: „ოთარ-ციო“. ომში წასულ ბიჭს თავის სახელთან ერთად საყვარელი ქალიშვილის სახელიც მოეთავსებინა. ამ ორი სახელის ახლოს კიდევ ეწერა ორი რუსული სიტყვის ინიციალი.

ტყვიებით დაცხრილული მაზარა იყო, ცალი კალთა სულ დაფლეთოდა, გულიდან დაწყებული კალთებამდე სისხლით იყო მოსვრილი, მათს სახელებსაც სისხლის ლაქები აჩნდა. ყველას, ვინც კი ფრონტზე ან ჯარში ყოფილა, მოეხსენება, თუ რა ძნელია მეომრისთვის მაზარის უქონლობა.

საბჭოთა მეომრის მაზარა ფაშისტთა მწვანე ფერის ერზაცის მაზარას როდი ჰგავს, — წმინდა შალისგანაა დამზადებული, სიცხით გადამწვარი მინ-

დვრის ფერია და რუსი ჯარისკაცივით ამტანი.

მას შემდეგ ტყვეობაში მაზარა ვეღარ ვიშოვნე. სამაგიეროდ მქონდა ერთი ძველი, მაგრამ კარგი თბილი ნაბადი. ეს ნაბადი უკანასკნელი ბანაკის პოლიციელთა ბინაში აღმოვაჩინე—ამ ბანაკიდან გაქცევის წინ ვიღაცას დარჩენოდა თუ მიეტოვებინა. არ ვიცი, საიდან, რანაირად მოხვდა ის ლეკური ნაბადი სამხედრო ტყვეთა ბანაკში.

ჩემი შავი ნაბადი წონით მაზარაზე მსუბუქი იქნებოდა. ისეთი სისწრაფით მოგვიხდა იმ დღეს ბანაკიდან გასვლა, რომ არ დაგვცალდა პირადი ნივთები წესიერად მოგვეგროვებინა და ისე გვეტარებინა. ვერავინ ვერ მოასწრო ისეთი მომზადება, როგორც გრძელ სავალ გზაზე მოლაშქრეს შეჰფერის და ესაჭიროება. ყველანი გზაში ეწყობოდნენ, ბევრი გზადაგზა იკრავდა ღილებსა და ფეხსაცმლის ზონრებს.

მქონდა აგრეთვე ორიოდე საინტერესო წიგნი და გადავყარე. დავიტოვე მხოლოდ შინიდან წაღებული უბის წიგნაკი, რომელშიაც ფრონტულ და ტყვეობის ჩანაწერებთან ერთად ჩვენი თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსები მქონდა ჩაწერილი.

უნდა ვამხილო ჩემი თავი: იმ ორი ნივთიდან, რომელიც ჯერ არ მინდოდა დამესახელებინა, მხოლოდ ერთს დავასახელებ: „ფრანგული პოეზიის ანთოლოგიას“.

ვისაც რაიმე ესმის ლაშქრობისა, მან იცის, რომ მოლაშქრისათვის ერთი ნემსისოდენა ზედმეტი ტვირთიც კი ხელისშემშლელია, ჩვენ კი მოლაშქრეთა ყოველგვარი წესის დაუცველად გავრბოდით ყუმბარების მეხთაცემისა და ტყვიების გადაუკარებელ სეტყვაში.

ჩემი შავი ნაბადის გამო აშკარად დამცინოდნენ ზოგიერთები: ბიჭო, რას მოათრევ მაგ ნაბადს, ყაჩაღად ხომ არ აპირებ წასვლასო. ზოგი თოფს მპირდებოდა და ზოგიც ცხენს. ერთი სიტყვით, დამცინოდნენ, თუმცა ჯერ „დაცინვას კაცი არ მოუკლავს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე დანიშნულ ადგილამდე მივაღწევდით, ერთ ქარ-წვიმიან ღამით ღია ცის ქვეშ დავბანაკდით. მე თბილად [illegible] ვეხვიე ნაბადში. ჩემი დამცინავი ყმაწვილები კი გაცრეცილი ხალათების ამარა იყვნენ. შემეცოდნენ, გავშალე ჩემი ნაბდის ზღაპრული ფრინველივით დიდი და შავი ფრთები და ორი ახალგაზრდა უბუმბულო ბარტყებივით შევიფარე მარცხნივ და მარჯვნივ.

უნდა გამოვტყდე: კიდევ მქონდა ერთი პატარა პარკი მარილი. იცით, რა ფერისა იყო ჩემი მარილი? სულ თეთრი კი არ იყო, ცოტა ცისფერი გადაჰკრავდა. იქნებ ვინმემ იფიქროს: მოეჩვენაო. არა, არავითარი ჰალუცინაციები არ მქონია, ყველაფერს რეალურად ვუყურებდი, იმიტომ რომ უსარგებლო ოცნებები ჩემს მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანს არ გამოადგებოდა. ჩემი მარილი ცისფერი იყო რატომღაც და მე თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდი ამ პატარა პარკს.

ვისაც უპურობა, უწყლობა და უმარილობა არ გამოუცდია, მისთვის ძნელი იქნება გაგება იმ გაჭირვებისა, რაც ომის დროს გადახდათ ადამიანებს, მეტადრე ტყვეებს.

დარნიცას ბანაკში ვიყავით. ერთი ჩემი ამხანაგი საოცრად აღფრთოვანებული მოვარდა ჩემთან, გამიხმო ცალკე და მითხრა:

— გოგი, იცი, რა გითხრა? მარილი ვნახე, ერთ ტყვეს ჰქონდა: სად იშოვნა, არ ვიცი. შენი გულისთვის გთხოვ: თუ იშოვნო რამენაირად პურის პატარა ნაჭერი, ნუ გაიმეტებ შესაჭმელად, გახვიე ქაღალდში და შეინახე ისე, ვითომც არა გაქვს. ტყვეები მარილს პურზე ცვლიან.

დავთანხმდი. ვიშოვნე პურის პატარა ნაჭერი, გავჭერი შუაზე და მივეცი ამხანაგს, რომელიც მარილს დამპირდა. მან საჩქაროდ გაუტია „ალზევანს“ მარილის მოსატანად. მოხერხებული ბიჭი იყო, გაუჩინარს გააჩენდა: ჩქარა

დაბრუნდა და სანამ მარილს გადმომცემდა, მილეული ხმით ჩაიღიღინა:

> შვილო ჩემო, იმერეთით
> მოიტანდი: პურს და მარილს...

ხალათის გულისჯიბე გაიხსნა და ქაღალდში სათუთად შეხვეული ჩემი წილი მარილი ზეიმით, ჯილდოსავით გადმომცა.

დავსხედით, ამოვიღეთ ჩვენი გადანახული პურის ნატეხები, დავაყარეთ ზედ ცისფერი მარილი და შევექეცით. მხრებში ღონე ჩაგვიდგა და თვალებში სინათლე მოგვემატა. აი, თურმე რა ყოფილა ჩვეულებრივი მარილი!

რამდენადაც წინ მივიწევდით, ჩემი ნივთები იმდენად მძიმდებოდა. ეცემოდნენ ტყვეები და ვეღარ დგებოდნენ, რადგან მათ ფაშისტების ტყვია არ აძლევდა წამოდგომის უფლებას. „ნუთუ მეც დავეცემი?“ — ვფიქრობდი. მაგრამ მე მამხნევებდა ჩვენი წითელი არმიის არტილერიის გუგუნი, უწყვეტი გუგუნი, ზურგჩანთაში პურის პატარა ნატეხი, „ცისფერი მარილი“ და წყლით სავსე მათარა. მაინც ვურიდი ყველაფერს, რაც ზედმეტად მიმაჩნდა.

მარილი ამხანაგებს გავუნაწილე. მე მათ თვალებში ვკითხულობდი, თუ რა უძვირფასეს საჩუქარს ვარიგებდი.

ჩემი „ზედმეტი“ ტვირთი რომ რომელიმე გულშემატკივარი ამხანაგისთვის მეჩვენებინა და რჩევა მეთხოვა, თუ რა გადამეგდო, უსათუოდ „ფრანგული პოეზიის ანთოლოგიის“ გადაგდებას მირჩევდა. არავისთვის არ მითხოვნია რჩევა. კიდეც რომ მეთხოვა, მაინც ვიტყვი: „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა“.

„ფრანგული პოეზიის ანთოლოგიას“ რკინასავით მაგარი ყდა ჰქონდა და ოქროსფრად იყო მოვარაყებული. ყდის მუქმწვანე ფონზე ოქროსფრად მოელვარე ასოებით ეწერა: „Pétite anthologie des pòetes français“ — „პატარა ანთოლოგია ფრანგი პოეტებისა“.

ანთოლოგია ფრანსუა ვიონით იწყებოდა, შემდეგ პიერ რონსარი, ვიქტორ ჰიუგო, ალფრედ დე მიუსე, ბერანჟე, ალფონს ლამარტინი, კაზიმირ დელავინი, ეჟენ პოტიე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მგონია, ზედმეტი არ იქნება გრამბოთ, თუ რანაირად ჩამივარდა ხელში ანთოლოგია, რომ მკითხველს შინიდან წამოღებული არ ეგონოს.

კიევში, გერმანელთა სამხედრო ლაზარეთში მუშაობის დროს, ერთ საღამოს უცბათ გამოგვიძახეს გერმანელებმა. გავედით ლაზარეთიდან და ვხედავთ, მანქანა ჩაფლობიათ ტალახში და ვეღარ ამოუყვანიათ, ბუქსაობს მანქანა, მაგრამ ტალახში ჩაყრილი ეს ამდენი წიგნი რაღას ნიშნავს? იმ ვანდალებს ქვებისა და სხვა საჭირო მასალის მოზიდვა დაზარებიათ, ახლომდებარე ბიბლიოთეკა გაუტეხიათ, გამოუტანიათ წიგნები და ლაფის ამოსავსებად გამოუყენებიათ. მანქანაში ორი ფაშისტი ოფიცერია, საპურისივით დამჭკნარი, დეგენერატული სახე აქვთ. ისე უჭირავთ თავი, ვითომც და არაფერი მომხდარიყოს, სიგარებს აბოლებენ, უკრაინის დედაქალაქი სამუდამოდ თავიანთი ჰგონიათ.

— ჩქარა, ჩქარა, „ლოს მენშ“, — ღრიალებენ ისინი, წყევლიან და აგინებენ უკრაინის გზებს, თითქოს აქ ყველგან ცუდი გზები ყოფილიყოს. ჩვენც გავრბივართ და გამოგვაქვს წიგნები ბიბლიოთეკიდან, ვყრით ლაფში, გული და თვალები გვტკივა, მაგრამ რა ვქნათ. „ძალა ალმართსა ხნავს“.

რამდენიმე წიგნი ფარულად გადავინახე, „ფრანგული პოეზიის ანთოლოგია“ კი ისე მომეწონა, რომ ლაფში ჩასაგდებად ვერ გავიმეტე და უბეში ჩავაპარე. თან მეშინია, არ გამიგონ გერმანელებმა, თან მიხარია: დავბრუნდები თუ არა ლაზარეთში, შევალ ჩვენს ბანაკში, სარკმელსაც რომ ეკლებიანი მავთულხლართები „ამშვენებს“ და ქარიც რომ ვერ შემოდის ჩვენთან ფრთებდაუხევლად. ახლა ერთი ძლიერი სურვილი მამოძრავებს — ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა გადავმალო წიგნი, წავიკითხო ჩემი საყვარელი პოეტები, წუთით მაინც დავივიწყო კოშმარული სიცხადე. ხოგი ჰერი მარგებელიაო, პირდაპირ ამისთანა შემთხვევაზეა ნათქვამი. რა ნანატ-

რივით ჩამივარდა ხელში ეს ანთოლოგია. გავიხარე, მაგრამ საქმე რომ ნატვრაზე ყოფილიყო, ფრანგული კი არა, ქართული პოეზიის ანთოლოგიას ვინატრებდი.

შეერთებული ძალით ამოვავსეთ ჩვენ და ვანდალებმა ლაფიანი გზა წიგნებით, დაიძრა მანქანა, ათუხთუხდა, გაემართა ჯანდაბისაკენ.

სამი თუ ოთხი დღე და ღამის გაწამებული მგზავრობის შემდეგ ისევ ბელაიაცერკოვის ბანაკში მივბრუნდით. მომაგონდა ცრუმორწმუნე შალვა ვარდანიძე, რომელმაც კიევში წასვლის წინ ისევ ბელაიაცერკოვში მიბრუნება „გვიწინასწარმეტყველა". ჩვენი ჯგუფის ნაწილი, რამდენიმე კაცი მართლაც მივბრუნდით ამ ბანაკში, სხვებთან ერთად ვარდანიძეც გვაკლდა. დარნიციდან რომ წამოგვიყვანეს ტყვეები, ისიც ჩვენთან ერთად იყო. ერთხანს ვარდანიძე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, ბერიკაცივით ჩანჩალით მოგვდევდა, მერე ვეღარ შესძლო ჩვენთან სირბილი, ავადმყოფობით დასუსტებული კაცი იყო, ჩამოგვშორდა, გზა დაგვილოცა, ბედნიერება გვისურვა ამ კეთილმა ადამიანმა. არ ვიცი, რა ბედი ეწია მას შემდეგ.

ბელაიაცერკოვის ბანაკში არაფერი არ შეცვლილიყო. ერთი შეხედვით იგივე ბანაკი, იმავე მავთულხლართებით შემოზღუდული დაგვხვდა, ოღონდ ზამთარი უჩვეულოდ გაესტუმრებინა და ბევრი ტყვის ცოდვით ავსილიყო.

კბილი ამტკივდა. ჩვენს ბანაკში არ იყო კბილის ექიმი. გერმანელი ექიმი კიდეც რომ ყოფილიყო, ჩემი გულისთვის თავს არ შეიწუხებდა.

შემოდგომა იღეოდა. მზიანი დღე იყო, მაგრამ ცივი ქარი ჰქროდა. ქართველი ამხანაგები ყაზარმის კედელთან მიყუჟულები ვემალებოდით ცივ ქარს. გერმანიაში წასვლის საზარელი ზარი რეკდა და გვაშფოთებდა — სამშობლოს მოშორებულთ მეორე სამშობლო, უცხო რაინაც უნდა დაგვეტოვებინა.

რაღაც ჯოჯოხეთური ტკივილით მტკიოდა კბილი, მოსულიყო ვიღაც უხილავი არსება და საფეთქელთან ჩაქუჩს მიკაკუნებდა. „გერმანიაში, გერმანიაში", — კვლავ რეკდა საზარელი ზარი და ტვინი მერყეოდა. თითქოს მხოლოდ ერთი სატკივარიღა დამრჩენოდა — კბილის ტკივილი. მაინც გავშალე ფრანგული პოეზიის ანთოლოგია, მაგრამ ვერც ფრანსუა ვიონმა მიშველა და ვერც ვიქტორ ჰიუგომ.

მინდოდა გავცლოდი იქაურობას. შორიდან მოვკარი თვალი: ბანაკის ჭიშკარი გაეღოთ, ფურგონებზე შეშასავით დაყრილი მკვდარი ტყვეები გაჰქონდათ დასამარხავად. ორ-ორი სანიტარი იჯდა თვითეულ ფურგონზე. ისინი ფურგონების დამცლელნი იყვნენ. მიცვალებულებს გადმოსვენებაც არ ეღირსებოდათ, მათ ერთი საერთო ღია სამარე უცდიდა.

ავი ბედით გამწარებულმა წუთიერად მათ ბედს შევნატრე. მათთვის ყველაფერი გამქრალიყო, დამთავრებულიყო, მათთვის თუ ამქვეყნიური ბედნიერება აღარ არსებობდა, სამაგიეროდ მათი სინანულიცა და უბედურებაც მათთან ერთად განისვენებდა. მინდოდა გავვარდნილიყავი ფართოდ გაღებულ ჭიშკარში. ვეღარ მოვასწარი.

მოულოდნელად ვიღაც გერმანელი ოფიცერი წამომადგა თავს. შევკრთი, მყისვე გაჰქრა კბილის ტკივილი, არ ვიცოდი, რა ჭკუაზე დადგებოდა ფრანგების მოძულე გერმანელების შთამომავალი.

წიგნის გადამალვა აღარ შეიძლებოდა. გერმანელმა ოფიცერმა დინჯად გაიხადა შავი ლაიკის ხელთათმანები, ხანჯლისებური დანის ზონარზე გადაიკიდა, გამომართვა წიგნი, დაჯდა ჩემს

გვერდით, გადაფურცლა და კითხვა დაიწყო. ომში გაპირქუშებულ მის სახეს თანდათან მოეფინა კმაყოფილების ღიმილი.

იშვიათად შეხვდებოდით ფრანგული ენის მცოდნე გერმანელს. გერმანიისა და საფრანგეთის სკოლებში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში არ ასწავლიან უცხო ენებს, როგორც ჩვენს ქვეყანაშია. „თუ გინდა მტერი დაამარცხო, მისი ენა უნდა იცოდეო". — ამ მართალ აზრს განსაკუთრებით გერმანელები უგულებელყოფენ.

გერმანიაში შეხვდებოდით მხოლოდ ომის დაწყებამდე გამოცემულ ჯიბის პატარა ლექსიკონებს: „Kleines Deutsch-russisches Wörterbuch" — გერმანულ-რუსული პატარა ლექსიკონი. ასეთი ლექსიკონები ისეთი პრინციპით იყო შედგენილი, რომ უმთავრესად ფაშისტური არმიის მეომრებს ვემოადგებოდათ რუსეთსა და უკრაინაში. ამ ლექსიკონებში შეხვდებოდით შემდეგ წინადადებებს:

„Wo ist der Kommissar?"[1]
„Wie heißt ihr Kommissar?"[2].
„Wiefiel Tonnen haben die Tanks?"[3].
„Wo liegt euer letzter Flugplatz?"[4] და ა. შ.

გერმანელ ოფიცერს გაუკვირდა, მე რომ ფრანგული წიგნს ვკითხულობდი. დახედა თუ არა ფრანსუა ვიონს, წამოიძახა: ახ, სად შევხვდი ამ ვიონსო. ძალიან კმაყოფილი იყო. საათზე დაიხედა, გულმოდგინედ მოიკალათა და კარგი ფრანგული კილოთი დაიწყო წიგნის ხმამაღლა კითხვა. მეც მომეწონა ფრანგული ლაპარაკის კილო. ამხანაგები გაოცებული გვიცქერდნენ.

რომელიღაც ლექსს დაუწყო ძებნა. ეს იყო ვიქტორ ჰიუგოს სიუჟეტიანი ლექსი „L'expiation"[1]. ექსტაზით წაიკითხა, ისე წაიკითხა, როგორც მხოლოდ პოეტები კითხულობენ ლექსს. დაამთავრა და თავი გააქნ-გამოაქნია. არაფერი არ უთქვამს, მაგრამ მე მგონია ჰიტლერის მომავალი ბედი უსათუოდ შეადარა ნაპოლეონის ბედს.

ჰიუგო ამ საკმაოდ დიდ ლექსში (იქნებ პოემაც კი ეწოდოს) მშვენივრად აღწერს ნაპოლეონის მოსკოვიდან გაქცევას, ცეცხლში გახვეულ მოსკოვსა და იმ საშინელ გაჭირვებას, რაც ნაპოლეონის არმიამ განიცადა მოსკოვიდან გაქცევის დროს.

გერმანელი ოფიცერი ფრონტზე დაჭრილი იყო. მე და ჩემს გვერდში მდგომ ამხანაგს დაგვეყრდნო მხრებზე და ისე წამოდგა, გაშეშებულად ასწია ნაჭრილობევი ფეხი და შემდეგ გამართა. მირჩება ეს წყეული ფეხი, ისევ ფრონტზე უნდა წავიდე, აბა რა ვქნაო, თქვა სინანულით და ამოიოხრა.

გულის ჯიბიდან ფოტოსურათები ამოიღო, ერთი გამომიწოდა და მითხრა: ეს ჩემი ცოლ-შვილია და ეს ჩემი სახლია დრეზდენშიო.

მერე გასიებულ ლოყაზე შემხედა, გაიგო, რომ კბილი მტკიოდა. გამომყევიო, მითხრა. გამიყვანა ბანაკიდან. კბილის ექიმის კაბინეტში შევედით. სუფთა, ნათელ ოთახში ორნი იყვნენ: ექიმი და სანიტარი. ოფიცერმა გერმანელ ექიმს სთხოვა, ჩემთვის ემკურნალა.

ექიმმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

როგორც კი ჩემი მფარველი გარეთ გავიდა, კბილის ექიმმა ბოროტი თვალით გადმომხედა. ისედაც დამიგვიანდა, სად მცალია შენი კბილისთვისო, — ზიზღით ჩაილაპარაკა, კარი გაიჯახუნა და გავიდა.

ჩემმა გასიებულმა ყბამ და ტანჯულმა გამომეტყველებამ ახალგაზრდა სანიტარ ჯარისკაცზე იმოქმედა, თანაგრძნობით მომკიდა ხელი და სკამზე დამსვა, მერე სარკმლიდან გა-

---

[1] სადაა კომისარი?
[2] რა ჰქვია თქვენს კომისარს?
[3] რამდენი ტონაა თქვენი ტანკი?
[4] სად არის მოთავსებული თქვენი უკანასკნელი აეროდრომი? და ა. შ.

[1] მონანიება.

დაიხედა, სწრაფად შემოტრიალდა. მტკივანი კბილი შეათვალიერა და მითხრა: ამის მორჩენა შეუძლებელია, ამოვიღებ, თორემ არ მოგასვენებსო. დავთანხმდი. მაშინვე დაავლო ხელი იარაღს და ისე ამომაძრო, ტკივილი სულ არ მიგრძვნია. დიდი მადლობა გადავუხადე. გამომყვა და ბანაკამდის მიმაცილა, ვინაიდან არ მქონდა მარტო სიარულის უფლება.

ამხანაგები ბანაკიდან ჩემს გაყვანას თურმე ძლიერ განიცდიდნენ. ანთოლოგია მათ რაღაც აკრძალული წიგნი ჰგონებოდათ და ეფიქრათ: ალბათ ვეღარ დაბრუნდება საწყალი ქავთარაძეო.

გერმანელი დამპყრობლები გრძნობდნენ, რომ საქმე კარგად ვერ ჰქონდათ, წითელი არმია წინ მოიწევდა. მტერი თავდასაცავად ემზადებოდა. ტანკსაწინააღმდეგო თხრილებს აკეთებდნენ. ყოველდღე თითოეულ უბანზე ხუთასხუთასი კაცი გაჰყავდათ ბანაკიდან თხრილების საკეთებლად. ტყვეები ოხუნჯობდნენ: აბა ვინ მოდის დღეს ფაშისტების სამარის სათხრელადო.

ტანკსაწინააღმდეგო თხრილებზე მუშაობას ყველა გაურბოდა, ძალიან მძიმე სამუშაო იყო, საგანგებოდ შერჩეული ფაშისტები და პოლიციელები მიჰყვებოდნენ ტყვეებს მეთვალყურეებად. რასაკვირველია, მეც გავურბოდი ამ ჯგუფში მოხვედრას, თავს ვარიდებდი, ვცდილობდი სხვა სამუშაოზე წავსულიყავი.

კარგი იყო, უკრაინელ კოლმეურნეებთან თუ მოგვიხდებოდა მუშაობა: ხან ჭარხალი იყო ამოსაღები, ხან კარტოფილი. თუმცა ჩვენს შრომას უკრაინელთათვის არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა და ჩვენ მათი დროებითი ბატონებისთვის ვმუშაობდით, მუშაობას მაინც იქ ვამჯობინებდით—ჯერ ერთი, ბანაკში ჯდომას გვერჩივნა და, მეორეც, სხვა რომ არაფერი, მარტო კარტოფილითა და ჭარხლით გავიტანდით თავს; მცენარეთა ფოთლებისა და ბალახ-ბულახის მონატრულთათვის თუ რამდენად ძვირფასი იქნებოდა კარტოფილი, ადვილი წარმოსადგენია. მოხარშულ ჭარხალს კი ისეთი საამური და ტკბილი წვენი ჰქონდა, მურაბის ვაჟინი გეგონებოდათ.

უკრაინელი ქალიშვილები, რომლებიც გერმანიაში გასახლებას დროებით გადარჩენოდნენ, ჩვენს მეთვალყურე ბადრაგს არაყს ჩააცეცხლებდნენ, ლაპარაკით შეიყოლიებდნენ და ახალ ამბებს გვატყობინებდნენ. ისინი ჩვენთვის ცოცხალი გაზეთები იყვნენ. მახორკა, თამბაქო და სასმელ-საჭმელი არ ენანებოდათ ჩვენთვის. თვითონ ფეტვის პურს სჭამდნენ, მათი განთქმული პური გერმანელებს გაჰქონდათ თავიანთ უპურო გერმანიაში.

ვინ იცის, რამდენი ტყვე გადაურჩენიათ დაღუპვისაგან უკრაინელ ქალებს.

ბელაიაცერკოვთან ახლომდებარე სოფელში ვიყავით. ყანაში პურის თავთავებს ვკრეფდით. დასვენების დროს შემოგვესივნენ უკრაინელი ქალები. უცებ გარმონიც გაჩნდა, გაჩაღდა ცეკვათამაში. რაც სურდათ ტყვეებისათვის ეთქვათ, იმას გარმონზე ამღერებდნენ: ამა და ამ ადგილთან მოდითო, ამა და ამ სახლში ვცხოვრობთო, თუ ქოხის თეთრ კედელზე ჯვარი იქნეს ნახშირით მიხატული, ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება შინ შემოსვლაო...

შეუძლებელია დამარცხება იმ ხალხისა, რომელმაც არ იცის სასოწარკვეთილება და სულიერად დაცემა. წუხდნენ ტოლ-მეგობრებისა და ოჯახის წევრთა გერმანიაში იძულებით გასახლებას, მათი მოგონებით წამწამებზე ცვარივით დაეკიდებოდათ ხოლმე ცრემლები, გაიქნევდნენ თავს გასამხნევებლად და იტყოდნენ: არაფერია, დროებითია მათი დაშორება ისევე, როგორც დროებითია ფაშისტების თარეში უკრაინაში; ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთსო.

სანამ გერმანელებს წარმატება ჰქონდათ ფრონტზე, გერმანიაში იძულებით გასახლებულ ახალგაზრდებს ხანდახან

აძლევდნენ სამშობლოში წერილების გამოგზავნის უფლებას. წასვლისას ახლობლებისთვის ეთქვათ: როდესაც გაგვიჭირდება ცხოვრება, მოგწერთ, რომ ვაჟი დაიბადა და თუ ქალის დაბადებას გაცნობებთ, ეს იმისი ნიშანი იქნება, რომ უკიდურეს გაჭირვებას განვიცდითო. რა თქმა უნდა, მათ გერმანიაში არ ექნებოდათ ცხოვრების კარგი პირობები და მათ მიერ გამოგზავნილ ყველა წერილში ყოველთვის ორ-ორი გოგო იბადებოდა.

ბელაიაცერკოვის სამხედრო ტყვეთა ბანაკის უფროსად დანიშნული იყო გერმანელი ესესელი რიჰარდ ჰაინერი. საერთოდ მესამე იმპერიის კანონის მიხედვით ესესელები საკონცენტრაციო ბანაკებში მსახურობდნენ. არც ჩვენნაირ ბანაკებს აკლდა თავისმჭრელი ჯალათები და ეს რიჰარდ ჰაინერი საიდან მოგვევლინა? იგი ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკიდან გადმოვიდა. რიჰარდ ჰაინერსა და მის ესესელ ამხანაგს, ბორმანს, სანამ საკონცენტრაციო ბანაკში მიიყვანდნენ, ორმოცი ათასი უნგრელი ებრაელი ქალისთვის ჩამოერთმიათ ძვირფასი ნივთები, ვერ მორიგებულიყვნენ ნივთების გაყოფაზე და ჰაინერს მოეკლა მძინარე ბორმანი. მოესყიდა ძვირფასი ნივთებით საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტი მილერი, რომელსაც ხმა გაევრცელებინა, თითქოს ჰაინერი ბორმანის მკვლელობისათვის სასჯელის მოსახდელად ფრონტზე გაგზავნესო. ესესელები ფრონტის გაგონებაზე შიშით ცახცახებდნენ. ისინი მხოლოდ ბანაკებში გამომწყვდეულ ტყვეებთან იყვნენ მამაცნი. ბუხენვალდიდან გამოქცეულ ჰაინერს ძვირფასი ნივთებით მოსყიდული ჰყავდა ყველა და ბელაიაცერკოვის ბანაკში იმალებოდა.

ესესელ ჰაინერს ყველა მტაცებელი მხეცის სახელი დავარქვით, თუმცა მასთან შედარებით თვით მშიერი აფთარიც უცოდველ კრავად გამოჩნდებოდა.

მას კიდევ საკმაოდ შერჩენოდა ნაძარცვი ნივთები. ორივე მაჯაზე ჰქონდა გაკეთებული ოქროს საათები, თითები შეხურჩხლული ჰქონდა ბრილიანტის თვლებიანი ოქროს ბეჭდებით. ხშირად შემოდიოდა ლამით ჩაბნელებულ ბანაკში. ვინც ხელში მოხვდებოდა, ჩაულეწავდა ნეკნებს, დაჯდებოდა, ხელებს გულზე დაიკრეფდა, ან მუხლებზე დაიწყობდა. მისი ბრილიანტის თვლებიანი ბეჭდები სიბნელეში ბუჩქებში გაბნეულ ციცინათელებივით ანათებდა. წერა-კითხვის უცოდინარ ყოფილ მოკრივეს ცხვირი ჰქონდა გატეხილი და მთელ გულისჯავრს ტყვეებზე იყრიდა. ერთხელ, სრულიად უმიზეზოდ, როდესაც მკვდარ ტყვეებს ფურგონებზე ყრიდნენ, ორ მესაფლავეს სკამი ჩაარტყა თავში, მოჰკლა და ფურგონებზე დაყრილ მკვდრებს მიუმატა.

ჰაინერის წინადადებით, თუ ტყვე გაიქცეოდა, პოლიციელები უნდა დასჯილიყვნენ. რამდენი კაციც გაიქცეოდა, იმდენ კაცს ხვრეტდნენ იმ ჯგუფიდან, რომელსაც გაქცეული ტყვე ან ტყვეები მიეკუთვნებოდნენ. ზოგჯერ მთელ ჯგუფსაც ხვრეტდნენ. მაგრამ ტყვეები მაინც გარბოდნენ, ვინაიდან ასე იყო საჭირო.

იყო ასეთი შემთხვევებიც: როდესაც ბადრაგს ტყვე დააკლდებოდა, სასჯელი რომ ასცდენოდათ, დაიჭერდნენ რომელიმე მოქალაქეს, რა ხნისაც არ უნდა ყოფილიყო (გარდა ბავშვისა და ღრმა მოხუცისა), შეურევდნენ ტყვეებში და ტყვედ ასაღებდნენ. ბანაკის კომენდანტისათვის სულ ერთი იყო, თუ გაქცეული ივანეს ნაცვლად პეტრეს ან პავლეს ჩააბარებდნენ, ოღონდ ბანაკიდან გასული ტყვეების შემადგენლობა სრული ყოფილიყო. მოქალაქეს, რომელიც ავადმყოფობის გამო ჯარში არ გაეწვიათ, სამხედრო ტყვეთა ბანაკში სიკვდილი ელოდა. ასეთი ტყვეები სხვა ტყვეებზე საბრალონი იყვნენ.

მოხდა ასეთი შემთხვევა: ბადრაგს ერთი ტყვე გაქცეოდა, სამაგიეროდ სოფელში დაეჭირა ერთი ახალგაზრდა უკრაინელი, შეეგდო ჯგუფში და არხეინად მოჰყავდა ბანაკში ჩასაბარებლად.

საღამო ხანი იყო. ბანაკში რიგრიგობით შედიოდნენ სამუშაოდან დაბრუნე-

ბული ტყვეები. მოტაცებული უკრაინელის დედისთვის ეცნობებინათ შვილის ამბავი და გამწარებულ დედას მთელი ათი კილომეტრი ერბინა. იმ დროს მოუსწრო შვილს, როდესაც ტყვეების ის ჯგუფი ბანაკს დაუახლოვდა.

— ტოლია, ტოლია, ანატოლ! — ახლაც მზარავს დედის ძახილი. — ტოლია, ტოლია! — კიდევ შეჰკივლა დედამ და ხმა ჩაუწყდა. თმაგაწეწილი ქალი შეშლილივით სახეშეცვლილი მისდევდა დასალუპავად განწირულ შვილს. ვერ მოითმინა თოფმოღერებულმა გერმანელმა გააფთრებული ქალი, გაუსხლტა ხელიდან, წააქცია ჯარისკაცი და შვილისაკენ გაიწია.

გერმანელი წამოდგა და ახლა რევოლვერზე გაისვა ხელი, მაგრამ გამწარებული დედა არ შეშინდა, მოიგლიჯა თავზე მოხვეული თეთრი თავსაფარი, მეორე ხელით გაიგლიჯა კაბა სანძესთან, ჩაიჩოქა, გერმანელს გულმკერდი მიუშვირა, ცეცხლიანი თვალებით მიაჩერდა და შესძახა:

— აჰა, მესროლე, მესროლე!

გერმანელი ჯარისკაცი, არ ვიცი შეშინდა თუ დაიბნა, გაშტერებული შეჰყურებდა ქალს, რევოლვერზე ხელი თითქოს მიჰყინოდა.

დედამ დრო იხელთა, წამოიჭრა, მივარდა შვილს და ჯგუფიდან გამოიყვანა. გერმანელებიც კი დააბნია ამ სანახაობამ, ის გერმანელები, რომლებიც წარბშეუხრელად ქლეტდნენ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, დიდსა და პატარას, მოხუცსა და დავრდომილს.

ფაშისტმა რამდენჯერმე ამოიღო და ჩააგო ხანჯალი, შემდეგ დედისაკენ დააპირა წასვლა, მაგრამ ნაბიჯიც არ გადადგა, რომ დედა შვილს ჩამოეფარა და ისევ ნახტომისთვის მოემზადა. დაუბრუნეს დედას შვილი, რადგან აშკარად ჩანდა, რომ მოტაცებული ჭაბუკი უსაკო იყო.

დაიძრა ტყვეების ჯგუფი ბანაკში შესასვლელად. დედა-შვილი ისევ ერთად იდგა. ისევ გაოგნებული შეჰყურებდა მათ კისერმოღრეცილი ფაშისტი. მოჰკიდა ხელი შვილს დედამ წასაყვანად, ძლივს გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, ვეღარ შესძლო... მხოლოდ ახლა [illegible] კეცა ახოვანი დედაკაცი...

დავუბრუნდეთ ჩვენს მეჭრთამე ჯალათს რიჰარდ ჰაინერს.

ხელიდან წასული ლოთი იყო, ყოველთვის უზომოდ მთვრალი შემოდიოდა ბანაკში და თან მოჰქონდა ნახევარლიტრიანი არაყი. ყველას თვალწინ ამოიღებდა ჯიბიდან არყიან ბოთლს, მარჯვენა ხელის მირტყმით საცობს ამოაგდებდა და მთელ ბოთლს გამოწრუპავდა, ბარბაცით დაუწყებდა ძებნას საცობს, თუ საცობი ალჩუზე იჯდა, აიღებდა, აკოცებდა, გადაიხარხარებდა გულშემზარავად და ცარიელ ბოთლს კედელზე მიაფშვნიდა.

მისთვის ყველა ტყვე ერთი იყო. ყველას მესამე იმპერიის მოსისხლე მტრად თვლიდა. მზად იყო, ყველა ერთ დღეს გაექლიტა. მაგრამ ზოგიერთები, და მათ შორის მეც, განსაკუთრებით ათვალისწუნებული ვყავდით. ვერიდებოდი, თუმცა როდესაც არ მხედავდა, აღარ ვახსოვდი, ჩემზე უკეთეს საკბილოებს ისედაც ბევრს ხვდებოდა. ახალი მოყვანილი ტყვეები უყვარდა საძარცვავად.

იმ საბედისწერო დილით სამუშაოზე წასაყვანი ტყვეები ჩვეულებრივად მწკრივებად მოაწყეს. დარწმუნებული ვიყავი, თუკი შემამჩნევდა, არ გამიშვებდა, ბანაკში დამტოვებდა. მაინც შევერიე შუაგულ ადგილას. ვიდექით და ველოდით, ვის როგორ გაუღიმებდა ბედი, ვინ რა სამუშაოზე მოხვდებოდა — ტანკსაწინააღმდეგო თხრილების საკეთებლად თუ უკრაინელ კოლმეურნეებთან. უმუშევარი ტყვეების ბრბო გულდაწყვეტილი შემოგვყურებდა, ყველა ვერ გადიოდა ბანაკიდან.

გადაითვლიდნენ სამუშაოზე ფაშისტები ერთ განსაზღვრულ ჯგუფს და დაიყვირებდნენ: „კოლშიოზ" (КОЛХОЗ), გადაითვლიდნენ მეორე წყებას და იტყოდნენ: „ბანჰოფ" (ვაგზალი), გადაითვლიდნენ კიდევ ახალ ჯგუფს და

იტყოდნენ: „ტანკს“ (ტანკი). ესე იგი ტანკსაწინააღმდეგო თხრილები.

ტანკსაწინააღმდეგო ორმოების თხრას ერთი ფელდფებელი ხელმძღვანელობდა. იგი რატომღაც კარგი თვალით მიყურებდა. მისი გულის მონადირება იაფფასიანი სიტყვებით შეეძლო. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ რასაც იტყოდა, ისიც სისულელე იყო. სადაც დამინახავდა, იქ გაჩნდებოდა და ერთსა და იმავეს მეათასეჯერ მკითხავდა:

— სროლა გესმის?

— მესმის.

— ვინ არიან, გერმანელები თუ რუსები?

— ორივენი!—აბა რა უნდა მეთქვა.

— ორივე? კი მაგრამ რომელი უფრო მეტს ისვრის, რომელი უფრო მარჯვეა?

— მოითმინეთ, მოითმინეთ! — ვეტყოდი, თითქოს ყურს ვუგდებდი, ვითვლიდი, ვარკვევდი, თუ რომელი რამდენს ისროდა და მოვახსენებდი. ამ დროს ჩაჯდებოდა, თოფს წინ დაიბიჯგებდა და შემომცქეროდა. მე სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი, სად არ წავიდოდი ოცნებით, რას არ მოვიგონებდი და იმ რეგვენს კი ეგონა, მის დავალებას ვასრულებდი. ერთი კარგი ჩვეულება ჰქონდა: რაც არ უნდა მეთქვა, კმაყოფილი იყო.

როგორც ყველა გერმანელი, ინტელიგენტი თუ მდაბიო, ისიც ფოტოსურათების მოყვარული აღმოჩნდა. როდესაც თავისი ოჯახის წევრთა სურათი მიჩვენა, სიცილი ვერ შევიკავე (მას კი ეგონა, ჩემი სიცილი მოწონების სიცილი იყო) — მისი ოჯახის წევრები ყველანი საოცრად მსუქნები იყვნენ, ყველა ფილისტერულად კმაყოფილი სახით გამოიყურებოდა. ეს იმდენად არ იყო სასაცილო — სასაცილო იყო მისი საცოლე: ერთ უშნოდ გადაპრილ ჯირკს, გამოთაყვანებული პირისახის ფროილაინს თაიგული მარჯვენა ხელით მაგრამ მიეკრა გულზე და თვალები გადმოეკარკლა. საქმრო უსათუოდ ამგვარმა „გრაციოზულმა“ პოზამ მოხიბლა.

ჰიტლერი რაღაც ზეკაცად ჰყავდა წარმოდგენილი. ყოველ ნაბიჯზე აქებდა და ადიდებდა. ხანდახან წამოუვლიდა და რიხიანად შესძახებდა: „ჰაილ ჰიტლერ! ჰაილ ჰიტლერ!“

დასვენებისას ამხანაგები ერთად ვიყავით თავშეყრილი, რაღაც საჭირბოროტო საქმეზე ვსაუბრობდით. დამინახა და ჩემსკენ წამობაჯბაჯდა, დათვივით მოტორა ჩემს გარშემო მდგარი ამხანაგები. შევამჩნიე რაღაც უნდოდა ეკითხა ჩემთვის. დავასწარი და ვკითხე: რა ხელობისა ხარ-მეთქი? გასწორდა, გაბერილი მუცელი გამოაგდო და გაბღენძვით, ამაყად მიპასუხა: „მეცია“.

იმ დღეს მისმა პროფესიის გამოცნობამ ჯვარზე მაცვა. ვერ მივხვდი თუ რას ნიშნავდა „მეცია“. ამოიღო მხარმარცხნივ ჩამოკიდებული დანა, ყელზე მიიდო ყუით, გაუსვ-გამოუსვა და თქვა: აი, ესა ვარო. იმდენად არ შემშინებია, რამდენადაც გამიკვირდა. გადავხედე ამხანაგებს, რომლებმაც სიცილით მომაძახეს: ე ბიჭო, უტიე, მკვლელი ყოფილაო. მკვლელებისა და მწამებლების მეტი რაღა მენახა მათში, მაგრამ ხომ არ შეიძლება მკვლელობა პროფესიად ჩაითვალოს? „მეცია, მეცია“, ამეკვიატა ეს სიტყვა და როგორც იქნა მივხვდი, რომ ის რეგვენი ყასაბი ყოფილიყო. „მეცია“ (ნამდვილი გერმანული გამოთქმით „მეცგერ“) ქართულად ყასაბს ნიშნავს.

ყასაბი ფელდფებელი სამუშაოდ გაყვანილ ტყვეებს სულ უკან დასდევდა და ეუბნებოდა: არ გაიქცეთ, თორემ დაგხვრეტთო. გაქცეულებს ვინღა დახვრეტდა, თუ ვერ დაიჭერდნენ. მას უნდოდა ეთქვა, რომლებიც დარჩებიან, მათ დახვრეტენო.

მეზიზღებოდა ფელდფებელის ლაყლაყა, გამოლენჩებული სახის დანახვა და მაინც ვუცქერდი. რა მექნა? საქმე მოითხოვდა მის ახლოს ვყოფილიყავი, გამერთო, რომ ტყვეების დევნა დავიწყებოდა. ამხანაგების დავალებას ვასრულებდი. პირველ ხანებში იჩენდა სიფრთხილეს, შემდეგ თანდათან შეანე-

ლა ყურადღება, სოფელში დაიწყო ხეტიალი არაყისთვის. მისი ხელქვეითი ჯარისკაცები და პოლიციელები რჩებოდნენ ტყვეების მეთვალყურეებად.

როგორც ემჩნეოდა, რამდენიმე დღეში უნდა დამთავრებულიყო ან შეწყვეტილიყო ტანკსაწინააღმდეგო თხრილებზე მუშაობა. მოვილაპარაკეთ ამხანაგების ერთმა ჯგუფმა და ვეძებდით ხელსაყრელ დროს გაქცევისთვის. შევუთანხმდით მახლობელ სოფელში მცხოვრებ ქალიშვილს, რომელსაც უნდა დაეთრო ყასაბი ფელდფებელი. ჩვენი ჯგუფის გარდა არავის არ უნდა სცოდნოდა, თუ იმ დღეს ვაპირებდით გაქცევას, ვინაიდან ყველამ არ იცოდა ჩვენი პაროლი „თერგი"...

უკანასკნელ დღეს, როცა ჩვენი ჯგუფი სამუშაოზე წასასვლელად ემზადებოდა, თავი მტკიოდა, წამოწოლილი ვიყავი, დამაგვიანდა ადგილზე მისვლა. შემოვიდა ერთი პოლიციელი და მკითხა:

— თქვენ ხართ მწერალი?

— დიახ, მე გახლავართ, თქვენ ვინ გითხრათ, რომ მწერალი ვარ...

მან არაფერი მიპასუხა.

რომ გიამბოთ თუ რანაირად გამივარდა ბანაკში მწერლის სახელი, ცოტა უკან უნდა დავიხიო. ეს სულ უბრალოდ მოხდა. ჩემი ლექსი „ჰიტლერი ეიფელის კოშკზე", რომელშიაც მე კარიკატურით ჰიტლერს ვახასიათებდი, მოსწონდათ ქართველ ამხანაგებს. ვკითხულობდი ქართველი პოეტების ლექსებსაც და ყველაფერმა ამან გამოიწვია ჩემი, როგორც პოეტის პოპულარობა.

ბელაიაცერკოვის ბანაკში ვიყავით, შავ ღამეს თეთრად ვათენებდით. ყოფილი ყაზარმის ერთ დიდ დარბაზში ვიწექით. აურზაურით შემოცვივდნენ სხვადასხვა ეროვნების ტყვეები. ისინი გერმანელებს გაეყვანათ ბანაკიდან რაღაც სახელდახელო საქმეზე. გვიან დაბრუნდნენ. ტყვეების ბედზე სურსათსანოვაგე ყოფილიყო გადმოსატვირთი ვაგონებიდან. მათ ბევრი რამ შემოიტანეს ბანაკში: შაქარი, მაკარონი, ბრინჯი, კამფეტები, შოკოლადებიც კი, ღვინო, კონიაკი და სხვა... რასაკვირველია, გერმანელები ტყვეებს არ დაასაჩუქრებდნენ ასეთი რამეებით.

იმ დღეს ტყვეებს შაქრიანი ტომრები მაზუთში ჩაეგდოთ განგებ და მთლიანად მათ დარჩენოდათ. ღვინოები და კონიაკები კი მოეპარათ—მათი მეთვალყურე ფაშისტები დამთვრალიყვნენ და ყურადღება არ მიექციათ ტყვეებისთვის.

ჯერ ნორმალური ცხოვრების დროსაც ვერ იკავებენ თავს მთვრალი ადამიანები და ტყვეობის დროს რაღა უნდა ყოფილიყო. თავაწყვეტილი ღრიალით შემოცვივდნენ. ყაზარმაში ბნელოდა. მწოლარესა და მძინარე ტყვეებს ფეხით თელავდნენ. აკიაფდა აქა-იქ კარტოფილის სანთლები და შეუდგნენ ნადავლის გაყოფას. ბანაკში დარჩენილებმა ალარაფრად ჩააგდეს ფეხებით გადათელა, ბევრს ერგო თავიანთი ნაცნობებისაგან მოტანილი სურსათი. ძალიან მთვრალებს ქვეყანა თავიანთი ეგონათ და უხვად არიგებდნენ „ქონებას".

მე გატრუნული ვიწექი და კარტოფილის სანთლის მბჟუტავ შუქზე ვხედავდი კონიაკის ბოთლებს, იატაკზე დახვავებულ ბრჭყვიალა შაქარსა და ფერად-ფერად კამფეტებს. არც ერთი ჩემი ნაცნობი არ ერია მათში. ასე რომ არამც თუ კონიაკსა და ღვინოს, ერთ ცალ კამფეტსაც კი ვერ ველირსებოდი. ბავშვივით სულწასული ვიჭყიტებოდი თვალებზე ქუდჩამოფხატული — რა დამაძინებდა, რა მომასვენებდა მშიერს.

— აქ ერთი ქართველია,—გაისმა ერთი ხმაჩახლეჩილი ყირიმელი რუსის ხმა, გვარი ველარ მოიგონა და გაიძახოდა, მწერალიაო. არ მესიამოვნა, მივხვდი, რომ მე მეძებდა. ჩემი მძებნელი ასაკით ორმოცი წლისა იქნებოდა. ცოტა უხეში კაცი ჩანდა და არ სტოვებდა კარგ შთაბეჭდილებას. არ მოეშვა მაინც ჩემს ძებნას, დაჟინებით გაიძახოდა: აუცილებლად უნდა ვნახოო. წამოდგო-

მა დავაპირე, მინდოდა ღამეს შევხამებოდი. ველარ მოვასწარი, აიღო კარტოფილის სანთელი და პირდაპირ თავზე დამადგა. მეგონა, ვიღაცამ გამცა, გვერდი ვიბრუნე, სახე მოვარიდე. თეთრი კაშნე მქონდა ყელზე მოხვეული და მიცნო, ზრდილობიანად მთხოვა, ავმდგარიყავი: თქვენთან საქმე მაქვსო.

როდესაც ყირიმელი რუსი თავზე დამადგა და წამოდგომა მთხოვა, სახტად დავრჩი: მისი მიუკარებელი ჯმუხი სახე ქვთილ ღიმილს მოენათლა და მის უხეშ ხმასაც საამური ტემბრი მისცემოდა. წამოდგომისას ჩემსკენ დაიხარა და ხელი შემაშველა.

ხელგაყრილი მიმიყვანა იატაკზე დახვავებულ შაქართან და კამფეტებთან, აიღეთ რამდენიც გნებავთ ჰონორარის სახითო. ჩემთვის ყველაფერი მოულოდნელი და საოცარი იყო. ჰონორარმა კიდევ უფრო გამაოცა. რა შუაში იყო ჰონორარი? ვერ გავიგე. მადლობა გადავუხადე, გავიფინე რაღაც ჩვარი, ავიღე ერთი ჰიქა შაქარი და ზედ დავყარე. კიდევო, მითხრა. კიდევ ავავსე ჰიქა, მივუმატე ჩვარზე დაყრილ შაქარს. კიდევო, გაიძახოდა. შემდეგ თვითონ აიღო კამფეტები ორივე პეშვით და უბეში ჩამიყარა. გახსნა ერთი ბოთლი კონიაკი, დაისხა და დამისხა კონსერვის ქილაში და თქვა:

— გაგვიმარჯოს ორივეს, ყველას, ვინც აქ, ამ ბანაკშია, ვისაც არ დავიწყნია თავისი სამშობლო. ვისურვებ, რომ შევხვედროდეთ ერთმანეთს ჩვენს გამარჯვებულ სამშობლოში. თუ ასე არ მოხდება, აქვე დავიხოცოთ, აი იმ ჩვენი უბედური, უსახელო ძმებივით,— თქვა და მიმითითა ტყვეთა სასაფლაოსკენ. გადაჰკრა და დაცლილი ჰიქა გადაისროლა.— გაგიმარჯოს, ქართველო კაცო,— წამოიძახა ხმამაღლა.

— გაგიმარჯოს! — ვთქვი მეც.

— გაგვიმარჯოს,— მოგვაძახეს ოთხივე მხრიდან.

მოულოდნელი სიხარულისგან ენა დამება. გამარჯვება ვუსურვე და გადავკარი კონიაკი. დავბარბაცდი, ძლივს მოვახერხე დაყრილი შაქრის შეხვევა. ეს ოხერი ქვეყანა ლამაზად, [illegible] მომეჩვენა და ბანაკში გამომწყვდეული უბედური ტყვეები ბედნიერებად. ვერ მოვითმინე და ვკითხე, თუ რატომ ახსენა ჰონორარი. მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა: ჰიტლერზე დაწერილი ლექსისათვისო.

ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რაღა დამაწვენდა? რაღა დამაძინებდა? გარეთ, ბანაკის ეზოში გავედი. თენდებოდა. ისევ ისე ციმციმებდა ცისკარი. ლამენათევი ვარსკვლავები განშორებოდნენ ცას, ფრთხილად, თითის წვერებზე მიიპარებოდნენ ნელნელა.

მეორე დღეს ჩვენი ჯგუფის იგივე შემადგენლობა იმავე სამუშაოზე მიდიოდა. ბანაკის უფროსი პოლიციელი გადაკიდებული მყავდა. გამომაგდო მწკრივიდან და ბანაკში დამტოვა. რისთვის დამტოვა? ძველი ანგარიშების გასასწორებლად.

ნაშუადღევს ბანაკში ტყვეების ახალი ნაკადი მოიყვანეს და მათს ძარცვაში გართულს ან დავავიწყდი, ანდა ველარ მოიცალა ჩემთვის. მის მიერ გაძარცვული ტყვეები ნახევრად შიშვლები დადიოდნენ.

საღამოს ჩემი ყოფილი ჯგუფი რომ დაბრუნდა სამუშაოდან, რამდენიმე კაცი აკლდათ, გაქცეულიყვნენ. ყასაბი ფელდფებელი დედაკაციეთ გაფოფრილი მოჰყვა ტყვეებს, თმას არ იგლეჯდა, თორემ სხვა მხრივ სულ ქალივით იქცეოდა, ხელებს მუხლებზე ირტყამდა და გაიძახოდა: ვაი, რაღა მეშველებაო. იცოდა, რომ დაისჯებოდა. მე რომ პოლიციელს არ დავეტოვებინე ბანაკში, მეც იმ გაქცეულ ხუთ კაცს გავყვებოდი. ასე ვიყავით მოლაპარაკებული. კინაღამ შევიშალე ბოღმისაგან.

იმ დღეს ერთ აყლაყუდა პოლიციელთან მომიხდა შეჯახება; ჩემი მოწინაალმდეგე იმ სიმაღლე იყო, რომ ნიკაპამდე ვერ ვწვდებოდი, ჩემი მოქნეული მუშტი მუცელში ხვდებოდა, მონახვედრ ადგილზე ხელს ივლებდა და ყვიროდა. არ ვიცი რომლის გა-

მარჯვებით დამთავრდებოდა ჩვენი ორთაბრძოლა, რომ უცებ ბანაკის კომენდანტი წამოგვადგა თავს. ვილაც დიდი ოფიცერი შემოსულიყო ბანაკში ტყვეების დასათვალიერებლად. მთელი ბანაკი სმენად ქცეულიყო, ჩვენ კი, ბრძოლის ჟინით გატაცებულებს, არ გაგვიგია მისი მოსვლა. ჩემი მოწინაამდეგე მიიმალა და კომენდანტს მე შევრჩი ხელში. სამი დღით ჩამსვა ბანაკის საპატიმროში, რომელიც დამნაშავე ტყვეთათვის იყო მოწყობილი. იმ დღეს უჭმელი დავრჩი. წყლის მოწოდებაც ვერავინ გაბედა. პური ხომ არავის ექნებოდა გასამეტებელი. მწყუროდა, ისე მწყუროდა, ბანაკის ეზოში მოთქრიალე ონკანს რომ ვხედავდი, ვგიჟდებოდი. მერე გონება დავკარგე და ბურანში გავეხვიე. ჩამეძინა. როცა გამეღვიძა, წყურვილი ისევ მაწვალებდა.

ბანაკის საპატიმრო ყველას დასანახავად იყო მოწყობილი—ფანერის კედლები ჰქონდა. წინა კედელი ჭრელი ფანერით იყო ჭადრაკულად აწყობილი. გამოგლეჯა და გამოსვლა არ გამიძნელდებოდა, მაგრამ თავს ვიკავებდი, უარეს სასჯელს ვერიდებოდი. ზოგჯერ ასეთ საპატიმროში დამნაშავე ტყვეებს ხელფეხშეკრულებს ამწყვდევდნენ. ალბათ არ მოაგონდათ, ჩემთვის არ შეუკრავთ ხელ-ფეხი.

შემთხვევით ექიმ ხარიტონ ანთიძის ნაცნობს დავენახე და შეწუხებულიყო, იმ დღეში რომ ვიყავ. ჩემს ბედზე ერთი კოლოფი სიგარეტები ჰქონოდა, ეფიქრა: ამაზე უკეთეს ქრთამს მე ვერ ვიშოვნიო, მიეცა საპატიმროს მცველი პოლიციელისთვის და იმ დღესვე გამათავისუფლა.

ბანაკი ისევ ჯოჯოხეთად გადამექცა. ამხანაგები თანდათან ვშორდებოდით ერთმანეთს. ზოგი გერმანიაში მიჰყავდათ, ზოგი იხოცებოდა. ხელში რომ ჩამვარდნოდა, სასტიკად გავუსწორდებოდი იმ პოლიციელს, რომელმაც დასასჯელად ბანაკში დამტოვა და ამხანაგებს დამაშორა.

მაშინ ჯერ კიდევ ახალი ტყვეები მოყავით. შევიკრიბებოდით ხოლმე ბელაიაცერკოვის ბანაკში ქართველები და ვლაპარაკობდით „ცისას და ბარისას". ვისაც რითი შეგვეძლო, ვართობდით და ვამხნევებდით ერთმანეთს, ვუმსუბუქებდით ტყვეობის უმძიმეს პირობებს. დრო არ გვქონდა თუ? ამხანაგების გასამხნევებლად მე პოეზია ავირჩიე, ვკითხულობდი ქართველი კლასიკოსი პოეტების ნაწარმოებებს და ჩვენი თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსებს.

ქართველი ამხანაგები უსაზღვროდ კმაყოფილი იყვნენ და სულ მეხვეწებოდნენ: ე ბიჭო, კიდევ წაგვიკითხე რამეო. აბა როგორ ვეტყოდი უარს, თუკი ასეთი გულისხმიერი აუდიტორია მეყოლებოდა.

მოგეხსენებათ, როგორც ლექსის დაწერას, ლექსის წაკითხვასაც განწყობილება ესაჭიროება, დავიწყებდი ლექსების კითხვას და განწყობილებაც მოდიოდა. ერთი სიტყვით, ჩვენი ბანაკის ცნობილი პოეტი და დეკლამატორი გახლდით.

> ცხენი, მარტო მორბენალი,
> მუხლ-მოკლედიც გამალდების,
> სად მაღალი არცად იყოს,
> მენ დაბალი გამაღლდების —

ამბობს დავით გურამიშვილი და ნამდვილად ასე იყო ჩემი საქმეც... არ მეგულება არც ერთი კარგი ქართველი პოეტი, რომლის ლექსიც ზეპირად არ მცოდნოდა. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ არც ერთი ლექსი განგებ არ დამიზეპირებია ისე, როგორც მოსწავლე დაიზეპირებს სავალდებულო გაკვეთილს. კარგი პოეტური ნაწარმოები, ისე, როგორც სილამაზე, თვითონ დაგასწავლის თავის თავს და მერე დღენიადაგ თან დაგყვება განუშორებლად.

არამც თუ პოეზიის მოყვარულნი, არამედ მისდამი გულგრილად განწყობილი ამხანაგებიც კი დიდი სიამოვნებით ისმენდნენ ლექსებს.

ბოლოს გადავწყვიტე ერთი ხელნაწერი წიგნი შემედგინა, მაგრამ ქაღალდი? სად იყო ქაღალდი? სად უნდა მეშოვნა? ბანაკებში ქაღალდის შოვნა უფრო ძნელი იყო, ვიდრე ოქროს ზოდისა.

დამებადა თუ არა სურვილი ქაღალდის შოვნისა, ცეცხლი მომეკიდა, თითქოს ჩემი საკუთარი წიგნი მქონდა გამოსაცემი. გავიძახოდი: ქაღალდი! მიშოვეთ, ბიჭებო, ქაღალდი-მეთქი.

შემოდგომის თბილი, მშვიდი საღამო იყო. ბანაკში გერმანელები შემოვიდნენ და ათიოდე კაცი, რომლებიც ხელში მოვხვდით, ბანაკიდან გაგვიყვანეს... გერმანელი ოფიცრების სახალხო მატარებელი მოსულიყო, ჩვენ მათი ბარგი უნდა გადმოგვეზიდა.

მატარებელთან რომ მივედით, გერმანელებმა მაშინ იწყეს ვაგონებიდან გადმოსვლა. ყველამ ერთად მოიყარა თავი, ცნობისმოყვარეობით გვათვალიერებდნენ. ის დღე ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი დღე იყო.

საოცარია, რა ცოტა ჰყოფნის თურმე გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს. დავცალეთ ვაგონები. კიდევ დარჩა გადმოსატვირთი ორი თუ სამი ვაგონი. შევედით ერთ ვაგონში და რასა ვხედავთ? ვაგონი სავსეა სურსათ-სანოვაგით.

საკვირველი კიდევ ის უფრო იყო, რომ გავაცილეთ თუ არა ფაშისტი ოფიცრები, ბადრაგმა ნება დაგვრთო ისევ უკან დავბრუნებულიყავით და ვაგონში დარჩენილი სურსათი გაგვენაწილებინა. ახალგაზრდა ჯარისკაცები გვახლდნენ, მხიარულად საუბრობდნენ, ერთმანეთს თავთავიანთ ფოტოსურათებს უჩვენებდნენ და სულაც არ ჩქარობდნენ ბანაკში დაბრუნებას. პირიქით, ჩვენ გაგვაფრთხილეს: თუ ვინიცობაა გკითხონ, რად დაიგვიანეთო, უთხარით, ოფიცრების გასამგზავრებელმა მანქანებმა დაიგვიანაო. თქვენ რომ დაბრუნდებით, ტყვე ამხანაგებსაც არ წამოგცდეთო. ვინაიდან პოლიციელები ბანაკში დაეხეტებოდნენ და თუ ჩვენ ვიტყოდით დაგვიანების ნამდვილ მიზეზს, პოლიციელები გადასცემდნენ ბანაკის კომენდანტს — სადისტს, განთქმულ ქურდსა და მკვლელს. ჩვენც რა ძალა გვადგა გვეთქვა სიმართლე!

შევცვივდით ვაგონში და კალიებივით დავესიეთ ყველაფერს. ვწუხდი, რომ არც ერთს არა გვქონდა ზურგჩანთა. მაგრამ თურმე რად გვინდოდა? ვაგონი არც ტომრებით აღმოჩნდა ღარიბი. ავავსეთ ტომრები, გავამზადეთ ბანაკში წასაღებად.

გული რატომღაც ისევ ვაგონებისაკენ მიმიწევდა, დამშეული არავინ მყავდა და ისევ ვაგონებს დავუტრიალდი. სახარება რომ ამბობს: ეძიებდე და ჰპოვებდეო, ისე მოხდა: პირველ ვაგონში რამდენიმე საერთო რვეული ვიპოვნე. ერთი რვეული სულ ხელუხლებელი იყო, მაგრამ უჯრედებიანი აღმოჩნდა. არ მიყვარს ლექსებისთვის უჯრედებიანი რვეული. დანარჩენი რვეულები საჩემო აღმოჩნდა, მაგრამ წინა ფურცლები აჭრელებული იყო ფაშისტების სახელებითა და გვარებით. იმ ვაგონში საპონი და წვერის გასაპარსი ხელსაწყოც ვიპოვნე. მესამე ვაგონში კი იმდენ ქაღალდს წავაწყდი, სიხარულით კინაღამ ავყიჟინდი. დავხვიე ხელი, გამოვზიდე გარეთ, ზოგი ამხანაგებს დავურიგე, თორემ მე რას მოვერეოდი იმდენ ქაღალდს. გერმანელებს არ დაუშლიათ. ავავსე ტომარა ქაღალდებით და სურსათთან ერთად ძლივს მივათრიე ბანაკში. რამდენჯერაც არ მკითხეს ამხანაგებმა, რად გინდა ამდენი ქაღალდიო, იმდენჯერ მხოლოდ „მჭირდებას“ ვპასუხობდი. მიხაროდა, რომ სრულდებოდა ჩემი გეგმა, მაგრამ ჯერ არავის ვუმხელდი.

გაგრძელება იქნება

## ნუგზარ ნერეთელი

### პირველი დეკრეტი

ყოველგვარ დრომოჭმულს შეცვლას უპირებენ:
ქალაქში ღამეა
მღვრიე და ყვითელი.
დილით საბჭოეთის დეკრეტს უპირველესს
ერთხმად კითხულობდა მთელი პიტერი!
ქუჩებში ქალალდებს დაპქონდათ იმედი,
ჩანდა საბუთივით:
— იბრძოდით ამისთვის!
ამ გამარჯვებამდე ბრძოლებით მიედით:
— ერთია მშვიდობა
და სოციალიზმი!
ღიმილი ეფინა გამურულ სახეებს,
ქარხნებმაც მშვიდობის მცველებად იბოლონ!
და ყველგან ისმოდა
ლენინის სახელი —
მშვიდობის,
მომავლის,
იმედის სიმბოლო!

### ზღვა

გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას

ზღვა გუგუნებდა — ზვიადი, რუხი.
გადასერილი ცეცხლის ენებით,
მე მაინც ვგრძნობდი დაფარულ წუხილს
ზღვის სიახლოვით და გახსენებით!

დასველებული დარბოდა ქარი,
მტკიოდა ერთად შენი და ჩემი,
და ანათებდა ათასი თვალით
აბოლებული რეიდზე გემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოსკოვი, ზამთარი და სიყვარული

ის სიყვარული აღარ იყო ჩემთვის თამაში
და მაისივით თბილი სუნთქვა ტანზე მომფინა,
მოსკოვი იყო
ისე ლამაზი,
როგორც არასდროს არა ყოფილა!

ათოვდა ბაღებს,
სახურავებს,
ქუჩებს გაშლილებს,
გათოშილ ჩიტებს სტუმრებივით უღებდნენ კარებს,
თეთრი ქალაქი მახარებდა ზოგჯერ ბავშვივით
და მივყვებოდი გადაფიფქულ ბულვართა რკალებს!

ჩემთან იყავი,
როგორც თეთრი თოვლის ასული,
და იყვნენ გზები,
მომიყვანეს შენთან რომლებმაც,
და მე მინდოდა
არ ჰქონოდა დღეს დასასრული
და არ მქონოდა ერთფეროვნება!

ის სიყვარული აღარ იყო ჩემთვის თამაში,
მიტომ მზესავით ცხელი სუნთქვა ტანზე მომფინა,
მოსკოვი იყო
ისე ლამაზი,
როგორც არასდროს არა ყოფილა!

მოსე გვასალია

# ცრემლის წყარო

მოთხრობა

სოფლის განაპირას კვამლით გარუჯული ძველი ქოხი იდგა. ქარს ალაგ-ალაგ ისლი შეეთხელებინა. ცალ გვერდზე ქოხს ორი ბოძი ჰქონდა შეყენებული. კართან პატარა სარკმელი იყო. სარკმელზე დაძონძილი თავშალი ჩამოეფარებინათ.

მზიან დღეებში ქოხის წინ დაუძლურებული, შავებში ჩაცმული დედაბერი იჯდა და მოთქვამდა.

ადრე, სანამ ხალხს ეცალა, საბრალო დედაბერს სამადლოდ ეხმარებოდნენ; საზამთროდ შეშას მოუმზადებდნენ, ეზოსაც შემოუღობავდნენ ხოლმე. როცა მამაკაცები ჯარში წაიყვანეს, ქვრივის მეზობლებსაც გაუჭირდათ; პური, ნავთი, თევზი, მარილი და ჩითი ნატვრად ჰქონდათ გადაქცეული. „ისპანკა“ დაერია სოფელს. ხალხს პანტითა და მაყალოთი გაჰქონდა თავი. ასეთ დროს მელანო ვილას მოაგონდებოდა? ღელიანში ჩაკარგული მისი ქოხი ვის უნდა გახსენებოდა?

სად იყო ახლა მისი ერთადერთი შვილი, მიხა? სიზმრად მაინც თუ ხედავდა, რა ცოდვა ტრიალებდა მის წაქცეულ ქოხში?

რვა წელიწადი გავიდა, ციმბირში გადასახლებულს, წერილი არ გამოუგზავნია.

მოხუცი მაინც იმედით ცოცხლობს.

*

ღამეა. ქვრივი ძველ ჩვრებში გახვეულა; ქოხში სინათლე ქრება. მელანოს ძალა არ შესწევს, წამოდგეს და კერიას ფიჩხი დააყაროს, ქოხში ჩამოწოლილი სიბნელე გაფანტოს. სიზმარ-ცხადი ერთმანეთში არევია.

... აგერ პატარა მიხა თანატოლს დაჭიდებია; მელანო ვერ ცნობს იმ შავხალათიანს. მინდორზე მუხის ქვეშ თავმოყრილი გოგო-ბიჭები მოჭიდავეებს აქეზებენ. მიხა ტანმორჩილია, მკვრივი და ძვალმსხვილი. მოწინააღმდეგე კი სუსტია, ფერმიხდილი. მიხა მას სჯობნის, მაგრამ, ეტყობა, ამხანაგს ვერ იმეტებს.

შავხალათიანი კი თვალებს ავად აბრიალებს, ხან სარმას გამოჰკრავს, ხან მო-გვერდს იშველიებს.

— შევრიგდეთ, რა მოგდის? — ევედრება მიხა შავხალათიანს და სიმწრით იკლაკნება...

— არ დამხვდე მანდ! — მელანო ჯოხს იჭერს და ბავშვებისკენ მიიწევს... მოჭიდავეები უჩინარდებიან.

— მიხა, მიხა! სადა ხარ, შვილო! ხმა გამეცი!..

მელანომ ბნელში გაასავსავა ხელი. არავინაა. ფანჯრიდან ძონძი ჩამოვარ-დნილა; სარკმელში ღამე კრთის...

„ვაი, დედა“, — ამოიკვნესა და ისევ მილულა თვალი.

... აღმართზე ძლივს ადის მელანო. გაიარა ერთი მოსახვევი, მეორე. აგერ, ეკლესიის გალავანიც გამოჩნდა...

ხეობა მწვანედ გადაბურულა. ჰაერში მერცხლები დასრიალებენ. ერთმა ისე ახლოს ჩაუქროლა, სახეზე გრილი ნიავი შეაფრქვია.

... ეკლესიის კარი დაკეტილი ხვდება. კაცის ჭაჭანება არაა.

— ზიარება მაღირსე, მამაო, ვკვდები!..

ცაცხვის მწვანე ტოტები ნელა ირწევიან... ზარები ლაპლაპებენ მზეზე.

*

თოფის ხმას სოფელი მიჩვეული იყო. ხან დღისით, ხან ღამით დაიქუხებდა „ბერდანკა“.

ეს იმის ნიშანი იყო, რომ ფრონტიდან გამოქცეული ჯარისკაცები სოფლის დუქანში ქეიფობდნენ.

ამ დილით კი ორღობეში შავწვერულვაშიანი ვაჟკაცი გამოჩნდა. იგი ყვე-ლაფერს ყურადღებით აკვირდებოდა. დროდადრო ხელს ქამრისკენ წაიღებდა, იარაღს შეათამაშებდა და ცას ცეცხლის ენას შეუნთებდა.

გააფებული ნაგაზები ყეფით მისდევდნენ. ხანდახან რომელიმე სახლის კა-რი ჭრიალით გაიღებოდა.

— რომელი ხარ? — კითხულობდა ცნობისმოყვარე მოსახლე.

— მე ვარ, მიხა! — მთელი ხმით ყვიროდა შავწვერულვაშიანი და მელა-ნოს ქოხისკენ მიიწევდა.

— რომელი! ვინ მიხა?

კაცმა ძახილს სროლით უპასუხა და გზა განაგრძო.

— მიხა ჩამოვიდა, ხალხნო!

...ყველაზე წინ მჭედელი დათა და არტემ უჩარდია შეეგებნენ. დათამ ნაშე-გირდალი მკერდში ჩაიკრა:

— მიხა ხარ, შვილო?! საფლავიდან ამდგარო, ერთი შემხედე!..

— დედა თუა ცოცხალი? — იკითხა მიხამ.

— ცოცხალია. ალბათ ამ დღეს უცდიდა უბედური!

მიხა ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან მოხუც მჭედელს. ახლა მას არტემ უჩარ-დია გადაეხვია.

დათას ხმა უკანკალებდა და ძლივს იკავებდა ცრემლს. მეზობლებით გარ-შემორტყმული მიხა ეზოში შევიდა. ხალხი სიხარულისა და ბედნიერების ჟრია-მულით შეიჭრა ქოხში.

*

მელანო ნამდვილად თავის ქოხშია, მაგრამ ესენი ვინღა არიან, გუნდ-გუნ-დად რომ შემოდიან და გადიან? თითქოს ლაპარაკობენ, ხმა კი არ ისმის.

სასთუმალთან მოხუცს ვიღაც უზის და ტირის... ხომ არ დაყრუვდა მელა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნო, მისი ხმა რომ არ ესმის. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის იმ კაცს. მელანო საწოლიდან ოდნავ წამოიწია, დააკვირდა და უცებ იცნო!..

— ჩემი მიხა! — მთელი ხმით შეჰკივლა ქალმა და გულშეწუხებული დავარდა საწოლზე.

— გიცნო, ძმაო, გიცნო საწყალმა, — გაამხნევეს მიხა მეზობლებმა.

— ვაიმე, დედა, ხმა ამოიღე, შენი ჭირიმე! — შეშინებული იძახდა მიხა და დედის ფერწასულ სახეს დაჰყურებდა.

ავადმყოფი უგონოდ იწვა. ცოტაოდენი ცხელი რძე დაალევინეს, ფხალის ფოთლით შეუხვიეს თავი, ტანი ნივრის წვენით დაუზილეს, თავქვეშ რბილი ბალიში დაუდეს და ზემოდან მიხას ფარაჯა გადაახურეს.

... დილით მელანო მომჯობინდა, თვალი გაახილა...

*

ორღობეში ტევა არ იყო. მიხა ვერ აუდიოდა მნახველებს: დიდსა და პატარას გულში იხუტებდა. ნაციმბირალს ტილოს შავი შარვალი ეცვა, შარვლის ტოტები ჩექმებში ჰქონდა ჩატანებული; განიერ ქამარში დამბაჩა გაერჭო. ნაცრისფერ, ჯარისკაცულ ბოხოხზე წითელი ბაფთა ეკერა, შავ ხალათზე ღილები შეეხსნა და ბალნიანი, მზემოკიდებული მკერდი უჩანდა.

მელანო საბოლოოდ დარწმუნდა მიხას დაბრუნებაში, მაგრამ ჯერ წამოდგომის თავი არ ჰქონდა.

მჭედელმა დათამ ნაშეგირდალს მხარზე ხელი დაჰკრა:

— მოდი, შვილო, დაჯექი. წაიხემსე რამე.

წინ სამფეხა სკამი დაუდგეს, ზედ საუზმე დაუწყვეს: მჭადი და ლობიო, მოხარშული კვახის ნაჭერი.

ნაციმბირალს პატივი არ დაუწყია, საუზმე ორ ლუკმად არ ეყო.

— ეჰ, — მძიმედ ამოიხვნეშა დათამ, — ამით ვერ გაძღებოდი, შვილო. არა უშავს, ღმერთია მოწყალე! ახლა შენი ამბავი მოგვიყევი... გამოგიშვეს თუ გამოიქეცი იქიდან?

ხალხი საუბარს სულგანაბული უგდებდა ყურს.

— რატომ გამოვიქცეოდი? — თქვა მიხამ. — ვისაც მე ამდენ ხანს ბორკილგაყრილი ვყავდი, ის გაიქცა და წაიქცა კიდეც!

დათას გაეცინა:

— ამას ხომ მეფეზე ამბობ, ეგ დიდი ხანია ვიცი, შენ ის მითხარი, სად იყავი და ვინ გამოგიშვა.

— ვინ გამომიშვა? — ჩაილიმა მიხამ. — ვინა და აი... — გულის ჯიბიდან წითელყდიანი წიგნაკი ამოიღო, გადაშალა და დათას გაუწოდა. — წაიკითხე, ვინ აწერს ხელს.

— მე რაღას წავიკითხავ, შვილო, თვალს დამაკლდა.

ხუთიოდე ახალგაზრდა წიგნაკს ჩააცქერდა, ერთმა დამარცვლით წაიკითხა:

— ლე.. ნი.. ნი!

— ლენინი? — ფეხზე წამოდგა მჭედელი დათა. — მომეცი აქ! — სინათლესთან მიიტანა წიგნაკი და გაშლილ გვერდს ყურადღებით დააკვირდა.

დათამ გაოცებით შეხედა ნაშეგირდალს.

— ლენინი!

— ლენინი!

—ვინაა ის დალოცვილი, ბორკილი რომ შეგვხსნა? — გაიძახოდნენ მეზობლები.

ნაციმბირალი წამოდგა, მეზობლებს მშვიდად გადახედა:

— ლენინი, ძმებო, მთელი ქვეყნის ღარიბთა და ჩაგრულთა ქომაგია, მარტო ჩემი კი არა... მთელი ახალი რუსეთის მამაა. ლენინმა მოუღო ბოლო უსამართლობას, მან მისცა ხალხს თავისუფლება, პური და მშვიდობა...

— იმას დაელოცოს მარჯვენა! — შესძახეს აქეთ-იქიდან გლეხებმა.

— ასეა, ძმებო, თორემ ჩემი ძვლები ციმბირში ჩალპებოდა. აი, ამ ქუდზე დამაგრებული წითელი ნაჭერიც იმის ნიშანია, რომ ლენინმა გამომიშვა ციმბირიდან.

ნაციმბირალი საუბრის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ ამ დროს უჩარდიამ ანიშნა, დედა გიხმობსო.

არტემი ნათესავად ეკუთვნოდა მიხას და ოჯახში თადარიგს იჭერდა. ქოხთან უჩარდიამ მიხა განზე გაიყვანა.

— ძმაო მიხა! — შეაფეთა ნახშირივით თვალები უჩარდიამ და ნაყვავილარ სახეზე ხელი მოისვა, — ფრთხილად იყავი. რას დამდგარხარ ამ ხალხში ქადაგად? დღესვე დაგაბეზღებენ! ერთს ორად გახდიან. ძმურად გაფრთხილებ... თავს გაუფრთხილდი. მე დამემართოს, რაც შენთვის მინდოდეს... იმიტომ გეუბნები... ჭკუით მოიქეცი.

— არაფერია, არტემ! — ღიმილით უთხრა მიხამ. — რას დამაკლებენ. ცოტა მოიცადე და სეირს მერე ნახავ...

მიხამ უჩარდიას მეგობრულად წაუთათუნა ხელი და ქოხში შევიდა.

•

ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინათ სოფელში მიხას კარგი მჭედლის სახელი ჰქონდა. პირველად ურომსცემლად ჰყავდა დათას. მერე თანდათან გამოიწრთო. დაბორკილს ციმბირშიც ურო შეაჩეჩეს ხელში. ცამეტი წელი იქ უხათქუნებდა გრდემლზე. ამ ორი თვის წინ დათას სამჭედლო გვარდიელებმა ცეცხლს მისცეს და რა ხანია სოფელში სახნისისა და თოხის მოპირვა ჰქირდა. წელში გატეხილმა დათამ ნახანძრალი ხელსაწყოები მიჰყარ-მოჰყარა და ხელობაზე უარი თქვა. მიხა რომ ჩამოვიდა, მეზობლებმა პირველ დღესვე ჩაულაპარაკეს დათას: როგორმე სამჭედლო გახსენი, ლუკმა არ გამოგელევაო...

არტემ უჩარდია დათას ურომსცემლად ჰყოლოდა და ახლა უსაქმოდ დადიოდა.

სოფელში სამჭედლოს გახსნა მიხას ჯერ კიდევ ციმბირში ჰქონდა გადაწყვეტილი და დაბრუნების იმედთან ერთად ინახავდა ამ ოცნებას. კატორღელი ზეინკლობაშიც გაწაფულიყო და საჭირო ხელსაწყოებიც თან წამოეღო.

მიხა სამი დღე მოუნდა წნელისა და მესრების დამზადებას, ეზო შემოაკავა, ჰიშკრის ჩელტი მოღობა.

ცამეტი წელი ნატრობდა ჩიტად გადაქცევას, რომ ყველა ზღუდე და კედელი გადმოელახა და აქ მოფრენილიყო.

ერთ დილას ტყეში ბოძები მოჭრა და ეზოში ჩამოზიდა. მინდორი ნაბიჯებით გადაზომა. მერე ბოძები მიწაში ჩაარჭო, ზედ კოჭები გამართა და კედლები წკნელით ამოიყვანა. ფაცხა თიხით შელესა და ისლით გადახურა.

ძველი გუდებისაგან საბერველი გამოკერა, აგურის ნატეხები მოაგროვა და ქურაც გამართა. სახურავს რომ ცეცხლი არ მოდებოდა, საკვამლე მილი გიდელივით მოღობა და თიხით შელესა. ლაფაროში მიგდებული ნახანძრალი გრდემლი და ურო შინ გადმოზიდა. დაჟანგული გრდემლი კუნძზე დაამაგრა, ჩაქუჩებსა და უროებს ტარი გაუყარა. სამჭედლოს კუთხეში ნახშირი დაახვავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთ დღეს მიხამ საბერველი აამუშავა, ნაკვერცხლები აბრიალდა.

მელანო ყოველ დილით წამოსადგომად გაიბრძოლებდა, მაგრამ ჭირისუფლად დასხმული და ღონემიხდილი ისევ ლოგინზე დაეშვებოდა.

მიხა ყურადღებას არ აკლებდა ავადმყოფ დედას. ყოველ თავისუფალ წუთს მასთან იყო. ხან ცივ წყალს მოურბენინებდა, ხან ფხალის ფოთლით თავს შეუხვევდა და ერთ ჭიქა მაწონს შეაჭმევდა. საღამოს ფეხებს დაუთბილავდა, ოფლის მოსადენად ცაცხვის ყვავილს მოუხარშავდა...

უროების დაგადუგმა მელანო თითქოს გამოაცოცხლა: ავადმყოფს გუნება გამოუკეთდა. თანდათან მადაც გაეხსნა. ბოლოს მოხუცის დალეული ლანდი ქოხის ზღურბლზეც გამოჩნდა.

მიხა სამჭედლოდან მოვარდა. წამოდგომისათვის გაუწყრა ავადმყოფს, მერე სათუთად მოჰკიდა ხელი და სამჭედლოსკენ გაატარა. დედა გაკვამლულ ფაცხაში შევიდა და შვილს მარჯვენა დაულოცა. მჭედელმა ხმელი ისლი დაუყარა და ნაავადმყოფარი ჩრდილში დასვა.

*

მელანო იმდენად მომჯობინდა, რომ ტყეში სიარული დაიწყო: ფიჩხს აგროვებდა, მაყვლით ავსებდა ქილას, ხან პანტასა და მაჟალოს კრეფდა, ხან მჟაუნასა და სოკოს.

სამუშაო მოზღვავდა: მოჰქონდათ მოსაპირავი ცული, გასალესი დანა და ნაჯახი, სახნისები, თოხები, ნალები, ურმის თვლები...

ოჯახი წელში იმართებოდა.

მიხამ თავიდანვე გამოაცხადა, ქვრივ-ობლებს არაფერს გადავახდევინებ, ღარიბ-ღატაკებსაც უფასოდ მოვემსახურებიო.

მჭედელი საქმეს ვერ აუდიოდა და ზოგჯერ გვიან ღამეც მუშაობდა. შუაღამისას დაღლილი იქვე, ტახტზე მიეგდებოდა და თვალს მილულავდა.

სხვა გზა არ ჰქონდა, ვინმე დამხმარე უნდა აეყვანა უროსმცემლად. არჩევანი უსაქმოდ მყოფ არტემ უჩარდიაზე შეაჩერა. უჩარდია სიამოვნებით დათანხმდა მასთან მუშაობას.

*

მელანო წუხდა, რომ შვილი შუაღამემდე მუშაობდა. ხშირად მიაკითხავდა ძილგამფრთხალი ქვრივი ტახტზე მიგდებულ შვილს. სასთუმალთან დაუჯდებოდა, მძინარეს ქოჩორზე ხელს გადაუსვამდა, შუბლზე ოფლს შეუმშრალებდა.

რაც უჩარდია უროსმცემლად მოვიდა, მიხამ მუშაობას უმატა.

ერთხელ, ნაშუაღამევს, მელანო ქოხიდან გამოვიდა. სამჭედლოდან ლაპარაკი მოესმა. ასე გვიან ვინ იქნება? „ალბათ მიხას თუ აბოდებს ძილში“, — გაიფიქრა მელანომ და სამჭედლოსკენ გასწია.

— რომელი ხარ მანდ! — დაიძახა ხმაურზე შემკრთალმა მჭედელმა.

— მე ვარ, შვილო! ვინ იქნება?..

ბნელში პაპიროსი ბჟუტავდა. ახლოს რომ მივიდა, მელანომ უჩარდია იცნო.

— სად იყავი, ნანა, ასე გვიან, საღამოს ხომ შინ წახვედი? — მოძალებულ გაბრაზებას ძლივს ფარავდა ნაციმბირალის დედა.

— წისქვილში ვიყავი, ძიძა, ერთი კოთხო საფქვავი დავაყარე და იმას შევრჩი; გზად რომ ამოვიარე, ჩემი ძმობილი გრდემლზე აკაკუნებდა და გულმა არ მომითმინა, შემოვიხედე...—ჯამი მომიტანე ერთი, თუ ქალი ხარ, ფქვილი გავინაწილოთ, — თქვა არტემმა და ტომარას თავი მოხსნა.

— ნუ წუხდები, შინ წაიღე! — ცივად მიუგო მელანომ.
— მოუტანე ჯამი! — გაწყრა მიხა.

...წისქვილისა და ფქვილის ამბავი ასე თუ ისე დაიჯერა ქალბატონმა მელანომ. სამი დღეც არ გასულიყო ამ ამბიდან, რომ ისევ უდროო დროს წააწყდა უჩარდიას სამჭედლოში. თურმე ამჯერად ცხენის საჭედლად წამოსულ იყო არტემი და ტყეში დაგვიანებოდა...

ერთი კვირის შემდეგ, შუაღამისას, ცხენების ჭიხვინმა და ფლოქვების თქარათქურმა შეაკრთო მელანო. ელდანაცემი წამოდგა.

„გვარდია!" — გაიფიქრა აცახცახებულმა.

სამჭედლოს დასაწვავად გვარდიელები სწორედ ასეთ დროს დაეცნენ დათას.

მელანო დაფიქრდა. ისეთი ხომ არაფერი მომხდარა მის ქოხში, რომ დასასჯელად თავს დასხმოდნენ?

არა, არაფერი! შვილი დღედაღამე შრომობს... და უცებ გულში ჩხვლეტა იგრძნო: იმაზე ხომ არ დაასმინეს, წითელი წიგნაკი რომ აჩვენა ყველას... ვინ იზამდა ამას?..

უეცრად არტემ უჩარდიას ნაყვავილარი, ჩაშავებული სახე დაუდგა თვალწინ; თითქოს გველმა გადაუარა სხეულზე. „ტყუილად არ დაეთრეოდა აქ!" — გაოგნებული მელანო კარს წაეტანა. ცხენების თქარათქური უკვე შუა ეზოში ისმოდა.

როგორც იქნა, კარი გაალო და გარეთ გაიხედა.

— მიხა! — ხმამაღლა დაიძახა და ირგვლივ მიმოიხედა. ეზოში არავინ ჩანდა. ცხენების ფეხის ხმა ორღობეში მიწყდა.

— ფუი, ეშმაკს! რას არ იფიქრებს კაცი? — გაოფლილ შუბლზე ხელი გადაისვა და ფაცხისკენ გაეშურა.

ის იყო სამჭედლოს კარი უნდა შეეღო, სიბნელეში მომავალი კაცი დალანდა.

— რომელი ხარ? — გული შეეკუმშა მელანოს.
— მე ვარ. რა იყო?
— არ გძინავს, შვილო? — გაოცდა მელანო.
— არა, — ჩაახველა მიხამ, — რაღაც არ დამეძინა, ჰაერზე გავიარე.
— ის ცხენოსნები ვინ იყვნენ? — კვლავ შეეკითხა დედა.
— რომელი? — გაიოცა მიხამ, თითქოს თვალით არავინ ენახა.

„ალბათ მომეყურა", — გაიფიქრა მოხუცმა და ქოხში შებრუნდა.

...მელანო დილაადრიან ადგა და ეზოში გავიდა. სამჭედლოსთან მოულოდნელად ცხენის ნაკვალევი შეამჩნია. მუხლი მოეკვეთა.

ახალგამოღვიძებული მიხა ჭისკენ გაეშურა, ხელპირის დასაბანად წყალი ამოიღო; უეცრად დედის შემკრთალ სახეს მოჰკრა თვალი, თვითონაც შეკრთა და ბადია გვიმზე დადო...

მელანო ქოხში შებრუნდა, ცოცხი გამოიტანა და სამჭედლოსკენ გაემართა.

— დაიცა, ჯერ ნუ შეხვალ სამჭედლოში. მერე გამოხვეტე. — შეკრთა მჭედელი და ორი ნახტომით ფაცხასთან გაჩნდა, მაგრამ გვიანღა იყო.

მელანოს ეგონა, სამჭედლოში რაღაც უცნაურს წააწყდებოდა, მაგრამ მიყრილ-მოყრილი ხელსაწყოებისა და რკინების მეტი ვერაფერი დაინახა.

„მაინც რა უნდა ყოფილიყო!" — დაფიქრდა მოხუცი. ფაცხის ყველა კუნჭული დაათვალიერა.

— კაცს არ შემოესვლება, შვილო, აქ, იმდენი ნაგავი ყრია. წადი, ისაუზმე, მე მივალაგებ! — თქვა და ნაძალადევი სიმშვიდით დაიწყო ხვეტა.

— ცოტახანს დამაცადე, დედა! — შეევედრა მიხა, მაგრამ გაჯიუტებული მოხუცი ფეხს არ იცვლიდა.

მელანო ნელა და მონდომებით ჰგვიდა, სამუშაო იარაღებს გრდემლთან აწ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ყობდა, მოსაპირავ ცულებსა და წალდებს ქურასთან ყრიდა. ბოლოს, საბერველისკენ რომ მიტრიალდა, მიხა ადგილიდან მოწყდა.

— მოიცა, სულ ნუ ამტვერე აქაურობა!

მელანო საბერველთან მივიდა, აჰხედ-დაჰხედა, საეჭვო ვერაფერი ნახა და ცივად შემობრუნდა. მერე ისევ მოავლო იმ კუთხეს თვალი და უცებ მოულოდნელობისაგან გაშეშდა: ნახშირის გორიდან თოფის ლულას ამოეყო თავი.

— რას ვხედავ ამას... — ჩურჩულებდა თავგზააბნეული ქალი და ნახშირში აფათურებდა ხელს. მიხა უძრავად იდგა. ნახშირში კიდევ ხუთი თოფი აღმოჩნდა.

— რა არის ეს? — ამოიგმინა მელანომ და ხელები გაასავსავა.

— არაფერი, რა უნდა იყოს! მთებში ღორზე სანადიროდ ემზადებიან ბიჭები!.. — სცადა თავის მართლება მიხამ.

— მერე თოფებს რალა ჩემს სახლში მალავენ?

ნაციმბირალმა ხელი ჩაიქნია:

— შესაკეთებლად მომიტანეს, ჩემი მოვალეობა ეგაა!

— შენ თუ იცი, დათას სამჭედლო რატომ გადაბუგეს? მხოლოდ ღამე გაათიეს იქ, დათას არც კი სცოდნოდა. — მელანოს ტირილი აუვარდა.

— ნუ ჯავრობ, დედა, — აწყნარებდა მიხა. — ღლესვე შევაკეთებ და ყველას უკანვე გავატან.

დედა-შვილი ქოხში შევიდა. აცახცახებული მოხუცი მიხამ ლოგინზე დასვა.

— თოფები რომ გვინახონ, ორივეს დაგვხოცავენ... ჩემს თავს არ ვჩივი, — ისევ ატირდა მელანო.

— გაჩერდი, დედა! — ლამის პირზე ხელი დააფარა მიხამ — ყველაფერს აგიხსნი: ეს თოფები ჩემი მეგობრებისაა. ისინი ახლა ტყეში არიან; მე სახლში ვზივარ... შენი ხათრით... იარაღებს შეკეთება ჰირდება; ამაზეც ხომ უარს ვერ ვიტყოდი. დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება! — მიხამ დედას თავზე ხელი გადაუსვა და სამჭედლოსკენ გაემართა.

ცოტა ხნის შემდეგ სამჭედლოდან ქლიბის ხმა მოისმა.

— ვაი, ჩემს შავ დღეს! — დაიკვნესა მელანომ, საწოლიდან მძიმედ წამოიწია და ძლივს გალასლასდა გარეთ.

ხის ძირში, მოლზე დაჯდა და ორღობეს დაუწყო ყურება. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო.

მელანოს ჭამაც დაავიწყდა, არც სისუსტე უგრძვნია, იჯდა და ორღობეს უთვალთვალებდა. მხოლოდ საღამოს შეწყდა სამჭედლოში საბერვლისა და ქლიბის ხმაური. ფერმიხდილი მიხა გარეთ გამოვიდა.

— მოვრჩი, რა სალაპარაკო იყო ეს. ყველაფერმა კარგად ჩაიარა! — მოხუცი დედა ხელში აიტაცა. — რომ მცოდნოდა ასეთი ფრთხილი და წინდახედული იყავი, აქამდისაც გეტყოდი...

სიტყვა დასრულებულიც არ ჰქონდა, ჭიშკართან ცხენიანი არტემ უჩარდია გამოჩნდა. ხელში გადატეხილი კავი ეჭირა, ელვარე სახნისით. შეშფოთებული მელანო მიხამ ქოხში შეიყვანა და თვითონ უჩარდიასთან დაბრუნდა.

... დიდხანს ისმოდა რკინების ჩხაკუნი და ცხენის ფრუტუნი.

*

გავიდა ხანი. მელანომაც მოისვენა და მიხამაც. ნაციმბირალი ახლა ღღისითაც ჩრდილში წამოწვებოდა და გაზეთს ჩაჰკირკიტებდა, იქვე ჩაიძინებდა და სამხრობამდე, სანამ ჩრდილი გადაივლიდა, მკვდარივით ეძინა.

მოხუცი ქოხიდან ფარაჯას გამოიტანდა და მძინარეს დააფარებდა.

თვე მიილია. არტემ უჩარდია არსად ჩანდა, არც სხვა ვინმე გამოჩენილა.

ქალი ბედნიერად გრძნობდა თავს. საამურ ფიქრებში იყო; მიხა თუ [illegible] ით მოიქცა და ყველაფერი დაუჯერა, ერთ წელიწადში ფეხზე დადგებიან, წელ-ში გაიმართებიან. სარძლოსაც მონახავს მელანო: გამრჯეს და პატიოსანს...

უცებ ბურანიდან გამოერკვა. ძილგამკრთალმა კაბა გადაიცვა და კარს მიაშურა.

... მელანოს ტახტი ცარიელი დახვდა. შვილი არსად ჩანდა.

— მიხა! — აღმოხდა ხმადაბლა.

„ალბათ სამჭედლოშია, საწოლი იქაც აქვს, ნახევარჯერ იქ იძინებს“.

...სამჭედლოს კარი შიგნიდან იყო დაკეტილი.

მელანომ რაზა ასწია და ბნელ სადგომში შევიდა. ნახშირისა და ორთქლის შემხუთველი სუნი ეცა. მიხა არც იქ დახვდა. დაფეთებული მელანო ეზოში გა-მოვარდა.

ვარსკვლავები დაციმციმებდა მძინარე სოფელს. დროგამოშვებით ძაღლის ყმუილი ისმოდა.

ეკლესიის მხარეს, გორაზე, მელანომ პატარა ალს მოკრა თვალი; მწყემსების კოცონი ეგონა. ცეცხლი ერთბაშად გაძლიერდა. ალის შუქზე ტყე გამოჩნდა. მე-ლანო გაოცებით შეჰყურებდა ტყეს. რა უნდა ყოფილიყო?

უცებ სოფელში თოფი გავარდა.

„ალბათ, სალდათები ქეიფობენ!“ — ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ ტყვიებმა წივილით გადაუქროლა თავზე.

„შაშხანები, მიხას შეკეთებული შაშხანები“... — გაახსენდა და ჭიშკარს მიაწყდა.

რაც ძალა და ღონე ჰქონდა ორღობეში მირბოდა მელანო. ხანძარს მთელი ხეობა გაენათებინა. თოფები გამაყრუებლად გრიალებდა.

— მი... ხააა! — თხრილებში იკეცებოდა, მესრებს ენარცხებოდა და მაინც წინ მიიწევდა ქანცმილეული მოხუცი.

ახლა სულ ახლოს მოისმა თოფის ხმა. ჭახანით გადატყდა მესერი. მოხუცი თხრილში ჩაიკეცა.

სიმინდის ყანიდან შლიგინი მოისმა. შავი ლანდი ღობეს გადმოევლო და თხრილში წაქცეულ მოხუცს წაადგა.

— დედა, არ შეშინდე! მიხა ვარ!.. — თქვა და ქალი ხელში აიტაცა.

— რა ხდება, შვილო, აქ რამ მოგიყვანა, — ფალასკებით გაჭედილ მკერდზე ხელი მოუფათურა მელანომ შვილს.

— ცოტა ხანს მაცალე! — თოფი გადაიკიდა მიხამ. — დედა, შენ ახლავე სახლში წადი. თუ მომაკითხონ, ქალაქში წავიდა საქმეზე-თქო, უთხარი...

— მიხა, შვილო, სად მიდიხარ!..

— უნდა წავიდე, მიცდიან, — თქვა და სიბნელეს მისცა თავი.

*

ღრუბლიანი დილა გათენდა ხიბლარში. ალიონზე ნახანძრალ ხეობაში ჯან-ღი ჩამოწვა.

ეზოებიდან ბოსელში შემწყვდეული საქონლის ბღავილი ისმოდა.

მელანო ქოხში ტრიალებდა, თითქოს წუხელ არაფერი არ გაეგო.

ეზო დაგავა, სამჭედლო მიალაგა, ჭიდან წყალი ამოიღო, ქოთანში ლობიო ჩაყარა და ცეცხლზე დადგა მოსახარშად.

უკვე წირვის დრო მოვიდა, მაგრამ სოფელში ჭაჭანება არ იყო.

დათიჰრებული მელანო ქოხში შევიდა და ის იყო ლობიოსათვის წყალი უნ-

და დაემატებინა, რომ ორღობიდან ქალების კივილი შემოესმა. ლოქი ხელიდან გაუვარდა მოხუცს... ორღობეში მტვრის ბული იდგა, ცხენოსნები ვიწრო შუკაში შემოჭრილიყვნენ; შიშველი ხმლები მზეზე ელავდა...

*

რაზმელები ეკლესიის გალავანთან, ტყეში ისვენებდნენ. შაშხანები და რევოლვერები გაინაწილეს. დარჩენილი იარაღი მუხის ფუღუროში შეალაგეს. ბიჭები მუხის დაღვარჩნილ ძირებზე ჩამოსხდნენ, მზვერავები ტოტებზე იყვნენ მოკალათებული.

არტემ უჩარდია მიხას გვერდით იჯდა და ხელმძღვანელს გულმოდგინედ უსმენდა.

უცებ მზვერავებმა სტვენა ატეხეს... ყველამ საფარს მიაშურა: ხიბლარის თავზე მტვრის კორიანტელი იდგა.

— მოდიან! — დაიჭექა ნაციმბირალმა.

— ასე უცებ ვინ გაგვყიდა, ნეტავ! ჯაშუშები, ურჯულოები! — ბოროტად დაიხრიალა უჩარდიამ და გინებით გადახტა თხრილში.

— აბა, ბიჭებო, მაგრად იყავით! — შესძახა ამხანაგებს მჭედელმა, მაგრამ უეცრად ადგილზე გაშეშდა: მისი სამჭედლო და ქოხი ცეცხლში იყო გახვეული.

— დავიღუპე, ბიჭებო, მოხუც დედასაც მომიკლავენ ეგ ულმერთოები... — წამოიძახა მიხამ.

— დედაკაცთან რა ხელი აქვთ, ნუ გეშინია! — გაამხნევა არტემ უჩარდიამ...

— მოითმინეთ, ბიჭებო, პირისპირ შებმა არივარგებს! როგორმე, აქეთ, ვიწროებში შემოვიტყუოთ! აქ გავუსწორდებით! — ყველა რაზმელმა ვერ გაიგო მიხას ბრძანება. ზოგი წინ გარბოდა, ზოგი ჩასაფრებული იყო. არტემი ფეხდაფეხ მისდევდა მეთაურს. ამ ალიაქოთში კიდევ ორგან ავარდა ცეცხლის ალი. მეამბოხეთა სახლები იწვოდა. ცხადია, წინასწარვე იცოდნენ მათი ოჯახები.

— გვიღალატეს, გაგვცეს! — ყვიროდა გახელებული არტემი და მკერდზე მუშტს იბრაგუნებდა.

უკვე ოცამდე სახლი იყო ალში გახვეული, მხოლოდ არტემ უჩარდიას ოდა იდგა წინანდებურად ხელუხლებელი.

— გადარჩა შენი სახლი, ბედი გქონია! — გადახედა უჩარდიას მიხამ.

უჩარდია უშნოდ გაიღიმა:

— ცეცხლის წაკიდებას ყოველთვის მოასწრებენ, შენ სხვა რამე მითხარი!

— ჯერ ახლოს მოვუშვათ... მდინარეში შემოსვლა ვაცალოთ, ბიჭებო, — განაგრძობდა მიხა. — ვაზნებს ფუჭად ნუ ხარჯავთ.

— მეთაურს პირველივე გასროლით ჩამოვიღებ ცხენიდან! — რიხიანად იძახოდა უჩარდია.

ცხენოსნები წყალგაღმა შეჩერდნენ. ამოწვდილ ხმლებს ჰაერში ატრიალებდნენ და შეხურებულ ცხენებს დააგელვებდნენ. ერთი მხედარი სოფლისკენ გავარდა. ორღობის თავში შემოტრიალდა და ჩასაფრებული ოცეული შეტევაზე გადმოიყვანა. რიყეზე ნალების ჭახაჭუხი ისმოდა. მხედრებმა ყიჟინით შეტოპეს სწრაფ მდინარეში. უცებ ტყემ დაიქუხა და მეწინავენი წყალში ჩაწვნენ. აქაფებულმა მორევმა სწრაფად დაითრია ისინი.

— ცეცხლი! — ისმოდა მიხას ბრძანება, შავ წვერულვაშზე ოფლი ჩამოსდიოდა, თვალებში რისხვა ჩადგომოდა.

— მომყევით! — დაიქუხა ნაციმბირალმა და საფარიდან ამოხტა. ტყვიებით დაცხრილული მდინარე თითქოს დუღდა.

მდინარეში შეჭრილებმა, ვისაც ტყვია არ მისწვდა, სასწრაფოდ შემოტრიალეს ცხენები და ნაპირს მიაწყდნენ. ოფიცერი გინებით უხმობდა [illegible], მაგრამ არავის არ ესმოდა მისი ხმა.

— წინ, ბიჭებო! — დაიძახა არტემ უჩარდიამ, თვითონაც ამოხტა საფარიდან, ფერდობი ჩამოირბინა და ლოდს ამოფარებულ მიხას გვერდით დაუწვა; ამხანაგები შეათვალიერა და ქურდული მზერა უფროსზე გადაიტანა.

ბრძოლაში ჩართული მიხა განუწყვეტლად აჩხაკუნებდა საკეტს და შეტევაზე გადმოსულ გვარდიელებს ცელავდა.

გატრუნული უჩარდია სახეზე ოფლს იწმენდდა და თვალებს ბოროტად ატრიალებდა. ბოლოს მოხერხებულ ადგილზე გახოხდა, შემოტრიალდა და მიხას ათიოდე ნაბიჯიდან დაახალა ტყვია.

— მიხა მოგვიკლეს, ბიჭებო! — თვითონვე დაიღრიალა და მდინარისკენ გაიქცა.

ღალატი გვიან გაიგეს. ამასობაში არტემი გაღმა გასულიყო. უპატრონოდ დარჩენილ ლაფშას ლაგამში ჩაფრენოდა. ბოლოს, როგორც იქნა, უნაგირს მოევლო და ფაფარზე გაკრული გაქცეულ გვარდიელებს დაედევნა.

*

მკერდგაგლეჯილი მიხა ხის ძირში ლაფავდა სულს. სისხლში ამოსვრილი ქუდი და შაშხანა იქვე ეგდო.

განთიადისას ტყის პირას ძაძებში გახვეული მოხუცი ქალი გამოჩნდა. ჭაღარა თმა ასწეწოდა და ნისლივით მიირწეოდა ბილიკზე.

უეცრად შედგა. მოშორებით, მეხით გარუჯული ხის ძირას რაღაც შენიშნა. მძიმედ წალასლასდა იქით. ბინდგადაკრულ თვალებში თანდათან იკვეთებოდა წითლად შეღებილი, უპატრონოდ მიგდებული თოფი და ქუდი.

მოხუცს სუნთქვა შეეკრა. უღონოდ ჩაიკეცა გაცივებულ გვამთან, ერთი განწირული ხმით შეჰკივლა: „ჩემი მიხა!“ — და მოწყვეტით გადაემხო ზედ...

დედა-შვილი ერთად, ერთმანეთის გვერდით დაასაფლავეს. იმ ადგილს სოფლელებმა „ცრემლის წყარო“ შეარქვეს.

## მირიან მირნელი

### ქართული ვაზი

...და ლამის გაქრა ვაზის სახელი —
დაწვეს,
დაჩეხეს
ასგზის,
ათასგზის,
და მოდიოდა აურაცხელი:
ჩინგიზ-ყაენი
და შაჰ-აბასი.
და ამოძირკვეს ფესვი მიწიდან,
სიკვდილის ჯარა ცეცხლში აბრუნეს...
შემდეგ მახვილმა ისევ იბრწყინა,
ყლორტი იყარა
რქამ სამამულემ.
ხმალი დაუდგა მერე დარაჯად,
ასე ქარიშხლებს გამოაღწია
და როცა სახლში შემოალაჯა,
პირამდე სავსე თასი ასწია!

### ნაკადულები

სხივი სხივს ერთვის,
ქარები — ქარებს,
მერე აჰქარი სადღაც დუნდება,
მზე არის შინ და
მზე არის გარეთ
და სხივთა დენა ნაკადულებად.
სხივები მზეზე ფერებს ძერწავენ
იისფრად,
ლურჯად,
ცისფრად და
მწვანედ...
ყანა შრიალებს გაულეწავი
და მძიმე თავთუხს სხივები სწვავენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ერთვის წყარო წყაროთა შრიალს,
წინწკლებს წინწკლებთან ყოფნა უნდებათ,
თრთიან ზვირთები,
კრთიან და
თრთიან
და ჩაივლიან ნაკადულებად.
ვილაცა აწყობს აგურზე აგურს
და სიმაღლეებს ერთვის სიმაღლე,
ხავსიან ფუძეს ქარბუქი ანგრევს, —
მაშასადამე —
ნერგი ილაღებს!
და ღიმილს ერთი ღიმილი ერთვის,
მერცხლების გუნდი უკვე ბრუნდება
და ლურჯი ფერიც,
მწვანეც და
თეთრიც
გზებს აწყდებიან
ნაკადულებად.
ვილაცა ათევს წიგნებთან ღამეს
(და წიგნსაც გული, იქნება, უცემს)...
მე ფიქრში უცებ გავახელ თვალებს, —
ერთი ბილიკი მაღლდება უცებ.
ბილიკი ილტვის მთისკენ სირბილით
(შენ გაუმარჯვე, დედა-ბუნებავ)!..
წვიმს მთაში,
წვიმა ზათქით, ყვირილით
ხევებში ცვივა ნაკადულებად.
ყველა ხმაური ერთად ხვავდება,
მთამ უცხარი იცის ფეთება,
მოხვალთ, იხილავთ, გაგეხარდებათ:
გზა-გზა ისეთი შუქი ენთება;
შუქი გადმოდის ოთხივე მხარეს —
დიდი, ნათელი, უხვი, ულევი,
სხივი სხივს ერთვის, ქარები ქარებს
და ერთდებიან ნაკადულები.

. . . . . . . . . . . . . . . . . .

აჰა, მდინარე მიდის და ლაღობს
და დედამიწა არიგებს ნაყოფს!

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ბათიაშვილი

## პოეტის ახალი წიგნი

(ნოდარ გურეშიძე. „მიწა და ვარსკვლავები“)

ცოცხალი ლიტერატურული პროცესი სავსეა დიდი, რთული და საინტერესო მოვლენებით, რაც მთლიანად იპყრობს ამ პროცესში მონაწილე ლიტერატორთა თუ მკითხველთა ყურადღებას. ყოველი საინტერესო ლიტერატურული ნაწარმოების გამოქვეყნება (იქნება ის ეროვნული თუ უცხოური) იწვევს მძაფრ კამათს, აზრთა ცხოველ გაცვლა-გამოცვლას. ამავე დროს გამოდის რომელიმე პოეტის ახალი წიგნი, ან პროზაიკოსის ახალი მოთხრობების კრებული, მაგრამ ჩვენ, გატაცებულნი იმ დიდ ლიტერატურულ მოვლენებზე ფიქრითა და პაექრობით, ველარ ვასწრებთ ყურადღებით წავიკითხოთ იგი, ველარ ვასწრებთ გულისხმიერად განვსაჯოთ მისი ნაკლი და ღირსება. სწორედ ამის გამოა, რომ პოეტზე გვრჩება ისევ ის შთაბეჭდილება, რაც ძირითადად მისი ძველი, ადრინდელი ლექსებიდან მიგვიღია. პოეტის უკანასკნელ წიგნში გადაფასებულია ბევრი რამ, უფრო მდიდარია მხატვრული გამოსახვის საშუალებები. ჩვენ კი, ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო, გაუცნობიერებელი და შეუსწავლელი გვრჩება ეს მოვლენა, რომელიც საინტერესოა თუნდაც იმით, რომ იქნებ სწორედ აქ, ამ ახალ წიგნში „იპოვა პოეტმა თავისი თავი“, იპოვა თავისი ხმა და ადგილი დიდ ლიტერატურულ ცხოვრებაში: იქნებ სწორედ ამ ბოლო წიგნში გამოჩნდა მკვეთრად ის „რაციონალური მარცვალი“, რომელიც გალვივებას საჭიროებს. პოეტი კი, მით უმეტეს ახალგაზრდა კაცი, ღირსია ამის თქმისა, ღირსია წახალისებისა და მხარდაჭერისა. შეიძლება საწინააღმდეგო მოვლენასთანაც კი გვქონდეს საქმე: იქნებ პოეტმა თავის უკანასკნელ ლექსებში უარი თქვა ყველაფერზე, რაც ბუნებრივი იყო მისი პოეტური ნატურისათვის, და უნაყოფო და მკითხველის გამაღიზიანებელ „ძიებათა“ გზას დაადგა. მაშინ ესეც უნდა პირუთვნელად ვუთხრათ ავტორს, რომ მისი შემდგომი წიგნი და ნაბიჯი უფრო თამამი და გამართული იყოს.

ყოველივე ამას, ნებით თუ უნებლიეთ, აფიქრებინებს მკითხველს ნოდარ გურეშიძის ლექსების ახალი კრებული — „მიწა და ვარსკვლავები“, რადგან ამ წიგნში ისმის ახალი ხმები, ახალი ინტონაცია, რაც, ჩვენი აზრით, ბევრი რამითაა უკეთესი და საინტერესო პოეტის ადრინდელი ნაწარმოებების ინტონაციებზე. უფრო მეტიც, სარეცენზიო კრებულით ნოდარ გურეშიძე მოგვევლინა უფრო საინტერესო პოეტად და მოქალაქედ, ვიდრე ეს მისი წინა წიგნებიდან ჩანდა, თუმცა, რა თქმა უნდა, შემოქმედებითი

ზრდისა და წინსვლის კონტურები მის მეორე წიგნშიც იყო მინიშნებული.

ნოდარ გურეშიძეს აქვს თავისი პოეტური რაკურსი, იგი თავისი თვალით უყურებს საგნებსა და მოვლენებს, ცდილობს „საკუთარი მეთოდით" გააანალიზოს იგი. მის ლექსებში შეხვდებით „ხორკლიან" ადგილებსაც, ალბათ წააწყდებით გაუმართავ სტრიქონსაც. მაგრამ მისი ურთიერთობა სამყაროსთან, ადამიანებთან, ცხოვრებასთან ყოველთვის ნათელი და ოპტიმისტურია. მის ლექსებს იქნებ არ ატყვია მძაფრი სურვილი „შეუცნობელ სამყაროში მოგზაურობისა" (ვლ. მაიაკოვსკი), მაგრამ ის საკუთარი სამყარო, რომელსაც პოეტი მკითხველს აცნობს, საინტერესო და მიმზიდველია. პოეზიაში საკუთარი ბილიკებით სიარული უფრო სასახელოა, ვიდრე სხვის პროსპექტზე ლაღად ნავარდი. ნოდარ გურეშიძესაც აქვს ეს საკუთარი ბილიკი, იქნებ პატარა, მაგრამ მაინც საინტერესო საკუთარი გზა, რომელსაც იგი პირნათლად მიჰყვება მკითხველის გულამდე.

მიუხედავად იმ წმინდა ლირიკული, უფრო მეტიც, კამერული ლექსებისა, რომლებიც საკმაოდაა წიგნში წარმოდგენილი, კრებულის ხასიათს მაინც მოქალაქეობრივი პათოსით აღბეჭდილი ლექსები ქმნის. ნოდარ გურეშიძის ყოველ კარგ ლექსს საფუძვლად სწორედ ეს მოქალაქეობრივი, პუბლიცისტური, ქადაგცური ინტონაცია უდევს. ნოდარ გურეშიძე ცხოვრებას უმზერს არა ლირიკოსი პოეტის თვალით, ვისთვისაც მთავარი ინტიმური ურთიერთობებია, არამედ უფრო ფართო პლანით, დიდი მოქალაქეობრივი ინტერესების მქონე ადამიანის გონებით. იგი მოვლენებს აღიქვამს, როგორც პოეტი მოქალაქე. და ეს ტენდენცია ზოგჯერ ისე ძლიერია, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს პოეტს „ავიწყდება", რომ იგი ლექსს წერს, პოეზიის ენით ლაპარაკობს. იგი უბრალოდ, გულწრფელად ესაუბრება მკითხველს სამყაროს შექმნაზე, დედამიწაზე, კოპერნიკზე. ეს პოეტის მხატვრული პოზიციაა. პოეტიზირებულ ფრაზას იგი ფაქტს ამჯობინებს და ცდილობს თვით ამ ფაქტების აყვანას პოეზიის ხარისხში. ლექსში „ავტობიოგრაფია" არის სწორედ იმის ცდა, რომ ფაქტების ემპირიული აღნუსხვა ამაღლდეს პოეზიამდე:

შთამომავლობამ იცოდეს უნდა,
ჩვენმა მამებმა თუ გაჰკვეთეს
სიბნელის ტევრი,
სიმართლის დროშა თუ
ეპყრათ მუდამ
და ძლევის მარშით
მიადგნენ ბერლინს.
შთამომავლობამ იცოდეს უნდა —
ოცდაჩვიდმეტ წელს
ემსხვერპლა ბევრიც.

ამ სტრიქონებში, როგორც ვხედავთ, საკმაოდ ბევრი მოვლენაა ჩამოთვლილი. მაგრამ ამ მშრალი ფაქტების საშუალებით ავტორი მაინც ახერხებს, რომ ეს მძაფრი ცხოვრებისეული მოვლენები პოეზიის ენით მიიტანოს მკითხველამდე.

პოეტი ჩვენი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, მისი ფსიქიკა მგრძნობიარე ლოკატორივით აღიქვამს სამყაროს მოვლენებს, რადგან მისი თაობის ადამიანები „კონგოს თუ კუბას განიცდიან, როგორც თბილისის უბანს". ნოდარ გურეშიძე ყურს უგდებს ცხოვრების მაჯისცემას:

ყოველდღიურად
ისმის ისე მღელვარე ხმები.
არ გაგიკვირდეთ,
ასე რატომ მიჩქროლავს გული.
ან ნაადრევი
ჭირხლით რატომ გამევსო თმები.

ნოდარ გურეშიძე ეპიკოსი პოეტის თვალით უყურებს ყოფას. ავტორის ეს თვისება ჯერ რამდენიმესტრიქონიან პატარა ლექსებშია მინიშნებული, ხოლო ნათელია და ჩამოყალიბებული სახე აქვს ისეთ ლექსში, როგორიცაა „ჩვენს თვალქუთუნა დებთან და ძმებთან".

სწორედ ამ ნაწარმოების გამო დაერქვა წიგნს სათაურად „მიწა და ვარსკვლავები". პოეტი ეძებს რაღაც საერთოს მიწასა და ვარსკვლავებს შორის და სურს ეს კავშირი რაც შეიძლება რეალური იყოს. და იგი მიწაზე ისმენს ისეთ

ჩვეულებრივ, ყოფით დიალოგებს, როგორიცაა:

ისე, რა გითხრა და, ჩემო აფრასიონ,
ამბობენ, რომ მთვარე არის ათასით,
ამბობენ, რომ მიწაც არის ათასით,
ასე მომხიბლავი, ასე ლამაზით.

პოეტს აღელვებს ადამიანის სულის დაუოკებელი სწრაფვა სიმაღლეებისაკენ, ვარსკვლავებისაკენ, — დიდი და ლამაზი პოეზიისაკენ. ჩვენი კოსმონავტების გმირობა მისთვის მარტო ისტორიული მოვლენა კი არაა, არამედ თავისთავად პოეზიის ტოლფასოვანი ფაქტია. უძველესი ხალხური ლექსის მოშველიებით იგი მკითხველში იწვევს ასოციაციებს, რომელსაც შეუძლია ჩვენს ცნობიერებაში გააცოცხლოს ჩვენი დროის, ჩვენი საუკუნის, ჩვენი ქვეყნის წინსვლის, პროგრესის სურათი:

მზე — დედაა ჩვენი,
მთვარე — მამა ჩვენი,
და წვრილ-წვრილი
ვარსკვლავები
და და ძმაა
ჩვენი.

ნოდარ გურეშიძე კარგად ფლობს ტექნიკურ საშუალებებს, მისი რითმა უმეტეს შემთხვევაში ახალია, რიტმი მელოდიური. პოეტს არ ღალატობს მუსიკალური სმენა და რიტმის მონაცვლეობით ხშირად ქმნის სასიამოვნო მელოდიას. ასე, მაგალითად, პოეტური გამეორების საშუალებით ნ. გურეშიძე ლექსში „იმერული მგზავრული" ახერხებს კარგად გადმოსცეს განწყობა და მგზავრობის რიტმი:

შუკა-შუკა,
შარა-შარა,
ჩქარა,
ჩქარა,
ჩქარა,
ჩქარა,
მხედება გზები და სოფლები,
მოყვრები და მეზობლები.

როცა ვამბობთ, რომ ნოდარ გურეშიძის პოეზიისათვის უმთავრესად დამახასიათებელია ცხოვრებისადმი დამოკიდებულებაში მოქალაქეობრივი პათოსით აღსავსე ადამიანის პოზიცია, ვგულისხმობთ მის ლექსებს, რომლებშიც უფრო სრულყოფილადაა გამოკვეთილი პოეტის სახე. ასეთი ლექსებია, ჩვენი აზრით: „ცვარგადაყრილ გზას მივყვები", „იმერული მგზავრული", „ერთი გოგონა მიყვარდა", „გიორგი, ჩემო გიორგი ბიძია" და სხვ.; განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ცვარგადაყრილ გზას მივყვები". იგი მიძღვნილია მამულისადმი. მიუხედავად იმისა, რომ აქ არსად არაა ნახსენები სიტყვა „სამშობლო", იგი მაინც თვალნათლივ იგრძნობა იმ პოეტურ პასაჟებში, რომელიც ნ. გურეშიძემ ამ ლექსში შექმნა. პოეტი ამჟღავნებს უშუალობასა და გულწრფელობას, რაც კარგად სჩანს ბუნებისადმი მის დამოკიდებულებაში:

ჩინარები ჩურჩულებენ:
— ამოსულა კვლავაც მზეო:
იაია მსაყვედურობს:
— დავასწარი სალამზეო:
ტირიფები შრიალებენ:
— მზე აქედან შორიაო:
როგორ მინდა, მზეო, შენთან
მთლად სამყარო მოვიარო!

რა თქმა უნდა, პოეტის წიგნი დაზღვეული როდია შეცდომებისაგან. კრებულში ავტორი ზოგჯერ იმეორებს სახეებს, აქვს სუსტი სტრიქონები, ხშირად მსჯელობა, პათეტიკა ჩქმალავს პოეტურ ხატოვანებას, მაგრამ ის მთავარი, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ — მოქალაქეობრივი პათოსი და ჯანსაღი, ოპტიმისტური მსოფლმხედველობა — გვაფიქრებინებს, რომ პოეტი ალმავლობას განიცდის. „მიწა და ვარსკვლავები" ჩვენ ნოდარ გურეშიძის პოეტურ ბიოგრაფიაში წინ გადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია.

გურამ ბათიაშვილი

## პოეტის ახალი წიგნი

ეროვნული

### ნიკო ღეონიძე

# მცირე ეკრანის თავისებურებანი

„თუ თქვენ შინაარსი გაქვთ, ფორმა კი არა, დაიწყეთ შინაარსიდან" — ასე მიმართა სამი ათეული წლის წინ ა. ლუნაჩარსკიმ დამწყებ ლიტერატორებს, ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ტელეხედვისათვის. ტელეხედვა იმდენად ნორჩია, რომ კვლავ გრძელდება დავა: რა არის იგი, ხელოვნების ახალი დარგი თუ ინფორმაციის გავრცელების ახალი მეთოდი? რადიოს განვითარების ნაყოფი თუ უკან დაბრუნება კინოს უმდაბლესი ფორმებისაკენ?

არავის არ უნდა უკვირდეს ტელეხედვაზე აზრთა სხვადასხვაობა, თეატრის ისტორია ათასეულ წელს ითვლის, ბეჭდვითი სიტყვა რამდენიმე საუკუნეა არსებობს, კინო და რადიო — რამდენიმე ათეული წელი, მაშინ, როცა ტელეხედვის არსებობა ათი თუ თხუთმეტი წლით განისაზღვრება.

ტელეხედვამ ჩამოყალიბების პროცესში ბევრი რამ „ისესხა" თეატრისაგან, კინოსაგან, რადიოსაგან და მოგვევლინა ახალი ხელოვნების, პროპაგანდის ახალი იარაღის სახით.

არ ყოფილა და არ არის სხვა ისეთი ტექნიკურად სრული, შესაძლებლობით მდიდარი, ისეთი რეალისტური ფორმის ხელოვნება, როგორიც ტელეხედვაა.

არ ყოფილა და არ არის სხვა ისეთი დამაჯერებელი, ესთეტიკური აღზრდისა და ინფორმაციის გავრცელების ისეთი მასობრივი და ქმედითი საშუალება, როგორიც ტელეხედვაა.

ის ამოცანები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა დაუსახა ტელეხედვას, წარმატებით გადაიჭრება მხოლოდ მაშინ, როცა სატელევიზიო სტუდიის ყველა მუშაკი დაეუფლება ოსტატობას, ისწავლის ტელეხედვის შესაძლებლობების გამოყენებას და კარგად გაითვალისწინებს მის სპეციფიკურ თავისებურებებს. ტელეხედვის განვითარებას დიდი პერსპექტივები გადაუშალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „ტელეხედვის შემდგომი განვითარების შესახებ".

ტელეხედვა წარმოადგენს თავისებურ ფანჯარას სამყაროში. ტელესტუდიის მუშაკებზე, მათ ნიჭზე, ცოდნასა და ოსტატობაზეა დამოკიდებული ამ ფანჯრის ჩარჩოების გაფართოება.

ყველა ჟანრის, ყველა ფორმის სატელევიზიო გადაცემა საინტერესო, დამაჯერებელი და მართალია, როცა ამ გადაცემაში დიდი ადგილი უკავია ადამიანს, მის ცხოვრებას, შრომას, შემოქმედებითს მოღვაწეობას. გადაცემის დროს ხედვითი კონტაქტი აუდიტორიასთან ტელეხედვას საშუალებას აძლევს იყოს ძალზე ინტიმური, ძალზე ახლობელი...

ტელეხედვა, შესაძლოა, უფრო მეტად, ვიდრე ინფორმაციის რომელიმე საშუალება ან ხელოვნების რომელიც გნებავთ დარგი, ადამიანს შესაძლებლობას აძლევს საზოგადოების, ხალხის სულიერი ცხოვრებით იცხოვროს, ღრმად შეიცნოს სამყარო, ურთიერთობა დაამყაროს სხვა

ადამიანებთან, ჩაწვდეს მათს აზრებს, საქმეებს, მისწრაფებებს. ჩვენ ახლოს ვეცნობით (შინ თუ „სტუმრად"): კომუნიზმის შუქურებს, სოციალისტური შრომის გმირებს, ცნობილ მსახიობებს, გამოჩენილ მეცნიერებს, ზეინკლებს, მწერლებს, სპორტსმენებს... ეკრანზე ვხედავთ შორეულ ქვეყნებს, შორეულ ადამიანებს; ტელეხედვა ყოველდღიურად გვაცნობს თეატრის, მუსიკისა და კინოს საუკეთესო ნაწარმოებებს და სამყარო ჩვენთვის ხდება უფრო ახლობელი, გასაგები, ნათელი და მდიდარი.

ჯერ კიდევ არის ქვეყნები, სადაც არ უნახავთ ტელევიზორი, ხოლო არის ისეთი სახელმწიფოც, სადაც ამ „ლიტერ" ეკრანს მხოლოდ გამდიდრების, ჯიბის გასქელებისათვის იყენებენ.

ყური მივუგდოთ რეჟისორებს, ამერიკის შეერთებული შტატების სამაუწყებლო კომპანიების ხელმძღვანელებს, ფედერალურ მოხელეებს, — რას ფიქრობენ ისინი ტელეხედვაზე:

„ტელეხედვა ხელოვნების სახე აღარ არის, იგი უნივერსალური მაღაზიაა. არსებობს იმისათვის, რომ გაყიდოს სიგარეტები, ბენზინი, პომადა" (რეჟისორი ჯონ ფრანკენჰეიმერი).

„მოლაპარაკე ავეჯი" და „იდიოტების სანათური" (ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელებული ყოფითი გამოთქმები).

„უმნიშვნელოვანესი ფაქტორი 1961 წლის საარჩევნო კამპანიის დროს" (რობერტ კენედი, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრი).

„სერიოზული ადამიანები აღარ უყურებენ სატელევიზიო გადაცემებს" (ფრედ ფრენდლი, „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის" ერთ-ერთი საქმოსანი).

„ტელეხედვა — მსოფლიო მასშტაბის ბიზნესია" (ოლივერ ტრეიზი, „ამერიკენ ბროდკასტინგ კორპორეიშნის" პრეზიდენტი).

აქედანაც ცხადია, თუ რა გზით მიდის დასავლეთში ტელეხედვის განვითარება.

•

სინამდვილის ასასახავად ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკები სხვადასხვა მასალასა და გამოსახვის სხვადასხვა საშუალებას იყენებენ.

ბიბლიოთეკა

ხელოვნების თვითეული სახე ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი მოვლენების ასახვით, ვითარდება და მტკიცდება ის ურთიერთკავშირიც, რაც ხელოვნების დარგებს შორის არსებობს.

რასაკვირველია, ყოველგვარი კლასიფიკაცია, რაც ხელოვნების დარგებს განსაზღვრულ ჯგუფებში აერთიანებს, ატარებს რამდენადმე შედარებითს, პირობით ხასიათს.

ხელოვნების დარგებს საერთოც ბევრი აქვს და სპეციფიკურიც. რა არის ეს სპეციფიკური და საერთო?

ვინაიდან ჩვენ საკითხის ამ მხარემ, ხელოვნების დარგების საერთო დამაკავშირებელმა მომენტმა დაგვაინტერესა, ამიტომ ამავე კუთხით შევეხოთ ტელეხედვასაც.

ტელეხედვა, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგები: 1) ასახავს სინამდვილეს მხატვრულ სახეებში, 2) ადამიანებს ანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას, 3) აქვს შემეცნებითი ღირებულება, 4) ასახავს სინამდვილეს და ჩვენს დამოკიდებულებას ამ სინამდვილისადმი, 5) თავისებურია მისი მხატვრული ქსოვილი.

ტელეხედვა, რომელიც აღმოცენდა ჩვენს თვალწინ, სწრაფად გადაიქცა იდეოლოგიის ყველაზე მასობრივ იარაღად, საოცრად გაიზარდა მისი შემეცნებითი, პროპაგანდისტული და მხატვრულ-აღმზრდელობითი შესაძლებლობანი.

უნდა ითქვას, რომ ტელეხედვის პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. დღეს აღარავინ დაობს იმაზე, რომ ტელევიზორის ეკრანიდან უნდა გვესმოდეს არა პათეტიური, არამედ ღრმა და ემოციური მეტყველება; რომ მაყურებელთან კავშირი და ურთიერთობა უნდა იყოს კამერული ხასიათისა: რომ სატელევიზიო

გადაცემა მაყურებელში აღძრავს მონაწილეობის „გრძნობას“, ეგრეთ წოდებულ „დასწრების ეფექტს“: რომ ტელეობიექტივის წინ მოძრაობა და მოქმედება უნდა იყოს თავისუფალი, იმპროვიზირებული.

ყველაფერი ეს დღეს უკვე ცნობილი ჭეშმარიტებებია, თუმცა მათი საბოლოო დადგენა და დაზუსტება პრაქტიკული მოსაზრებით კიდევ დაგვჭირდება.

თბილისის ტელეხედვის სტუდიამ სატელევიზიო ჟურნალ „ხელოვნებაში“ ერთ-ერთ სიუჟეტად წარმოგვიდგინა ტურისტული შთაბეჭდილებანი... ტურისტი საუბრობდა... მაგრამ რა იყო მიზეზი, რომ მაყურებლებმა კონტაქტი ვერ დაამყარეს მთხრობელთან? რატომ იყო, რომ ის, რაც ტურისტმა ილაპარაკა (თავისთავად მართლაც მეტად საინტერესო მოგზაურობაზე) ჩვენი ყურადღების გარეთ დარჩა. ტელემაყურებელმა უხერხულობა იგრძნო, დაირღვა „ნდობის მანძილი“, მსხვილი პლანები კი გაუთავებლად გრძელდებოდა. რაშია საქმე? რა არის ეს, სპეციფიკა? დიახ, ჩვენ დავარღვიეთ ტელეხედვის უპირველესი კანონი — უშუალო კონტაქტის კანონი.

ჩვენ გავეცანით ლიტერატურული თვალსაზრისით გამართულ ნაწარმოებს, მაგრამ ვერ გავეცანით ადამიანს.

ხოლო სწორედ ადამიანიდან, მასთან სულიერი კონტაქტიდან იწყება ტელეხედვა.

ყველასათვის ცხადია, როგორი მნიშვნელობა ენიჭება ემოციურ მომენტს. ტელევიზიაში ხან მართლდება იგი, ხან პირიქით, საწინააღმდეგო შედეგს ვიღებთ. ყოველ შემთხვევაში, ეს ფაქტი გასათვალისწინებელია. გავიხსენოთ ერთი ტელედადგმა. დაწყების წინ დიქტორმა გამოაცხადა: „ახლა ნაჩვენები იქნება სატელევიზიო დადგმა „კაკო ყაჩაღი“. დადგმა განხორციელდება ღია ცის ქვეშ თბილისის მახლობელი ტყიდან“. ერთი სიტყვით, მრავლის მაუწყებელი იყო განცხადება. აღსანიშნავია ისიც, რომ დადგმა ღია ცის ქვეშ პირველად განხორციელდა საბჭოთა კავშირში. მართლაც, საინტერესო გადაცემა უნდა გვენახა. აგერ, ზაქრო მიაჭენებს ცხენს. იგი გადაეყრება ურემს, დიახ, ნამდვილ ურემს კამეჩებით (არა კინოფირზე გადაღებულს)... ზაქრო თავის ამბავს მოუთხრობს ხის ქვეშ დაბინადრებულ კაკოს, რომლის ცხენიც იქვეა. ერთი სიტყვით, ყოველივე ეს ილუზია არ იყო, ტელემაყურებელი ცოცხალი სურათების მოწმე გახდა. წამყვანი (მსახიობი გ. სიხარულიძე) ენერგიას არ ზოგავდა ილიას უკვდავი ტექსტის გადმოსაცემად. მსახიობები, როგორც იტყვიან, „თავს იკლავდნენ“, ხოლო მუსიკის ხმები გულში ჩამწვდომად იმეორებდნენ მეურმის ლეიტმოტივს, მაგრამ... სწორედ ეს „მაგრამ“ აღმოჩნდა ტელედადგმისათვის მომაკვდინებელი. ჩვენ ვუყურებდით ეკრანზე კაკოსაც, ზაქროსაც, მეურმესაც, რეგვენ ბატონსაც, მის ყმებსაც, მაგრამ სინამდვილეში არ გამოჩენილა არც ერთი მათგანი მთელი თავისი შინაგანი ბუნებით. ნახევარი საათის განმავლობაში მსახიობები მხოლოდ „ისროდნენ“ სიტყვებს, იმანჭებოდნენ და უხერხულად იქცეოდნენ. რასაკვირველია, ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო ილიას მსოფლმხედველობრივ პოზიციასა და ტენდენციაზე.

არავითარი კონტაქტი, არავითარი რეაქცია. შესაძლოა „ღია ცის ქვეშ დადგმის“ განხორციელების სურვილმა გაიტაცა ტელემუშაკები, მაყურებელს გაუჩინა გადაჭარბებული მოთხოვნილება, დაუკმაყოფილებელი პრეტენზია, რამაც წარმოშვა ისეთი აზრიც კი, რომ „კაკო ყაჩაღის“ დადგმა მცირე მოცულობის სტუდიაში იქნებ უფრო მიზანშეწონილი ყოფილიყო.

კიდევ ერთი მაგალითი: გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი გადაცემა. პირდაპირ ვიტყვით: ეს იყო იდეოლოგიური ლაფსუსი, რომელმაც სამართლიანად აღაშფოთა ჩვენი ტელემაყურებლები. მხედველობაში გვაქვს დიდ პოეტზე, დიდ ადამიანზე უსახო გადაცემის ლიტერატურულ-მხატვრული და იდეურესთეტიკური მხარე.

რეჟისორის მიერ წარმოდგენილი ფაქტურა პირველი კადრებიდანვე ყალბი პოზიციისაკენ უბიძგებდა მაყურებელს.

ხეთა და ფოთოლთა, ქვათა და ნაკადულთა დაუსრულებელი პლანების მონაცვლეობა, რაც არცთუ ისე ორიგინალურია, ქმნიდა პოეტზე დიდი საუბრის დასაწყისის ილუზორულ შთაბეჭდილებას. შესაძლოა მაყურებელი როგორღაც შეეგუებოდა ასეთ პასაჟებს, რომ მომდევნო კადრები არ „შეევსო" მსახიობთა უგემოვნო „თამაშს", გალაკტიონის ლირიკული ლექსების პათეტიკურ კითხვას, „მერის" ჟანრობრივ გამსუბუქებას და თუნდაც ყბადაღებული ს ა ნ თ ლ ი ს თრთოლვას, თეატრშიც რომ აღარაფერს მატებს რეჟისორის გონებამახვილობას.

გადაცემის იაფფასიანი სტილი გახვეული იყო მისტიკურ-დეკადენტური განწყობილების ბურუსში. ქართველი მკითხველი და მაყურებელი არავის მისცემს უფლებას წარმოგვიდგინონ გალაკტიონი მუდამ უსასოობის, სევდით მოცული ფიქრების პოეტად, რომლისთვისაც თითქოს ქვეყანა დღესაც მჭკნარი იმედების სავანეა, ცხოვრება უდაბნოა.

მართალია, გადაცემაში ჩართული იყო გალაკტიონის რევოლუციური აღმაფრენის ლექსებიც. მაგრამ ისინი ვერ ქმნიდნენ იდეურ ხაზს, სიმართლის ხაზს, პროფესიული ანალიზისა და ემოციური, გალაკტიონისეული „ცის სილაჟვარდის" ატმოსფეროს.

მდგომარეობა ვერც პროფ. ა. გაწერელიას გამოსვლამ იხსნა, რომლის სალაპარაკო ტონი ვერ შეეწყო გალაკტიონის პოეზიის ბუნებას. „ნდობის მანძილი" აქაც დაირღვა, ტელემაყურებელი ვერ დარწმუნდა, რომ პროფ. აკ. გაწერელიას მოუხდენია პოეტზე გავლენა (როგორც მისი სიტყვებიდან ჩანდა) და არა პირიქით. ამდენად ტელეხედვის ერთ-ერთი კანონი — უშუალო კონტაქტის კანონი აქაც ჰაერში დარჩა გამოკიდებული.

როგორც კარგ დრამატულ ნაწარმოებში, ისე ტელეგადაცემაშიც ყველაფრის შემოწმება ხდება ხასიათების სიმართლით, მდგომარეობის, სიტუაციების სიმართლით. ჩვენ, ტელემაყურებლებს, გვჯერა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური უშუალობისა.

ვინც ნახა, ალბათ ბევრს მოეწონა გადაცემა, მიძღვნილი მსახიობ სესილია თაყაიშვილისადმი. გადაცემის დასაწყისიდანვე მაყურებელი მოექცა „ნდობის მანძილის" წრეში. შესაძლოა ამაზე გვიპასუხონ, რომ გადაცემის წარმატება განაპირობა თვით მსახიობის პოპულარობამ, მაგრამ საკმარისია გავიხსენოთ პოპულარული მოღვაწეები: ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი, თ. ჭავჭავაძე და სხვ. და იქვე კომენტარი დავურთოთ: მათზე შექმნილი გადაცემები დაბალი ხარისხისა იყო. რატომ? სად უნდა ვეძებოთ მიზეზი? შემოქმედებითმა კოლექტივმა მოაწყო გადაცემა საყვარელ მსახიობზე და ამ გადაცემაში თავიდან ბოლომდე ჩანდა პიროვნება, ადამიანი, სინამდვილესთან მისი ესთეტიკური დამოკიდებულება.

ამრიგად, ის ერთადერთი რამ, რაც ასე ძლიერ აინტერესებს ტელეხედვას, არის ადამიანი, მისი შინაგანად, ფსიქოლოგიურად გახსნილი ხასიათი.

მაყურებლის მთელი ემოციური რეაქცია თავს იყრის ადამიანთან, რომელიც ეკრანიდან გვესაუბრება. რა თვისებებით უნდა იყოს შემკული ამ მაღალ ტრიბუნაზე ასული ადამიანი, რა განსაკუთრებული ტალანტით უნდა იყოს იგი დაჯილდოებული? ასეთი ტალანტი არსებობს. ჰერცენი მას „გულწრფელობის ტალანტს" უწოდებს.

მაგალითების მოტანისას მხედველობაში გვაქვს ტელეხედვის ის გადაცემები, რომლებიც უშუალოდ სტუდიიდან მოეწყო და კინოფირზე არაა გადაღებული. ეს მომენტი უფრო ამოკლებს მაყურებლის „ნდობის მანძილს".

გავრცელებულია აზრი, თითქოს ტელეხედვა ხელოვნება კი არ არის, არამედ საშუალებაა ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოსამზეურებლად, სააგიტაციოდ. მაგრამ ეს მოსაზრება საფუძველშივე მოკლებულია სიმართლეს. ეს რომ ლოგიკური მსჯელობა იყოს, მაშინ თეატრი მხოლოდ საუკეთესო საშუალება, პირობა, ხელსაყრელი ვითარება იქნე-

ბოდა საუკეთესო ლიტერატურულ-დრამატული ნაწარმოების გამოსამზეურებლად და მეტი არაფერი. ტელეხედვა კინოთეატრი კი არ არის, სადაც მხოლოდ ხელოვნების უკვე მზა პროდუქციას აჩვენებენ (ასეთად ტელევიზია კი არა, ტელევიზორი გვესახება), არამედ თეატრია (პირობითი გაგებით), სადაც ახალი ხელოვნების დამოუკიდებელ ნიმუშებს სთავაზობენ მაყურებლებს.

ტელეხედვა სწორედ იმით არის ხელოვნების ორიგინალური დარგი, რომ მას, ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით, ახასიათებს ღრმა სპეციფიკური თავისებურებანი, რითაც იგი განსხვავდება კინოსა და თეატრისაგან.

*

წარმოიდგინეთ, თქვენ მიდიხართ თეატრში. გაიარეთ გარკვეული მანძილი, ბილეთი იყიდეთ და თეატრში წარმოდგენის საყურებლად შეხვედით.

ამ დროს თქვენი ოჯახის წევრებიც მიუსხდნენ ტელევიზორს. ისინიც იმავე შემოქმედებითს აქტს ესწრებიან, რასაც თქვენ თეატრში უყურებთ.

ამ შემთხვევაში სანახაობაზე მაყურებლის „დასწრების ეფექტით" ტელეხედვა ახლოს დგას თეატრთან.

თეატრისა და ტელეხედვის მსგავსება ამით არ ამოიწურება. მათ კიდევ ბევრი რამ აქვთ საერთო ერთმანეთთან.

კინოსაგან განსხვავებით, თეატრსა და ტელეხედვაში ჩვენების დრო და ფიზიკური მოქმედების დრო თანაბარია. რას ნიშნავს ეს?

გავიხსენოთ სატელევიზიო კინოფილმი „დედის ხელი" (რეჟ. მ. ჯალიაშვილი). როცა შვილის დაბრუნებით გახარებული დედა სამზარეულოში ფუსფუსებს, ის მთელი შეგნებით, დედური გრძნობით შვილთანაა. კინოკადრები ამ დროს გადმოსცემენ დედა-შვილის დიდ შინაგან მღელვარებასაც.

ტელეხედვაში, ისევე როგორც თეატრში, შვილის გამასპინძლების ეპიზოდი, შესაძლებელია, მიმდინარეობდეს მხოლოდ და მხოლოდ დროის იმ მონაკვეთში, რაც ნამდვილად დასჭირდებოდა ზემოთ მოტანილი მოქმედების განვითარებას.

დროის მომენტზე ნათქვამი ვრცელდება სივრცეზეც. იმავე ფილმში რეჟისორი არ გვიჩვენებს, როდის დაფარა ზაზამ მანძილი სახლსა და ღობეს შორის.

თეატრში რეალური სივრცის „შემოკლება" ან „გაგრძელება" შეუძლებელია. მაყურებელი უთუოდ დაინახავს, როგორ გაივლიან დედა და შვილი მანძილს სახლსა და ღობეს შორის. ტელეხედვაში ეს მოქმედება შეიძლება არ ვაჩვენოთ, მაგრამ დრო, რაც საჭიროა ამ მოქმედების შესასრულებლად, უთუოდ ანაზღაურდება პაუზით, მსხვილი ხედით, კინოჩანართით და სხვ.

მოქმედების დროის მკაცრი კანონები თეატრსა და ტელეხედვაში გავლენას ახდენს სპექტაკლისა და ტელეგადაცემის დრამატურგიაზე.

ავტორს, რომელსაც სურს ტელეხედვაში მუშაობა, შეხვდება მრავალი „უსიამოვნება".

ერთ-ერთი ასეთი „უსიამოვნებაა" დაუდგენელი წესებით მოღვაწეობა. თეატრში პიესის დადგმის დროს წარმოშობილი სიძნელეები და შეზღუდვები უკვე „აღმოჩენილი", შეგნებული და მიღებულია. თეატრის დრამატურგმა იცის, რომ ადმინისტრაცია მოითხოვს ანტრაქტებს, რომ საჭიროა დრო დეკორაციების გამოსაცვლელად, რომ მსახიობებმა უნდა დაისვენონ, ანდა გამოიცვალონ გრიმი თუ კოსტუმი. ტელეხედვაშიც არსებობს მსგავსი წინააღმდეგობები, რაც ჯერ კიდევ გათვალისწინებული არ არის.

სატელევიზიო დადგმის რეჟისორი შესაძლებლობას აძლევს ავტორს მოქმედება გადაიტანოს ერთი დეკორაციიდან მეორეში (აქ მხედველობაში გვაქვს, რასაკვირველია, თბილისის ახალი ტელეცენტრის მომავალი სტუდია). რეჟისორის სურვილის მიხედვით შესაძლებელია კინოფილმებიდან ნაჭრების ჩასმა. ყოველივე ეს ავტორს აძლევს სიუჟეტის განვითარების თავისუფლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ზემოთ ნათქვამი წარმოადგენს ტელეხედვის დრამატურგიის ზოგად სპეციფიკურ კანონზომიერებას. ჩვენ აქ გვაინტერესებს ის შემბოჭველი ვითარებები, რომლებიც არსებობენ დრამატურგისათვის როგორც ტელეხედვაში, ისე თეატრში. აქ საქმე ის კი არაა, რომ სატელევიზიო კამერები ნაკლებად მოძრავნი და „ოპერატულნი" არიან, ვიდრე კინოკამერები: აქ მიზეზია მოქმედების უწყვეტობა, დინამიურობა. მსახიობს ტელეხედვაში, ისევე როგორც თეატრში, ესაჭიროება პაუზა, რათა, ვთქვათ, აკრობატული ნახტომის შემდეგ სული მოითქვას და ა. შ.

სასცენო მოედნის სივიწროვის გამო სასურველია თეატრალურ ან სატელევიზიო სპექტაკლში მონაწილეობა მივაღებინოთ მსახიობების მცირე რაოდენობას.

საბჭოთა კავშირის ქალაქების დიდ სტუდიებში სატელევიზიო პროგრამებში თეატრალური სპექტაკლების ჩვენებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სტუდიები თვითონ დგამენ თეატრალურ პიესებს. ეს იმით აიხსნება, რომ თეატრის პირობითი „მეოთხე კედელი" სავსებით შესაფერისი აღმოჩნდა ტელეხედვისათვის.

თუმცა ძალიან დიდი შეცდომა იქნება, თუ გავათანაბრებთ თეატრისა და ტელეხედვის დრამატურგიას მხოლოდ არსებითის საფუძველზე — მოქმედების უწყვეტობის თვალსაზრისით.

თანამედროვე თეატრსა და ტელეხედვას შორის დრამატურგიის სფეროში არსებობს განსხვავებანი; ყველაზე არსებითია სამოქმედო ადგილის მოცულობა.

თუ თეატრალური დრამატურგი სხვადასხვა ტექნიკური მიზეზის გამო ცდილობს შეზღუდოს სამოქმედო ადგილი, ტელეხედვა უსაზღვრო საშუალებას იძლევა, რომ მოქმედება ერთი დეკორაციიდან გადავიტანოთ მეორეში.

სატელევიზიო გადაცემების აუდიტორია როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად მკვეთრად განსხვავდება თეატრალურისაგან: თეატრში მოდიან დაახლოებით ერთნაირი გემოვნების, კულტურული დონისა და ასაკის ადამიანები. შექსპირის პიესები თავს უყრის ერთი ტიპის აუდიტორიას, პ. კაკაბაძის ან ნ. ჰიქმეთის პიესები — მეორეს; არიან დეტექტივის მოყვარულები, ვოდევილის მოტრფიალენი, დასავლეთის თანამედროვე დრამატურგიის თაყვანისმცემლები და ა. შ., ტელევიზორის ეკრანთან კი იკრიბებიან უმეტესად ოჯახის წევრები, ოჯახთან დაახლოებული ნათესავები, მეზობლები, ე. ი. სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა პროფესიისა და ინტერესის ადამიანები, რომელთაგან ყველა თავისებურად აღიქვამს მოქმედებას.

ტელეხედვაში მსახიობი „მოჩანს" მაყურებლის „დაუნდობელი ობიექტივის" თვალით, რომელსაც შეუმჩნეველი არ რჩება მცირეოდენი სიყალბეც კი. მსახიობის „თამაში", სიცრუე მიხვრა-მოხვრაში, რაც თეატრში შეუმჩნეველია უახლოესი რიგებიდანაც კი, ამ შემთხვევაში ობიექტივს შეუბრალებლად გამოაქვს მაყურებლის სამსჯავროს წინ. მსახიობი ამ დროს „ვერ გადარჩება" ეფექტური ჟესტებით, ვერც გონებამახვილური მიზანსცენებით, ვერც, რასაკვირველია, დიდებული დეკორაციებით: ეკრანი, მსხვილი ხედი შესაძლებლობას აძლევს ტელემაყურებელს ჩაიხედოს მსახიობის თვალებში, მის ბუნებაში და არ დაინტერესდეს, არ დაინახოს ამ დროს არც ჟესტი, არც მიზანსცენა და არც დეკორაცია.

თეატრში მაყურებლის წინაშე სამგანზომილებიანი სცენაა, დარბაზისაგან მხოლოდ პირობითად გამოყოფილი. ჩვენ მოქმედებას ვუყურებთ მუდამ თვალთახედვის ერთი კუთხით, თანაც ისეთი კუთხით, რომელიც რეალურ ცხოვრებაში არ არსებობს: ცხოვრებაში არ შეიძლება დავინახოთ ერთდროულად ოთახის სამი კედელი, იატაკი და ჭერი, როგორც ამას ვხედავთ თეატრში.

გამოსახულება ეკრანზე, მიუხედავად მისი ორგანზომილებიანობისა, უფრო რეალისტურია, ვიდრე თეატრში შექმნი-

ლი ხასიათები, რადგან ეკრანზე მოცემული რეალური სამყაროს სახეები, რომლებიც ობიექტივში გადატყდებიან, ჩვენს წინაშე წარმოსდგებიან თითქმის ისევე, როგორრადაც მათ ვხედავთ სინამდვილეში.

ერთი მეტად ყურადსაღები მომენტია შესამჩნევი, რაც კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს თეატრისა და ტელეეკრანის დაპირისპირებას. ეს გახლავთ გადაცემები მოძრავი სატელევიზიო სადგურით (მსს). მსს განუსაზღვრელ შესაძლებლობას აძლევს ტელევიზიას ყოველგვარი სანახაობა პოპულარული გახადოს.

მაყურებელს, რომელიც უყურებს ტელევიზორში, მაგალითად, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლ „მედეას", სურს ნახოს იგი იმ სახით, რა სახითაც დადგმულია თეატრში. მაგრამ ერთია უყურო სპექტაკლს თეატრალური დარბაზიდან და სრულიად სხვაა, როცა ხედავთ იმავე სპექტაკლს ტელევიზორის ეკრანზე. აქ მოქმედებას იწყებს აღქმის სულ სხვა კანონები. თუ თეატრალური სპექტაკლი ზუსტად იმავე სახით იქნება ნაჩვენები, როგორც იგი თეატრშია დადგმული, მისი ემოციური შთაბეჭდილება თითქმის განახევრდება.

ამიტომ თეატრალური სპექტაკლის გადაცემის დროს ყურადღება უნდა მიექცეს სპექტაკლის თვით ხასიათსა და სატელევიზიო სპეციფიკით ნაკარნახევ მოთხოვნილებებს. უნდა შეირჩეს ისეთი სპექტაკლი, რომელიც დადგმულია ღია ტონის დეკორაციებში, სცენები არ უნდა იყოს გადატვირთული და ა. შ.; თუ მსგავს წინაპირობებს არ დავიცავთ, ბუნებრივია, გადაცემაც უხარისხო გამოვა. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება „ჰამლეტის" ტრანსლაცია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრიდან.

მიზანშეწონილია თუ არა მონუმენტური თეატრალური სპექტაკლების გადაცემა ტელეხედვით? უთუოდ მიზანშეწონილია, მაგრამ ამ შემთხვევაში თეატრალური სპექტაკლი უნდა გადავცეთ სტუდიიდან, რაც შემოქმედებითი შესაძლებლობის თვალსაზრისით საინტერესო სანახაობა იქნება.

ასეთ შემთხვევაში მოძრავი კამერების შემწეობით შესაძლოა შეიქმნას, მოიძებნოს საინტერესო რაკურსები, რაც შეუძლებელია განხორციელდეს მოძრავი სატელევიზიო სადგურით, რადგან პარტერში განლაგებული კამერები სტატიკურ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ამრიგად, „ჰამლეტის", „ოიდიპოს მეფის", ბალეტ „ოტელოსა" და მსგავსი თეატრალური სპექტაკლების გადაცემა ტელეხედვით შესაძლებელია და აუცილებელიც მაყურებლის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით. ამის განხორციელება თბილისის ტელესტუდიას სივიწროვის გამო უძნელდება, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სტუდიამ ხელი უნდა აიღოს „ჰამლეტის" ტიპის სპექტაკლების ტრანსლაციაზე.

ტელეხედვის მუშაკებმა ერთი რამ უნდა გაითვალისწინონ: მათ უფრო ყურადღებით უნდა შეარჩიონ გადასაცემი სპექტაკლი (თუმცა ამ შემთხვევაში თეატრების დირექციები უფრო სცოდავენ, „ვერ იმეტებენ" ახალ წარმოდგენებს).

არსებობს აზრი, რომ ტელეხედვა „გადაყლაპავს" კინოს, რომ თეთრ, მოზრდილ ეკრანს შეცვლის მოცისფრო, პატარა ეკრანი. ვინც ამას ამტკიცებს, მან არ იცის ხელოვნების ამ ორი დარგის ბუნება. მხატვრული გამოსახვის ფორმებიდან კინო ყველაზე ახლოა ტელეხედვასთან, ის ნიშნები და თვისებები, რაც ტელეხედვას თეატრისაგან განასხვავებს, აახლოებს მას კინოსთან, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ტელეხედვა და კინო ერთმანეთს გავუთანაბროთ.

ისეთი გამოჩენილი ფრანგი კინომოღვაწეც, როგორიც რენე კლერია, ასე მსჯელობს: „თუ თეატრსა და კინოს შორის არსებობს ძალიან დიდი განსხვავება, იგი არ არსებობს, ჩემი აზრით, კინოსა და ტელეხედვას შორის" (რ. კლერი— „ფიქრები კინოხელოვნებაზე", „ხელოვნება", 1958 წ., გვ. 183).

ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ როგორც სატელევიზიო ეკრანზე, ისე კინოეკრანზედაც მოძრავი გამოსახულებების პროექცირებით და ხმის თანხლებით ხდება ჩვენს ირგვლივ არსებული მატერიალური სამყაროს ჩვენება.

კინემატოგრაფმა თავისი განვითარების პირველ სტადიაში შეძლო აქტიურად გამოეყენებინა ხელოვნების სხვა სახეების გამოსახულებითი ხერხები და საშუალებები. მაგრამ კინემატოგრაფმა შემდგომში გამონახა ახალი გამოსახვითი საშუალებები, რაც სპეციფიკური იყო მხოლოდ მისთვის: მაგალითად: რაკურსები, ხედები, კამერის მოძრაობა, განათების ეფექტები, ხმის თავისებურებანი და ა. შ.. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და თავისებურია მონტაჟი.

კინოს ძირითადი გამოსახულებითი საშუალებანი: სიტყვა, მონტაჟი, რაკურსი, ხედი, განათების ეფექტები — არსებითია ტელეხედვისათვისაც.

თუმცა კინოს თითქმის ყველა გამოსახულებითი საშუალება წარმოადგენს აგრეთვე სატელევიზიო საშუალებებსაც, ტელეხედვაში მათი გამოყენების ხერხები და მეთოდები განსხვავდება კინოს ხერხებისა და მეთოდებისაგან. ამის მიზეზია ტელეხედვის, როგორც გამოსახვის საშუალების, სპეციფიკური თავისებურებანი.

რითი განსხვავდება ტელეხედვა კინოსაგან?

როცა კინემატოგრაფიაში ძმები ლუმერები აჩვენებდნენ მსოფლიოში პირველ კინოფილმს—„მატარებლის ჩამოსვლა", დარბაზში მსხდომნი წამოიშალნენ: მოეჩვენათ, რომ ორთქლმავალი მათ გასრესას უქადდა. ასე ძლიერი იყო მაშინ კინოში „დასწრების ეფექტი", ძალიან მალე ეს ეფექტი გაქრა, და გაქრა უკვალოდ.

როცა კინომ დაკარგა მიმზიდველობა, რასაც იძლეოდა „დასწრების ეფექტი" (და ეს მოხდა ძალიან მალე), გამოირკვა, რომ მისი ძალა ეფექტში კი არ ყოფილა, არამედ თვითმყოფ გამოსახულებითს საშუალებებში.

ტელეხედვა, რომელსაც საშუალება აქვს კინოს ენით ისარგებლოს, ფლობს აგრეთვე „დასწრების ეფექტსაც", რაც კარგახანია „ხელიდან გაუშვა" კინემატოგრაფმა. კინოეკრანზე შეიძლება ვნახოთ ის ამბები, მოვლენები, საგნები, ის ხალხი, რომლებიც უკვე იყვნენ კინოკამერის წინ ადრე, წარსულში. ტელეხედვას კი საშუალება აქვს ეკრანზე გვიჩვენოს აწმყოს სურათი, სახე. ჯერ ისევ თვალწინ უდგათ იური გაგარინი და გერმანე ტიტოვი იმ ტელემაყურებლებს, რომლებმაც ისინი ნახეს თვითმფრინავიდან ჩამოსვლის, ნ. ს. ხრუშჩოვთან პატაკის ჩაბარების, მოსკოვის ქუჩებში მსვლელობის დროს. იმ მომენტში ტელემაყურებელი დასწრების ეფექტის იმდენად დიდ გავლენას განიცდიდა, რომ არაფრით განსხვავდებოდა საზეიმო ვითარების უშუალო დამსწრისაგან. კოსმონავტებთან შეხვედრას ერთსა და იმავე დროს თვალს ადევნებდა, „დასწრების ეფექტის" რკალში იყო მოქცეული არა მარტო მოსკოვი და ლენინგრადი, კიევი და ტალინი, არამედ ვარშავა, ლონდონი, ბერლინი, ამსტერდამი, ბუდაპეშტი და ა. შ.. იგივე ვითარება, კინოფირზე აღბეჭდილი, კინოთეატრებში უჩვენეს რამდენიმე დღის შემდეგ და, რასაკვირველია, სრულყოფილი მონტაჟით, ტექნიკისა და კინოს ყველა წვრილმანის გათვალისწინებით. მაგრამ კინოში ამ ფაქტმა როდი მოახდინა (მიუხედავად სრულყოფილი ხასიათისა) ის დიდი შთაბეჭდილება, რაც პირველ დღეს, კოსმონავტებთან შეხვედრის მომენტში ტელევიზიის ეკრანიდან. კინემატოგრაფმა ბევრი რამ დაკარგა დასწრების ამ ეფექტის უქონლობის გამო.

კინოფილმში მოქმედება „შეუზღუდველია", ვითარდება ყოველმხრივ, ფართო მასშტაბით, შესაძლებელია მსახიობის უფსკრულში „გადაჩეხვა" ან მწვერვალზე აყვანა, მაშინ, როცა ტელეხედვაში სიუჟეტის აგების დროს მუდამ მხედველობაში უნდა გვქონდეს „მოედნის სივიწროვე" და არა ისეთი მასშტაბურობა, როგორიც კინოშია.

სატელევიზიო გადაცემის მხატვრული სიუჟეტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გარემოს, რომელშიაც მას უყურებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელჩართული ბრძოლა, უზარმაზარი ხანძარი, ცხრაბა-

---

ლიანი ღელვა და სხვა ეფექტები თუ სენსაციური ამბები, რომლებიც ასე დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ კინოეკრანზე, ჰკარგავენ თავიანთ გამომსახველობას ტელევიზორის ეკრანზე მისი ზომის გამო, ნახვის „შინაურული", კამერული პირობების წყალობით. ამ პირობებში მყოფ მაყურებელს ძალიან უძნელდება დაიჯეროს, რომ ის, რაც ეკრანზე ხდება, სიმართლეა. მოკლედ რომ ვთქვათ, აღქმის პირობები კინოში უახლოვდება თეატრალურს, მაშინ, როცა ტელეხედვის აუდიტორია მკვეთრად განსხვავდება კინოს აუდიტორიისაგან.

კიდევ რითი განსხვავდება ტელეხედვა კინოსაგან? ერთ-ერთი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა მწერალმა ირაკლი ანდრონიკოვმა ამ საკითხზე ჟურნალ „ოგონიოკში" (1962 წ., № 9): „მსახიობს, რომელსაც კინოსურათში იღებენ, ავალებენ, რომ მან არ უყუროს კინოკამერას, უფრო სწორად, კინომაყურებელს არ მიაჩერდეს თვალებში. ხოლო მსახიობი, რომელიც გამოდის სტუდიაში და ტელეკამერის წინ დგას, აუცილებლად უნდა უყურებდეს კამერის ობიექტივს და მისი მეშვეობით დაუკავშირდეს მაყურებელს".

კინოთეატრში მყოფი მაყურებელი მომხდარი ამბის მეთვალყურეა, ტელემაყურებელი კი — მონაწილე. რასაკვირველია, ეს ასეც უნდა იყოს: მას მიმართავენ, მასთან საუბრობენ, სატელევიზიო მოქმედება ხდება მის სახლში.

კინოსაგან ტელეხედვის ამ მნიშვნელოვან განსხვავებაში მდგომარეობს მისი განვითარების პერსპექტივები.

ამ თავისებურებების გამო ტელეხედვა აღჭურვილია ისეთი თვისებებით, რომელიც კინოხელოვნებას არ გააჩნია: ტელეეკრანიდან შესაძლებელია თავისუფალი საუბარი, ლაპარაკი ნახევარ საათს, ორმოც წუთს, ერთ საათს და უფრო მეტ ხანს.

ტელეეკრანის „ინტიმურობის" უნარიანად გამოყენება კიდევ უფრო დიდ პერსპექტივებს გადაუშლის მას კინოსთან შედარებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გავარჩიოთ კიდევ ერთი ურთიერთდამოკიდებულება. ტელეხედვის აღმოცენებას ხშირად უკავშირებენ რადიოს, მის საწყისს. მაგრამ თუ დღეს ტელეხედვა ორგანიზაციულად დაკავშირებულია რადიოსთან, ეს აიხსნება იმით, რომ სატელევიზიო პროგრამები, რადიომაუწყებლობის პროგრამების მსგავსად, ერთსა და იმავე აუდიტორიას ეკუთვნის და აქვთ ერთნაირი მიზნები და ამოცანები.

აუდიტორიის მასობრიობა განსაზღვრავს რადიო- და ტელეგადაცემების, მათი პროგრამების შინაარსის კანონზომიერ მსგავსებას. რადიოც და ტელეხედვაც, პირველყოვლისა, ინფორმაციის, პროპაგანდის, ხალხის ესთეტიკური აღზრდის საშუალებებია. მაგრამ რადიო უძლურია შექმნას ამბის, მოქმედების გამოსახულებითი სახე. მას შეუძლია მხოლოდ სიტყვიერი მასალით „გადასცეს წარმოდგენა" სახეზე, და არა თვით სახე; ტელეხედვა სწორედ აქ ამჟღავნებს თავის ძალას: კამერა გამოსახულების საშუალებით დოკუმენტური სიზუსტით გადასცემს გარემოს.

რადიოში მომხდარი ფაქტის აღწერა წარმოებს. რადიორეპორტიორი ცდილობს სიტყვის დახმარებით მსმენელის წარმოდგენაში შექმნას გამოსახულებითი სახე. რადიორეპორტიორის სიტყვა თვით არის გადაცემის მასალა. როცა ის ჩუმდება, გადაცემა ფაქტიურად წყდება. პაუზა ღუპავს რადიორეპორტაჟს. პირიქით არის საქმე ტელეხედვაში. სატელევიზიო რეპორტაჟში პაუზა აუცილებელი ფაქტორია. როცა ეკრანზე მომხდარი მოქმედება მაყურებლისათვის გასაგებია, რეპორტიორის საუკეთესო გამოსავალია გაჩუმება. ასეთ მომენტში რეპორტიორის ლაპარაკს მოთმინებიდან გამოჰყავს მაყურებელი.

კარგ სატელევიზიო გადაცემაში წამყვან როლს არასოდეს არ ასრულებს რეპორტიორი. მისი ხმა კადრსგარეთ — გადაცემის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია. რეპორტიორი ტელეხედვაში მაყუ-

რებელს უნდა ეხმარებოდეს ფაქტებსა და მოვლენებზე სწორ რეაგირებაში.

ტელეხედვა მუსიკალური ნაწარმოებების გადაცემის დროსაც კი განსხვავდება რადიოსაგან. ერთი შეხედვით ვოკალური კვარტეტის გამოსვლის დროს გამოსახულება თითქმის როლს არ თამაშობს. რადიოთი მოსმენის დროს მუსიკალური ნაწარმოები აღიქმება, როგორც თავისებურად მთელი, ერთიანი. ტელეეკრანზე გამოჩენილი კვარტეტის მონაწილენი, მათი ქცევის მანერა, შესრულება, გარეგნობა რაღაცას მეტყველებს, როგორღაც ეხმარება მაყურებელს მუსიკალური ნაწარმოების სწორად აღქმაში.

უნდა იყო ძალზე „კვალიფიცირებული" მაყურებელი, რომ შესძლო „გამოეთიშო" შემსრულებლის გარეგან განცდებს, მის სამყაროს და ისმინო მარტო მისი ხმა.

რაოდენ დიდი სიამოვნება მიანიჭა მაყურებელს ამერიკელი პიანისტის ვენ კლაიბერნის დაკვრის მანერამ და მიმზიდველმა გარეგნობამ მისი კონცერტის სატელევიზიო ტრანსლაციის დროს (ეს უკანასკნელი კონცერტის ტრანსლაციის დროს კინესკოპის საშუალებით აღიბეჭდა კინოფირზე და ხშირად გადასცემენ ტელევიზიით).

აქ ასე ვრცლად არ შევჩერდებოდით ტელეხედვასა და რადიოს შორის არსებულ განსხვავებაზე, რომ სტუდიებში არ მოიპოვებოდნენ მუშაკები, რომლებიც გულწრფელად და სერიოზულად არიან დარწმუნებულნი ტელეხედვასა და რადიოს შორის განსხვავების არარსებობაში.

მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებსაც ხშირად ხვდება ტელეხედვაში პირველად მოსული ყოველი მწერალი ან ავტორი — ეს არის ტელეხედვის ბუნების სწორად გაგების პრობლემა, დროისა და ადგილის პრობლემა, რაც აღმოცენდა სცენარის წერის მომენტში, და სცენარის დამუშავების პრობლემა.

როგორც თეატრი, ასევე ტელეხედვაც წარმოადგენს გამოთქმის „ცოცხალ" საშუალებას. როგორც კინო, ასევე ტელეხედვაც სარგებლობს გადამღები აპარატურით: მოქმედება „მიმდინარეობს" ობიექტივის შემწეობით და პროექტირდება ეკრანზე. იგი იყენებს ხმას, გამოსახულებას, კინოს კლასიკურ ხერხებს: წაფენას, ორმაგ ექსპოზიციას და ა. შ.; როგორც რადიო, ტელეხედვა განკუთვნილია მასობრივი აუდიტორიისათვის. იგი შეიძლება გადაიცეს სტუდიიდან, სტუდიის გარეშე და კომბინირებულად.

ამ პატარა ანალიზიდან ჩანს, რომ, თუმცა ტელეხედვას მხატვრული გამოთქმის არსებულ საშუალებებთან აქვს საერთო დამახასიათებელი ნიშნები, მისი გათანაბრება ამ საშუალებებთან ყოვლად შეუძლებელია. ტელეხედვა ახალი ხელოვნებაა.

ტელეხედვა რომ მხატვრული გამოთქმის „ცოცხალი" საშუალებაა, სწორედ ეს წარმოადგენს დროისა და ადგილის პრობლემის დაძლევის ძირითად მიზეზს. ეს პრობლემა მუდამ თან სდევს (სხვადასხვა ფორმით) ყველა სცენარს. ვისაც სურს დაეუფლოს ტელეხედვისათვის წერის ხელოვნებას, უნდა დაძლიოს, აითვისოს ამ პრობლემის სწორი გადაწყვეტის ტექნიკა. მაგალითად: ერთ-ერთ სცენაში მოქმედი პირი, ვინმე გურამი ზის კაფეში, ლამაზ კოსტუმში გამოწყობილი; შემდეგ სცენაში იგი ნაჩვენებია ოჯახში, შინაურ ტანსაცმელში; მეორე დღეს პალტოთი და ა. შ., კინოში ამ სცენებს გადაიღებენ სხვადასხვა დროს და შემდეგ დაამონტაჟებენ. ტელეხედვაში მდგომარეობა სხვაგვარია, რადგან ერთი უშუალოდ მეორეს მოსდევს. გურამმა უნდა გამოიცვალოს კოსტუმი და შემდეგ პალტო. ამიტომ სცენარი ისე უნდა აიგოს, რომ ამის საშუალება მიეცეს. და თუ კოსტუმის საკითხს „მოვუვლით", გურამს მაინც უნდა დარჩეს იმდენი დრო, რომ ერთი დეკორაციიდან მეორეში „გადავიდეს".

დროის პრობლემასთან მჭიდრო კავშირშია ადგილის პრობლემა. სცენარით გათვალისწინებული ყოველი დეკორაცია უნდა მომზადდეს და დაიდგას სტუდია-

ში. შესაძლოა ზოგი დეკორაცია შეიცვალოს კომბინირებული საშუალებებით (განათება, ფოტო და სხვ.). დეკორაციების რაოდენობა მუდამ შეზღუდულია სტუდიის არსებული მოედნის მოცულობის გამო. ოცი ან ოცდაათი დეკორაციის გამართვა მწერლის მხოლოდ უნაყოფო თხოვნა იქნება, რადგან მას, შესაძლოა, დაუდგან მხოლოდ ათამდე დეკორაცია.

მწერალმა უნდა გაითვალისწინოს არა მარტო დეკორაციების განლაგება, არამედ მსახიობების მოძრაობა დეკორაციიდან დეკორაციამდე. მსახიობებს გარდა სტუდიაში იმყოფებიან ოპერატორები თავიანთი კამერებით, მიკროფონები, განათების აპარატურა და ტექნიკური მუშაკების მთელი არმია. თუ მათ არ „მისდიეს" მსახიობებს, დადგმა, როგორც სატელევიზიო წარმოდგენა, არსებობას შეწყვეტს.

როგორ დავიყვანოთ დროისა და ადგილის სიძნელეები მინიმუმამდე? მნიშვნელოვანი გზა ამის მისაღწევად არის სცენარის გეგმის დეტალური დამუშავება დიალოგების დაწერამდე; გეგმა უნდა ითვალისწინებდეს თვითეული სცენისა და მოქმედი პირის, აგრეთვე თვითეული დეკორაციის აღწერას. თუ ამას ყურადღებით მოვეკიდებით, აღმოვაჩენთ უამრავ უხერხულობას, რომლებიც შესაძლებელია დროულად აღმოვფხვრათ.

მესამე დიდი პრობლემა, რომელიც ხელ-ფეხს უკრავს მწერალს ტელეხედვაში, ესაა სცენარის ტექნიკური დამუშავების პრობლემა. რასაკვირველია, სცენარი უნდა იყოს დინამიკური, მაგრამ ამავე დროს მასში უნდა იყოს მრავალი ტექნიკური მონაცემი რეჟისორისათვის, მსახიობისათვის, მხატვრისათვის, გამნათებლისათვის, რეჟისორის ასისტენტისათვის და სტუდიის სხვა მუშაკებისათვის, მაგალითად: ყოველი სცენარის დასაწყისში, დაახლოებით, უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

1. სცენის ნომერი,
2. სტუდია თუ ფირი,
3. ნატურა, ინტერიერი,
4. დღის დროის მონაკვეთი,
5. დეკორაცია და ა. შ.

ყოველი სცენის ბოლოში უნდა იყოს მითითება, თუ როგორ დაუკავშირდება იგი შემდეგ სცენას.

ამ პრინციპზე დაყრდნობით მოხდა სატელევიზიო ოპერა „გამზრდელის" (კომპ. ნ. გიგაური, რეჟ. ს. ევლახიშვილი, მხატვ. ირ. ხუროშვილი, რეჟ. ასისტენტი ტ. კურცხალია) სცენარის დამუშავება და განხორციელება, რაც, ჩვენი აზრით, სამაგალითოა.

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ტელეხედვისათვის წერა იოლი საქმეა. მაგრამ ფაქტია, რომ ისეთი მწერლებიც კი, რომლებსაც თეატრში, კინოში, რადიოში მუშაობის გამოცდილება აქვთ, ტელეხედვისათვის ვერ წერენ, უფრო სწორად, არ არიან წერის ახალ ტექნიკას დაუფლებულნი.

ტელეხედვის სწრაფი განვითარება და ხალხის სამსახურში მისი ჩაყენება გამოწვეულია ხელოვნების ამ ახალი დარგის უდიდესი პოპულარობით. ხალხმა შეიყვარა იგი, აფასებს მას და გული შესტკივა მის ნაკლოვანებებზე. როცა ეს ნაკლოვანებანი ძირფესვიანად აღმოიფხვრება, ტელეხედვა გადაიქცევა ყველაზე მასობრივ ხელოვნებად ყველა ხელოვნებას შორის.

დავით ფანჩულიძე

# კიტა აბაშიძე და ფერდინანდ ბრუნეტიერი

კიტა აბაშიძე ეკუთვნის ქართველ განმანათლებელთა იმ თაობას, რომელმაც დიდი ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართული ლიტერატურა და კულტურა.

კიტა აბაშიძე სისტემატურად ადევნებდა თვალყურს დასავლეთ ევროპის, კერძოდ ფრანგული ლიტერატურისა და ფილოსოფიის განვითარებას, დიდ რუსულ ლიტერატურასა და რუსულ ფილოსოფიურ კრიტიკას. იგი დაბეჯითებით მოითხოვდა ფრანგული ლიტერატურის შესწავლას, ფრანგული ლიტერატურითა და ფილოსოფიით ქართველი ხალხის დაინტერესებას. იგი დიდ დროს ანდომებდა ფრანგული ლიტერატურისა და ფილოსოფიის პოპულარიზაციას საქართველოში.

თავის საყურადღებო წერილში „ახალი მიმართულება საფრანგეთის ლიტერატურაში" კიტა აბაშიძე წერდა: „ჩვენ სასარგებლოდ დავინახეთ, რამდენადაც შეიძლება, გავაცნოთ ჩვენს მკითხველს საზოგადოებას ევროპული ლიტერატურა და ფილოსოფია და ხელი მივყავით საფრანგეთის ეხლანდელს ლიტერატურას. საფრანგეთის ლიტერატურა ჩვენ გვგონია, უფრო ყურადღების ღირსია, რადგან ამ უკანასკნელ ხანს მასში უფრო ნათლად იხატება ის ახალი მიმართულება, რომელიც მთელს ქვეყანაში ნელნელა იზრდება. ეს ახალი მიმართულება კი გამოიხატება მასში, რომ ლიტერატურა თავის უწინდელს გულ-გრილობას სტოვებს და ცდილობს გაატაროს მაღალ-ზნეობრივი აზრები".

ეს ახალი მიმართულება, კიტა აბაშიძის თქმით, უარყოფს გადაჭარბებულ ნატურალიზმს, პესიმიზმს, მიზანთროპიას. ესაა რეალისტური მიმართულება, რომლის მეცნიერული მეთოდი არის ცხოვრებასთან ახლოს მისვლა, საზოგადოებრივი ყოფიერების მხატვრული სიმართლით ასახვა, მაღალი იდეალების გამოხატვა.

კიტა აბაშიძის აზრით, ფრანგული ლიტერატურა და ფილოსოფია შესანიშნავი იყო იმით, რომ ფრანგი ავტორები მკაფიოდ და გასაგებად გამოთქვამდნენ რთულ იდეებს, ისინი აზრის ნათლად გამოხატვის ჩინებული ოსტატები იყვნენ. „ამ თვისებას ფრანგული ლიტერატურისას — წერს კიტა — ჩვენისთანა ცოცხალი ბუნებიანი ერისათვის სწორედ დიდი მნიშვნელობა აქვს". კიტა ურჩევდა ქართველ მკითხველს კეთილად ესარგებლა ფრანგული ლიტერატურით.

*

კიტა აბაშიძე გულდასმით სწავლობდა ფრანგული ლიტერატურის ისტორიკოსის, აკადემიკოს ფერდინანდ ბრუნეტიერის შრომებს, მის ევოლუციურ მოძღვრებას. იგი ხშირად იხსენიებდა, იმოწ-

მებდა ბრუნეტიერს, თვლიდა მას დიდ ავტორიტეტად, იზიარებდა მის ეგრეთ წოდებულ „სრულიად ახალ მეთოდს", რომლის მიხედვითაც მან გადაწყვიტა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის განხილვა.

კიტა აბაშიძემ დეტალურად გაარჩია ფერდინანდ ბრუნეტიერის შემდეგი შრომები: „ევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში მე-19 საუკუნეში", „ჟანრების ევოლუცია ლიტერატურის ისტორიაში", „მეცნიერება და რელიგია", „ევოლუციური მოძღვრების მორალი". გარდა ამ შრომებისა, კიტა აბაშიძე იცნობდა ბრუნეტიერის შრომებს: ფრანგული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოს — „კრიტიკული ეტიუდები ფრანგული ლიტერატურის ისტორიაზე", „ისტორია და ლიტერატურა", „ნატურალისტური რომანი", „კრიტიკის საკითხები", „ცდები თანამედროვე ლიტერატურაზე", „აღზრდა და განათლება", „ფრანგული თეატრის ეპოქები".

პირველი ვრცელი წერილები ფერდინანდ ბრუნეტიერის შრომებზე, რომლებიც კიტა აბაშიძემ დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში", იყო „მოძღვრება ევოლუციისა კრიტიკაში" და „მეცნიერება და სარწმუნოება". განვიხილოთ ეს წერილები.

კიტა აბაშიძე ქართველ მკითხველს აცნობს ფერდინანდ ბრუნეტიერს, რომელმაც, მისი აზრით, ფრანგული კრიტიკის ისტორიაში იპოლიტე ტენის ადგილი დაიკავა. „ის, — წერს კიტა აბაშიძე, — როგორც ნიჭით, ისე გასაოცარი ცოდნისა და არა ჩვეულებრივის მეხსიერებით მაღლა სდგას ყველა დღევანდელის საფრანგეთის კრიტიკოსებზე".

ბრუნეტიერის წიგნიდან „ჟანრების ევოლუცია ლიტერატურის ისტორიაში" კიტა აბაშიძეს მოაქვს შემდეგი სიტყვები: „მე მინდა, რადგან ევოლუციის თეორია ეხლა ჰმეფობს და რადგან ამ თეორიამ დიდი სამსახური გაუწია არა მარტო ბუნებისმეტყველებას, არამედ ისტორიასა და ფილოსოფიას, ეს თეორია მოვახმარო ლიტერატურის ისტორიას და კრიტიკას და გამოვცადო, იმათთვისაც ისეთივე ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება თუ არა". კიტა იხილავს აგრეთვე ბრუნეტიერის მეორე წიგნს: „ევოლუცია სალირიკო პოეზიის მე-19 საუკუნის საფრანგეთში". „თუ-კი ტენმა — წერს ბრუნეტიერი — მოახმარა ლიტერატურის ისტორიას ჟოფრუა სენტ-ილერისა და კიუვიეს თეორიები, ჩვენ ჩვენის მხრით გვინდა ვსცადოთ შეიძლება თუ არა ამ თეორიების ნაცვლად, ანუ უკეთა ვსთქვათ, მათ შესავსებად და შესასწორებლად კაცმა იხმაროს დარვინისა და ჰეგელის თეორია".

როგორც აღვნიშნეთ, კიტა აბაშიძე არჩევს ბრუნეტიერის ზემოთ დასახელებულ ორ შრომას და გადმოგვცემს ფრანგი მეცნიერის აზრს იმაზე, რომ როგორც ბუნებაში არსებობს ბუნების ქმნილებანი, სახეობანი, ჯიშები, გვარები, ასევე ლიტერატურაში არსებობს ლიტერატურული ჟანრები. ბუნების ქმნილებანი იბადებიან, იზრდებიან, ბოლოს კი გარდაიცვლებიან, ე. ი. გარდაიქმნებიან სხვა ქმნილებებად; ასევე ლიტერატურული ჟანრები წარმოიშობა, გაიზრდება, დასასრულს სხვა ჟანრად გადაიქცევა. ლიტერატურული ჟანრების წარმოშობასა და განვითარებას ხელს უწყობდა ან ხელს უშლიდა რაიმე ობიექტური პირობა, ასე რომ როგორც ბუნებაში, ასევე ლიტერატურაში რჩებოდა, ცოცხლობდა და წინ მიდიოდა ის, რომელიც უფრო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი იყო. ეს ხდებოდა ე. წ. ბუნებრივი შერჩევის გზით. არსებობისათვის ბრძოლაში ერთი ჟანრი გზას უთმობდა მეორეს, ისე, რომ თვითონ სრულიად კი არ ისპობოდა, არამედ გადაიზრდებოდა მეორეში, გარდაიქმნებოდა მეორედ".

კიტა აბაშიძეს ბუნებრივად დაებადა კითხვები: ლიტერატურული ჟანრების, ფორმების გარდაქმნა, მათი ერთიმეორეში გადასვლა შემთხვევითი პროცესია თუ კანონზომიერი მოვლენა? თუ არსებობს რაიმე ესთეტიკური კავშირი ამ ორ, ერთიმეორის მომდევნო ლიტერატურულ ჟანრს შორის? თუ ეტყობა რაიმე გაუმჯობესება ახალ ჟანრს, რომელმაც წინა შეცვალა, და რაში მდგო-

მარეობს იგი? როგორია მისი ღირსება-ნაკლოვანებანი? რა აქვს მას ნასესხები ძველისაგან, პროგრესულია თუ არა ხელოვნების ახალი ფორმა? რა მეცნიერული კავშირია ამ სხვადასხვა გვარს შორის? მათი ცვალებადობა ექვემდებარება თუ არა რაიმე კანონებს და შეგვიძლია თუ არა ამ კანონების დადგენა?

თუ ჩვენ ამ კითხვებს ღრმად ჩავუკვირდებით, ნათლად დავინახავთ კიტა აბაშიძის კრიტიკულ დამოკიდებულებას ფერდინანდ ბრუნეტიერის თეორიისადმი, დავრწმუნდებით, რომ იგი ყოველთვის და ყველაფერში არ ეთანხმება ფრანგ მეცნიერს და არ იზიარებს მის შეხედულებებს. კიტა აბაშიძე წერს: „როგორც ხედავთ, ძლიერ ორიგინალურისა, საინტერესოსა და ნაყოფიერის შრომისათვის მოუკიდნია ხელი ბ-ნ ბრუნეტიერს", აბაშიძე გამოთქვამს რწმენას, რომ „ფრანგი მეცნიერი ლიტერატურის ისტორიას არ დაანგრევს და არ დაამსხვრევს, არ შეაწებებს ერთმანეთს უვარგისის წებოთი, რომ მაინცა და მაინც თავისი თეორია გაიყვანოს... გარეგან ევოლუციის თეორიას არ შეიტანს იქ, სადაც მას სრულიად არ აქვს ადგილი".

კრიტიკის ისტორიას ბრუნეტიერი ჰყოფს სამ პერიოდად: 1. ანტიკური; 2. კლასიკური; 3. თანამედროვე. პირველი პერიოდი იწყება განახლების ეპოქიდან. ამ პერიოდში კრიტიკოსები ცდილობენ გაარკვიონ და შეისწავლონ ის მეთოდი, რომლითაც კლასიკური მწერლობის წარმომადგენლები ჰქმნიდნენ. მეორე პერიოდში კრიტიკოსები ცდილობენ დაადგინონ ის ლიტერატურული კანონები, რომლებიც ძველი მწერლობის შესწავლის საფუძველზე შემუშავდება, შემდეგ კი ყოველი მწერლისათვის სავალდებულო იქნება. მესამე პერიოდში კრიტიკოსები სწავლობენ უცხო და თავისი ქვეყნის ძველ ლიტერატურას, რის შედეგადაც ისინი უკვე ეჭვის თვალით უყურებენ კლასიკური ლიტერატურის საფუძველზე შექმნილ კანონებს, რადგან ამ შესწავლის პროცესში მათ აღმოაჩინეს ბევრი შესანიშნავი რამ, რომლებიც არ მოეპოვებოდა არც ძველ მწერლობას და არც ფრანგულ კლასიცისტურ ლიტერატურას. თანამედროვე კრიტიკოსებმა უკვე არ იკმარეს და შეუდგნენ იმის გამორკვევას, თუ რა კავშირია ლიტერატურულ ნაწარმოებსა და მასში ასახულ დროსა, პოლიტიკურ წყობილებასა და საზოგადოებრივ სტრუქტურას შორის.

ასე წარმოიშვა მეცნიერული კრიტიკის ხანა და ამ დროს გამოჩნდა სამოღვაწეო ასპარეზზე ფრანგი პოეტი და კრიტიკოსი სენტ-ბევი (1804—1869).

სენტ-ბევი არ დაკმაყოფილდა იმის დადგენით, თუ რა კავშირია დროსა და ლიტერატურას შორის. მან დაიწყო იმის გამოკვლევა, თუ რა კავშირშია ლიტერატურული ნაწარმოები მისი ავტორის ფიზიკურ აგებულებასთან, შთამომავლობასა და აღზრდასთან. სენტ-ბევი გახდა ბიოგრაფიული კრიტიკის მამამთავარი.

სენტ-ბევი წერდა: „მე ყოველთვის მიყვარდა წაკითხვა გამოჩენილ კაცთა მიწერ-მოწერისა, საუბრისა, ფიქრისა და შენიშვნისა. მსურდა გამეგო ხოლმე ყოველივე, რაც-კი შეეხებოდა ამათს ხასიათს, ზნეჩვეულებას. ერთი სიტყვით, ვცდილობდი შემეტყო იმათი ვრცელი ბიოგრაფია. დავიკეტებოდი ხოლმე ერთ-ორს კვირას ოთახში და შემოვიწყობდი გარშემო რომელისამე შესანიშნავის პოეტისა და ან ფილოსოფოსის ნაწერებს. შევისწავლიდი, დავეკითხებოდი ამ ნაწერებს, როგორც ცოცხალს, და თვალწინ წარმოვიდგენდი ხოლმე დიდებულს ცხოველ სურათებს". ამ გზით სწავლობდა სენტ-ბევი გამოჩენილ ადამიანებს, ე. ი. სწავლობდა მათ ანატომიურად, ფიზიოლოგიურად და სოციოლოგიურად.

სენტ-ბევი მიუახლოვდა ბუნებისმეტყველებას, მაგრამ ვერ მივიდა მასთან. შემდეგი ნაბიჯი გადადგა გამოჩენილმა ფრანგმა სოციოლოგმა და კრიტიკოსმა იპოლიტე ტენმა, რომელმაც კრიტიკა მთლიანად ბუნებისმეტყველებას დაამსგავსა.

იპოლიტე ტენმა (1828—1893) გააგრძელა სენტ-ბევის გზა. „ის უფრო თამამი, გაბედული და უფრო ლოგიკური მიმდევარი აღმოჩნდა სენტ-ბევის მიერ დათესილი ნატურალისტური კრიტიკისა". იპოლიტე ტენი კრიტიკის შესახებ წერს: „ნატურალისტებმა შენიშნეს, რომ ცხოველის სხეულის სხვადასხვა ნაწილი არის დამოკიდებული ერთი მეორეზედ, ასე რომ, მაგალითად, კბილები, კუჭი, ფეხი და სხვა და სხვა ინსტინქტი, ალღო ერთსა და იმავე დროს იცვლებიან. თუ ერთი მათგანი გამოიცვალა, უთუოდ დანარჩენებიც გამოიცვლებიან, რადგან მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან. აგრეთვე ისტორიკოსსაც შეუძლია შენიშნოს, რომ სხვა და სხვა ნიჭი და მისწრაფება ინდივიდისა, მთელის რასისა და მთელის ეპოქისა ერთი მეორეზედ დაკავშირებულია. ასე რომ რომელიმე ამ ნიჭთაგანის ცვლილება გინდ ინდივიდში, გინდ მჭიდროდ შეერთებულს ჯგუფში და გინდ რომელსამე ეპოქაში იწვევს ცვლილებას მთელის სისტემისას. ნატურალისტებმა დაგვანახვეს, რომ თუ სხეულის რომელსამე ნაწილმა გადააჭარბა განვითარების სხვა ნაწილებს, მაშინ ეს უკანასკნელნი ან ჩლუნგდებიან და ან მთლად ისპობიან სხეულში. ამ გვარადვე ისტორიკოსსაც შეუძლიან დაამტკიცოს, რომ რომელიისამე ნიჭის ნამეტნავი განვითარება, როგორც მაგალითად, ზნეობრივის ნიჭისა, აჩლუნგებს სხვა წინააღმდეგ თვისებათა ნიჭს. ნატურალისტებმა დაგვიმტკიცეს, რომ ცხოველისა და მეცნიერის ზოგიერთ თვისებათაგანს უკავია უმცირესი ადგილი მისს ორგანიზაციაში, ამიტომ ხშირად იცვლებიან, ხანდახან დაჩლუნგებულნი არიან და ხან სულ არ შეიმჩნევიან; ზოგი-კი მთავარი თვისებაა, რომლისაგანაც დამოკიდებულია მთელი ორგანიზაციის სახე. ამ ნაირადვე ისტორიკოსს შეუძლიან დაამტკიცოს, რომ რომელისამე ადამიანის ან ჯგუფის ზოგიერთი თვისება არის უმცირესი და უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ზოგი-კი, როგორც მაგალითად იდეების ქონება, არის უმთავრესი და წინდაწინვე განსაზღვრავს მისის ცხოვრებისა და აზრების მიმართულებას". ამას უწოდებს ტენი „კანონს ურთიერთ შორის დამოკიდებულებისას".

კიტა აბაშიძე ასე განმარტავს ტენის ე. წ. გარემოს თეორიას: იპოლიტე ტენის აზრით, ყოველი ლიტერატურა წარმოიშობა და ვითარდება სამი ფაქტორის საფუძველზე. ეს ფაქტორებია: რასა, გარემო, მომენტი.

რა არის რასობრივი თავისებურება იპოლიტე ტენის გაგებით? ესაა თანდაყოლილი, ნაციონალური თვისება, ანუ მემკვიდრეობით მიღებული განწყობილება ადამიანისა, მისი ტემპერამენტი, მისი ხასიათი. ტენი წერს: „ეჭვი არ არის, რომ არის კაცთა გვარი, ისე, როგორც არის სხვა და სხვა გვარი ცხენი და ხარი. ზოგნი არიან მამაცნი და გონიერნი. ზოგნი მხდალნი და უნიჭონი, ზოგს შეუძლიანთ შეთხზან და შექმნან უმაღლესი ნაწარმოები კაცის გონებისა, ზოგს მარტივი უმნიშვნელო აზრების შეგნებაც-კი ეძნელებათ. ზოგნი მათგანი განსაკუთრებით შერჩეული და გაწვრთნილნი არიან ამა თუ იმ საქმისათვის, როგორც მაგალითად, ჩვენ ვხედავთ რასას მონადირე ძაღლებისას, ეზოს და ჯოგის დამცველისას და ეტლების მატარებლისას". ამ ნიშნის მიხედვით დაკვირვებულმა კრიტიკოსმა უნდა გამოიცნოს, თუ სადაურია მხატვრული ნაწარმოები.

მეორე ფაქტორი: ე. წ. გარემოში იგულისხმება ისტორიული, ბუნებრივი და საზოგადოებრივი გარემო. ადამიანი, როგორც ბუნების პირმშო — ბუნებას ემორჩილება; ადამიანი, როგორც საზოგადოების წევრი — საზოგადოებას ექვემდებარება; ადამიანი, როგორც შვილი ამა თუ იმ დროისა, ისტორიული გარემოს პროდუქტია. ეს მეორე ფაქტორი განმარტებულია ასეთი მაგალითებით: 1. როდესაც ადამიანი მუზეუმშია და ათვალიერებს სურათს, ის მაშინვე მიხვდება (თუ აქვს მხატვრული გემოვნება და ალღო), თუ ვის ეკუთვნის ეს სურათი. აქაა ბუნების გავლენა. 2. ფრანგი კლასიცისტების რასინისა და კორნელის ტრაგედიების წაკითხვის დროს ვხედავთ სასახლის ცხოვრების სურათებს და ვგებულობთ, თუ რა გავლენა ჰქონია ამ სასახლის ცხოვრებას

დიდ ფრანგ დრამატურგებზე. აქაა საზოგადოებრივი წრის გავლენა. ვ. შექსპირის შემოქმედების გაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი ვერ შორდებოდა თავის დროს. აქაა დროისა და ისტორიის გავლენა.

მესამე ფაქტორი: პირველი ორი ფაქტორის მოქმედება არ ხდება ცარიელ ადგილზე. „ისინი ისეთ დაფაზე წერენ, — ამბობს ტენი, — რომელზედაც უკვე რამდენიმე ბეჭედია დასმული, იმის მიხედვით, თუ რომელ მომენტში აიღებთ დაფას, მასზე ნახავთ სხვადასხვა ნაბეჭდს. ამის მიხედვით შედეგიც სხვადასხვაა. ტენი ადამიანს ადარებს მცენარეს. ერთი და იგივე თესლი, ერთსა და იმავე ჰაერში, ერთსა და იმავე ნიადაგზე მხოლოდ სხვადასხვა მომენტში გამოიღებს ჯერ ფოთოლს, მერე ყვავილს, შემდეგ კი ნაყოფს. პირველი წარმოშობს უკანასკნელს და უკანასკნელი იბადება პირველის სიკვდილის შემდეგ".

კიტა აბაშიძე თავის მხრივ ასეთ მოხდენილ შედარებას პოულობს: „პირველი კრიტიკის დამთესნი არიან ბუალო, შატობრიანი და ქ-ნი სტალი, ფოთოლი კრიტიკისა არის სენტ-ბევი, ყვავილი— ტენი და ხილი—ბრუნეტიერი". ამ ხილს, ანუ ნაყოფს, ექნება თესლი, რომელიც შემდეგ სხვა ფოთოლს და სხვა ნაყოფს გამოიღებს.

კიტა აბაშიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისთვის არც სენტ-ბევის, არც იპოლიტე ტენის და არც ფერდინანდ ბრუნეტიერის შეხედულებანი დოგმა არ ყოფილა. მათს ნააზრევს ჩვენი მკვლევარი ხშირად კრიტიკულად უდგებოდა. ასე, მაგალითად, კიტა წერს: „კრიტიკა, რომელიც არის განსჯა ლიტერატურულის ნაწარმოებებისა, ტენის ხელში მხოლოდ ისტორიად იქცევა, რომლიდგანაც ყოველივე მსჯელობა, აზრი და შეხედულება უნდა განიდევნოს". კიტა აბაშიძეს იქვე მოაქვს იპოლიტე ტენის შემდეგი სიტყვები: „ახლანდელი მეთოდი (კრიტიკისა) რომელსაც მე მივსდევ, კაცთა გონების ნაწარმოებს უყურებს ისე, როგორც რომელსამე უბრალო ფაქტს, რომლის თვისება და ხასიათი უნდა დაგვანახოს და რომლის მიზეზებიც უნდა ეძიოს. ეს არის მისი საქმე და სხვა არა-რა. ამ ნაირად გაგებული მეცნიერება არაფერს არ განაძევებს და არაფერს არ შეუნდობს არავის. იგი მხოლოდ გვაჩვენებს და გვიხსნის... იგი იქცევა იმ გვარად, როგორც ბოტანიკა... იგი არის ბოტანიკა, რომელსაც შესწავლის საგნად მცენარე-კი არა აქვს, არამედ კაცთა ვონების ნაწარმოები".

კიტა აბაშიძე არ ეთანხმება იპოლიტე ტენის მექანიკური გარემოს თეორიას, მის მიერ ლიტერატურული კრიტიკის ბოტანიკად და ზოოლოგიად გადაქცევას. „ტენმა შეაერთა ბოტანიკა და კრიტიკა. რა კრიტიკაც გამოვიდა ამ შეერთებისაგან, ამის ნიმუშებს ნახავთ ტენის უნიჭო მიმდევართა ნაჩხაპნებში. ხოლო ტენი-კი დიდი არტისტი იყო სულითა და გულით, პოეტი იყო გრძნობით და დიდის ჭკუა-გონების პატრონი კაცი და ამიტომაც თეორიულად თუ ასევ მშრალს მეთოდს გვიქადაგებდა, პრაქტიკულად გატაცებული კრიტიკოსი იყო. იგი თეორიულად გვარწმუნებდა, რომ არც უნდა მოგვწონდეს და არც უნდა გძაგდეს რამეო. პრაქტიკულად კი ძალიან მოსწონდა ზოგიერთი თხზულება და ზოგიერთი არ ეჭაშნიკებოდა".

კიტა აბაშიძემ შეამჩნია, რომ იპოლიტე ტენის თეორიის მიხედვით მწერალს დაეკარგა ის დიდი როლი და ფუნქცია, რაც მას აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უგულებელყოფილ იქნა მწერლის ნიჭი და უნარი ცხოვრების სინამდვილის მხატვრული ასახვის დროს, ყოველივე ამის შედეგად კი მივიღეთ შიშველი ობიექტივიზმი, რომელიც საგნისა და მოვლენის შესახებ ვერ გვაძლევს და არც შეუძლია მოგვცეს სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული დამაჯერებელი დასკვნა. იპოლიტე ტენმა, ერთი მხრივ, შექმნა თითქოსდა გარკვეული სისტემა, ე. წ. გარემოს თეორია, რომელზედაც დაამყარა მთელი თავისი ლიტერატურულ-ესთეტი-

კური შეხედულებანი და კვლევის მეთოდი, ამ მეთოდს კიტა აბაშიძე სამართლიანად უწოდებს „მშრალს"; მეორე მხრივ, იპოლიტე ტენმა, როგორც ფართო ერუდიციის მქონე კრიტიკოსმა და ლიტერატურათმცოდნემ, მაღალმხატვრული გემოვნება გამოამჟღავნა თავის ცალკეულ შრომებში მწერლისა, შემოქმედებისა და მხატვრული ნაწარმოებების გარჩევის დროს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი „ინგლისური ლიტერატურის ისტორია" და ნარკვევები ლაფონტენსა, სტენდალსა და ბალზაკზე.

ახალ, მაღალ საფეხურს ევოლუციურ მოძღვრებაში, კიტა აბაშიძის აზრით, წარმოადგენს ფერდინანდ ბრუნეტიერი, რომელმაც კრიტიკის ისტორიაში შეიტანა „ბუნებრივი შერჩევა" და „ცხოვრებისათვის ბრძოლა". თუ ტენი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რასას და გარემოს, ბრუნეტიერმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მომენტს, და გადაწყვიტა დარვინის მოძღვრების მიხედვით აეხსნა ლიტერატურული მოვლენები.

*

ჩვენ განვიხილეთ კიტა აბაშიძის შრომა — „მოძღვრება ევოლუციისა კრიტიკაში". ესაა ჭაბუკი კიტა აბაშიძის (ის ამ დროს 24 წლისაც კი არ იყო) პირველი დამოუკიდებელი, მეცნიერული გამოკვლევა გამოჩენილი ფრანგი ლიტერატურის ისტორიკოსის, აკადემიკოს ფერდინანდ ბრუნეტიერის ევოლუციურ მოძღვრებაზე კრიტიკაში.

ბრუნეიტერის პირველმა შრომებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ბურჟუაზიულ ლიტერატურათმცოდნეობაში. მათ ბევრი მიმდევარი გაუჩნდათ არა მარტო საფრანგეთში; მეცნიერები დაინტერესდნენ ბრუნეტიერის ევოლუციური მოძღვრებით, მისი შედარებითი მეთოდით და იმით, რომ თითქოს არსებობს „საერთო ევროპული ლიტერატურა", რომლის თავისებური გამომხატველია ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული ლიტერატურა.

მართალია, კიტა აბაშიძემაც განიცადა ბრუნეტიერის ევოლუციური მეთოდის გავლენა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს გავლენა არ ყოფილა ისე ხანგრძლივი და ისე ღრმა, რომ მას ჩვენი კრიტიკოსი მიეყვანა მიმბაძველობამდე, მშობლიური ლიტერატურისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებამდე, ყოველივე უცხოურის უზომო ქება-დიდებამდე.

კიტა აბაშიძე ფიქრობდა, რომ ფერდინანდ ბრუნეტიერი ლიტერატურის ისტორიას არ დაანგრევდა. ლიტერატურულ მოვლენებს მხოლოდ იმიტომ არ დააკავშირებდა, რათა თავისი თეორია ჯიუტად გაეტანა. ლიტერატურის ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ გაამართლა კიტა აბაშიძის შიში, წინათგრძნობა. ბრუნეტიერმა ვერ გაამართლა დანაპირები. მან ვერ დაასაბუთა თავისი ევოლუციური მოძღვრება. პროგრესულმა მეცნიერულმა ლიტერატურათმცოდნეობამ უკუაგდო ბრუნეტიერის მცდარი, ანტიმეცნიერული თეორია. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ამ ფრანგი მეცნიერის შრომებში ყველაფერი უარსაყოფი და გადასაგდები იყო; მის გამოკვლევებში ცოტა და უმნიშვნელო როდია ისეთი მოსაზრებანი და დაკვირვებანი, რომლებიც დღესაც საყურადღებოა და გამოსადეგი.

კიტა აბაშიძეს ევოლუციური მეთოდი ასე ესმის: „დღევანდელის დღის ლიტერატურაზედ ასეთი თუ ისეთი გავლენა აქვს წინანდელს ლიტერატურას და მომავლის ლიტერატურა დღევანდელზედ არის დამოკიდებული", დაახლოებით ისე, როგორც ლაიბნიცი ამბობდა: „აწმყო, მშობელი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა".

კიტა აბაშიძე გაიტაცა ბრუნეტიერის ახალმა, მოდურმა ევოლუციის მეთოდმა, მაგრამ იგი ხშირად სცილდებოდა მას და სწორად სწყვეტდა ლიტერატურულ პრობლემებს. ამ მხრივ დღესაც სანიმუშოა კიტა აბაშიძის ნარკვევები გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მისი ზოგი-

ერთი წერილი ქართული და ფრანგული ლიტერატურის ცალკეულ წარმომადგენლებზე.

ახალგაზრდა კიტა აბაშიძეს არ მოსწონდა იპოლიტე ტენის კვლევის მეთოდი, იგი მას „მშრალს“ უწოდებდა. იპოლიტე ტენმა კრიტიკა, რომელსაც ევალება ნაწარმოების ყოველმხრივი ანალიზი, მისი ყოველმხრივი გაშუქება, მხოლოდ ისტორიად აქცია და უარჰყო მსჯელობა და აზრის გამოთქმა. კიტას არ მოსწონდა ბრუნეტიერის ის თეორიული დებულებები, რომლებიც იპოლიტე ტენის შეხედულებებიდან გამომდინარეობდნენ და რომლებმაც ბრუნეტიერი პოზიტივიზმამდე და ვულგარულ მატერიალიზმამდე მიიყვანა.

•

განვიხილოთ კიტა აბაშიძის მეორე წერილი: „მეცნიერება და სარწმუნოება“.

ფერდინანდ ბრუნეტიერი თავისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში მატერიალიზმის პოზიციებზე იდგა, შემდეგ კი აშკარად იდეალიზმისა და რეაქციის პოზიციაზე დადგა. ამ დროს გამოაქვეყნა მან თავისი შრომა „მეცნიერება და რელიგია“, რამაც კიტა აბაშიძის გაოცება გამოიწვია.

კიტა აბაშიძემ 1895 წელს „ივერიაში“ დაბეჭდა თავისი სტატიების სერია — „ცხოვრება და ხელოვნება“; ამ სერიიდან მეშვიდე სტატია — „მეცნიერება და სარწმუნოება“ მან ფერდინანდ ბრუნეტიერის ამ შრომის კრიტიკას მიუძღვნა.

ბრუნეტიერს უმოგზაურნია იტალიაში, კერძოდ, რომში, უნახავს იქ პაპი ლეონ XIII და მისგან ლოცვა-კურთხევა მიუღია. ამას ისე უმოქმედნია ბრუნეტიერზე, რომ იგი მორწმუნე კათოლიკედ, იდეალისტად და სარწმუნოების ქურუმად გადაქცეულა.

ბრუნეტიერის აზრით, მეცნიერება გაკოტრდა, მან ვერ გაამართლა იმედები, ვერ ახადა ფარდა „საიდუმლოებას“. მან ვერ გამოარკვია, ვერ ახსნა მიზეზი ქვეყნიერების წარმოშობისა, ვერ დაანახვა კაცობრიობას სავალი გზა და მომავალი, რა ვიყავით და რა ვიქნებით — ორი უსაშინელესი, „დაწყევლილი“ საკითხი, რომელსაც მეცნიერებამ პასუხი ვერ გასცა და ვერც გასცემს. „მიუწვდომი“, გამოუცნობი გარს გვარტყია, ჩვენი ცხოვრება მას მოუცავს, მაგრამ ვერც ფიზიკა და ვერც ფიზიოლოგია ვერაფერს გამხდარან და ვერ აუხსნიათ იგი.

ბრუნეტიერი თავის თავს ეწინააღმდეგება, როდესაც შეშინებული და დამფრთხალი ამბობს, რომ ჩვენ, ადამიანები, მაიმუნებიდან ვართ წარმოშობილი, მაგრამ არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ რამ შექმნა ეს აზრი და როგორი იყო იგი. მეცნიერება გვიხსნის ჩვენი ბუნების პირუტყვულ მხარეს, მაგრამ ადამიანური მხარე მისთვის მიუწვდომია. ფრანგი მეცნიერი თითქმის ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს: არსებობს თუ არა ისტორიული კანონი — არ გადაწყვეტილა. თუ არის ასეთი კანონი, რა დამოკიდებულება არსებობს ამ კანონსა და ჩვენს შორის? ჩვენი თავის ბატონი, ჩვენი მოქმედების უფალი ჩვენვე ვართ, თუ ულმობელი და უძლეველი ძალის ყურმოჭრილი მონები ვართ? არც ის ვიცით, საიდან მოვდივართ და არც ის, სად მივდივართ. აქვს თუ არა რაიმე აზრი — კითხულობს ის — ჩვენს ისტორიულ ცხოვრებას, თუ ისტორია მხოლოდ არეულ-დარეული, აწეწილ-დაწეწილი რამაა, ყოველივე ეს ნუთუ არ ამტკიცებს მეცნიერების გაკოტრებას, ხოლო, ბრუნეტიერის აზრით, სარწმუნოებამ თავისი დაკარგული სახელი ნაწილობრივ მაინც აღიდგინა.

არჩევს რა ამ შრომას, კიტა აბაშიძე დასძენს: „მეტის-მეტი და გაუგებარია, რომ პაპის მოქმედებით გატაცებული ავტორი მართლმორწმუნე კათოლიკედ გარდაქმნილა“. კიტა იქვე ასახელებს ბრუნეტიერის სხვა შრომასაც, რომელშიც, მისი აზრით, ავტორი ცდილობს მო-

ნახოს ახლანდელს მეცნიერებაში საფუძველი ქრისტიანული მორალისა.

როგორც ვხედავთ, კიტა აბაშიძე მკაცრად და ობიექტურად აფასებს ფერდინანდ ბრუნეტიერის შრომას; ის წერს: „ბრუნეტიერმა რამდენიმე ფურცელი თავისი ბროშურისა კათოლიციზმს უძღვნა და მართლაც, ისეთი უცნაური აზრები წარმოსთქვა, რომ გასაკვირველია სწორედ. ნუთუ რომის პაპის ნახვამ ამდენზედ მოხიბლა ანდა იქნებ პიპნოტიზმის ძალა იხმარეს და მოაჯადოვეს ნიჭიერი კრიტიკოსი? უამისოდ მოულოდნელი რამ არის სწორედ ისეთი სიტყვები ფრიად განვითარებულის და დიდის ცოდნით აღჭურვილის მწერლისაგან, სიტყვები, რომელიც საშუალო საუკუნოების ფანატიკოსს კათოლიკე-ბერს უფრო შეჰფერის". ბრუნეტიერის აზრით სარწმუნოება აუცილებელია, ყველა სარწმუნოებას კი კათოლიციზმი სჯობია, რადგან იგი აწესრიგებს ხალხის ზნეობრივ ცხოვრებას, აჩვევს მორწმუნეებს დისციპლინას. ამის გამო კიტა წერს: „ეს კათოლიციზმის დაფარვა და ამით აღტაცება, რასაკვირველია, არავის მოეწონებოდა და აი სწორეთ აქა ჩანს, რომ რომში მოგზაურობას დიდი გავლენა ჰქონია ბრუნეტიერზე და პაპის ხელზე ამბორს სასწაული მოუხდენია: ფილოსოფოსი გარდამეტებულ მორწმუნე კათოლიკედ გაუხდია". კიტა აბაშიძემ ბრუნეტიერის თეოლოგიურ შეხედულებებს სავსებით სწორად „უცნაური აზრები" უწოდა. კიტა აბაშიძე ბევრ საკითხში არ ეთანხმება ბრუნეტიერს და ხშირად სწორ, მეცნიერულ დასკვნებს აკეთებს. ასეთია ის, ჩვენი აზრით, ფერდინანდ ბრუნეტიერისადმი დამოკიდებულებაში.

კიტა აბაშიძეს ბრუნეტიერის შემოქმედებაში მოსწონს კომპარტივისტული ანუ შედარებითი მეთოდი (ლიტერატურული მოვლენებისა და ფაქტების შედარებითი მეთოდით განხილვა და შესწავლა). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კიტა აბაშიძეს ეს მეთოდი თავისებურად ესმოდა და თავისი მშობლიური ლიტერატურის პროგრესული განვითარების შესაბამისად სარგებლობდა.

კომპარტივისტული მეთოდი ფერდინანდ ბრუნეტიერამდე არსებობდა. ცნობილია, რომ ფრანგი რომანტიკოსები ინტერესით კითხულობდნენ მეზობელი ქვეყნების მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს, მოსწონდათ, ამავე დროს ცდილობდნენ უკეთესი შეექმნათ.

ხელოვნებისა და ლიტერატურის ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლას მასში მონაწილე ყველა ქვეყნის ხელოვნება და ლიტერატურა წინ მიჰყავს (რა თქმა უნდა, მეტნაკლებად), რაც კანონზომიერი მოვლენაა მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან ფართოდ გავრცელდა ლიტერატურაში შედარებითი მეთოდი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სწავლულნი ხშირად სარგებლობდნენ ფერდინანდ ბრუნეტიერის შრომებით. შედარებითი მეთოდმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ამ წერილში ჩვენ არა გვაქვს საშუალება უფრო ვრცლად განვიხილოთ ეს საკითხი. ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ ამ მეთოდს იყენებს ისეთი გამოჩენილი რუსი მეცნიერი, ლიტერატურისმცოდნე, როგორიცაა აკადემიკოსი ალექსანდრე ვესელოვსკი და სხვ.

კიტა აბაშიძეს შედარებითი მეთოდი ესმოდა თავისებურად. ის ამ მეთოდით სარგებლობის დროს იდგა დიდი მეცნიერისა და მგზნებარე პატრიოტის დონეზე. კიტა აბაშიძეს კარგად ესმოდა კრიტიკოსის მეცნიერული და პატრიოტული მოვალეობა. პატრიოტიზმი კიტას აზრით, მხოლოდ თავისი ხალხის, მისი ენისა და ლიტერატურის სიყვარულს კი არ ნიშნავს, ის ამავე დროს ნიშნავს სხვა ხალხების, მათი ენისა და ლიტერატურის პატივისცემასა და სიყვარულს.

კიტა აბაშიძე წერდა: „ეხლანდელ დროში ვისაც ჰსურს თავისს სამშობლო მწერლობას თვალ-ყური ადევნოს, ვალდებულია გარეშე ქვეყნის ლიტერატურასაც მიაქციოს ყურადღება და მისი თვალსაჩინო მოვლენაც აღნიშნოს, ეს საჭიროა იმიტომ, რომ რაც უნდა დაშორებული იყოს ერთი ქვეყანა მეორეზედ, საზოგადო აზრის მიმართულებას ერთის

რომელიმე ქვეყნისას ყველაზედ გავლენა აქვს, ყველგან პოულობს თავისს ადეპტებსა და ცოტა ხნის შემდეგ მსოფლიო აზრის მიმართულებათა ხდება".

კიტა აბაშიძე საქმის ღრმა ცოდნით ადარებდა ქართულ მწერლობას ფრანგულთან. ის აღსავსე იყო სიამაყის გრძნობით მაღალიდეური, მაღალმხატვრული მშობლიური ლიტერატურის გამო. მას სურდა ფართო საზოგადოებრიობისათვის ეჩვენებინა იმ დროის ქართული კულტურის მაღალი დონე და ყოველთვის ქართული ლიტერატურის ინტერესებიდან გამოდიოდა.

კიტა აბაშიძე ბრმად კი არ მიყვებოდა ფრანგული ლიტერატურის ან თუნდაც ბრუნეტიერის გზას. მისი ესთეტიკური იდეალი (ახალ დროში) იყო მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა, 60-იან წლებს კიტა „ჩვენი ლიტერატურის ბრწყინვალე და ყვავილოვან დროს" უწოდებდა. „ჩვენი ლიტერატურის უმთავრესი მოძღვრების (ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძისა, აკ. წერეთლისა და ალ. ყაზბეგის) ნაწარმოებებს — წერდა კიტა — კიდევ ერთი დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის: იგინი, ასე ვთქვათ, იდეალად მიგვაჩნია ჩვენს მწერლობაში და მიუცილებლად საჭიროა ჩვენთვის შესადარებლად. დღევანდელ ლიტერატორთა ნაწარმოებების ღირსება იმის მიხედვით უნდა ავსწონდავსწონოთ, თუ რამდენად უახლოვდებიან ამ იდეალსა ან რა ბიჯი წასდგეს წინ დროსა და გარემოების შესაფერად".

კიტა აბაშიძის პოლიტიკური იდეალი იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, უკეთესი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ბრძოლა. კიტა აბაშიძე მსჯელობს არა როგორც მხოლოდ პროფესიონალი კრიტიკოსი, ის მსჯელობს როგორც მოაზროვნე და ფილოსოფოსი, რომელიც ცხოვრების აზრს ხედავს უკეთესისაკენ, ამაღლებულისაკენ სწრაფვაში, საუკეთესო იდეალისაკენ ლტოლვაში. კიტას მოთხოვნით ლიტერატორებმა, ფილოსოფოსებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თავიანთ თხზულებებში აღმზრდელობითს მიზნებს, მაღალმორალურ იდეალებს, ადამიანის ზნეობრივ სრულყოფას, ვინაიდან მათი ნაწარმოებები დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და ეს გავლენა პროგრესული უნდა იყოს.

კიტა აბაშიძე ამაყობდა იმით, რომ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლებში. ილია ჭავჭავაძის „ივერიაში" გაზრდილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე საგნებსა და მოვლენებს თავიდანვე დიდი მასშტაბით უდგებოდა, ფხიზლად ეხმაურებოდა საერთაშორისო მნიშვნელობის ლიტერატურულ და ფილოსოფიურ პრობლემებს, საფუძვლიანად სწავლობდა მათ, რათა მშობლიური კულტურის წინსვლისა და აყვავებისათვის გამოეყენებინა.

მართალია, კიტა აბაშიძე ვერ აცდა ცალკეულ იდეალისტურ-მეტაფიზიკურ შეცდომებს, პოლემიკის დროს ზოგჯერ ცალმხრივი იყო, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს სწორად გავიგოთ და მართებულად შევაფასოთ მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

---

დავით ფანჩულიძე

## კიტა აბაშიძე და ფერდინანდ ბრუნეტიერი

ნოდარ ასათიანი

# „რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“

ძველი ქართული საისტორიო თხზულებების კრებული „ქართლის ცხოვრება“ XI საუკუნის ბოლოს შეიქმნა. ამ წიგნში მხოლოდ ქართველი ხალხის თავგადასავალი, ბრძოლები თუ უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენები როდია აღწერილი. მასში გატარებულია ქართველი ხალხის ურთიერთობის იდეა, კავკასიის ხალხებთან მისი მჭიდრო ნათესაობის იდეა, უკეთესი აწმყოსა და მომავლისათვის ბრძოლის იდეა. ეს იდეები ყოველთვის კვებავდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, სტიმულს აძლევდა მათ ქვეყნის აღდგენა-გამოხსნისა თუ სამშობლოს დიდებისათვის ბრძოლაში. ამიტომ იყო, რომ ძველთაგანვე ამ წიგნმა „პატიოსანი“ და „წმინდა“ წიგნის სახელი დაიმკვიდრა.

„განმმარჯვებულ ექმნენით... დედოფალთა დედოფალსა ნესტანდარეჯანს... მეფესა ალექსანდრეს და დედოფალსა ანას, რომლისა მიერ გუებრძანა პატიოსანთა ამათ წიგნთა აღწერა“ — წერს „ქართლის ცხოვრების“ შესახებ XV საუკუნის მიწურულში მისი ერთ-ერთი გადამწერი.

„შეიწყალე და დაიცავ... დედოფალთ-დედოფალი მარიამ, რომლისა ბრძანებითა იწერებიან წმინდანი ესე წიგნნი“. „დაიცავ... დედოფალთა დედოფალი მარიამ და ძე მისი პირმშო ოტია, რომლისა ბრძანებითა იწერება წმინდა ესე წიგნი“ — აღნიშნულია „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. მარიამისეული ნუსხის გადამწერის ანდერძში.

ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში უფრთხილდებოდა და ინახავდა „ქართლის ცხოვრების“ წიგნს, ისევე როგორც სვეტიცხოველსა თუ „ვეფხისტყაოსანს“ და მიუხედავად თავსდატეხილი გრიგალებისა, ახალ დრომდე შემოინახა იგი და თანამედროვეობას გადმოსცა. ამიტომაა, რომ მრავალჭირგამოვლილი „ქართლის ცხოვრების“ წიგნი არა მხოლოდ თავისი შინაარსით გადმოგვცემს ქართველი ხალხის ისტორიას, არამედ ჩვენამდე მოღწეული სახითაც ატარებს ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმართი წარსულის კვალს.

„ქართლის ცხოვრების“ ისტორია თანაზიარია ქართველი ხალხის ისტორიისა. ამდენად მისი თავგადასავალიც ისევე საინტერესოა, როგორც მასში მოთხრობილი ფაქტები.

„ქართლის ცხოვრება“ წარმოშობის დღიდანვე გასცდა უბრალო საისტორიო წიგნის ფარგლებს. თავისი შინაარსისა და იდეების გამო მას იმთავითვე დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა. ძველი საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი მას მძლავრ იარაღად თვლიდნენ „ქართველობის“ აღდგენის საქმეში (გიორგი ბრწყინვალე, ალექსანდრე კახთა მეფე, მარიამ დედოფალი, ვახტანგ VI...). ამ წიგნს ასეთი მნიშვნელობა XIX საუკუნეშიც გადმოჰყვა. ამიტომ იყო, რომ სწორედ მის ირგვლივ გაჩაღდა გაამთრებული ბრძოლა XIX საუკუნის 80-იან წლებში ცარიზმის დიდმპყრობელური რეაქციის შემოტევის დროს.

საქართველოს ისტორიისადმი ნიჰილისტურად განწყობილმა პირებმა სცადეს დაემცირებინათ „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული მნიშვნელობა, იგი გვიან შეთხზულ-გამოგონებულად წარმოედგინათ და ამით დაემცირებინათ თვით ქართველი ხალხის ისტორია. ქართველ მეცნიერთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ღირსეული პასუხი გასცეს ამ ცრუმეცნიერულ შემოტევას. ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ დამაჯერებლად უარჰყო საწინააღმდეგო მოსაზრებანი და დაიცვა „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული ღირებულება. „ქართლის ცხოვრების“ კვლევა მას შემდეგ კიდევ უფრო ინტენსიურად წარიმართა და დღემდეც გრძელდება.

სწორედ ამ წიგნის ისტორია და თავგადასავალი, მნიშვნელობა და შინაარსია გადმოცემული პროფ. კონსტანტინე გრიგოლიას წიგნში „რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, რომელიც გამოსცა „ნაკადულმა“ 1961 წელს.

„ქართლის ცხოვრებაზე“ საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდარი ლიტერატურა არსებობს, რომელიც ძირითადად სპეციალურ გამოკვლევებს წარმოადგენს და მხოლოდ მკვლევართათვისაა გამიზნული. პროფ. კ. გრიგოლია მიზნად ისახავს მკითხველთა ფართო ფენებს გააცნოს ქართული ისტორიოგრაფიის უახლესი მიღწევები, განმარტოს ის დიდი მნიშვნელობა, რაც საისტორიო თხზულებების ამ კრებულს ჰქონდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში და, ბოლოს, გასაგები ენით და სათანადო განმარტებებით გადმოსცეს „ქართლის ცხოვრების“ შინაარსი ისე, რომ მკითხველს წიგნის გაცნობის შემდეგ რამდენადმე სრული წარმოდგენა შეექმნას ამ ძეგლზე.

„რა უნდა ვიცოდეთ „ქართლის ცხოვრების“ შესახებ“ — ასე ეწოდება წიგნის პირველ ნაწილს. ავტორი აქ მოკლედ ახასიათებს საქართველოს ისტორიის ძირითად წყაროებს: ზეპირსიტყვიერ გადმოცემებს, არქეოლოგიურ მონაპოვარსა და მატერიალური კულტურის ძეგლებს, აგრეთვე ხალხის ყოფის ამსახველ მასალებს და სხვ.; მაგრამ ამა თუ იმ ქვეყნის წარსულის სრულყოფილი შესწავლისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ყოველთვის წერილობით წყაროებს ენიჭება. „ქართველ ხალხს ადრიდანვე უზრუნვია, რათა მისი წარსული წერილობითაც ყოფილიყო აღბეჭდილი ქვის ფირფიტებზე, ეტრატსა თუ ქაღალდის ფოლიანტებზე. ჩვენს წინაპრებს სურდათ, რომ მათს ცხოვრებაში მომხდარი არც ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, არც ერთი შემთხვევა გმირობის, ქვეყნისათვის თავდადების და უანგარო მსახურებისა არ მისცემოდა დავიწყებას.

ამიტომაც თვითეული თაობა მოწადინებული იყო ზუსტად ჩაეწერა მის დროს მომხდარი ამბავი და ყველაფერი ეს, როგორც ცხოვრების საკუთარი გამოცდილება, წერილობით დაეტოვებინა მომავალი თაობებისათვის“ (სარეცენზიო წიგნი, გვ. 4). მართლაც, ქართული საისტორიო მწერლობის სათავე შორეულ წარსულში, წინაქრისტიანულ ხანაშია საძიებელი. მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ ქრისტიანობის შემდგომი ხანის ძეგლებმა მოაღწიეს. ქრისტიანული სარწმუნოების გაბატონების შედეგად ძველი წარმართული ხანის ძეგლები ან განადგურდა, ან სათანადოდ გადამუშავდა და დაემორჩილა ახალი სარწმუნოების მოთხოვნებს. ჯერჯერობით მეცნიერებისათვის ცნობილი უძველესი ქართული საისტორიო ხასიათის თხზულებანი ქრისტიანულ სარწმუნოებასთან არიან მჭიდროდ დაკავშირებულნი (მოქცევაჲ ქართლისაჲ ქრონიკა, პაგიოგრაფიული ძეგლები და სხვ.). XI საუკუნისათვის შეიქმნა საისტორიო თხზულებების კრებული, რომელშიც, სათანადოდ გადამუშავებული, შევიდა წარმართობის დროინდელი ისტორიაც — საქართველოს უძველესი ხანის ისტორიული ფაქტები ბიბლიურ გადმოცემებს და სქემებს დაუკავშირდა, ქართველთა წარმომავლობა-ნათესაობის თეორია აღმავალი ქართული სახელმწიფოებრიობის ინტერესების შესაბა-

მისად შემუშავდა. კრებულში თავდაპირველად ორი ისტორიკოსის, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებები იყო გაერთიანებული, შემდეგ მას თანდათანობით დაემატა სხვა საისტორიო თხზულებანიც (მატიანე ქართლისა, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, ცხოვრება მეფეთა-მეფის დავითისი და ა. შ.). ამ კრებულს ეწოდა „ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა".

„ქართლში" იმ ხანად, გარდა საკუთრივ ქართლისა, მთელ საქართველოს გულისხმობდნენ, ხოლო „ცხოვრება" ძველ ქართულში „აღნიშნავდა ცოდნის იმ დარგს, რომელიც ქვეყნის ან კერძო პირის (დიდი სახელმწიფო ან საეკლესიო მოღვაწის) თავგადასავალს, მის წარსულს განიხილავდა და სწავლობდა, ასე რომ ც ხ ო ვ რ ე ბ ა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში ნიშნავდა ისტორიას და ამ უკანასკნელის მაგიერ იხმარებოდა კიდეც" (გვ. 5). ამრიგად, „ქართლის ცხოვრება" დღევანდელი მნიშვნელობით „საქართველოს ისტორიას" ნიშნავდა. მასში ისტორიული თხზულებანი იმრიგად იყო დალაგებული, რომ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოეცათ ჩვენი ქვეყნის წარსული. შემდეგშიაც ახალი საისტორიო თხზულებანი ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით და სათანადოდ გადამუშავებული სახით ემატებოდა. ასე დაემატა „ქართლის ცხოვრებას" მატიანე ქართლისა და სუმბატ დავითის-ძის თხზულება, დავით აღმაშენებლის ისტორია და თამარის ისტორიკოსთა თხზულებანი, ჟამთააღმწერელის ნაწარმოები და, ბოლოს, „გაგრძელებანი".

სარეცენზიო წიგნის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ლეონტი მროველს, რომლის თხზულებანიც საფუძვლად დაედო „ქართლის ცხოვრებას", გასაგებად და საინტერესოდ არჩევს იმ ცნობებს, რაც მის შესახებ მოიპოვება „ქართლის ცხოვრების" გადამწერთა ანდერძებსა თუ სხვა ძველ ხელნაწერთა მინაწერებში.

ლეონტი მროველის თხზულებების შესწავლის საფუძველზე პროფ. კ. გრიგოლია ასკვნის — „ლეონტი მროველი, როგორც ისტორიკოსი, მრავალმხრივ საგულისხმო პიროვნება ჩანს. მის შემოქმედებაში ადამიანს ხიბლავს უპირველესად ყოვლისა, განათლება, დაკვირვების უნარი და მსჯელობის სიღრმე, აგრეთვე ხერხებიც. ასე რომ ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის შესწავლის შედეგად მის მიერ მიღებული ზოგიერთი დასკვნა არ შეიძლება მეცნიერებისათვის საგულისხმო არ აღმოჩნდეს" (გვ. 13). სასურველი იყო ავტორს ასევე გადმოეცა მოკლე ცნობები „ქართლის ცხოვრებაში" შესული თხზულებების სხვა ავტორების შესახებაც. მაგალითად, ჯუანშერ ჯუანშერის ძის, „მატიანე ქართლისას" ავტორის, დავითის ისტორიკოსის, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორის, ჟამთააღმწერელის და სხვათა შესახებ. ამით მკითხველს გარკვეულად მთლიანი წარმოდგენა შეექმნებოდა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების დონისა და თავისებურებების შესახებ.

შემდეგ თავში ავტორი განიხილავს „ქართლის ცხოვრების" ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებს, რომლებიც ვახტანგ VI-ის წინარე ხანას განეკუთვნება. „ქართლის ცხოვრების" ჯერჯერობით ცნობილი უძველესი ხელნაწერია ე. წ. ანასეული ნუსხა, გადაწერილი XV საუკუნის ბოლოს ალექსანდრე კახთა მეფის მეუღლის ანა დედოფლის ბრძანებით. ეს ხელნაწერი აკად. ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა 1913 წ. და მანვე შეისწავლა იგი პირველად. აკად. ივანე ჯავახიშვილმავე აღმოაჩინა ე. წ. ერაჯქალაშვილისეული „ქართლის ცხოვრება", რომელშიც დაცული იყო „ქართლის ცხოვრების" XVI საუკუნეში გადაწერილი ნუსხის მნიშვნელოვანი ნაწილი. წიგნში საინტერესოდაა მოთხრობილი ამ ხელნაწერების აღმოჩენის ისტორია, გადმოცემულია მათი დათარიღების გზები და მეთოდები. დახასიათებულია ამ ხელნაწერების მნიშვნელობა ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის. ავტორი ასევე ვრცლად ჩერდება „ქართლის ცხოვრების" მარიამისეული ნუსხის დახასიათებაზეც. ეს ხელნაწერი XVII საუკუნეშია გადაწერილი

და, როგორც ცნობილია, მისმა აღმოჩენამ დიდი როლი ითამაშა „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერულად შესწავლის საქმეში. XIX საუკუნის 80-იან წლებში ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ სწორედ მისი მეშვეობით შესძლო საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა და განმქიქებელთა გააფთრებული შემოტევის მოგერიება და ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დაცვა. პირველად სწორედ ამ ხელნაწერით გახდა შესაძლებელი „ქართლის ცხოვრების“ კრებულზე რამდენადმე სწორი წარმოდგენის შექმნა და მისგან ცალკეული საისტორიო თხზულებების გამოყოფა. ამ ორიოდე წლის წინათ იმერეთში აღმოჩნდა „ქართლის ცხოვრების“ ახალი ხელნაწერი, რომელიც XVII საუკუნის 90-იან წლებშია გადაწერილი და მომდინარეობს ე. წ. მცხეთის „ქართლის ცხოვრებიდან“. ეს უკანასკნელი კი აქამდე მხოლოდ დოკუმენტებით იყო ცნობილი. ამ აღმოჩენის დიდ მნიშვნელობას კარგად განმარტავს ავტორი. ამავე თავში განხილულია ე. წ. მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრება“. ეს უკანასკნელი 1736 წელს გადაწერა გიორგი მაჩაბელმა მოსკოვში არჩილ მეფის ნაქონი ხელნაწერიდან. ამდენად იგი ძირითადად წარმოადგენს არჩილის ნაქონი ძველი ხელნაწერის ზუსტ ასლს და მას ვახტანგის წინარე ხელნაწერის მნიშვნელობა აქვს.

ყველა ზემოჩამოთვლილ ნუსხაში საქართველოს ისტორია მოყვანილია მხოლოდ XIV საუკუნემდე. მძიმე საგარეო და საშინაო პოლიტიკური პირობების შედეგად, რაც საქართველოში შეიქმნა XIV საუკუნის შემდგომ ხანაში, ქართული საისტორიო მწერლობა უკიდურესად დაქვეითდა და დაკნინდა. XV საუკუნის მეორე ნახევრისათვის ერთიანი ფეოდალური საქართველო დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად და ამ პერიოდში შექმნილი საისტორიო თხზულებანიც ცალკეული კუთხეების მდარე ხარისხის მატიანეები თუ იქნებოდნენ. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ქართული ისტორიოგრაფია მეტად სავალალო მდგომარეობაში იყო. არ არსებობდა XV—XVII საუკუნეების საქართველოს ერთიანი ისტორია. „ქართლის ცხოვრების“ ძველი ხელნაწერებიც ერთობ შემცირებულიყო და აქა-იქ თითო-ოროლაღა მოიძებნებოდა, ისიც ნაკლული და დაზიანებული სახით. ეს მაშინ, როცა საქართველოს გამოხსნისა და „ქართველობის“ აღდგენისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი იწყებოდა და საქართველოს ისტორიის არსებობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მდგომარეობის გამოსწორება დაისახა მიზნად ცნობილმა ქართველმა სახელმწიფო მოღვაწემ ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ VI-მ საგანგებოდ მოიწვია „მეცნიერი კაცები“ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და მათ დაავალა როგორც „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შევსება-გამართვა, ისე XIV საუკუნისშემდგომი ისტორიის დაწერა. ამ სწავლულ კაცთა კომისიის მუშაობაზე საკმაოდ ვრცლად ჩერდება პროფ. კ. გრიგოლია სარეცენზიო წიგნი შემდეგს თავში („ვახტანგისეული რედაქცია“). ამავე თავში ავტორი ახასიათებს „ქართლის ცხოვრების“ იმ ძირითად ხელნაწერებს, რომლებიც ვახტანგისეული რედაქციის შემდგომ ხანას ეკუთვნის. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა ე. წ. რუმიანცევისეული „ქართლის ცხოვრება“. ეს ხელნაწერი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც სწავლულ კაცთა კომისიამ გადამუშავებული სახით წარუდგინა ვახტანგ VI-ს. ხელნაწერი კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის აშკარა ნიშნებს ატარებს. „ქართლის ცხოვრების“ ძველი ტექსტისაგან განსხვავებით ამ ნუსხას წინ უძღვის წინასიტყვაობა. თვითონ ტექსტი დაყოფილია თავებად მეფეთა ზეობის მიხედვით. ადგილ-ადგილ დატოვებულია თავისუფალი ფურცლები ჩანართებისათვის. ერთ-ერთი ჩანართი (პეტრე ქართველის შესახებ), რომელიც პირადად ვახტანგის მეთვალყურეობით

შეუმზადებიათ, ტექსტში შეუტანიათ კიდეც, სხვა ჩანართები კი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ დამუშავებული და მათთვის განკუთვნილი ადგილები დაუტოვებიათ. ხელნაწერში გვხვდება ვახტანგისა და მისი მასწავლებლის სულხან-საბა ორბელიანის ხელით შესრულებული რედაქციული ხასიათის მინაწერები და შენიშვნები. უფრო გვიანდელ ხელნაწერებში ეს შენიშვნები გათვალისწინებულია.

ასეთივე რედაქციული მუშაობის კვალს ატარებს მეორე ხელნაწერიც, რომელიც აღმოაჩინა ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა 1906 წელს და ცნობილია ჯანაშვილისეული „ქართლის ცხოვრების" სახელით. ამ ნუსხას დართული აქვს „ქართლის ცხოვრების" პირველი გაგრძელება.

ამავე თავში ავტორი ახასიათებს „ქართლის ცხოვრების" ე. ი. სხვიტორულ და თეიმურაზისეულ ნუსხებსაც, რომლებიც სწავლულ კაცთა კომისიის მიერ გადამუშავებული ხელნაწერებიდან მომდინარეობენ და ბევრი ახალი დამატებანი და ჩანართები აქვთ.

შემდეგ თავში ავტორი გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრების" შესწავლისა და გამოცემის ისტორიას. „ქართლის ცხოვრების" მეცნიერული და კრიტიკული შესწავლის დაწყება მჭიდროდ არის დაკავშირებული XVIII საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის სახელთან. XIX საუკუნეში ეს საქმე გააგრძელა თეიმურაზ ბაგრატიონმა, ხოლო ამავე საუკუნის მეორე მეოთხედში „ქართლის ცხოვრების" შესწავლას ხელი მოჰკიდეს უცხოელმა მკვლევარებმაც (სენ-მარტენი, კლაპროტი, დიუბუა დე მონპერე, მარი ბროსე და სხვ.). XIX საუკუნის საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ამ უცხოელ მეცნიერებს შორის ლამაზიდრდა მოსაზრება, თითქოს „ქართლის ცხოვრება" მხოლოდ XVIII საუკუნეში შეითხზა ვახტანგ VI-ის დროს. მათი ასეთი მცდარი ვარაუდი გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მათ ხელთ არსებული ხელნაწერები მხოლოდ XVIII საუკუნიდან მომდინარეობდნენ (უფრო ძველი ხელნაწერები ჯერ აღმოჩენილი არ იყო) და არასწორად ხსნიდნენ ვახტანგ VI-ის ცნობილ წინასიტყვაობას. აკად. მარი ბროსეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ძველი ქართული მწერლობის გაცნობის შემდეგ პირველმა შეხედა კრიტიკულად ამ თეორიას. მალე მანვე აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების" სომხური თარგმანი, შესრულებული XII საუკუნეში. დიდია აკად. მ. ბროსეს დამსახურება სხვა მხრივაც: თეიმურაზ ბატონიშვილის, დავით ჩუბინაშვილის, პლატონ იოსელიანის დახმარებით მან გამოაქვეყნა „ქართლის ცხოვრების" ძირითადი ნაწილი, აგრეთვე მისი ფრანგული თარგმანიც. მანვე დაურთო ფართო კომენტარები და დამატებანი „ქართლის ცხოვრების" თავის გამოცემას.

„ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანის აღმოჩენამ თუ ერთი მხრივ დაადასტურა, რომ „ქართლის ცხოვრება" XVIII საუკუნეზე გაცილებით ადრე იყო შექმნილი, მეორე მხრივ საფუძველი მისცა ზოგიერთ მეცნიერს ემტკიცებინა, ქართული „ქართლის ცხოვრება" ვახტანგ VI-ის უხეირო კომპილაციაა უცნობი სომეხი ავტორის თხზულებისაო. როგორც ზემოთ მივუთითებდით, ამ გამოხდომას საკადრისი პასუხი გასცა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ. მანვე 1884 წელს აღმოაჩინა მარიამისეული „ქართლის ცხოვრება" და მოგვცა მისი პირველი კრიტიკული დახასიათება.

„ქართლის ცხოვრების" შესწავლას არა ერთი წერილი უძღვნეს და დიდი ღვაწლი დასდეს მისი გამოცემის საქმეს რევოლუციის წინაპერიოდის ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსებმა: დ. ჩუბინაშვილმა, თედო ჟორდანიამ, ექ. თაყაიშვილმა, ზ. ჭიჭინაძემ და სხვ.. „მაგრამ „ქართლის ცხოვრების" გამოცემისა და მისი კვლევა-ძიების საქმეში ნამდვილი გარდატეხა საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ მოხდა" — ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი.

აღსანიშნავია აკადემიკოსების ივ. ჯავახიშვილისა და კორ. კეკელიძის მიერ გაწეული დიდი მუშაობა ტექსტების ალსა-

დგენად და შესასწავლად. გამოქვეყნდა ცალკეული ტექსტები „ქართლის ცხოვრებაში“ შესული თხზულებებისა (ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება და ბასილ ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთა-მეფის თამარისი“ — გამოსცა აკად. ივ. ჯავახიშვილმა, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ — გამოსცა ქართულ და რუსულ ენებზე აკად. კორ. კეკელიძემ. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ — გამოსცა ექ. თაყაიშვილმა); ასევე „ქართლის ცხოვრების“ ანასეული ნუსხა ცალკე იქნა გამოცემული პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. პროფ. ილ. აბულაძემ გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი ქართული შესატყვისითა და თარგმანითურთ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით ისტორიის ინსტიტუტში მომზადდა „ქართლის ცხოვრების“ სრული კრიტიკული ტექსტი, რაც გამოქვეყნდა კიდეც ორ ტომად. ამჟამად ინტენსიურად გრძელდება „ქართლის ცხოვრების“ ყოველმხრივი შესწავლა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე, საქართველოს მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტსა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში.

სარეცენზიო წიგნის პირველი ნაწილის უკანასკნელ თავში პროფ. კ. გრიგოლია იძლევა „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკულ შეფასებას. ავტორი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობების გამოყენების დროს აუცილებელია მათდამი კრიტიკული და ფრთხილი დამოკიდებულება, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ კრებულის ავტორები ქრისტიანული იდეოლოგიით იყვნენ გამსჭვალულნი და ეს მათ მსჯელობას და ფაქტების ახსნას თუ გადმოცემას გარკვეულ დაღს ასვამდა. აგრეთვე ხშირია „ქართლის ცხოვრებაში“ მისი ავტორების მხრივ საზოგადოებრივი მოვლენებისადმი არაისტორიული მიდგომის, მათი კლერიკალური გაგება-შეფასების შემთხვევებიც. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს იმასაც, რომ „ქართლის ცხოვრების“ შინაარსი ცალმხრივი, ტენდენციური ხასიათისაა. იქ მთავარი ყურადღება ექცევა გაბატონებული კლასების წარმომადგენლების, განსაკუთრებით, მეფეების მოღვაწეობის აღწერას, ხოლო საზოგადოების დაბალ ფენებზე, მატერიალური დოვლათის მწარმოებლებზე, ე. ი. ისტორიის ნამდვილ შემოქმედზე ძალიან ცოტაა ნათქვამი. ეს ნაკლი გულისტკივილით აღნიშნა ჯერ კიდევ 1880 წელს დიდმა ილიამ: „ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული“. ეს გასაგებიცაა, „ქართლის ცხოვრება“, როგორც ფეოდალური ეპოქის ყველა ოფიციალური ძეგლი, ფეოდალთა კლასის ინტერესების დამცველი და გამტარებელი იქნებოდა. მიუხედავად ასეთი საერთო ტენდენციური ხასიათისა, „ქართლის ცხოვრებაში“ მაინც მოცემულია, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ბევრი ისეთი ცნობა, რაც მწარმოებელ საზოგადოებასა თუ საერთოდ დაბალ ფენებთან არის დაკავშირებული. აგრეთვე, „ქართლის ცხოვრების“ ავტორებს ხშირად მოეპოვებათ ისეთი მითითებანიც, რითაც ისინი წინაც უსწრებენ ფეოდალური ეპოქის ძეგლებს. მაგალითად, კლასობრივი წყობილების და საზოგადოებრივი უთანასწორობის, მათ შორის მეფობის არსებობას ისინი თავიდანვე არსებულად კი არ თვლიან, არამედ იციან, რომ საქართველოს მიწაწყალზე მეფობის გაჩენამდე გვაროვნული წყობილება იყო და სხვ.. მათს თხზულებაში გამოსჭვივის ის დაძაბული ურთიერთობა, რაც დაბალ და გაბატონებულ ფენებს შორის არსებობდა. ასეთ შემთხვევაში თვითონ ავტორები მეფისა და გაბატონებული კლასის მხარეზე არიან, ამიტომ მათი ცნობები უსათუოდ ტენდენციური და ცალმხრივი იქნება. „მხოლოდ... კრიტიკული მიდ-

გომის წყალობით შეიძლება „ქართლის ცხოვრების", როგორც დიდმნიშვნელოვანი ისტორიული წყაროს, გამოყენება საქართველოს და კავკასიის სხვა ხალხთა ისტორიის გასაშუქებლად" — ასკვნის ავტორი (გვ. 85).

სარეცენზიო წიგნის მეორე ნაწილი მიძღვნილია თვითონ „ქართლის ცხოვრების" შინაარსისადმი.

ასეთია სარეცენზიო წიგნის აგებულება და შინაარსი. როგორც ვხედავთ, ჩვენს წინაა უაღრესად საყურადღებო და საჭირო წიგნი. განსაკუთრებით მოსაწონია წიგნის პირველი ნაწილი, სადაც სავსებით გასაგებად და საინტერესოდაა გადმოცემული ქართული ისტორიოგრაფიის ურთულესი საკითხები. მაგრამ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა, განსაკუთრებით წიგნის მეორე ნაწილზე: როგორც აღვნიშნავდით, წიგნის ეს ნაწილი „ქართლის ცხოვრების" შინაარსს გადმოცემს. მაგრამ ამ საისტორიო კრებულის შინაარსის გადმოცემისას არ არის დაცული ერთიანი პრინციპი. დასაწყისში ავტორი ასახელებს და ახასიათებს თვითონ თხზულებასაც, სადაც მოცემული ფაქტებია აღწერილი, იძლევა ამ ცნობების ანალიზს, მათი მნიშვნელობის შეფასებასაც და სხვ... მაგრამ შემდეგ ავტორის თხრობა მხოლოდ „ქართლის ცხოვრების" შინაარსის უბრალო გადმოცემით იფარგლება და თვით იმ თხზულებებსაც კი აღარ ასახელებს, სადაც ეს ფაქტებია აღწერილი. ასეთი გარემოება არასპეციალისტ მკითხველში უსათუოდ გაუგებრობას გამოიწვევს. სასურველი იყო ავტორს ყველა შემთხვევაში მიეთითებინა, თუ რომელ თხზულებაშია დაცული ცნობები აღწერილი მოვლენის შესახებ და მოეცა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების მოკლე ანალიზი. ვფიქრობთ, ავტორს ამა თუ იმ თხზულების შინაარსის გადმოცემისას უსათუოდ უნდა აღენიშნა, თუ რამდენად სანდოა ეს ცნობები. მაგალითად, ავტორი სპეციალურ თავს უძღვნის ვახტანგ გორგასალის ცხოვრებას და გადმოსცემს ნახევრად ლეგენდარულ ისტორიას ისევე, როგორც ეს „ქართლის ცხოვრებაშია". სარეცენზიო წიგნის ავტორი ვახტანგ გორგასალის ისტორიას ძირითადად ჯუანშერის თხზულების მიხედვით გადმოგვცემს და არსად არ უთითებს, რომ ეს ცნობები ხშირ შემთხვევაში დაშორებულია ისტორიულ სინამდვილეს, არ ურთავს სათანადო კომენტარებს და შენიშვნებს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ავტორი „ქართლის ცხოვრების" ძირითადი ტექსტის შინაარსთან ერთად ჩანართებსაც გადმოგვცემს. ასეთია, მაგალითად, პეტრე ქართველის ცხოვრება. ავტორი საკმაოდ დაწვრილებით აშუქებს პეტრე ქართველის (იბერის) ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მაგრამ არაფერს ამბობს უახლოეს გამოკვლევებზე. ცნობილია, რომ უკანასკნელ ხანებში როგორც ჩვენთან, ისე დასავლეთის მეცნიერებაში აღიარება ჰპოვა მოსაზრებამ, რომ პეტრე იბერი ავტორია იმ ფილოსოფიური ტრაქტატებისა, რომლებიც საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების ევროპულ ფილოსოფიას და რომლის ავტორსაც აქამდე პირობითად „ფსევდო-დიონისოს" უწოდებდნენ. მართალია, პეტრეს ავტორობაზე არაფერია ნათქვამი „ქართლის ცხოვრებაში" ჩართულ თხზულებაში, მაგრამ ეს იმდენად დიდმნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მისი აღუნიშნაობა გაუმართლებელია. ახალი, საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი ფაქტებით შევსება მეტ სიცხოველეს შემატებდა „ქართლის ცხოვრების" შინაარსს და მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის იგი უფრო მიმზიდველი და გასაგები იქნებოდა. განხილულ წიგნში ასეთი შენიშვნებისა და კომენტარების დართვა ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის გადმოცემისას აუცილებლად გვეჩვენება თუნდაც იმიტომ, რომ ადგილ-ადგილ ავტორი თვითონ ურთავს დამატებითს მასალას, მაგალითად, ხალხურ ლექსებს (გვ. 152, 188), ნაწყვეტებს მხატვრული ნაწარმოებებიდან (მაგ., გვ. 162) და სხვ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ქართლის ცხოვრების" შინაარსის გადმოცემისას ყოველთვის არაა მითითებული თარიღი ან საუკუნე მაინც. მაგალითად, პეტრე ქართველის ცხოვრება ისეა მოთხრობი-

ლი, რომ მკითხველისათვის უცნობი რჩება, თუ როდის ცხოვრობდა ეს საეკლესიო პირი; ასევე, ავტორი არ უთითებს, თუ რომელ საუკუნეში უხდებოდა მოღვაწეობა ვახტანგ გორგასალს; მურვან ყრუს შემოსევის თარიღად წიგნში მითითებულია 737—739 წლები, მაშინ, როცა ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია 736 — 738 წლები (საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, მთავარი რედაქტორი აკად. ნ. ბერძენიშვილი, თბ., 1958 წ., გვ. 117) და სხვ..

ჩვენი შენიშვნა შეეხება წიგნში მოტანილი საილუსტრაციო მასალის განლაგებასაც. გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და აღვნიშნოთ ის სასიამოვნო ფაქტი, რომ სარეცენზიო წიგნი, ისევე როგორც გამომცემლობა „ნაკადულის" მიერ გამოცემული ანალოგიური ხასიათის სხვა წიგნები, გემოვნებით არის გაფორმებული და მაღალხარისხოვნად გამოცემული, მაგრამ სარეცენზიო წიგნში საილუსტრაციო მასალა უკეთ უნდა ყოფილიყო შერჩეული და სათანადოდ განლაგებული. წიგნში ხშირად ესა თუ ის სურათი მოტანილია ისე, რომ არაფრით არ უკავშირდება ტექსტის შინაარსს. მაგალითად, 61 გვერდზე მოტანილია ბოლნისის სიონის საერთო ხედი (V საუკუნის ძეგლი), ტექსტში კი მიდის მსჯელობა „ქართლის ცხოვრების" თეიმურაზისეულ ნუსხაზე.

ასეთია ჩვენი შენიშვნები და მოსაზრებანი პროფ. კ. გრიგოლიას წიგნზე — „რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება". წიგნის დიდი მნიშვნელობა და ღირსებანი უდაოა. მისი გაცნობით მკითხველისათვის გასაგები ხდება ამ უნიკალური ძველი ქართული საისტორიო ძეგლის შექმნისა და განვითარების ისტორია, აგრეთვე „ქართლის ცხოვრების" შესწავლის მდგომარეობა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით წიგნის ავტორის საბოლოო დასკვნას, რომ „ქართლის ცხოვრება" არა მარტო გარდასულ ჟამთა ამბებს მოგვითხრობს, არამედ მასთან ერთად ჩვენს დიად ეპოქასაც ეხმაურება. „ქართლის ცხოვრებას" ჩვენს ხანაში აქვს არა მარტო ისტორიულ-მეცნიერული მნიშვნელობა, არამედ გარკვეული სახელმძღვანელო-პრაქტიკული ღირებულებაც".

---

ნოდარ ასათიანი
„რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება"

ზურაბ შოშიტაიშვილი

# ჯონ სტეინბეკი ნობელის პრემიის ლაურეატია

სამოცი წლის ჯონ სტეინბეკს რომანისათვის „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ ნობელის პრემია მიენიჭა.

შვეციის აკადემიის მდივანმა ანდერს ოსტერლინგმა განაცხადა, რომ სტეინბეკს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს იმ ექვს ამერიკელ მწერალს შორის (სინკლერ ლუისი, იუჯინ ო'ნეილი, პერლ ბაკი, უილიამ ფოლკნერი და ერნესტ ჰემინგუეი), რომლებმაც ნობელის პრემია დაიმსახურეს.

ჯონ ერნესტ სტეინბეკი დაიბადა 1902 წლის 27 თებერვალს კალიფორნიის შტატის ქალაქ სალინასში. მამამისი სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე დაბრუნდა კალიფორნიაში და მონტერეის ოლქის ხაზინადარი გახდა, დედა ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი იყო. პატარა ჯონი სალინასის სკოლაში მიაბარეს. სკოლაში იგი ბევრს კითხულობდა და სკოლის გაზეთისათვისაც წერდა.

1918 წელს სტეინბეკმა დაამთავრა სკოლა და ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა ქიმიკოს-ლაბორანტად.

1919 წელს მწერალი შევიდა სტენფორდის უნივერსიტეტში. სტუდენტობის წლებში სტეინბეკი მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა და ამის გამო სამუშაოს ძებნაში ხშირად აცდენდა ლექციებს. მუშაობდა ფერმაში ხილის მკრეფავად, გზის შემკეთებლად, მეჯინიბედ, მედისონ სკვერის მშენებლობაზე მუშად და სხვ.

ფართო ასპარეზსა და სახელს მოწყურებული მწერალი 1926 წელს ნიუ-იორკში ჩავიდა. მაგრამ პირველმა ცდებმა უნაყოფოდ ჩაუარა. მოთხრობები არავინ დაუბეჭდა და უფულობის გამო იძულებული გახდა კალიფორნიაში დაბრუნებულიყო.

მხოლოდ 30-იან წლებში გახდა სტეინბეკი პროფესიონალი მწერალი. ამას ხელი შეუწყო ერთმა შემთხვევამ: ცნობილი ამერიკელი გამომცემელი პასკალ კოვისი ჩიკაგოში ყოფნისას ბუკინისტების მაღაზიაში შევიდა, რომ მატარებელში საკითხავად რაიმე წიგნი შეეძინა. მან 10 ცენტად იყიდა „ვიღაც სტეინბეკის“ წიგნი, რომელიც თურმე ადრე ორდოლარნახევარი ღირდა და რაკი არ იყიდებოდა, ჩამოეფასებინათ. ამ ნაწარმოებმა აღაფრთოვანა კოვისი და ნიუ-იორკში ჩასვლისთანავე დაურეკა იმ გამომცემლობას, რომელმაც ეს წიგნი გამოსცა. გამომცემლობაში მხოლოდ ის იცოდნენ, რომ სტეინბეკი კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს-გატოში ცხოვრობდა და რომ შვიდმა გამომცემელმა უარი უთხრა რომანის დაბეჭდვაზე. ამის შემდეგ პასკალ კოვისს ხელში ჩაუვარდა სტეინბეკის რომანი „თორტილას რაიონი“ და გადაწყვიტა გამოეცა. იგი გაემგზავრა კალიფორნიაში სტეინბეკის გასაცნობად. აი, როგორ აგვიწერს კოვისი მწერალთან შეხვედრას: „იგი სატვირთო მანქანის მძღოლს ჰგავდა: ლურჯი სამუშაო შარვალი და სვიტრი ეცვა და ქუდი ეხურა. მე შევეკითხე: — თქვენ ხართ ჯონ სტეინბეკი?

— რა ეშმაკმა მიგახვედრათ? — მიპასუხა მან.

— ვინ შეცდება თქვენს გამოცნობაში, თუ თქვენი წიგნი წაუკითხავს?"

მწერლის ნაწარმოებებიდან კოვისმა პირველად რომანი „თორტილას რაიონი" დაბეჭდა 1935 წელს. ამ წიგნმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ამერიკაში. ამის შემდეგ მწერალს ბევრი გამომცემელი გამოუჩნდა, მაგრამ ის ყველას უარით ისტუმრებდა. სტეინბეკის ლიტერატურული თანამშრომლობა „ვიკინგ პრესის" გამომცემლობასთან, რომლის რედაქტორი და გამომცემელია 70 წლის პასკალ კოვისი, უკვე ოცდაათი წელია, რაც გრძელდება. ინტერესმოკლებული არ არის ერთი შემთხვევაც. სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი დიდი წიგნის მაღაზიის მფლობელმა შესთავაზა ასეთი პირობა: იგი შეისყიდდა სტეინბეკის წიგნს, თუ მწერალი დასთანხმდებოდა დასწრებოდა მაღაზიაში გამართულ ლიტერატურულ საღამოს და ავტოგრაფებს წააწერდა წიგნებზე. სტეინბეკმა უარი განაცხადა. ის მივიდა კოვისთან და უთხრა: „ფული მეც ისე მჭირდება, როგორც თქვენ, მაგრამ მე არასოდეს არ დავარიგებ ავტოგრაფებს". სტეინბეკს ეს თავისი შეხედულება არ შეუცვლია და არასოდეს დასწრებია რომელიმე ლიტერატურულ საღამოს.

„თორტილას რაიონს" მოჰყვა სხვა ნაწარმოებები: „საეჭვო შებმა", „თაგვებსა და ადამიანებზე" და მოთხრობების კრებული სახელწოდებით „დიდი ველი". ოცდაათიან წლებში გამოცემული ეს წიგნები გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში სტეინბეკის შემოქმედება სწორხაზოვნად არ ვითარდებოდა და მწერლის შემოქმედებითი გზა წინააღმდეგობებით იყო სავსე.

1940 წელს ჯონ სტეინბეკის რომანს — „მრისხანების მტევნები" მიენიჭა პულიცერის პრემია. იგი ერთ-ერთი ძლიერი ნაწარმოებთაგანია მწერლის შემოქმედებაში. მისი ძალა კი სიმართლეშია, რომელსაც მწერალი თამამად და შეუფერადებლად გადმოგვცემს. სტეინბეკი დიდი სიყვარულით აგვიწერს რა ბეჩავად ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა სულშიც მწიფდება მრისხანების მტევნები. ამ რომანის გამოსვლამ დიდი პოლემიკა გამოიწვია. იგი [illegible] და და ითარგმნა მსოფლიოს ბევრ ენაზე. მაგრამ თვით ამერიკაში მას ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა. ოკლაჰომის კონგრესმენი ლილ ბორენი აღშფოთებული გაიძახოდა: „მე არ შემიძლია დავუშვა, რომ ამ უწმინდურმა, ცრუ და საძაგელმა ნაწარმოებმა არ მიიღოს საკადრისი პასუხი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუფალოში ვიღაც მოსამართლემ განაცხადა: ეს წიგნი დინამიტზე უფრო საშიშიაო.

იმ დროს, როდესაც სტეინბეკის მოწინააღმდეგეები ქალაქ სენტ-ლუისში მის წიგნებს წვავდნენ, გაფიცული მუშები ქალაქის ქუჩებში დაატარებდნენ ლოზუნგებს: „სტეინბეკმა სიმართლე თქვა".

ერთხანს „მრისხანების მტევნები" ამერიკის საბიბლიოთეკო ფონდიდანაც ამოიღეს. განსაკუთრებით დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა კრიტიკოსებს შორის მაშინ, როდესაც 1939 წელს ჰოლივუდის ფირმამ „ტუენტი სენჩერი ფოქსმა" მისი ეკრანიზაცია გადაწყვიტა. კინორეჟისორმა ჯონ ფორდმა ზუსტად ნაწარმოების მიხედვით გადაიღო ფილმი. ფილმში მთავარ როლს ასრულებდა ცნობილი ამერიკელი მსახიობი ჰენრი ფონდა. ამერიკის სენატის კომისიამ განიხილა და სპეციალურად შეისწავლა კალიფორნიის შტატის ხილისა და ბამბის პლანტაციებში მუშების მძიმე მდგომარეობა და დაადასტურა რომანში აღწერილი ფაქტების სიმართლე. „მრისხანების მტევნები" შეიძლება ჩაითვალოს სტეინბეკის შემოქმედების მწვერვალად, რადგან ადრეულ ნაწარმოებებში მწერალს არასოდეს გამოუხატავს ასეთი მძაფრი სოციალური პროტესტი და მხატვრული გამოთქმის ასეთი სიძლიერე.

ჯონ სტეინბეკის კალამს ეკუთვნის ოცდაათამდე ნაწარმოები: რომანები, მოთხრობები, პიესები, სცენარები, რეპორტაჟები და მგზავრის წერილები. ამ

ნაწარმოებების მესამედი სტეინბეკმა დაწერა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მწერლის ომისშემდგომი შემოქმედება მეტად საინტერესოა. სტეინბეკის შემოქმედების ჰუმანური და ანტიბურჟუაზიული პათოსი იგრძნობა მის ყოველ ნაწარმოებში. სტეინბეკი ომის დროს იყო სამხედრო კორესპონდენტი ევროპასა და აფრიკაში. ამ პერიოდში დაწერა წიგნი მფრინავებზე „ბომბები შორს" და მოთხრობა „მთვარე შემოვიდა", რომელიც ეხება ანტიფაშისტთა ბრძოლას ევროპაში.

1943 წელს ჯონ სტეინბეკი დაბრუნდა შეერთებულ შტატებში და ოჯახსმონატრებულ ფრონტელთა თხოვნით დაწერა მხიარული და გასართობი წიგნი, რომელიც სრულებით არ ეხებოდა ომის საშინელებას. მოთხრობა „კონსერვთა რიგი" დაიბეჭდა 1944 წელს ძალიან დიდი ტირაჟით და გაიგზავნა მოქმედ არმიებში. ამ წიგნს, რომელიც შეიცავდა პატარა დრამატულ და ანეკდოტურ ნოველებს, დიდი წარმატება ხვდა. სტეინბეკს მებრძოლების აღფრთოვანებული წერილები მოსდიოდა. კონსერვთა რიგი ამერიკული ქალაქის მონტერეის ერთ-ერთ რაიონს ეწოდება. ამ რაიონში ცხოვრობენ კეთილი ადამიანები — დაბეჩავებული მუშები, რომელთაც არ უყვართ მესაკუთრეები, მონაწილეობას არ ღებულობენ უწმინდურ პოლიტიკურ თამაშში და კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან. მათ ბედზე აღარავინ ფიქრობს, თუმცა მუშების მძიმე მდგომარეობა თანაგრძნობის ღირსია.

ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე ვირჯილია პეტერსონი, რომელიც საერთოდ კრიტიკულად არის განწყობილი მწერლის შემოქმედებისადმი, ამერიკულ ჟურნალში „ლაივლი არტს ენდ ბუკს რევიუ" წერდა: „ის, ვისაც ერთხელ მაინც ჩაუყვინთავს ჩვენი აყვავებული საზოგადოების ტალღებში, ვერ უარყოფს, რომ ამ საზოგადოების წყლები სავსეა ზვიგენებით. თვით ზვიგენებიც კი ვერ შემოგვედავებიან, რომ დღეს ამერიკაში პატიოსნება ჰკარგავს რეპუტაციას".

1944-45 წლებში სტეინბეკმა დაწერა შემდეგი ნაწარმოებები: „მარგალიტი", „გზააბნეული ავტობუსი", „ნათლად მოკაშკაშე", „სამოთხიდან აღმოსავლეთით" და გამოსცა „რუსული დღიურები", რომელიც ეხებოდა სტეინბეკის მოგზაურობას საბჭოთა კავშირში (იყო საქართველოშიც) 1947 წელს. ამ დღიურებში ჩანს, რომ მწერალს ნათლად ვერ შეუგნია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური სისტემა და იდეოლოგია. ეს გასაკვირიც არ არის. წიგნში იგრძნობა, რომ სტეინბეკი ზერელედ იცნობს საბჭოთა ხალხის ცხოვრებას. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს მწერლის სიმპატიები საბჭოთა ხალხისადმი. დღიურს ასეთი დაბოლოება აქვს: „...საერთოდ ჩვენ ვნახეთ ის, რასაც ველოდით. ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რასაც ადრე ვვარაუდობდით... ისინი უაღრესად სიმპატიურები არიან. მათ ომი არ სურთ და ის უნდათ, რაც სხვა ხალხებს: კარგი ცხოვრება და მომავლის რწმენა".

სტეინბეკი რომანში „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა", გვიხატავს გმირს — ითენ ჰოულის, რომელიც იძენს ქონებას, მაგრამ ჰკარგავს ადამიანურ სახეს. მწერლის მთავარი თემაა სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაში ადამიანის მორალური სახისა და პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის ასახვა. მწერალს სჯერა, რომ ადამიანი ზნეობრივი ძლიერებითა და ხასიათის სიმტკიცით დასძლევს ბოროტებას. როდესაც სტეინბეკს ჰკითხეს, რომანის მთავარი თემა რა არისო, მან უპასუხა — ამორალობაო. ეს აზრი მწერალმა ასე განმარტა: „ამ ქვეყნად კაცი, იმისათვის რომ თავი გადაირჩინოს, არასოდეს არ უნდა წავიდეს დათმობაზე, მხოლოდ თავისი კეთილდღეობისათვის არ უნდა იბრძოდეს და ყველაფერზე ხელი არ უნდა ჩაიქნიოს. ასე ემართება ერსაც. თავისი ბუნებით ადამიანები უზნეონი არ არიან. ისინი ესწრაფვიან უმწიკვლო პატიოსნებას, მაგრამ ამისათვის საჭიროა გამბედაობა, რომელიც შესაბამის მომენტში უნდა გამოიჩინოს ადამიანმა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ახლახან გამოვიდა ჯონ სტეინბეკის კიდევ ერთი წიგნი „მოგზაურობა ჩარლისთან ერთად ამერიკის საძებნელად“. მშობლიური ქვეყნის დასათვალიერებლად გზაზე დამდგარი მწერლის ერთადერთი თანამგზავრია მისი მეგობარი ჩარლი — დაბერებული პუდელი, რომელიც უჩვეულოდ შორსმჭვრეტელია. წიგნში მწერალი მოგვითხრობს შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, მათთან საუბარს მომავალ ცხოვრებაზე, მშობლიურ ქვეყანაზე. ჩიკაგოში ის ელაპარაკება პატარა მაღაზიის მფლობელს და აძლევს კითხვას, რომელიც მას მოსვენებას არ აძლევს: „რატომ აღარ განიხილავენ ამერიკელები საზოგადოებრივ საქმეებს ისე გაფთრებით, როგორც წინათ?“

„ნიუ-იორკ ტაიმს ბუკ რევიუს“ რეცენზენტი წერდა, რომ „ამერიკა, რომელსაც სტეინბეკი ხედავს, არ ჰგავს სამოციანი წლების ნამდვილ შეერთებულ შტატებს“. ის აქვე გვიხსნის მიზეზს: „მანქანის საუკუნე“ სულ უფრო და უფრო იწვევს მწერლის უკმაყოფილებას. იმიტომ ხომ არა, რომ ის დევნის ადამიანში ჭეშმარიტ ადამიანობას და შლის მის ინდივიდუალობას? და აბა ვის უნდა აწუხებდეს, თუ არა მწერალს, თავისი საყვარელი ქვეყნის ბედი?“

მეტად საინტერესოა გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნში“ მოთავსებული სტატია, რომელიც იმ დღეებში გამოქვეყნდა, როცა სტეინბეკს ნობელის პრემია მიანიჭეს: „ჯონ სტეინბეკი, რომელიც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ მეკობრეს წააგავს, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე უფრო თავმდაბალი მწერალია. ნობელის პრემიის მიღების დღეს ის ნამდვილად გმირი იყო. სტეინბეკი მხოლოდ ერთადერთ პრესკონფერენციაზე გამოვიდა, რომელიც მოაწყო გამომცემლობა „ვიკინგ პრესმა“. ამ პრესკონფერენციაზე მწერალი ისე ხმადაბლა ლაპარაკობდა, რომ მისი ხმა ოთახის მეორე კუთხეში არ ისმოდა. სტეინბეკი რეპორტიორებით იყო ალყაშემორტყმული.

— რას გრძნობთ, ნობელის პრემია რომ მოგენიჭათ?

— ნასიამოვნები ვარ.

— როგორი იყო თქვენი პირველი რეაქცია, როცა ნობელის პრემიის მინიჭების ამბავი შეიტყვეთ?

— არ დავიჯერე.

— რა ქენით, როცა ეს შეიტყვეთ?

— დავლიე კიდევ ერთი ჭიქა ყავა.

— რომელია თქვენი საყვარელი წიგნი?

— ის, რომელსაც ახლა ვწერ.

— რას წერთ?

— თუ ვიტყვი, ვერასოდეს ვერ დავწერ.

— როგორ ფიქრობთ, აღელვებთ თუ არა თანამედროვე მწერლებს სოციალური სამართლიანობის პრობლემა?

— თუ არ აღელვებთ, უნდა აღელვებდეთ.

— პრაქტიკულად როგორ წერთ?

— კალმით.

— ხშირად წერთ?

— ექვსჯერ კვირაში, ხანდახან შვიდჯერ.

— რა არის თქვენი აზრით მწერლის მთავარი ამოცანა?

— კრიტიკა. (და განმარტა) მწერლის ამოცანაა კრიტიკა. მაგრამ მწერალს უფლება აქვს არ დაეთანხმოს კრიტიკოსებს, განსაკუთრებით, თუ მან ზუსტად იცის, რომ მათ არც კი წაუკითხავთ ნაწარმოები, რომელსაც ისინი აკრიტიკებენ.

— ვინ არიან თქვენი საყვარელი მწერლები?

— ფოლკნერი და ჰემინგუეი.

— თვითონ რატომ წერთ?

— შესაძლოა ეს რაღაც ნერვიული იმპულსია, მაგრამ მე ეს მომწონს.

(ათი წელია, რაც მწერალი ცხოვრობს საგ-ჰარბორში, ლონგ-აილენდზე).

— რატომ ცხოვრობს სტეინბეკი საგ-ჰარბორში?

— იქ წყალია. მე კი მიყვარს წყალი.

---

ზურაბ შოშიტაიშვილი
ჯონ სტეინბეკი ნობელის პრემიის ლაურეატია

ნავები, თევზაობა და კიდევ მიყვარს მარტოდ ყოფნა, — მან ღიმილით მოავლო თვალი დამსწრეთ და დაუმატა: — ნუ მიწყენთ".

1962 წლის 10 დეკემბერს სტოკჰოლმის საკონცერტო დარბაზში სტეინბეკს გადასცეს ნობელის პრემია. მწერალმა დიდი მადლობა გადაუხადა იქ დამსწრეთ მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ასეთი მაღალი შეფასებისათვის. მან თქვა: „რაკი ჩვენ ღვთაებრივი მეუფება ვიკისრეთ, ჩვენ უნდა ვპოვოთ ჩვენს თავში ის პასუხისმგებლობა და სიბრძნე, რომელსაც ოდესღაც ყოვლისშემძლე ღმერთს მივაწერდით. ადამიანი არის ჩვენი უდიდესი საფრთხეც და ჩვენი ერთადერთი იმედიც. ლიტერატურა არ ვრცელდება ულიმღამო, გამოფიტული კრიტიკოსებით — ქურუმებით, რომლებიც თავის ლიტანიას სალოცავებით ასრულებენ. ის არც განმარტოებულ რჩეულთა გასართობია".

დასასრულ სტეინბეკმა განაცხადა, რომ ნობელის პრემია ავალდებულებს მას „კი არ იწრიპინოს, როგორც მადლიერმა და მოკრძალებულმა თაგვმა, არამედ იბრდღვინოს, როგორც ლომმა, იამაყოს თავისი პროფესიით, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ემსახურებოდა ადამიანთა დიად მოდგმას".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპოლონ აპალიანი

# უსაზღვრო ენერგიის წყარო

დასაბამიდან წყალი ადამიანისათვის სიცოცხლის სიმბოლო იყო. სადაც წყალია, იქ სიცოცხლეა. ძველ ბერძნებს იგი ყველაფრის საწყისად მიაჩნდათ. წყალი ჩვენთვის ისევე აუცილებელია, როგორც ჰაერი. 12%-ზე მეტი წყლის დაკარგვა ადამიანის დაღუპვას იწვევს. უჭმელობას ადამიანი ერთ თვემდე უძლებს, უწყლოდ კი რამდენიმე დღეს თუ გაატანს. თვით კბილის მინანქარიც კი შეიცავს წყალს.

ერთი შეხედვით, თითქოს პარადოქსულიც შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ დედამიწაზე არსებული სიცოცხლის მრავალფეროვნება, უწინარეს ყოვლისა, წყლის სწორედ იმ თვისებებს უნდა უმადლოდეს, რომლითაც იგი ძირეულად განსხვავდება სხვა ბუნებრივი ნივთიერებებისაგან.

— რა განსაკუთრებული თვისებები უნდა ჰქონდეს წყალს? — ალბათ გაიკვირვებს ბევრი.

აბა წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, გამყარებისას წყლის კუთრი წონა თითქმის ყველა სხვა ნივთიერების კუთრ წონასავით რომ მატულობდეს? ყინული წყლის ზედაპირზე აღარ იტივტივებდა და ჩაიძირებოდა. მდინარეები, ტბები და ზღვები პირველივე თოშის დროს მთლიანად გაიყინებოდა და ასევე დარჩებოდა. ჩვენდა საბედნიეროდ, წყალი რამდენიმე სხვა ნივთიერებასთან ერთად (ბისმუტი, ანთიმონი, გალიუმი, თუჯი, პარაფინი) ამ მხრივ ბუნების საოცარ გამონაკლისს წარმოადგენს. გაყინვისას წყლის მოცულობა შეკუმშვის ნაცვლად დაახლოებით 10%-ით ფართოვდება, „მსუბუქდება", იცავს მის ქვედაფენებს შემდგომი გაყინვისაგან [1].

წყლის გაყინვის მომენტში სწრაფად ვითარდება უზარმაზარი წნევები, რის გამოც იგი ადვილად ხეთქავს დახშულ ჭურჭელს. კლდის ნაპრალში ჩარჩენილი წყლის გაყინვა, მაგალითად, დიდი ლოდების მოგლეჯას იწვევს.

საინტერესოა წყლის მეორე ანომალიაც: წნევის გაზრდით მისი გაყინვის ტემპერატურა შემცირების ნაცვლად ყოველ 130 ატმოსფეროზე ერთი გრადუსით იზრდება. ამიტომ არის, რომ ციგურებით სრიალი ყინულზე შეიძლება, მინაზე კი არა: სხეულის წონა დიდ წნევას ავითარებს ციგურის ბასრ ნაპირზე, რის შედეგადაც იმ ადგილას ყინული დნება.

ამავე მიზეზით ოკეანეთა ჯურღმულებში, სადაც მზის სხივები ვერასოდეს აღწევს და ამიტომ ტემპერატურა ნულ გრადუსზე დაბალი შეიძლება იყოს, მაღალი წნევის გამო წყალი არასოდეს არ იყინება.

---

[1] მაგრამ ეს კანონზომიერება მართებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც წნევა 2000 ატმ. არ აღემატება. უფრო მაღალ წნევაზე კი მიიღება ყინულის სხვა სახესხვაობანი — ე. წ. ყინული II, III, V და VI. მათი კუთრი წონა მეტია, ვიდრე წყლისა, მაშასადამე, ასეთი ყინული წყალში იძირება! საინტერესოა ისიც, რომ 20000 ატმ. წნევაზე მიიღება ყინული, რომელიც დნება არა 0°-ზე, არამედ... 80°-ზე.

მაგრამ წყლის თავისებურებანი აღნიშნულით არ ამოიწურება. მისი ერთი გრადუსით გათბობა, მაგალითად, 30-ჯერ მეტ სითბოს მოითხოვს, ვიდრე ტყვია და 9-ჯერ მეტს, ვიდრე რკინა!

ზოგს შეიძლება გაუკვირდეს—რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს იმას, ადვილად თბება წყალი თუ არაო. მაგრამ ამ მოვლენის სიღრმეში თუ ჩავიხედავთ, მეტად საინტერესო შედეგებს შევამჩნევთ. სწორედ ამ თვისებით არის გაპირობებული, მაგალითად, ჩვენი პლანეტის კლიმატი. ნიადაგი ზაფხულში ჩქარა ცხელდება, მაგრამ ასევე ჩქარა კარგავს მზისაგან მიღებულ სითბოს და ადვილად ცივდება. ოკეანეები და ზღვები კი, რომელთაც დედამიწის ზედაპირის თითქმის სამი მეოთხედი უჭირავთ (71%), სითბოს უზომო რაოდენობას შთანთქავენ. ამ დროს წყლის ტემპერატურა შედარებით ნაკლებ მატულობს; ზამთრის თვეებში წყლის ზედაპირი ნელნელა ათბობს ჰაერს, არბილებს ჰავას, უფრო თანაბარს ხდის და არეგულირებს მის ტემპერატურას.

ამ მხრივ ყინულიც საკმაო თავისებურებით გამოირჩევა: ერთი გრამი ყინულის გასალღობად 13-ჯერ მეტი სითბოა საჭირო, ვიდრე ერთი გრამი ტყვიის გასადნობად. ყინულის ძნელდნობადობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ხმელეთის 11% (ანტარქტიდა, გრენლანდია, არქტიკა) მუდმივი ყინულის სქელი ფენით არის დაფარული, ზამთრის თვეების რაოდენობა კი 25-30% აღწევს. ძნელი სავარაუდოა, რანაირი დამანგრეველი წყალდიდობა იქნებოდა ყოველ გაზაფხულზე, ყინულიც ისე ადვილად რომ დნებოდეს, როგორც, მაგალითად, ტყვია დნება!

სითბოს დიდი რაოდენობაა საჭირო წყლის ასაორთქლებლადაც. წარმოსადგენადაც კი ძნელია, თუ რა უზომო რაოდენობის წყალი ორთქლდება არა მარტო ზღვებიდან და ოკეანეებიდან, არამედ ხმელეთიდანაც — მცენარეებისა და სხვათა საშუალებით. გამოთვლილია, რომ აორთქლილი წყლის რაოდენობა დღეღამეში აღწევს 1,1 მლნ კმ³. ვინ იცის, რამდენი ენერგიაა თავმოყრილი ღრუბლებში!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იცის რამდენი მილიარდი ტონა ნავთი უნდა დაგვეწვა, რომ ასეთი ძალის ენერგია მიგვეღო. წყლის ეს უზარმაზარი რაოდენობა შემდეგ წვიმის სახით კონდენსირდება ზღვების დაშორებით, დედამიწის უფრო ცივ სარტყელში და უკანვე გამოყოფს აორთქლებაზე დახარჯულ სითბოს. მაშასადამე, წყლის საშუალებით ხდება დიდი რაოდენობის სითბოს გადატანა დედამიწის ერთი ნაწილიდან მეორეში, რაც აგრეთვე დადებითად მოქმედებს ტემპერატურის რეგულირებაზე. წყლის ამ თვისებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს ტექნიკის ბევრ დარგში სითბოს გადაცემისა და სხვა მიზნებისათვის.

ვერც ერთი ბუნებრივი ნივთიერება ვერ შეედრება წყალს, როგორც გამხსნელს. არაფერში არ იხსნება იმდენი ნივთიერება, რამდენიც წყალში.

იგი ხსნის არა მარტო უამრავ სითხეს, მარილებსა და სხვა ნივთიერებებს, არამედ აირებსაც. ყოველ ლიტრ წვიმის წყალში, მაგალითად, 25 სმ³ ჰაერია გახსნილი, აქედან ჟანგბადი უფრო მეტი, ვიდრე აზოტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ზღვის წყალი, რომელშიაც ხუთ ათეულამდე ქიმიური ელემენტია. მასში საშუალოდ 35 გ/ლ მყარი ნივთიერებაა გახსნილი, უმთავრესად სუფრის მარილი და ბიშოფიტი — მაგნიუმის ქლორიდი[1]. უკანასკნელის გადამუშავების შედეგად მიიღება ერთ-ერთი „მფრინავი ლითონი" — მაგნიუმი, რომლის ალუმინთან შენადნობი გახდა ძირითადი მასალა ავიაციის განვითარებისათვის.

წყალი რომ საუკეთესო გამხსნელია, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ მცენარის, ცხოველისა თუ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ყველა სასიცოცხლო პროცესი მისი საშუალებით ხორციელდება. ცილა, სახამებ-

[1] აღსანიშნავია, რომ შავი ზღვა ორჯერ უფრო ღარიბია მარილებით, ვიდრე სხვა ზღვებისა და ოკეანეების წყალი. მკვდარი ზღვა კი 20 გ/ლ მარტო სუფრის მარილს შეიცავს!

ლი და სხვა საკვები ნივთიერებანი ჯერ ხსნად მდგომარეობაში გადაჰყავთ უჩინარ დევგმირებს — ფერმენტებს და მხოლოდ შემდეგ ხდება მათი ათვისება. წყლის საშუალებით ხდება სხეულის ტემპერატურის მკაცრი რეგულირებაც.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: წყალი ორგანულ ნივთიერებებთან რეაგირებს ჰიდროლიზის პროცესში. ჰიდროლიზი იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ ენერგიის მეტად უმნიშვნელო გარდაქმნას მოითხოვს. ეს გარემოება მრავალმხრივ განაპირობებს იმ საკვირველ მოვლენას, რომ საკვები ნივთიერების წვა ორგანიზმში ჩვეულებრივ ტემპერატურაზე მიმდინარეობს.

ნივთიერებათა ცვლა და ისეთი მაღალგანვითარებული ორგანიზმის წარმოქმნა, როგორიც ადამიანია, დამოკიდებულია წყლის კიდევ ერთ განსაკუთრებულ თვისებაზე — უმცირეს კაპილარებში მისი შეღწევადობის უნარზე. ამავე თვისების გამო წყალი ღრმად, 13—14 კილომეტრზე იჭრება მიწის ქერქში [1]. აკად. ვ. ვერნადსკის თქმით, ჩვენ არ ვიცით არც ერთი მყარი სხეული, რომელიც ამა თუ იმ რაოდენობით არ შეიცავდეს წყალს. იგი განაპირობებს ურთულეს გეოლოგიურ ძვრებს — მინერალების დაშლას, ახალთა წარმოქმნას და სხვ.; წყალი არის მიზეზი ჩვენი პლანეტის ზომისა და ლანდშაფტის ცვალებადობისა. ზოგიერთების ვარაუდით, დედამიწა მრავალი მილიარდი წლის წინათ ორჯერ მცირე იყო, ვიდრე ამჟამად არის, ხოლო მისი ზედაპირი მხოლოდ ხმელეთს ეკავა. ამის საბუთად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ახლანდელი მატერიკები ბევრ შემთხვევაში ერთმანეთთან ძალით დაცილებული კუნძულების შთაბეჭდილებას ქმნის. სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთი სანაპირო, მაგალითად, ზუსტად „ედგმება“ აფრიკის დასავლეთ სანაპიროს. გაკვირვებას იწვევს ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს მსგავსება დაშორებულ მატერიკებზე და სხვ. ალბათ წყლის წარმოქმნამ დედამიწაზე და მიწის წიაღში შეჭრამ სხვა მძლავრ გეოლოგიურ პროცესებთან ერთად გამოიწვია ზედაპირული ბზარების გაჩენა. ასეთ ბზარებს ათასკილომეტრიანი ნაპრალების სახით მეცნიერებმა მიაკვლიეს ოკეანეთა ფსკერზე.

წყლის მოუღალავ საქმიანობას უნდა მიეწეროს ისიც, რომ ოდესღაც ჰიმალაისა და კავკასიონივით გოროზი ურალის მთები თუ სხვა უმაღლესი ქედები დაიშალა და მცირე გორაკებად გადაიქცა, შემდეგ კი ალბათ გავაკდება და ვინ იცის, როგორ დაღარავს მდინარეები და რა ხეობები წარმოიქმნება! რაც დრო გადის, მდინარეები უფრო და უფრო მიიკვლევენ გზას მიწის გულისაკენ! ამის მიხედვით ანგარიშობენ მდინარის ასაკსაც. მტკვარი, მაგალითად, ორჯერ უფრო „ახალგაზრდაა“, ვიდრე ხრამი.

წყლის დამანგრეველი მოქმედების მოწმენი ახლაც ხშირად ვართ. გავიხსენოთ თუნდაც არც ისე დიდი ხნის წინათ მომხდარი ჩილის მიწისძვრა, როდესაც ოკეანემ ჯერ ორი-ორნახევარი კილომეტრით დაიხია ნაპირიდან, ხოლო შემდეგ, თითქოს ძალა მოიკრიბაო, რისხვად დაატყდა თავს ჩილის სანაპირო დასახლებულ ადგილებს.

ასეთი მიწისძვრების შემდეგ წარმოქმნილი უზარმაზარი ტალღები წყნარ ოკეანესაც კი გადასერავენ ხოლმე. მაშინ ეს ოკეანე სრულებითაც არ არის „წყნარი“ და მისი ტალღები ე. წ. „ცუნამების“ სახით ეხეთქებიან იაპონიის ნაპირებს, კურილის კუნძულებს...

ცხადია, ადრეულ გეოლოგიურ ეპოქებში მსგავსი პროცესები კიდევ უფრო მძაფრად ვითარდებოდა. ვინ იცის, რამდენ ზღაპრულ ატლანტიდას გადააფარეს თავისი ბნელი კალთა ოკეანეთის ჯურღმულებმა! მაგრამ წყალი მხოლოდ მრისხანე ბატონი არ არის, იგი ადამიანის მსახურიცაა. მისმა განსაკუთრებულმა თვისებებმა განაპირობა ტექნიკის მრავალი დარგის აღმოცენება და პროგ-

[1] უფრო ქვევით, 55—60 კმ სიღრმეზე, წყალი უკვე ორთქლის სახით გვაქვს.

რესი. თითქოს სიმბოლიურია, რომ ჩვენი ზომა-წონის ერთეულების განსაზღვრაც კი წყლის ფიზიკური მახასიათებელი წერტილების მუდმივობიდან გამომდინარეობს. ასეთებია არა მარტო საყოველთაოდ აღიარებული ტემპერატურული სკალის დასაწყისი (0°) და 100°, არამედ ის ცნებებიც, რომლებიც გრამის, კალორიისა და სხვა ძირითადი ერთეულების განსაზღვრას ეხება. წყალი არის ტექნოლოგიური პროცესების საფუძველი ქიმიურ, კვების, ფარმაცევტულ და ვინ მოსთვლის, მრეწველობის კიდევ რამდენ უმნიშვნელოვანეს დარგში. ბევრ მათგანში წყლის ხარისხი პროდუქციის სახეობასაც განაპირობებს. მიუნხენის ლუდი, მაგალითად, იმიტომ კი არ არის მუქი ფერისა, რომ ასეთი მოსწონთ მომხმარებლებს, არამედ იმიტომ, რომ იქაური წყლისაგან სხვა ფერი არ გამოდის.

წყლის ორთქლის მეშვეობით საწვავის თბური ენერგია მექანიკურ და ელექტროენერგიად შეიძლება გარდავქმნათ. ამ მხრივ თვით ატომბირთვული რეაქტორებიც არ წარმოადგენენ გამონაკლისს. უფრო მეტიც — წყალი იქ გამოყენებულია სხვა მიზნებისათვისაც. მას იყენებენ ბიოლოგიურ დამცველად და ნეიტრონების შემნელებლად. ორივეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ატომბირთვული ენერგეტიკის განვითარების საქმეში.

წყალი ამოძრავებს ჰიდროელექტროსადგურების ტურბინის ფრთებს და მილიონობით ცხენისძალის სიმძლავრეს იძლევა. წყლის ენერგიით განსაკუთრებით მდიდარია საბჭოთა კავშირი — მსოფლიო მარაგის 1/6 აქ არის თავმოყრილი. ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება არა მარტო „თეთრი", არამედ „ლურჯი ნახშირის" (ზღვის ტალღების) უდიდესი ენერგიის გამოყენებაც.

მაგრამ წყალი თურმე სხვა ისეთ მედგარ ძალასაც ფარავს, რომელთან შედარებით ენერგიის ამჟამად ცნობილი დანარჩენი წყაროები არარაობად გვეჩვენება.

ეს გარემოება კაცობრიობისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ენერგიის ნაკლებობის აჩრდილი ამჟამად უკვე საკმაოდ გარკვევით ისახება ჰორიზონტზე. გამოანგარიშებულია, მაგალითად, რომ დედამიწაზე არსებული და ადამიანისათვის ხელმისაწვდომი საწვავის — ნახშირის, ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ტორფის მარაგი განსაზღვრულია და 1500 მილიარდ ტონას არ აღემატება. ენერგიის მოხმარების სავარაუდო ტემპებით ზრდის შემთხვევაში საწვავის ეს რაოდენობა კაცობრიობას ერთი საუკუნის მანძილზეც კი არ გასწვდება. ასე, რომ მისი ნაკლებობა უახლოეს ათეულ წლებში საგრძნობი გახდება. მართალია, ადამიანმა გაბედული ნაბიჯი გადადგა ატომბირთვული ენერგიის დამორჩილების საქმეში, ხოლო შესაფერისი ნედლეულის — ურანისა და თორიუმის მარაგი ორი-სამი საუკუნე შეიძლება გამოვიზოგოთ, მაგრამ რა არის ორი-სამი საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში? ამასთანავე ამ ტიპის საწვავი მეტად არათანაბრადაა განაწილებული დედამიწაზე. ესეც რომ არ იყოს, რადიაქტიური დაშლის შედეგად გროვდება ძლიერ შხამოვანი ნარჩენები, რომელთა უვნებელყოფა თითქმის შეუძლებელია. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები რომ მხოლოდ ატომბირთვული ენერგიის გამოყენებაზე გადავიდეს, რადიოაქტიობა ყოველწლიურად იმდენად გაიზრდება, რამდენიც 200000 ატომური ბომბის აფეთქებამ შეიძლება გამოიწვიოს!

მაშ რითი უნდა დააკმაყოფილოს მომავალში კაცობრიობამ თავისი მზარდი მოთხოვნილება ენერგიის წყაროებზე? ხომ არ არის იგი წინასწარ განწირული ამ მხრივ? ცხადია, საჭირო არის ვიზრუნოთ მზის „ჩამოსაყვანად" დედამიწაზე, უფრო სწორედ, იმ პროცესების ჩვენთვის ხელსაყრელი მასშტაბებით განხორციელების შესაძლებლობაზე, რაც ბუნებრივ პირობებში მზესა და სხვა ვარსკვლავებზე მძვინვარებს ზემაღალი ტემპერატურისა და წნევების შემწეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესების ბუნებას ფიზიკოსებმა კიდევ უფრო ადრე მიაკვლიეს, ვიდრე ატომბირთვული ენერგიის დაუფლება მოხერხდებოდა.

მათი განხორციელება გაცილებით თავსამტვრევი გამოდგა, ვიდრე მძიმე ატომბირთვების დაშლის ჯაჭვურ-ბირთვული რეაქცია, ამ დროსაც, როგორც ვიცით, ენერგიის დიდი რაოდენობა გამოიყოფა და მისი მოთოკვა რამდენადმე ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება.

მაგრამ მეცნიერებს სურთ ფანტაზიის საზღვარს გადააბიჯონ. დამტკიცდა, რომ მსუბუქი ელემენტების ატომბირთვების შერწყმის თერმობირთვული სინთეზის რეაქციის დროს გამოყოფილი ენერგია მძიმე ატომბირთვების გახლეჩის შედეგად მიღებულ ენერგიაზე უსაზღვროდ მეტია.

— მაგრამ რა შუაშია აქ წყალი?

წყალი, როგორც ვიცით, ორი მარტივი ელემენტის, ჟანგბადისა და წყალბადის ქიმიური ნაერთია. ორივე გამოირჩევა თერმოქიმიური თვისებებით, იმ სითბოთი, რომელსაც პირველი სხვა ელემენტებთან შეერთებისას, ხოლო მეორე — თავისი დაჟანგვის დროს გამოყოფს. პირველი რეაქცია (დაჟანგვისა) არის ენერგიის მიღების საუკეთესო ქიმიური წყარო, ხოლო მეორე რეაქცია (აღდგენისა) ენერგიის ქიმიურად შებოჭვის საუკეთესო საშუალებაა.

მაგრამ როდესაც თერმობირთვულ რეაქციებსა და ენერგიით კაცობრიობის უზრუნველყოფაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს წყლის შემადგენელი ელემენტის—წყალბადის სხვა თვისებები. სწორედ მათი შერწყმის შედეგად შეიძლება მოველოდეთ თერმობირთვული რეაქციის განხორციელებას, ვინაიდან მძიმე ატომბირთვების სინთეზი, როგორც გათვლებმა აჩვენეს, ისეთ უსაზღვროდ მაღალ ტემპერატურას მოითხოვს, რომელიც ბუნებაში საერთოდ არ შეიძლება არსებობდეს.

მართალია, ეს საზღაპრო რეაქცია უფრო მიზანშეწონილია განხორციელდეს არა უბრალო წყალბადით, არამედ მისი მძიმე იზოტოპით — დეითერიუმით[1], რომელიც წყალში შედარებით მცირე რაოდენობითაა, მაგრამ ბუნებაში წყლის ფართოდ გავრცელების გამო დეითერიუმის საერთო რაოდენობაც დიდია. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ დეითერიუმის ყოველი კილოგრამი ~ 10000 ტონა ქვანახშირის ტოლფასია, ადვილი მისახვედრია, რომ „საწვავის" ამ სახეობაში მოცემული ენერგიის მარაგს საიმედოდ შეუძლია უზრუნველჰყოს კაცობრიობა.

მაგრამ რამდენადაც გრანდიოზული და წარმტაცია პერსპექტივები, იმდენად დიდია თერმობირთვული პროცესის ჩვენი ნებით მართვის სიძნელე. საკმარისია აღვნიშნოთ თუნდაც ის, რომ ასეთი რეაქციის დაწყებისა და მიმდინარეობისათვის საჭიროა ზემაღალი ტემპერატურა არანაკლებ რამდენიმე ასეული მილიონი გრადუსისა. შედარებისათვის შეიძლება გავიხსენოთ, რომ ხიროსიმაზე ჩამოგდებული ატომური ჭურვის აფეთქებისას ცეცხლოვანი ბირთვის შუაგულში ტემპერატურა „სულ რაღაც" 60 მილიონ გრადუსს არ აღემატებოდა!

მაგრამ რისთვის არის საჭირო ასეთი წარმოუდგენელი ტემპერატურა?

როგორც ვიცით, ატომის თითქმის მთელი მასა თავმოყრილია ერთ წერტილში — მის ბირთვში. ატომბირთვს გარს აკრავს უარყოფითი ელექტრონები, რომლებიც სხვადასხვა ორბიტზე მოძრაობენ, დაახლოებით ისე, როგორც პლანეტები მზის გარშემო. ყველაზე მარტივი აგებულება ელემენტებს შორის აქვს წყალბადს, რომლის მსუბუქ (ერთპრო-

[1] ბუნებაში წყალბადის სამი სახესხვაობა (იზოტოპი) გვაქვს: საკუთრივ წყალბადი — ერთი პროტონით ატომგულში, „მძიმე" წყალბადი, დეითერიუმი, რომლის ატომბირთვში პროტონთან ერთად ნეიტრონიცაა და ამიტომ თითქმის ორჯერ მძიმეა წყალბადზე; „ზემძიმე" წყალბადი — ტრიტიუმი პროტონითა და ორი ნეიტრონით ატომბირთვში.

ტონიან) ბირთვს ერთი ელექტრონი უვლის გარშემო. თერმობირთვული სინთეზის განსახორციელებლად საჭიროა ბირთვების ურთიერთშეჯახება, მაგრამ ისინი დადებითად არიან დამუხტულნი და ერთმანეთს განიზიდავენ. ტემპერატურის აწევის შედეგად ელემენტარული ნაწილაკების სიჩქარე იმდენად იზრდება, რომ ზემაღალ ტემპერატურაზე ელექტრონები შეიძლება მოწყდნენ კიდევაც თავიანთ ორბიტებს. წარმოიქმნება ნივთიერების განსაკუთრებული მეოთხე მდგომარეობა—იონიზებული ელექტრონულ-ბირთვული აირი, რომელსაც პლაზმა შეარქვეს. პლაზმა არის თავისუფალი ატომბირთვებისა და ელექტრონების ნარევი. თუ ტემპერატურა ათეულ და ასეულ მილიონ გრადუსს აღემატება, როგორც ეს ჩვენი მზისა და სხვა ვარსკვლავების შიდა არეებში გვაქვს, მსუბუქი ატომის ბირთვები ძრაობის ისეთ მაღალ სიჩქარეს იძენენ, რომ შესაძლებელია მათი ურთიერთგანზიდულების ძალების გადალახვა და ისეთი შეჯახება, რომელიც მათს შერწყმას (სინთეზს) გამოიწვევს. ამ დროს მასის ნაწილი გადადის ენერგიის უსაზღვრო რაოდენობაში. 30 გრამი ჰელიუმის წარმოქმნას, მაგალითად, წყალბადის მეშვეობით იმდენივე ენერგიის მოცემა შეუძლია, რამდენსაც დნეპრჰესი გამოიმუშავებს მთელი წლის განმავლობაში!

თერმობირთვული ენერგიის მოთოკვა სამარადისოდ გადაჭრის ენერგიის პრობლემას კაცობრიობისათვის. მომავალი ელექტროსადგურების ძირითადი საწვავი ალბათ იქნება წყალბადის მძიმე იზოტოპი — დეითერიუმი, რომელიც ბუნებრივ წყალსაცავებში თუმცა მცირე რაოდენობითაა (დეითერიუმის ერთი ატომი ჩვეულებრივი წყალბადის 5000 ატომზე), მაგრამ სითბოს წარმოქმნის ისეთი კოლოსალური უნარი აქვს, რომ ერთი ლიტრი ჩვეულებრივი წყალი 350 ლიტრი პირველხარისხოვანი ბენზინის ტოლფასად არის მიჩნეული!

წყალს კი, როგორც აღვნიშნეთ, დედამიწის ზედაპირის 71% უჭირავს. თუ წარმოვიდგენთ, რომ წყლის მთელი მასა თანაბრად არის განაწილებული დედამიწის ზედაპირზე, წარმოქმნილი უკიდეგანო ოკეანის სიღრმე თითქმის სამი კილომეტრი იქნებოდა! ამიტომ მძიმე წყალბადი — დეითერიუმი მცირე შემცველობის მიუხედავად, წყლის საერთო მასაში დიდი რაოდენობითაა (25 000 მილიარდი ტონა) და მის „დაწვას" უსაზღვრო ენერგია შეუძლია მოგვცეს. კაცობრიობამ ენერგიის მოხმარების ტემპები თუნდაც ასჯერ რომ გაზარდოს, დეითერიუმის მარაგი მილიარდი წლების მანძილზე ეყოფა.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ თერმობირთვულ რეაქტორებში არავითარი მავნე ნარჩენები არ გამოიყოფა. ხოლო დეითერიუმის, როგორც საწვავის, ღირებულება უკვე ამჟამად ნახშირის ფასის 1%-საც კი არ შეადგენს!

ზემოხსენებულის საფუძველზე გასაგებია თუ რატომ აქცევს ასეთ დიდ ყურადღებას თანამედროვე მეცნიერება და ტექნიკა კაცობრიობის ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. საქმე ეხება თერმობირთვული რეაქციის ჩვენი ნებით წარმართვას, ვინაიდან დიდი ძალის სწრაფი რეაქცია, რომელიც სეკუნდის ერთი მემილიონედი გრძელდება, უკვე კარგა ხანია განხორციელდა ე. წ. წყალბადის ბომბის სახით.

მთავარი სიძნელე, რომელიც ადამიანს ელობება ამ ზღაპრული ძალის მოთოკვის საქმეში, რა საკვირველადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, არის არა ზემაღალი ტემპერატურის შექმნის, არამედ მისი შენარჩუნების სიძნელე. მართლაცდა აბა დაუკვირდით, რაში შეიძლება მილიონ გრადუსამდე გავარვარებული პლაზმის დაყოვნება დიდი ხნით? ასეთი ტემპერატურა ხომ მყისვე აირად აქცევს ყოველგვარ ნივთიერებას?

სულ სხვა პირობებია შექმნილი მზეზე, სადაც გარემო არესთან შედარებით მცირე თბოგაცვლის სიჩქარისა და ძლიერი შემკავებელი გრავიტაციული ძალების მეოხებით გამუდმებით გვაქვს ზემაღალი ტემპერატურა და წნევა. ამიტომ იქ თერმობირთვული რეაქციები თვითნებურად და განუწყვეტლივ მიმდინარეობს.

მაგრამ ადამიანის გონებას საზღვარი არა აქვს. ასეთი „სათავსო“ დედამიწაზედაც გამონახა, მაგრამ არა მყარი ნივთიერების, არამედ თვით პლაზმის მიერ ან გარედან შექმნილი მაგნიტური ველის საშუალებით. იგი თავისი ძალით ძლიერ მარწუხებში აქცევს და კუმშავს წარმოქმნილ პლაზმას და ნებას არ აძლევს შეეხოს დანადგარის კედლებს. მაგრამ პლაზმის შენარჩუნების საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი მისი, ასე ვთქვათ, უაღრესად „მოუსვენარი“ ხასიათის გამო. მასში მაინც ვითარდება მოუთოკავი არამდგრადი პროცესები და დიდ მიღწევად ითვლება, თუ დანადგარში მოხერხდა პლაზმის ძაფის შენარჩუნება თუნდაც სეკუნდის მეათასედის განმავლობაში ისე, რომ იგი არ გაცივდეს და არ ჩაქრეს.

მაგრამ იქნებ უსაფუძვლოა ოცნება ესოდენ იაფი და უსაზღვრო ენერგიის გამონახვისა? იქნებ ზედმეტს მოვითხოვთ კეთილისმყოფელი წყლისაგან და არ ვკმაყოფილდებით იმით, რომ მან შექმნა სიცოცხლე დედამიწაზე, განაპირობა მაღალორგანიზებულ არსებათა განვითარება და ისედაც მრავალ სიკეთეს გვანიჭებს?

თანამედროვე მეცნიერება, უწინარეს ყოვლისა, ბუნების საიდუმლოებაში ღრმად ჩახედული და თითქოს ჯადოქარი ფიზიკოსები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ეს პრობლემა გადაიჭრება. თვით ყველაზე უფრო „პესიმისტური“ გათვლებიც კი გვიჩვენებს, რომ ნამდვილად ღირს კაცობრიობის მთელი შესაძლებლობის წარმართვა ამ მართლაცდა ეპოქალური პრობლემის გადასაჭრელად. ამოცანის სიძნელე უთუოდ შეესაბამება იმ დიად მიზანს, რომელიც გულისხმობს თერმობირთვული სინთეზის რეაქციის ჩაყენებას ადამიანის მშვიდობიანი შრომის სამსახურში.

---

აპოლონ ავალიანი
უსაზღვრო ენერგიის წყარო

## იაროსლავ პუტიკი

# სინდისი

თარგმნა ვერა ბუაჩიძემ

### (ოპენჰეიმერის საქმე)

ადმირალ ლუის ლ. სტრაუსის ჩვენება

ჩემამდე გამოსულ მოწმეებს საჭიროდ მიაჩნდათ, ჩვენების მიცემამდე ჩვენთვის თავიანთი განწყობილება გაეცნოთ. მე ეს საჭიროდ არ მიმაჩნია. უშიშროების კომიტეტი სწავლობს ათასობით წერილობით საბუთს და უსმენს მრავალრიცხოვან მოწმეს. ამასთან ერთად კომიტეტს ისიც რომ დავავალოთ, პირად განწყობილებებსა და სულიერ განცდებს ჩასწვდეს, მაშინ იგი ფსიქიატრიულ კლინიკად გადაიქცეოდა, პროცესი კი ქვეყნის აღსასრულამდე გაგრძელდებოდა.

ჩვენი ჩვენების მიზანია — შეუმსუბუქოს უშიშროების კომიტეტს გადაწყვეტილების მიღება: ღირსია თუ არა ოპენჰეიმერი იმ ნდობისა, რომელსაც მისდამი იჩენენ. ჩვენ სხვა არაფერი არ მოგვეთხოვება.

უპირველესად ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სასამართლო პროცესი მე ზედმეტად მიმაჩნია. ალბათ ყველასათვის ნათელია, რომ ატომური კომისიის თანამშრომლებში არ შეიძლება იყოს პიროვნება, რომელსაც მთლიანად არ ვენდობით. ჩვენ ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ მეწარმე მხოლოდ იმათ იღებს სამსახურში, ვისაც სავსებით ენდობა. ვისაც არ ენდობა, სამსახურიდან ითხოვს. ყოველთვის ასე იყო, არის და იქნება. თუ ჩვენ ვუშვებთ, რომ კერძო მეწარმეს უფლება აქვს მიიღოს სამსახურში მხოლოდ ის, ვისაც ენდობა, მით უფრო უნდა ვცნოთ ეს უფლება იმათთვის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სამხედრო ობიექტებთან, რადგან ჩვენი კანონები მოითხოვენ საიდუმლოების შენახვას. ის აზრი, რომ ატომურ კომისიას სხვაგვარად მოქცევა შეუძლია, ამერიკულ კანონებს ეწინააღმდეგება.

რადგან ჩვენ ოპენჰეიმერს საკმაოდ ვერ ვენდობით, ამ თვალსაზრისით სასამართლო გარჩევა ზედმეტია, ვიმეორებ: ჩვენ არ ვენდობით პროფესორ ოპენჰეიმერს და ამიტომ მას არ შეუძლია

---

გაგრძელება; იხ. „ცისკარი" № 1, 2, 3.

ჩვენთან იმუშაოს. ამგვარად, რა არის აქ გაურკვეველი, რისთვის იყო საჭირო უშიშროების კომიტეტის შეკრება? ეს ოპენჰეიმერმა მოითხოვა. შეიძლება იგი კიდევ რაიმე მიზანს ისახავს... ალბათ ის ფიქრობს, რომ შესძლებს დაბნეულობის შეტანას საქმეში, რომელიც სხდომების მოუწვევლადაც ნათელია. დიახ, ოპენჰეიმერს სჭირდება სიმპოზიუმები, აკადემიური სხდომები, სინდისზე ლაპარაკი, პაციფისტური დებატები და შესაძლებელი რომ იყოს, იგი ამ უშედეგო დავაში ჩააბამდა მთელ ამერიკას, რათა საბოლოოდ ვერავინ გაარჩიოს, საით აქვს მარჯვენა და საით — მარცხენა. მე მჯერა, რომ ამაში სიამოვნებით დაეხმარებოდა ბევრი ყალთაბანდი და, უპირველესად ყოვლისა, ფარული კომუნისტები. მაგრამ ჩვენ ამას არ დავუშვებთ.

პროფესორ ოპენჰეიმერზე მე შემიძლია ვთქვა ერთი რამ. მას დიდი ხანია ვიცნობ და მისი მოღვაწეობისათვის პატივს ვცემდი. ის, რაზედაც ილაპარაკეს დოქტორმა ტელერმა და ბორის პახმა, ჩემთვის ძირითადად კარგა ხანია ცნობილი იყო. მე ვიცოდი პროფესორ ოპენჰეიმერის კომუნისტური წარსული. არავისთვის არ იყო დაფარული, რომ მანხეტენ დისტრიქტში იგი მხოლოდ იმიტომ მიიღეს, რომ არ იყო სხვა ამერიკელი, რომელიც შესძლებდა ამ ამოცანის გადაწყვეტას. ომის დროს ამ სამუშაოს უცხოელებს და ემიგრანტებს ვერ ვანდობდით. მაგრამ მე არ მეგონა, რომ კომუნისტური წარსული ომის შემდეგაც დიდხანს იქონიებდა მასზე გავლენას. ახლა მე სხვა აზრისა ვარ. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ოპენჰეიმერი ჩვენთან არ იყო 1949—1952 წლებში, როდესაც ჩვენ ვეწეოდით მძიმე ბრძოლას, რათა მიგვეცა ამერიკისა და ჩვენი შეიარაღებული ძალებისათვის წყალბადის ბომბი. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ნათელი გახდა, ვინ არის ჩვენი მომხრე და ვინ—წინაალმდეგი. ოპენჰეიმერის მოღვაწეობას მე უშუალოდ ვადევნებდი თვალყურს. მე დანიშნული ვიყავი ატომური კომისიის[1] წევრად; მაშინ მას სათავეში ლილიენტალი იდგა. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი მუშაობა კომისიაში ადვილი და სასიხარულო ყოფილიყოს. მე ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდი ოპენჰეიმერსა და ლილიენტალს. ჩვენი უთანხმოების ფესვები უფრო ღრმად მიდიოდა, ვიდრე ეს შეიძლება აიხსნას უბრალო პარტიული ქცევანობით. ეს იყო მძიმე და არასასიამოვნო დრო. იგრძნობოდა მოლოდინი. გარდატეხა მოხდა 1949 წლის აგვისტოში. მაშინ საგამოცდო ფრენიდან დაბრუნდა ჩვენი თვითმფრინავი „ნ-29" და მოიტანა ფოტოსურათები რადიაქტიული გამოსხივების კვალით, რომელიც შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ რუსული ატომური ბომბის აფეთქების შემდეგ. „ჯო", როგორც ჩვენ რუსულ ბომბებს ვუწოდებთ, ექვსჯერ დიდი მაინც იყო, ვიდრე ჩვენი პირველი ტიპის ბომბები. ნუ მოვიტყუებთ თავს. ჯერ კიდევ 1949 წლის აგვისტოში რუსებმა ბევრ რამეში გაგვისწრეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ბომბები უფრო მეტი რაოდენობით გვქონდა, ცნობა, რომ რუსებს ბომბი ჰქონდათ, საშინელება იყო.

შეიძლება ეს პარადოქსად მოგეჩვენოთ, მაგრამ მე, მართალია მწარე, მაგრამ მაინც ერთგვარ კმაყოფილებას ვგრძნობდი. დადასტურდა, რომ

[1] ატომური გამოცდის პირველი ხელმძღვანელი ორგანოები შეიქმნა 1942 წელს, არმიის დაქვემდებარებაში მყოფ მანხეტენ დისტრიქტთან ერთად. ამ ორგანოს რამდენადმე საერთაშორისო სტატუსიც ჰქონდა, ვინაიდან ის შეთანხმებული იყო შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და კანადას შორის... ომის შემდეგ მანხეტენ დისტრიქტი ლიკვიდირებული იქნა და ატომურმა წარმოებამ მიიღო სამოქალაქო გამგებლობა, რომელსაც ატომური კომისია ახორციელებდა. იგი შესდგება ხუთი კაცისაგან და მას აშშ-ს პრეზიდენტი ნიშნავს. კომისიამ თავისი მოღვაწეობა დაიწყო 1947 წელს.

სრულიად მართალი ვიყავი, როცა მოვითხოვდი, რომ რეგულარული საჰაერო დაზვერვის სისტემა შემოგვეღო. მე ჩვენს მეცნიერებაზე უფრო მჯეროდა ჩვენი ჯაშუშებისა, რომლებიც გვბომბავდნენ ცნობებით, რუსები გვეწევიანო. მეცნიერებს დიდებამ თავბრუ დაასხა და ისინი ყველაფერს უარყოფდნენ. მე კი, როგორც ყოველთვის, მართალი ვიყავი. ჩვენი სპეციალური მრჩევლები, მათ შორის ოპენჰეიმერიც, საჰაერო დაზვერვის წინააღმდეგნი იყვნენ. თითქოსდა ეს ტყუილად გადაყრილი ფულია, იმიტომ, რომ ჩვენ რუსების არ უნდა გვეშინოდეს 10 და შესაძლოა 20 წლის მანძილზე. დღეს ყველაფერი ეს ცუდ ხუმრობას ჰგავს. მაგრამ მე, ყოველ შემთხვევაში, სასარგებლო გაკვეთილი მივიღე: მას შემდეგ ჩვენი მეცნიერების წინასწარმეტყველებას ძალიან თავშეკავებულად ვუყურებ და შემიძლია ვთქვა, რომ ამის წყალობით მრავალი მძიმე შეცდომა ავიცილე თავიდან.

1949 წლის აგვისტოში ჩვენ ისტორიის გზაჯვარედინზე ვიდექით. ჩვენ უნდა გადაგვეწყვიტა, რა გზას დავდგომოდით შემდგომში. რუსულმა ბომბმა ერთი ღამის განმავლობაში შესცვალა ძალთა თანაფარდობა და დაამსხვრია ჩვენი სტრატეგიული კონცეპცია. სიცრუე უაზრობაა — ჩვენ ამას არ ველოდით. საჭირო იყო სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედება. ჩვენი მეცნიერები იმ კრიტიკულ მომენტში მოწოდების სიმაღლეზე არ აღმოჩნდნენ. ზოგიერთი, საერთოდ არ სცნობდა რუსულ ბომბს, სხვები კი საშინლად შეშინდნენ და ისტერიულად მოითხოვდნენ კომპრომისზე წავსულიყავით, სანამ გვიან არ იყო.

ჩემთვის მაშინვე ნათელი გახდა, რომ თუ ამერიკას არ სურდა დაეკარგა გაბატონებული მდგომარეობა, უნდა ჩაგვეტარებინა მთელი სამრეწველო და სამეცნიერო პოტენციალის მობილიზაცია და რაც შეიძლება მალე უნდა გაგვესწრო რუსებისათვის ისე, რომ ველარასოდეს დაგვწეოდნენ.

ჩემი აზრით მხოლოდ ერთი გამოსავალი გვქონდა: გაგვეკეთებინა მძლავრი ნახტომი და გადაგვესწრო რუსებისათვის. ჩვენი გადარჩენა შეეძლო მხოლოდ ჯოჯოხეთურ ბომბს, რომლის შესახებაც მე ჯერ კიდევ ადრე ვიცოდი დოქტორ ლოურენსისაგან. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ თეორიულად მაინც არსებობდა ისეთი ბომბის შექმნის შესაძლებლობა, რომელიც დაახლოებით ათასჯერ უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე ჩვეულებრივი ატომური ბომბი. ასეთი ბომბის შექმნისათვის ჯერ კიდევ ომის დროს და უფრო გვიანაც ჩატარებული იქნა ზოგიერთი მოსამზადებელი სამუშაო და დადგინდა კონსტრუქციული ალტერნატივები. გადავათვალიერე დამტვერილი საქაღალდეები და ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ეს ჩვენი წარმატების შესაძლებლობა იყო. რასაკვირველია, ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული და ნაკლებ რეალურად გამოიყურებოდა. მაგრამ ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვიყავით, რომ უფრო არასაიმედო საშუალებებსაც კი ვეჭიდებოდით. მე აღმაფრთოვანა ამ ახალმა აზრმა და ვრცელი მემორანდუმი მივწერე ჩემს კოლეგებს ატომურ კომისიაში. მე ჩამოვაყალიბე ჩვენი მდგომარეობა, რომელიც რუსების ბომბის გამო სრულიად შეიცვალა. ჩვენს ძირითად მიზანს — ალყა შემოვარტყათ საბჭოთა კავშირს და აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებს სამხედრო ბაზებითა და ეკონომიური ბლოკადით და ვაიძულოთ ისინი დახარჯონ მთელი თავისი ძალები შინაგან ბრძოლაზე — მივაღწევდით მხოლოდ იმ პირობით, თუ გვექნებოდა გაცილებით ძლიერი იარაღი, ვიდრე ჩვენს მოწინააღმდეგეს. ერთადერთ ასეთ იარაღს წარმოადგენდა წყალბადის ბომბი. სხვა არაფერი არ არსებობდა. ყოველი სხვა გადაწყვეტილება ჩვენი წამყვანი მდგომარეობის დაკარგვას ნიშნავდა.

სამწუხაროდ, ატომურ კომისიაში ჩემი წინადადებებით მე მარტო ვიყავი. ლილიენტალი სერიოზული სახით მიმტკიცებდა, რომ ყველაზე ძლიერი იარაღია არა წყალბადის ბომბი, არამედ ჩვენი დემოკრატია. მაგრამ ლილიენტა-

ლი ცუდად მიცნობდა, თუ ფიქრობდა, რომ მემორანდუმის წერით დავიმშვიდებდი სინდისს და გულგრილად მივყვებოდი მოვლენების შემდგომ განვითარებას. მე იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ვისი დათანხმებაც ადვილია. მე სიამოვნებას მგვრის, როცა დასახული მიზნის მისაღწევად ყოველგვარ დაბრკოლებას გადავლახავ ხოლმე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მივხვდი, რომ მე მაინც მივაღწიე ჩემსას. ისინი არ ითვალისწინებდნენ ასეთ შეუპოვრობას.

ატომურ კომისიაში ყველა ჩემი წინააღმდეგი იყო და ამიტომ მე დავწერე მოხსენება კონგრესის საერთო კომისიის სახელზე. სენატორი მაკ მაგონი იმ წუთშივე ჩაეჭიდა ჩემს წინადადებას. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ოფიციალურად მხარი დამიჭირეს და მე ვიგრძენი, რომ გზა, რომლითაც მივდიოდი, სწორი იყო. დიახ, წყალბადის ბომბი ჩემთვის კოლუმბის კვერცხად იქცა. მახსოვს როგორ ვუთხარი ჩემს ასისტენტს: „ბილ, მე ბედი წყალბადის ბომბს დავუკავშირე და ველარაფერი შემაჩერებს". და მართლაც ველარაფერმა შემაჩერა... მე არ ვაქცევდი ყურადღებას ბატონი მრჩევლების და მათ შორის რობერტ ოპენჰეიმერის მოჟამულ გამომეტყველებას. მე უკვე აღარ მეშინოდა. აღარავის ვაძლევდი დიდ დროს მოფიქრებისათვის და ვაჩქარებდი მოვლენათა მსვლელობას. ჩემი მოთხოვნით 1949 წლის ოქტომბრის ბოლოს ოპენჰეიმერმა მოიწვია საკონსულტაციო კომიტეტის[1] სხდომა. ჩვენ შევიკრიბეთ აქ, ვაშინგტონში, კონსტიტუციონ ავენიუზე. ესწრებოდა კომიტეტის ყველა წევრი გ. ტ. სეაბორგის[2] გარდა, რომელიც იმ დროს შვეციაში იმყოფებოდა. სწორედ სეაბორგიდან იწყება ოპენჰეიმერის საქმე.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საკონსულტაციო კომიტეტმა ოპენჰეიმერის გავლენით უარყო ჩემი წინადადება წყალბადის ბომბის წარმოების შესახებ. ოპენჰეიმერმა ამ სხდომაზე აღიარა პირველად, რომ იგი ჩვენი წინააღმდეგია. მან გულახდილად განაცხადა, რომ გააკეთებს ყველაფერს, რათა შეუძლებელი გახდეს წყალბადის ბომბის წარმოება. ის არაჩვეულებრივი გულმხურვალებით ლაპარაკობდა და შტაბების შეფის გენერალ ომარ ბრედლის შეცდენაც კი მოახერხა. ამას შეიძლება კატასტროფული შედეგები მოჰყოლოდა. მაგრამ იმ დროს ჯერ კიდევ მჯეროდა, რომ ოპენჰეიმერი ჩემი წინადადებების წინააღმდეგ უანგაროდ და სინდისის კარნახით იბრძოდა. მჯეროდა, რომ ჩვენ ერთი მიზანი გვქონდა და ერთმანეთს გვაშორებდა მხოლოდ ის შეხედულება, თუ რა საშუალებით შეიძლება უზრუნველვყოთ ამერიკის უშიშროება. საკონსულტაციო კომიტეტის შეკრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მე გავიგე, რომ ოპენჰეიმერმა დაუმალა საკონსულტაციო კომიტეტს წერილი, რომელიც მას სეაბორგმა ევროპაში გამგზავრების წინ გადასცა. რატომ დამაინტერესა ამან ასე?! სეაბორგი მთლიანად მიემხრო ჩემს წინადადებას! აქ პირველად დამებადა ეჭვი, რომ ოპენჰეიმერს მთლიანად კარგად არ ჰქონდა საქმე... ასე მხოლოდ პოლიტიკოსი შეიძლება მოიქცეს. ესე იგი, ოპენჰეიმერი მოქმედებდა არა როგორც მეცნიერი, არამედ როგორც პოლიტიკოსი. მაგრამ რატომ? ვისთვის იყო ხელსაყრელი ასეთი პოლიტიკა? და როგორი უნდა იყოს ეს პოლიტიკა, თუ მისი მომხრე მიმართავს არალეგალურ მეთოდებს? მე ჩავუფიქრდი ამ საკითხებს: ვინ იყენებს ჩვენთან არალეგალურ მეთოდებს? კომუნისტები. ვინ იყო წინათ ოპენჰეიმერი? კომუნისტი. ე. ი. ყურადღება! ამის შემდეგ მე მას თვალყურს ვადევნებდი და ჩემს თავდა-

[1] მთავარი საკონსულტაციო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედაც თავის დროზე ოპენჰეიმერი იყო, წარმოადგენს ატომური კომისიის დამხმარე ორგანოს.

[2] სეაბორგი — ატომგულის ფიზიკოსი და ქიმიკოსი, აღმომჩენი რამდენიმე ტრანსურანი.

პირველ, არც თუ ისე საფუძვლიან ეჭვში მალე ღრმად დავრწმუნდი.

საკონსულტაციო კომიტეტის გადაწყვეტილების შედეგები ჩემთვის დამარცხებას ნიშნავდა. მაგრამ მე მიჩვეული ვარ ასეთ დარტყმებს და ბედს ადვილად არ ვემორჩილები. ოპენჰეიმერის მიმართ გაჩენილმა ჩემმა ეჭვებმა ძალა გამიორკეცა და მე ამის შემდეგ არც ერთი წამი არ უნდა დამეკარგა. ვინაიდან ატომური კომისია განაგრძობდა უკვე თავის წინააღმდეგობას, ცხადი გახდა, რომ მაკმაჰონის დახმარება უკვე საკმარისი არ არის და უნდა მიმემართა ზემდგომი ორგანოებისათვის, თავდაცვის მინისტრ ჯონსონისათვის და თუ ესეც არ აღმოჩნდებოდა საკმარისი — თვით პრეზიდენტისათვისაც კი. გადავწყვიტე, არ დამეტოვებინა გამოუყენებელი არც ერთი შესაძლებლობა. მე ვგრძნობდი, რომ წყალბადის ბომბის წარმოების დაჩქარება სულ უფრო და უფრო მეტად ხდებოდა პირადად ჩემი მოწოდება, რომლისაგანაც უკანდახევას ვერაფრით ვერ შევძლებდი. მე გამოვიყენე მთელი ჩემი ნაცნობობა და მოვხვდი პრეზიდენტ ტრუმენთან, ძალიან დიდხანს ვესაუბრე და ამან დიდად დამაიმედა...

პრეზიდენტი ტრუმენი ყოველდღიურად რწმუნდებოდა, რომ ჩვენ შევძლებდით წყალბადის ბომბის შექმნას, თუ ამას მტკიცედ მოვინდომებდით. რამდენიმე დღის შემდეგ, 1950 წლის 30 იანვარს, შეიკრიბა ნაციონალური უშიშროების კომიტეტი. სხდომები ტარდებოდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამინისტროს შენობაში. მოკლე დისკუსიის შემდეგ მოეწყო კენჭისყრა. თავდაცვის მინისტრი ჯონსონი და საგარეო საქმეთა მინისტრი აჩესონი წყალბადის ბომბის მომხრეები იყვნენ. წინააღმდეგ ხმა მისცა ლილიენტალმა. თავის ნეგატიურ პოზიციას იგი იმით ასაბუთებდა, თითქოსდა ეს „ცუდი საქმე იყო". მეორე დღეს პრეზიდენტმა ტრუმენმა საბოლოოდ მიიღო წყალბადის ბომბის წარმოების დაჩქარების გადაწყვეტილება. პირველი გამარჯვება იმ დიდ გზაზე, რომელიც ჩვენ გველოდა, მიღწეული იყო...

ბიბლიოთეკა

გამოცდების ჩატარება მაშინვე დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები პრეზიდენტის გადაწყვეტილების წიწინააღმდეგ გამოსვლებს აგრძელებდნენ, თუმცა ახლა უკვე, რასაკვირველია, ფარულად. ლილიენტალი გადადგა. ეს ლოგიკური და სრულიად სწორი ნაბიჯი იყო. როგორც თქვენ იცით, ამის შემდეგ მეც მალე გადავდექი. მაგრამ სხვა და სხვა ნიშნებით მივხვდი, რომ ამ ჩემმა გადაწყვეტილებამ ბევრი გააბრაზა და მე მთვლიდნენ ატომურ კომისიასა და საკონსულტაციო კომიტეტში მოვლენათა შემდგომი განვითარების პასუხისმგებლად. ამ ბოროტ ჭორებს ავრცელებდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ატმოსფერო მოეწამლათ. მე ატომური კომისია სხვა მიზეზის გამო მივატოვე — სამსახური მინდოდა დამეწყო ძმებ როკფელერების ბანკში. ატომურ კომისიაში ჩემი მუშაობა დამთავრებულად მიმაჩნდა და დრო იყო, ხელი მომეკიდა ჩემი კომერციული საქმეებისათვის. ესაა ჩემი უკანდახევის ნამდვილი მიზეზი, და არა რესპუბლიკური პარტიის წინასაარჩევნო ინტერესები, როგორც ამას შემდგომში ზოგიერთი მისაყვედურებდა. ხომ ყველამ იცის, რომ ჩემი წასვლის შემდეგაც კი არ დამიკარგავს ატომური კომისიის საქმიანობისადმი ინტერესი და ყოველთვის მზად ვიყავი მივხმარებოდი მას რჩევითა და პირადი ურთიერთობით. ამ დროს პრინსტონის უნივერსიტეტის სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარის ადგილი მეკავა და ამიტომ ყოველთვის მზად ვიყავი მივხმარებოდი მას ჩვენს მეცნიერებასთან.

მაშ ასე, ჩვენში რომელი დაფრთხა — მე თუ ლილიენტალი? ერთი კაცი იყო, რომელსაც ეს კითხვა თავშიაც არ მოსვლია. ეს ოპენჰეიმერი გახლდათ. მისი შეხედულებები დამსხვრეული იყო, მისი კონცეპცია უარყოფილი, მაგრამ თავი ისე ეკავა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ის არ წავიდა, პირიქით, ყოველნაირად ებღაუჭებოდა თავის ადგილს. ამით მან მხოლოდ დაადასტურა

ჩემი ეჭვები. ბუნებრივია, ჩემს თავს შევეკითხებოდი: ვისი გულისათვის იქცეოდა იგი ასე? პატივმოყვარეობა იყო ამის მიზეზი თუ აქ მოქმედებდა სხვა, ჩვენდამი მტრულად განწყობილი ძალა? ჩემი წასვლის შემდეგ თვალყურს ვადევნებდი ატომური კომისიის მუშაობას და ვიცოდი თითქმის ყველაფერი, რაც ჩვენს ატომურ წარმოებაში ხდებოდა. ატომური ენერგიის პრობლემებთან ჩემი ახლო კავშირი ყველამ და, უპირველესად ყოვლისა, ჩვენმა მეცნიერებმა იცოდნენ. მე ვგრძნობდი, რომ ზოგიერთს არ ვუყვარდი, სხვები კი ჩემში დასაყრდენს ხედავდნენ, რაკი დარწმუნდნენ, რომ ატომური კომისია და საკონსულტაციო კომიტეტი ჩვენი საერთო პროგრამის მუხრუჭს წარმოადგენდა. ისინი მოდიოდნენ ჩემთან და რჩევასა და დახმარებას მთხოვდნენ. მე, კერძო პირს, შემომჩიოდნენ, თუ რა სიძნელეები და დაბრკოლებები ჰქონდათ გადასალახავი იმ გზაზე, რომელიც ჩვენს ხალხს დიდი ხანია ფართოდ გახსნილი ეგონა. მე მახარებდა ეს ნდობა და ამასთან ვრწმუნდებოდი, რომ ოპენჰეიმერი ორმაგ თამაშს ეწეოდა.

უცილობელი დასაბუთება მომცა ედუარდ ტელერმა, რომელსაც ჩვენი საქმის წარმატებით დაგვირგვინებას უნდა ვუმადლოდეთ. დოქტორმა ტელერმა შემომჩივლა, რომ მას თითქმის სახელმწიფოებრივ ღალატსა და ანტიამერიკულ საქმიანობაში დასდევს ბრალი იმისათვის, რომ გამაცნო ატომური კომისიის პრობლემები იმ პერიოდში, როცა მე უკვე მისი წევრი აღარ ვიყავი. ამ დემაგოგიას, რასაკვირველია, წარმატება არ მოჰყოლია. იმავე დროს ამან გამომაქლავნა, რომ იატაკქვეშა ძალები არაფერს ერიდებოდნენ და შეიძლება თავიანთი მიზნისათვის ჩვენი საკუთარი კანონებიც კი გამოეყენებინათ. მაგრამ სენტიმენტალისტად არ უნდა იქცე, თუ ვიღაც ამტკიცებს, რომ ჩვენი ესა თუ ის მოქმედება არ ეთანხმება იდეალური დემოკრატიის უმაღლეს პრინციპებს. მე სულითა და გულით დემოკრატიის მომხრე ვარ. მაგრამ ჩვენს დემოკრატიას ძალის გამოყენებისა არ უნდა ეშინოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში დავკარგავთ დემოკრატიას და ჩვენ კუდით ქვას გვასროლინებენ.

რ ო ჯ ე რ  რ ო ბ ი:

— სავსებით სწორია!

ლ უ ი ს  ს ტ რ ა უ ს ი:

— ეს საკითხები სადისკუსიო არ არის. საჭიროა მოქმედება. ვიმეორებ, ჩვენი დემოკრატია ძლიერი უნდა იყოს. ამიტომ უნდა შევძლოთ დროულად დავშორდეთ ისეთ ადამიანებს, როგორიც პროფესორი ოპენჰეიმერია. ისინი ზიანს გვაყენებენ მაშინაც კი, როცა გვემსახურებიან.

1953 წლის იანვარში პრეზიდენტის პოსტი დაიკავა დუაიტ ეიზენჰაუერმა. მე აღფრთოვანებით მივესალმე ხელისუფლების სათავეში მის ჩადგომას. ამ ამბავში თავიდანვე დავინახე იმის გარანტია, რომ იგი ენერგიულად და სწრაფად გამოასწორებდა დემოკრატიული პარტიის პოლიტიკოსების ყოყმანს. პრეზიდენტ ეიზენჰაუერის არჩევა ნაციონალური მობილიზაციის უსიტყვო მოწოდებად მიმაჩნდა. ამიტომ გადავწყვიტე გვერდზე გადამედო ჩემი კერძო მეწარმული საქმეები და თავი მთლიანად პრეზიდენტის სამსახურისათვის შემეწირა.

ეიზენჰაერმა ძალიან კარგად იცოდა ატომური ენერგიით ჩემი დაინტერესება, აფასებდა ჩემს ცოდნას და ამიტომ თავის პირად მრჩევლად დამნიშნა. ამ ახალმა თანამდებობამ საშუალება მომცა ზედმიწევნით გავცნობოდი, თუ რა მდგომარეობაში იყო ბომბის წარმოების საქმე. ჩემს ხელთ აღმოჩნდა დაწვრილებითი ანგარიშები იმისა, თუ რა დახლართული ინტერესებით იყვნენ გარემოცული ის მეცნიერები, რომლებიც ანხორციელებდნენ დაჩქარებულ პროგრამას. სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ამ ნეგატიური ძალების სულისჩამდგმელი სწორედ რობერტ ოპენჰეიმერი იყო. ამ დასკვნამდე მხოლოდ

მე არ მივსულვარ. ამაში დამარწმუნა კონგრესის ატომური ენერგიის საერთო კომისიის ყოფილი ხელმძღვანელის ბორდენის წერილმა. ბორდენმა თავის თავს დაუსვა 400 კითხვა რობერტ ოპენჰეიმერის ირგვლივ და ამ კითხვებს თვითონვე უპასუხა. ბორდენის დასკვნა ასეთი იყო: ოპენჰეიმერი ცრუობდა, გულწრფელი არ იყო, მალავდა თავისი პიროვნებისა და მდგომარეობისათვის დაუშვებელ ყოველგვარ ნაცნობობას. აქედან გამომდინარეობდა ის, რომ ოპენჰეიმერი თავის ფუნქციებს იყენებდა შეერთებული შტატების თავდაცვითი ძლიერების შეგნებული ან შეუგნებელი საბოტაჟისათვის. ვერ ვიტყვი, რომ ბორდენის დასკვნებმა განსაკუთრებით გამაცვიფრა. ბევრი რამ, რაც მან დაწერა, ადრეც ვიცოდი. მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ასე დახატული ოპენჰეიმერი უფრო საშიშ პიროვნებად მომეჩვენა. მე ვალდებული ვიყავი, რაც შეიძლება მალე დამეწყო მოქმედება. ჩემი ეჭვები გავუმჟღავნე პრეზიდენტ ეიზენჰაუერს და შემიძლია ვთქვა, რომ იგი თითქმის მაშინვე დამეთანხმა.

ოპენჰეიმერმა მალე იგრძნო, რომ მისი ვარსკვლავი ქრებოდა. იგი სრულიად გონივრულად ამბობდა უარს მრავალ თანამდებობაზე და, ბუნებრივია, იმ ქარიშხლის გადასატანად ემზადებოდა, რომლის მოახლოებასაც უკვე გრძნობდა. მისი პოზიციები ხომ ჯერ კიდევ ძლიერი იყო. კონგრესში მას ბევრი კეთილმოსურნე ჰყავდა, საზოგადოებრიობა კი ისევ ენდობოდა და მსოფლიოში სახელმოხვეჭილ მეცნიერად სთვლიდა. ოპენჰეიმერს ჯერ კიდევ ჰქონდა უფლება თავისუფლად ესარგებლა საიდუმლო მასალებით. მან იცოდა ყველაფერი, რაც ჩვენს ლაბორატორიებში კეთდებოდა. ის რომ მართლა ჯაშუში ყოფილიყო, ჩვენს ქვეყანას ისეთ ზიანს მიაყენებდა, სხვას არც კი დაესიზმრებოდა.

მე არ მიყვარს გადაკვრით ლაპარაკი: გამოძიების ფედერალურ ბიუროს არა აქვს ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ ოპენჰეიმერი დაქირავებული ჯაშუში იყო. ეს რომ დადასტურებულიყო, მაშინ იგი საბჭოს წინაშე წარსდგებოდა და მისი ყოველგვარი დამსახურების მიუხედავად ელექტრონის სკამი არ ასცდებოდა. უშიშროების კომიტეტი იმიტომ კი არ შეიკრიბა, რომ ოპენჰეიმერს ჯაშუშობა დაუმტკიცოს. ოპენჰეიმერი უნდა დარწმუნდეს, რომ იგი მოქმედებს და ფიქრობს არა ამერიკულად. ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ადამიანის გასამართლება არ შეიძლება მისი აზროვნებისათვის. მე ვამტკიცებ, რომ შეიძლება. ატომური კომისია იმდენად მნიშვნელოვანი დაწესებულებაა, რომ მას არ შეუძლია თავის რიგებში ჰყავდეს ის, ვინც სხვანაირად ფიქრობს და არ იქცევა ისე, როგორც ამას ამერიკის ინტერესები მოითხოვს. ვისი გვეშინია ჩვენ, როცა ამ სიმართლეს ვფარავთ? ოპენჰეიმერი სწორედ იმიტომაა საშიში, რომ იგი არ არის რუსების აგენტი!

გასული წლის ივლისში პრეზიდენტმა ატომური კომისიის თავმჯდომარედ დამნიშნა. პირველი სერიოზული გადაწყვეტილება, რომელიც ამ თანამდებობის დაკავებისთანავე მივიღე, იყო ოპენჰეიმერისათვის საიდუმლო საბუთების ჩამორთმევა. ოპენჰეიმერის წინააღმდეგობას შედეგი არ მოჰყოლია. ეს გადაწყვეტილება სავსებით შედიოდა ჩემს კომპეტენციაში. მე უარი ვთქვი მიმეცა უფრო დაწვრილებითი ახსნა-განმარტება, რადგან ვფიქრობდი, რომ თვითონ გამოიტანდა სათანადო დასკვნას და ულაპარაკოდ წავიდოდა. მე გადავწყვიტე უარი მეთქვა მის ნდობაზე ადმინისტრაციული გზით და მისი საქმე უსკანდალოდ მიმეფუჩეჩებინა. მე მეგონა, რომ ოპენჰეიმერი ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმებოდა. უფრო გვიან მან დაიწყო წინააღმდეგობა და ვრცელ წერილებში ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ იგი არავითარ დანაშაულს არა გრძნობს და სურს დარჩეს სამუშაოზე. როგორც უკვე ვთქვი, სიყვარულის ან ნდობის მოთხოვნა არ შეიძლება. ჩემთვის გაუგებარი იყო, რატომ ამწვავებდა იგი ტყუილად მდგომარეობას. მაგრამ მე მეგონა, რომ იგი ამით სხვა მიზანს ისახავდა. ჩვენ

კი მისი არც ერთ შემთხვევაში არ გვეშინოდა.

გ ო რ დ ო ნ  გ რ ე ი:

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ოპენჰეიმერი კომუნისტია?

ლ უ ი ს  ს ტ რ ა უ ს ი:

— არა! მაგრამ იგი იმდენად დაბნეულია და აბსტრაქციულმა სპეკულაციამ ისე შორს წაიყვანა, რომ უკვე კარგად აღარც იცის, რას წარმოადგენს იგი. მე ვფიქრობ, რომ დღეს ოპენჰეიმერი კომუნისტი აღარ არის. ამაში ბორის პახი ცდება. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კომუნიზმი ეცოტავება და მეტი უნდა. იგი მიხვდა, რომ კომუნისტებს უნდა ემსახუროს, მაგრამ მისი აზრები სხვა მხარეს არის მიმართული: მას უნდა მსოფლიო მის წინ გართხმული ნახოს და რჩევა-დარიგება უწყალობოს. ასე შორს წაიყვანა იგი განუსაზღვრელმა თვითრწმენამ და მესიანობამ. მე ვიცი, რომ იგი ჩვენი ამერიკული წყობის დაჯერებული მოწინააღმდეგეა. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ მსოფლმხედველობისათვის არავინ არ შეიძლება დაისაჯოს, რომ ჩვენი კონსტიტუცია უზრუნველჰყოფს სინდისის თავისუფლებას და ა. შ.. მე ვიცი, ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ თავს ვესხმით ამერიკულ წმინდა დოგმებს, როცა ვადანაშაულებთ ადამიანს ანტიამერიკული აზროვნებისათვის. მე საკმაოდ კარგად ვიცნობ ამ ადვოკატურ სოფისტიკას და მოკლედ ვუპასუხებ. ძვირფასო ბატონებო, ატომური კომისია და ჩვენი ატომური ლაბორატორიები არ წარმოადგენენ სადისკუსიო კლუბებს ან საფრანგეთის პარლამენტს. ჩვენ ვაწარმოებთ იარაღს, ხოლო იარაღის გარშემო დისკუსიას კი არ აწყობენ, არამედ მუშაობენ და სდუმან. უშიშროების არავითარ აპარატს არ ძალუძს თვალყური ადევნოს ყველა თანამშრომელს. ან მათ ენდობიან, ან ისინი უნდა წავიდნენ...

გ ო რ დ ო ნ  გ რ ე ი:

— შეიძლება თუ არა დავასკვნათ, რომ ოპენჰეიმერს თქვენ ამერიკისადმი არალოიალურად სთვლით?

ლ უ ი ს  ს ტ რ ა უ ს ი:

— ობიექტურად იგი არალოიალურია და არალოიალურია იმ შემთხვევაშიც, თუ სუბიექტურად ფიქრობს, რომ კარგად ემსახურება თავის ქვეყანას.

დ ო ქ ტ ო რ ი  უ ო რ დ  ი ვ ე ნ ს ი:

— თქვენ ნამდვილად მიგაჩნიათ ოპენჰეიმერი ჩვენი ქვეყნის მტრად?

ლ უ ი ს  ს ტ რ ა უ ს ი:

— დიახ. ობიექტურად იგი ჩვენი მტერია, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ გულწრფელია, როცა ამტკიცებს, რომ სუბიექტურად კეთილსინდისიერად იქცეოდა და უნდოდა ამერიკისათვის სასარგებლო ყოფილიყო. მაგრამ ჩვენ არ უნდა შევცდეთ და ოპენჰეიმერის საქმის მნიშვნელობა არ უნდა შევამციროთ. ლაპარაკია არა მარტო ოპენჰეიმერზე, არამედ რაღაც გაცილებით უფრო საშიშზე... შემთხვევა, რომელზეც ახლა ჩვენ ვმსჯელობთ, იმის დადასტურებაა, თუ როგორ აუჯანყდა ჩვენი ინტელიგენცია თავისავე საზოგადოებას. აი, აქაა საფრთხე, ბატონებო... მე ვაღიარებ, რომ მხოლოდ ახლა ვხვდები, თუ რატომ ცდილობდა ოპენჰეიმერი, რომ ამ საქმის გარჩევა ძალზე ფართოდ გახმაურებულიყო. მას, რა თქმა უნდა, მაგალითი სურს მისცეს დანარჩენებს, რომლებიც ფარულად ისევე ფიქრობენ, როგორც ის ფიქრობს. დიახ, ოპენჰეიმერი ოცნებობს გახდეს ჟანა დ'არკი. მაგრამ იგი, რასაკვირველია, დარწმუნებულია, რომ კოცონზე არ დასწვავენ და სჯერა, რომ ჩვენს წინააღმდეგ აამხედრებს ამერიკის საზოგადოებრიობას! ყურადღებით დააკვირდით ოპენჰეიმერს! იგი შინაური მტერია, და მისმა საქმემ ჩვენი ყურადღება უნდა გაამახვილოს. ჩვენ კარგად უნდა დავუფიქრდეთ ამ საქმეს. აქ გამომჟღავნებული ზიანი არ არის იზოლირებული. იგი გამოიწვია კიბოს სიმსივნემ, რომელიც ფარულად ღრღნის ჩვენს ორგანიზმს სწორედ მაშინ, როცა ჩვენ ამგვარი რამ სრულიად გამორიცხულად მიგვაჩნია და თავს მშვენივრად ვგრძნობთ. საჭიროა ფხიზელნი ვიყოთ. ასე დაიწყო რუსეთში, ასე ვითარდება

დღეს მოვლენები საფრანგეთსა და იტალიაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასე ინგრეოდა მსოფლიო იმპერიები. თუ თავის სახელმწიფოს ზურგს შეაქცევს ინტელიგენცია, მაშინ ხალხს ტრაგიკული ბედი ეწვევა. ორგანიზმი, რომელსაც შეუძლია იცოცხლოს, თავს იცავს. ამიტომ ჩვენ თავი უნდა დავიცვათ ოპენჰეიმერისაგან. თუ ჩვენ ყურადღებით არ ვიქნებით და ვერ შევძლებთ უყოყმანოდ, დროულად და მთლიანად მოვსპოთ ამ ავადმყოფობის ჩანასახი, გაუსროლელად დავილუპებით და ამაო აღმოჩნდება თავისუფალი სამყაროსა და ჩვენი უშიშროების გაძლიერებისა და შენარჩუნებისათვის ჩვენ მიერ გაღებული დიდი მსხვერპლი და ყოველი ცდა. მე მჯერა, რომ ამერიკაში კიდევ არიან ადამიანები, რომლებმაც იციან თუ რას მოითხოვს დღევანდელი დღე. მე მჯერა, რომ უშიშროების კომიტეტის გადაწყვეტილება გაამართლებს ამერიკის იმედებს. თქვენი გადაწყვეტილება შეიძლება დიდმნიშვნელოვანი იყოს ჩვენი ქვეყნის შემდგომი სულიერი სიჯანსაღისათვის.

გ ო რ დ ო ნ  გ რ ე ი:

— მე გულითად მადლობას მოგახსენებთ და სავსებით გეთანხმებით. შეკითხვა აქვს ვინმეს?

რ ო ჯ ე რ  რ ო ბ ი (მიმართავს ლუისს):

— ამერიკას ჰყავხართ თქვენ!

გ ო რ დ ო ნ  გ რ ე ი.

— სხვა შეკითხვა არ არის.

## Who's who

ადმირალი ლუის ლიხტენშტეინ სტრაუსი — ასე ჟღერს სრულად მისი დიდებული სახელი — მკითხველს საბოლოოდ შეულამაზებლად წარმოუდგება. როგორც შემდგომში გამოჩნდება, არც მისი ხაზგასმული მხნეობა და პირდაპირობა, არც ჯანსაღი უბრალოება არ არის ბუნებრივი, როგორც მას უნდა სხვები დაარწმუნოს. არც ისე უბრალოა ეს ტანმორჩილი და ხალისიანი კაცი, რომელიც ტრიალებს მაღალ საზოგადოებაში და, მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ახერხებს დაფაროს თავისი უბრალო წარსული, რომლისაც მას, ამერიკული ტრადიციების თანახმად, არა რცხვენია. როცა სენტიმენტალობა წამოუვლის ხოლმე, იგი თავს აბეზრებს თავის მეგობრებს იმას მოყოლით, რომ მამამისს რიჩმონდში ოდესღაც ფეხსაცმელების მაღაზია ჰქონდა და არცთუ ისე კარგად მისდიოდა საქმე...

„ლუის, ყოველდღე ერთი ნაცნობი გაიჩინე და საზოგადოებაში მოხვდები", — თითქოსდა ეუბნებოდა მამა, და შვილს ეს დარიგება ღრმად ჩარჩა გულში. იმ დროს, როცა ბიჭები მეზობელი ქუჩის ბიჭების წინააღმდეგ სამხედრო ექსპედიციებს აწყობდნენ, ლუისი სახელმძღვანელოებს იძენდა, ამასთან ნაცნობობა გააჩაღა წიგნის მაღაზიის პატრონთან. პატარა საქმოსანი დღისით ფეხსაცმელებს ყიდდა, ღამით კი ლათინურს, სამართალს და ფიზიკას სწავლობდა. თუ დავუჯერებთ ლუის სტრაუსს, ფიზიკით გატაცებამ იგი შემდგომში ატომურ ენერგიამდე მიიყვანა. მაგრამ ეს მეტისმეტად დაუჯერებელია საიმისოდ, რომ ვერწმუნოთ. ერთ მშვენიერ დღეს ლუისმა მიატოვა ხარაზობა და ღამე მეცადინეობა, ჩამოიბერტყა ვირჯინიის პროვინციის მტვერი და დიდ სამყაროში შეაბიჯა. იმ დროს კომერციას ისეთი გასაქანი ჰქონდა, როგორიც არასოდეს და ენერგიული ახალგაზრდის წინაშე ყველა გზა ხსნილი იყო. ჰაერი იდეებით იყო გაჟღენთილი: მიმდინარეობდა პირველი მსოფლიო ომი. მოსალოდნელი იყო დიდი სესხების გამოშვება. მამის დარიგებების ერთგული ახალგაზრდა ლუისი დაუღალავად მიისწრაფოდა ახალ-ახალი ნაცნობობისაკენ. ღმერთმა უწყის, ვინ ურჩია გასცნობოდა ჰერბერტ გუვერს, რომელიც იმ წლებში ვაშინგტონში ბელგიის დახმარების კომიტეტს აყალიბებდა. ლუის ლ. სტრაუსი ასე გადმოგვცემს გუვერთან შეხ-

ვედრას, რომელიც მისი მოულოდნელი კარიერის დასაწყისად იქცა: „მე წარვუდექი გუვერს. მან შემომხედა, თავი დამიქნია და მითხრა:

— როდის შეგიძლიათ შეუდგეთ მუშაობას?

— დაუყოვნებლივ!

— მაშ პალტო გაიხადეთ".

ეს იყო ყველაზე ბედნიერი ნაცნობობა, რომელიც ოდესმე წილად ხვდომია ლუისს. გუვერის კანცელარიაში, რომლის მდივანიც იგი გახდა, მოდიოდნენ ადამიანები, რომლებიც მართავდნენ ამერიკას. ეს იყო ყველაზე ხელსაყრელი და სასარგებლო ნაცნობობა. ახალ ნაცნობებს მილიონები ჰქონდათ. სტრაუსი მალე დარწმუნდა, რომ მამამისი მართალი იყო: ნაცნობობას თითქმის ისეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სიმდიდრეს.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გუვერი დანიშნული იქნა იმ დაწესებულების გენერალურ დირექტორად, რომელსაც ეწოდებოდა „Conseil suprême interallie"[1]. ჩვენი პატარა რიჩმონდელი ლუისი გუვერის მდივნად დარჩა, მაგრამ ახლა უფრო მაღალი მდგომარეობა ეკავა. ისინი გაემგზავრნენ ევროპაში, ომისშემდგომ მშიერ ევროპაში. კომერცია ჰყვაოდა. ლუისი მუშაობდა, მოგზაურობდა, ესწრებოდა სხდომებს, იძენდა სასარგებლო ნაცნობებს, ეცნობოდა საბანკო საქმეების კულისებს.

პარიზში სტრაუსმა გადადგა შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი მის კარიერას. იგი დაუმეგობრდა ახალგაზრდა ადვოკატ რ. ა. ტაფტს, რომელსაც შუბლზე ეწერა ბედნიერი პოლიტიკური კარიერა. შემდგომში ტაფტმა თავი გამოამჟღავნა, როგორც რეაქციონერმა პოლიტიკოსმა, სტრაუსი კი მისი დახმარებით გადავიდა რესპუბლიკელთა მხარეზე, რომელთა ერთგულიც ბოლომდე დარჩა. ამ პარტიასთან არის დაკავშირებული მისი პოლიტიკური გზა.

ახალგაზრდა, რასაკვირველია, თავისი მამის, ფეხსაცმელებით მოვაჭრე ბრძენი რიჩმონდელის სხვა რჩევა-დარიგებასაც მისდევდა. მან იცოდა, რომ სერიოზულად არ გაუწევდნენ ანგარიშს მანამდე, სანამ დოლარების საკმაო რაოდენობა არ იქცეოდა მისი საზოგადოებრივი წონის გარანტიად. ის შეგნებულად არ ეყრდნობოდა მხოლოდ რესპუბლიკური პარტიის ძლიერთა კეთილგანწყობას, იგი აკეთებდა საკუთარ ბიზნესსაც. ამაში მას განსაკუთრებით დაეხმარა საბანკო სახლის „კუნ ენდ ლოუბის" თანამმართველ და მილიონერ მონტიმერ შიფთან სასარგებლო ნაცნობობა. შიფს მოეწონა. მჩქეფარე ენერგიით ალსავსე ახალგაზრდა საქმოსანი, რომელიც არ მალავდა ბევრის მიღწევის დაუოკებელ სურვილსაც.

ამგვარად მოქნილმა და სიცოცხლით ალსავსე ლუისმა საკმაოდ დიდი თანხა დასტყუა კუნ-ლოუბს. ახლა უკვე ველარავინ აგვიხსნის, ნაცნობობით, ქორწინებით თუ, ღმერთმა უწყის, კიდევ სხვა რა საშუალებებით მოახერხა მან ასე ხანმოკლე დროის განმავლობაში დაწინაურებულიყო ამ ძველი და განუზომლად მდიდარი ფირმის ხელმძღვანელობაში. 1929 წელს ლუისი უკვე მისი კომპანიონიც გახდა. მსგავსი მაგალითი „ადამიანისა, რომელმაც გზა გაიკაფა", ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის ამერიკაში ძალზე იშვიათი იყო. ასეთ კარიერას მილიონში მხოლოდ ერთი ახერხებდა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას უსაზღვრო, თითქმის ნერონისებური თავდაჯერებულობა, რომელიც ლუისს ახასიათებს და რომელიც, მისი აზრით, წმინდაწყლის ამერიკელის თვისებაა.

რაც დრო გადიოდა, სტრაუსი სულ უფრო და უფრო ამერიკანიზმის კონსერვატული და რეაქციონერი მომხრე ხდებოდა. ის დიდი სიძულვილით ადევნებდა თვალს რუზველტის რეფორმებს— რუზველტი ამერიკის კაპიტალიზმის გადარჩენას სახელმწიფო აპარატის ჩარე-

[1] სამოკავშირეთაშორისო უმაღლესი საბჭო (ფრანგ.).

ვით ცდილობდა. თავისუფალ მეწარმეობაში სახელმწიფოს ჩარევა სტრაუსს დაუშვებლად მიაჩნდა და ამას ის უყურებდა, როგორც თავისუფალი ამერიკის პრინციპების ღალატს.

სტრაუსს ყოველთვის სძულდა სოციალიზმი და საბჭოთა კავშირი... იგი მთელი მისწრაფებით ცდილობდა შეექმნა შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ანტისაბჭოთა კოალიცია. ის დარწმუნებული იყო, რომ მთავარი დარტყმა უნდა მიმართულიყო არა გერმანიის, არამედ საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ. მან თავის რწმენაზე უარი არ თქვა შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის სამხედრო თანამშრომლობის პერიოდშიც კი.

მეორე მსოფლიო ომში დაიწყო მისი დაწინაურების ახალი ხანა.

სტრაუსმა ომის დასაწყისშივე შესთავაზა თავისი სამსახური ამერიკის მთავრობას. იგი იმ დროს სამხედრო-საზღვაო ფლოტის უბრალო სათადარიგო ლეიტენანტი იყო და მუშაობდა არა სამხედრო გემზე, არამედ მომმარაგებელ საწყობებში. მისი პირადი მეგობარი იყო არც თუ ისე დიდი ხნის წინ გაცნობილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრი ჯეიმს ფორესტოლი (ეს ის ფორესტოლია, რომელიც შემდგომში რუსების შიშმა გააგიჟა და ცათამბჯენის ფანჯრიდან გადმოხტა). ფორესტოლმა გამოიძახა სტრაუსი სამინისტროში და თავის პირად მდივნად დანიშნა. სამინისტროში სტრაუსმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს. იგი ყიდდა და ყიდულობდა საქონელს, საზღვრავდა ფასებს. მის ხელში გადიოდა მილიარდობით დოლარი. მისი ძირითადი ამოცანა იყო სხვადასხვა მონოპოლიურ ჯგუფს შორის უთანხმოების შემცირება. ეს არცთუ ისე იოლი ამოცანა იყო. ომის დამთავრების შემდეგ მძიმე ოპერაციებით დაღლილი, ორდენებითა და „Distinguished Sevuice Medal"-ით[1] დაჯილდოებული სტრაუსი თადარიგში კონტრადმირალის წოდებით გავიდა.

იმ დროიდან მოყოლებული სტრაუსი რწმუნებული გახდა ამერიკული ფლოტისა, რომელიც ტრადიციით ამერიკის შეიარაღებული ძალების ყველაზე რეაქციულ ნაწილს წარმოადგენს და სახელმწიფოს პოლიტიკაზე დიდი ზეგავლენა აქვს. ფლოტმა სტრაუსს გზა გაუხსნა ატომური ენერგიისა და ახალი კარიერისაკენ. ატომურ კომისიაში იგი დანიშნული იქნა, როგორც ფლოტის წარმომადგენელი. უშიშროების კომიტეტის წინაშე მიცემული ჩვენებებით შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ყველაზე რეაქციული წრეების განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა...

სტრაუსი სიამოვნებით მიმართავს ცინიკურ აღიარებას. მაგრამ აქ ბევრია მოჩვენებითი და ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. ის არც თუ ისე ძლიერია, რომ მხოლოდ სიმართლე ილაპარაკოს. სიმართლეს არ შეეფერება მისი მტკიცება, თითქოს იგი უანგაროდ მუშაობს ატომური კომისიისათვის. საბანკო სახლს კუნ-ლოუბის, რომლის ინტერესებსაც ის იცავს, თავისი წილი აქვს ატომურ აურზაურშიც, თუმცა ამ კომპანიის მთავარი ინტერესები თავმოყრილია რკინიგზის სფეროში (საზოგადოება „ჟენერალ ამერიკენ ტრანსპორტეიშნ კორპორეიშნ" და სხვ.). ამერიკულ მონოპოლიებში ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული: ეს საზოგადოება ეკუთვნის კუნ-ლოუბს და ატომური ენერგიის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი მეწარმის მორგანის სახლის მთავარ კონკურენტს წარმოადგენს. ამიტომ ისინი არა მარტო კონკურენტები, არამედ ამავე დროს თანამოსაქმენიც არიან.

ატომური კომისიის საშუალებით სტრაუსი მორგანისა და კუნ-ლოუბის ინტერესებს აწესრიგებს. სტრაუსის საწარმოს, რასაკვირველია, როკფელერების „ვესტერნ იუნონთანაც" აქვს ხელშეკრულება. სხვათა შორის, ისინიც უდიდეს მეწარმეებს წარმოადგენენ ატომურ წარმოებაში. სტრაუსს კომერციული კავშირი აქვს ვესტინჰაუზის საზოგადოებასთანაც, რომელსაც კონტროლს

[1] მედალი საბრძოლო წარჩინებისათვის.

უწევენ მელონი-როკფელერები. მათაც ეკუთვნით ატომური ლაბორატორიები და მათი მსგავსი სხვა უფრო პატარა საწარმოები...

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ კაპიტალიზმის ისტორიაში არ ყოფილა უფრო დიდი ბიზნესი, ვიდრე ატომური ბიზნესია. პანამის ბიზნესის შედარებაც კი არ შეიძლება ამ ბიზნესთან. 1958 წლამდე ფედერალური სახსრებიდან ატომურ წარმოებას გადაეცა 20 მილიარდი დოლარი. წარმოებები ურისკოდ იღებენ დამატებითს დაკვეთებს, რადგან სახელმწიფო და არმია წარმოადგენენ მორჩილ მსყიდველებს, რომლებიც ყველაფერს იძენენ.

•

სტრაუსის ზოგიერთი ჩვენებიდან შეიძლება მივხვდეთ, რომ მან გაიგო ოპენჰეიმერის საქმის ორგვარი მნიშვნელობა. ბრალდება, რომელიც ოპენჰეიმერს წაუყენეს, მთელ ამერიკულ სისტემას ეკუთვნოდა. მაგრამ სიმართლეს არ შეესაბამება ის, თითქოს ოპენჰეიმერმა უშიშროების კომიტეტის წინაშე ამ პროცესის ინსცენირება განგებ მოაწყო. მთავარი ინიციატორები იყვნენ გამოძიების ფედერალური ბიურო, არმია და ბატონი ლუის სტრაუსი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სტრაუსს არც შემდგომში უღალატია თავისი თავისათვის. რაც დრო გადის, იგი სულ უფრო რეაქციონერი და უნდობელი ხდება და ყველგან ხედავს ეშმაკს, რომელიც თავს ესხმის ამერიკის კეთილდღეობას. რეაქციონერთობასთან ერთად მატულობს მისი ბებრული პატივმოყვარეობაც. მას შურს ტელერის და სიამოვნებით მიითვისებდა „წყალბადის ბომბის მამის" საეჭვო ტიტულს. ვერ იტანს თავისი პიროვნებისა და მოქმედების კრიტიკას. იგი თავს ამერიკის განსახიერებად თვლის და ყველაფერი, რაც მისი პიროვნების წინაალმდეგ არის მიმართული, სახელმწიფო ღალატად მიაჩნია. ლუისი მისმა ერთ-ერთმა ძველმა თანამშრომელმა ასე დაახასიათა: „თუ თქვენ რაიმეში არ ეთანხმებით ლუისს, იგი მაშინვე გეტყვით, რომ თქვენ მთლიანი და დასრულებული ბრიყვი ხართ. თუ თქვენ არ გამოიცვლით თქვენს აზრს და არ გაიზიარებთ ლუისის შეხედულებას, ის თქვენ მოღალატედ გამოგაცხადებთ და ისე მოგექცევათ, როგორც მოღალატეს".

რობი მართალი იყო — ამერიკამ იპოვნა საჭირო კაცი.

## რობერტ ოპენჰეიმერის ჩვენება

ბატონებო, დიდი ყურადღებით მოვისმინე ყველაფერი, რაც აქ ითქვა. რამდენადაც შესაძლებელი იყო, ვცდილობდი პირუთვნელი მსმენელი ვყოფილიყავი. თავს ბრალდებულად არ ვგრძნობდი, მაგრამ ვცდილობდი ბრალმდებელის თვალით შემეხედა საქმისათვის, რათა უმაღლესი ობიექტურობისათვის მიმეღწია. დაწვრილებით შევისწავლე აგრეთვე ყველა მასალა, მივიღე მხედველობაში ყველა მოსაზრება და ეჭვი, და მიუხედავად ამისა, მინდა გკითხოთ: მაინც რა დანაშაული მიმიძღვის? მე ვერ დამიმტკიცეს და ვერც ვერასოდეს დამიმტკიცებენ, რომ სხვა სახელმწიფოს ვემსახურებოდი, რის დამტკიცებასაც აქ ზოგიერთი მოწმე ცდილობდა და რის დამტკიცებაც, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო.- ჩემთვის რომ ეს დაემტკიცებინათ, მაშინ პასუხი უნდა მეგო არა უშიშროების კომიტეტის, არამედ სასამართლოს წინაშე. ეს აქ მოწმეებმა დაადასტურეს.

ვიმედოვნებ, რომ უშიშროების კომიტეტი მოითხოვს დასაბუთებას და გრძნობების გამოხატვითა და ცალკეული ეჭვებით არ დაკმაყოფილდება. მე ვერასოდეს დამიმტკიცებენ, რომ სახელმწიფოს ინტერესების წინაალმდეგ ვმოქმედებდი, როგორც მტერი, ვერ დამადანაშაულებენ სახელმწიფოებრივი საიდუმლოების გაცემაში, ე. ი. მოქმედებაში, რომელშიაც, მაგალითად, თუ ამას სრულიად ფორმალურად მივუდგებით, შეიძლება დავადა-

ნაშაულოთ, როგორც დოქტორი ტელერი, ისუ ლეის სტრაუსი. მე ვიმეორებ, რომ ვერ წამომიყენებენ ვერც ერთ ამგვარ ბრალდებას. მე აგრეთვე ვერ დამიმტკიცებს, რომ ჩემი ქვეყნისადმი არალოიალური ვიყავი. თუმცა აქ არალოიალობაში მამტყუნებდნენ, მაგრამ ვერავინ ვერ უარყო, რომ მე ყოველთვის ვიქცეოდი, როგორც ამერიკელი პატრიოტი, მაშინაც კი, როცა კომუნისტურ პარტიასთან ახლო ვიყავი.

მე აცილებას ვაძლევ ყველა წამოყენებულ ბრალდებას და მიმაჩნია, რომ სადავო შეიძლება იყოს მხოლოდ ორი საკითხი. მე ზოგიერთ პრობლემაზე სხვა შეხედულება მქონდა, ვიდრე ამ ტრიბუნაზე გამოსულ მოწმეებს. ეს ჩვენი დავის ერთ-ერთი მიზეზია. შემდგომ, ნათელი ხდება, რომ ყველა არ იზიარებს ერთ აზრს — შეიძლება თუ არა მე იმდენად მენდნონ, რომ ატომურ კომისიაში ვიმუშაო. ალბათ საჭირო არ არის ამ ორგანოს წინაშე დავამტკიცო — არ შეიძლება წამერთვას იმის უფლება, რომ ვიფიქრო ისე, როგორც სწორად მიმაჩნია. ასეთი უფლება ბუნებრივია XX საუკუნისათვის და მით უფრო ბუნებრივი უნდა იყოს შეერთებული შტატების მოქალაქეებისათვის. და მე თუ სხვა შეხედულება მაქვს სიმართლეზე, ამისათვის არავის არა აქვს უფლება გამასამართლოს. ხომ არავის შეუძლია გამასამართლოს ჩემი აზროვნებისათვის. ეს შეუთავსებელი იქნებოდა ამერიკის კონსტიტუციასთან. მაშ რაღა რჩება იმ ბრალდებებიდან, რომელიც მე თავს მომახვიეს? არაფერი, გარდა იმისა, რომ ზოგიერთს არ მოვწონვარ, ჩემი არ სჯერა და არ მენდობა. კეთილი, მე არ მოვწონვარ მათ, მაგრამ რა შემიძლია გავაკეთო? მეც ასევე არ მომწონს ბევრი, მაგრამ არასოდეს არ მომსვლია აზრად დამეყენებინა ისინი უშიშროების კომიტეტის წინაშე, ანდა თუნდაც სამსახურიდან დამეთხოვა...

გაგრძელება იქნება

ტექნიკური რედაქტორი გიორგი ქავთარაძე
რედაქციის მისამართი თბილისი, მახარაძის ქ № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IV-63 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7 შეკვ. № 289. უე 05318. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6.800.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата, Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



[illegible]

[illegible]



წაიკითხეთ შემდეგ ნომერში

გურამ რჩეულიშვილის
გამოუქვეყნებელი
მოთხრობა

ზაურ ბოლქვაძის
ახალი ლექსები

Ежемесячный художественно-
литературный журнал

ЦИСКАРИ

Издательство
«Литература да хеловнеба»
Индекс 76236